

ვენო რ ქვაჩახია

„ვუთხისცყათსნის“  
საიდუმლოთ  
ანუ  
ანდრეძი ტუსთაველისა



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 2004

„ეუფისგყაოსანი“ დაშიფრული ნაწარმოებიაო, მასში დიდი საიღუმლოება ინახებაო, – არაერთი გამოიჩენილ მკვლევარს უთქვამს და უღიარებია, მაგრამ კონკრეტულად რა საიღუმლოს ფარაუდა არა მარტო ქართულთა უმთავრესი მხატვრული განძი, არამედ აღმოსავლური რენესანსის (რომელიც საუკუნეებით უსწრებდა დასავლურს) ეს უპირველესი ქმნილება და ზოგადასაკაცობრიო შედეგური, რეაასი წლის განმავლობაში გაუხსნელი რჩებოდა.

– საიღუმლო ამოსხნილია! – განაცხადებს გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი ვენორ ქვაჩახია...

შესაძლოა, ყველა არ დაეთანხმოს ამ კატეგორიულ განცხადებას, მაგრამ ერთი რამ ცხადია: საქმე გვაქვს ნიჭიერი პიროვნების რიგ ორიგინალურ მიგნებასთან, რომელიც უთუოდ დააინტერესებს მკითხველ საზოგადოებას.

რედაქტორი პალერი კპარასხელია  
რეცენზენტები:

აკადემიკოსი **ალექსანდრე ბარამიძე**

პროფესორი რეზო ბალანჩიშვილი

პროფესორი იახტანგ გოგუაძე



## ვენორ მიხეილის ძე ქვაჩახია

დაიბადა 1924 წლის 10 ოქტომბერს, გალის რაიონში.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ — ასპირანტურა. იყო დიდი ქართველი ფილოსოფოსების — შალვა ნუცუბიძისა და კოტე ბაქრაძის მოწაფე. 1964 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. იმავე წელს მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის წოდება. იგი ცნობილი იყო, როგორც პირუთვნელი და უკომპრომისო ოპონენტი ხელისუფლებისა. თითქმის ლეგენდად იქცა, ჯერ კიდევ ასპირანტურის წლებში, მისი თავგამოდებული ბრძოლა დიმიტრი უზნაძის (დღეს უკვე მთელ მსოფლიოში აღიარებული) „განწყობის თეორიის“ დასაცავად.

ვენორ ქვაჩახია ფუძემდებელია სოციოლოგიური კვლევის ისეთი რთული (ინტერდისციპლინარული) მიმართულებისა, როგორცაა „ცნობიერების სოციოლოგია“. ამ მიმართულებით მუშაობამ მას საერთაშორისო აღიარება მოუტანა: 1970-იან წლებში იგი მონაწილეობდა საერთაშორისო სოციოლოგიურ სიმპოზიუმებში ვარნაში (ბულგარეთი), ევანში (საფრანგეთი), უპსალაში (შვეცია), სადაც მისი მოხსენებები მეცნიერთა ყურადღების ცენტრში ექცეოდა.

ვენორ ქვაჩახია სამართლიანად ითვლება სოციოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირშიც, ვინაიდან საბჭოთა კავშირში პირველი სოციოლოგიის კათედრა, სწორედ მისი ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა 1968 წელს.

ვენორ ქვაჩახია იყო საერთაშორისო სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტის წევრი;

საკავშირო ჟურნალ „ფილოსოფსკიე ნაუკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი;

საქართველოს სოციოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი;

საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ვენორ ქვაჩახია ავტორია მრავალი საყურადღებო ნაშრომისა ლოგიკის, ეთიკის, ესთეტიკის, ლიტერატურის საკითხებში.

ვენორ ქვაჩახიას საერთაშორისო აღიარებაზე შეტყვევლებს ის ფაქტი, რომ მისი სახელი შესულია რუსეთის და გერმანიის სოციოლოგიურ ენციკლოპედიებში.

ვენორ ქვაჩახია გარდაიცვალა 1982 წლის 13 მარტს.

## ორიოლე სიბჟნა წიგნის რელაქტორისაგან

აწ განსვენებული მეცნიერის, პროფესორ ვენორ ქვაჩახიას ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის საიდუმლო ანუ ანდერძი რუსთაველისა“ (ხელნაწერის სახით) ოცდაორი წლის განმავლობაში ინახებოდა ჩემი საწერი მაგიდის უჯრაში.

ქვეყნის ნგრევისა და ქაოსის ვითარებაში ვერ შევძელი მისი გამოცემა, რასაც, იმედი მაქვს, მაპატიებს ჩემი დიდი მასწავლებლის სული...

ეს არაა სამეცნიერო ნაშრომი კლასიკური გაგებით, ამიტომ, როგორც რელაქტორი, თავს უფლებას მივცემ წინასიტყვაობაც შედარებით თავისუფალ სტილში დაწერო...

1980 წელს, ბატონმა ვენორმა, დიდი რუსი ესთეტიკოსის ალექსეი ლოსევის იმ წელს გამოცემული წიგნის — „Эстетика возрождения“ წაკითხვის შემდეგ, სადაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი „აღმოსავლური რენესანსის“, როგორც მოვლენის შესახებ მსჯელობას და მის ერთ-ერთ უმთავრეს ქმნილებად „ვეფხისტყაოსანია“ მიჩნეული, მოინდომა „ვეფხისტყაოსანს“ კიდევ ერთხელ მიბრუნებოდა.

შუალამისას მირეკავს, შეწუხებული.

— „ვეფხისტყაოსანი“ თუ გაქვს? — მეკითხება.

— მაქვს-მეთქი, ვბასუხობ.

— შენ თუ იცი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ მქონია, არ აღმომაჩნდა — თქვა. გამიკვირდა, მას საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა.

— ხვალვე მოგიტანთ-მეთქი, ვუთხარი და მივუტანე კიდეც „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემა.

ამ დეტალს მხოლოდ იმიტომ ვიხსენებ, რომ ბატონი ვენო-რის ნათქვამი გავიმეორო: „ვეფხისტყაოსნის“ სკოლაშიც გვასწავლიდნენ და უნივერსიტეტშიც, მაგრამ ეს სრულიად არაა საკმარისი ამ გენიალური ნაწარმოების გასაგებადო. დღეს მე მზარავს იმის გაფიქრებაც, რომ შესაძლებელი იყო ამ ქვეყნი-დან ისე წავსულიყავი, არ მცოდნოდა თუ რა განძის პატრონე-ბი ვართ ქართველებიო.

მართლაც საინტერესოა, საუნივერსიტეტო კურსის გავლის შემდეგ, ჩვენი ინტელიგენციის რა ნაწილს, რამდენ პროცენტს აქვს შეხება ქართველ გენიოსებთან — რუსთაველთან, გურამი-შვილთან, ილიასთან, ვაჟასთან, გალაკტიონთან...

ერთ-ერთ შეხვედრაზე, ერთ-ერთმა ორატორმა, მსჯელო-ბისას ასეთი რამ თქვა: მაშინ, ბიბლია, ჯერ კიდეც არ მქონდა წაკითხულიო. ჩემმა მეგობარმა, პროფესორმა ვახტანგ გოგუა-ძემ გადმომიჩურჩულა — ამას ჰგონია, რომ ბიბლია ახლა წაკი-თხული აქვსო. საოცარი ნათქვამია! ბიბლია შეიძლება ერთხელ კი არა ათჯერ გქონდეს თავიდან ბოლომდე წაკითხული, მა-გრამ თქმა იმისა, რომ ბიბლია წაკითხული გაქვს, მაინც არაა სწორი. ბიბლიის კითხვა არ შეიძლება დასრულებულ პროცე-სად მიიჩნიო, განათლებულობაზე ასე თუ ისე პრეტენზიის (ეს ძალიან პრეტენზიული პრეტენზიაა!) მქონე ადამიანისათვის ბი-ბლიის კითხვა პერმანენტული პროცესი უნდა იყოს, რადგან ყოველი წაკითხვა, ზეპირად რომ იცი იმ ეპიზოდებისაც კი, ახლებურად გააზრების, ახალი ინტერპრეტაციის, ახალი აღ-მოჩენების საშუალებას გაძლევს.

აღბათ (აღბათ კი არა, ნამდვილად), ასევეა „ვეფხისტყაოსა-ნი“ და სხვაც ბევრი რამ. ის, რაც წაკითხული გვაქვს, შესაძ-ლოა ერთი პროცენტიც არ გვაახლოებდეს იმასთან, რაც ძევს იმ წაკითხულში, რადგან ყველაფერი ის, რაც გენიალუ-რია, ამოუწურავია. რუსთაველის ამოწურვა ერთმა მკითხვე-ლმა კი არა თაობებმა, საუკუნეებმა ვერ შეძლეს და ვერც შეძლებენ.

ასეთია გენიოსების ხვედრი.

და რადგან გენიოსებზე ვსაუბრობთ (ამჯერად — მწერლებზე), ორიოდ სიტყვა მკითხველებზეც უნდა ვთქვათ. მწერალი არ არსებობს მკითხველის გარეშე. მწერალი მკითხველში უნდა გადასახლდეს, რომ ნაწარმოები გაცოცხლდეს. ვიდრე ეს აქტი — მწერლის გადასახლება მკითხველში ანუ ნაწარმოების კითხვა როგორც პროცესი არ შედგება, ნაწარმოები არ ცოცხლობს, მანამდე იგი მხოლოდ პასიური, მთვლემარე, მეტაფიზიკური არსებობით არსებობს. საკითხავია, როგორი უნდა იყოს მკითხველი, რომელშიც გენიოსი მწერალი უნდა გადასახლდეს, რომ ნაწარმოები ბოლომდე გაცოცხლდეს და გაიხსნას? ალბათ, გენიალური. ბუნებრივია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი მკითხველი ვერ იქნება რუსთაველის გენიის მატარებელი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რაც უფრო მეტად იქნება იგი მზად რუსთაველის გენიის გასაგებად და მისაღებად, მით მეტი იქნება მწერლისა და მკითხველის თანაზიარობით, თანაცხოვრებით, ერთობლივი შემოქმედებით მიღწეული ფეხქტიც და შედეგიც.

ერთობლივი შემოქმედებით, თანაშემოქმედებით-მეთქი ვთქვი და, ალბათ, მართალი ვარ ამაში. მადლი მიმღებისა, მადლი გამგებისა, ალბათ, ისეთივე ზეგარდმო ნიჭია, როგორი ნიჭიც თვითონ შემოქმედს მოეთხოვება. ამასთან დაკავშირებით ქართველებს ანდაზაც შეუქმნიათ: კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო.

ჩვენს შემთხვევაში, არ მოვერიდები პირდაპირ თქმას, სწორედ რომ გენიალური მკითხველი (კარგი გამგონე) აღმოაჩნდა „ვეფხისტყაოსანს“. პირველ რიგში, პატიოსნებით გენიალური. ის არ მოერიდა საკითხის ასე დასმას: „ვეფხისტყაოსანში“ არის ხარვეზები, იმდენად თვალმისაცემი ხარვეზები, რომ ამ ხარვეზებს ან რაღაც გამართლება აქვს, ან „ვეფხისტყაოსანი“ სულაც არ არის ისეთი ღვთაებრივი ჰარმონია, როგორადაც იგი ქართველებს მიგვაჩნიაო. საერთოდ, ვენორ ქვაჩაძე ასეთი ახსოვთ მის თანამედროვეებს: ძალიან პატიოსანი, ძალიან კეთილი და ძალიან გაბედული! მან გაბედა ის, რაც „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით მანამდე არავის გაუბედავს. ამ გაბედულებამ და პატიოსნებამ იგი აიძულა ნაწარმოებში ეძებნა ახსნა იმისა, რამაც დააეჭვა. თვითონ ნაწარმოებშიც ხომ ასე აქტიურად დგას

ქებნის საკითხი, ქებნის ჟინი, ქებნის პათოსი... ამის შესახებ შესანიშნავად წერს თვითონ ბატონი ვენოროი...

და მან მიაგნო იმას, რაც საიდუმლოდ, დაშიფრულად უთქვამს ავტორს. და რომ ასეთი საიდუმლო მართლაც ყოფილა „ვეფხისტყაოსანში“ ჩამარხული, ამისი გასაღები, ამისი დასტურები, თურმე, იმავე „ვეფხისტყაოსანში“ მოუცია გენიოს ავტორს. დიახ, დაექვებისთვის, მართლა იყო თუ არა „ვეფხისტყაოსანი“ დაშიფრული და მართლა გახსნა თუ არა ეს შიფრი, მართლა ამოხსნა თუ არა საიდუმლო ჩვენმა ავტორმა, ადგილი მართლაც არ რჩება.

მაგრამ მაინც, ხომ არიან ურწმუნო თომები, რომლებიც არ მიიღებენ არგუმენტს, არ დაუჭერებენ ლოგიკას, მტკიცების ძალას და განაცხადებენ, რომ არ სჯერათ იმ საიდუმლოს არსებობისა, რომლის ამოხსნასაც ეს წიგნი მიეძღვნა.

მაშინ?

მაშინ, მოდით საკითხს სხვა კუთხიდან მივუდგეთ: ვთქვათ, აღმოჩნდა უტყუარი საბუთი, თვით ვაჟა-ფშაველას მიერ დადასტურებული, რომ „არწივში“ მას საქართველო არა აქვს ნაგულისხმები, რომ როცა ეს დიდებული ლექსი იწერებოდა, ვაჟა მხოლოდ არწივზე ფიქრობდა და არავითარი ალეგორია სამშობლოს შესახებ აზრადაც არ ჰქონია, რომ „არწივის“ საქართველოს სიმბოლოდ მიჩნევა სხვათა ინტერპრეტაციას. ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ ასეთი წარმოუდგენელი რამ, საინტერესოა ამის შემდეგ როგორ უნდა მოვიქცეთ, დავუჭეროთ ვაჟა-ფშაველას, რომ „არწივში“ საქართველო არ უგულისხმია? რა თქმა უნდა, არ უნდა დავუჭეროთ, რადგან მიუხედავად იმისა, იგულისხმა თუ არა მან „არწივში“ საქართველო, ეს თემა იმდენად კარგად იკითხება მასში, რომ ამაზე უარის თქმა ნონსენსი, უფრო მეტიც, ლიტერატურული დანაშაული იქნება. მხატვრული აზროვნების უმთავრესი მახასიათებელი ისაა, რომ მასში მართო ის კი არ იკითხება, რაც ავტორმა გაცნობიერებულად და შეგნებულად იგულისხმა და ჩააქსოვა, არამედ ისიც (და უფრო მეტადაც), რაც ინტუიციურად, გაუცნობიერებლად, ქვეცნობიერად ჩააქსოვა, მაგრამ დროთა განმავლობაში უფრო და უფრო იკვეთება. მხატვრულ ნაწარმოებს ეპო-



ქა კითხულობს, დროა მისი მკითხველი. „დრო, დრო აღნიშნე“ (გალაკტიონი), იმას ნიშნავს, რომ ნაწარმოების გაგება-შეფასების უმთავრესი კრიტერიუმში სწორედ ისაა, თუ როდის (რავითარებაში) იქმნება, ხოლო მეორე კრიტერიუმში კი ის, თუ როდის (რავითარებაში) კითხულობენ.

ამიტომ შეგნებულად და ბოლომდე გაცნობიერებულად რომ არც დაეშიფრა გენიოს ავტორს მისი უკვდავი ქმნილება, გენიოს მკითხველს სრული უფლება ჰქონდა ამოეკითხა ნაწარმოებში ის, რაც, როგორც ჩანს, ავტორმა ქვეცნობიერად ჩააქსოვა. ხოლო ის, რაც ვენორ ქვაჩახიამ „ვეფხისტყაოსანში“ აღმოაჩინა, თავად არის მხატვრული ღირებულება, თავად არის გენიალური და დიდებული.

აი, თურმე, როგორი მკითხველი სჭირდება გენიალურ ქმნილებას...

გენიოსების ბედისადმი ბატონი ვენორი არასოდეს ყოფილა გულგრილი. მართალია, იგი ფილოსოფოსი იყო, მაგრამ მხატვრული სიტყვის ფასი და ყადრი შესანიშნავად იცოდა. თუ შეიძლება ასე ითქვას, ლიტერატურის ფილოსოფია, ლიტერატურის სოციოლოგია მისი კვლევის ყურადღების ცენტრში იყო ყოველთვის. მას აქვს შესანიშნავი ნაშრომი „გენიოსთა სამყაროში ანუ ვაჟა, დოსტოევსკი, კაფკა და გალაკტიონი“, სადაც საოცარი სიფაქიზით მიელაციცა არა მარტო სათაურში ჩამოთვლილ გენიოს ავტორებს:

„დგანან გენიოსთა სულის სიმალღეები, — წერდა იგი, — დგანან და ელიან. უსაზღვროა მათი ლოდინი“.

რას ელიან გენიოსები და მათი სულის სიმალღეები? მადლი მიმღებისა, მადლი გამგებისაო, რომ ვთქვი ზემოთ, ალბათ, ამგვარ მიმღებს ელიან, იმგვარ თანაშემოქმედებას ელიან, როცა მწერალი და მკითხველი მაქსიმალურად უახლოვდება ერთმანეთს და მწერლის შემოქმედებაც მაქსიმალური ბრწყინვალეობით წარმოიჩინდება...

მას შემდეგ, რაც მან „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა დაიწყო, შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად ამ ნაწარმოებით ცხოვრობდა. სადაც არ უნდა ყოფილიყო, რა სიტუაციაშიც არ უნდა აღმოჩენილიყო, მუდამ „ვეფხისტყაოსანზე“ ლაპარაკობდა...

ერთხელ, მეკითხება:

— ხომ გახსოვს, „ნახეს უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა“.

— მახსოვს, რა თქმა უნდა, — ვპასუხობ.

— ასე რომ ყოფილიყო, ჯდა მტირალი გზისა პირსა, ან ტყისა პირსა ან სადმე სხვაგან, სხვა ვითარებაში, რა იქნებოდა, — მიყურებს გამომცდელად, — რამე შეიცვლებოდა?

— ალბათ, არაფერი.

იციინს.

— როგორ არა, როგორ არა, ეს სასწაულია, — მიხსნის, — რუსთაველი სასწაულს აღწევს, მასთან ყველაფერი ზუსტადაა გათვლილი, არაფერი ისე და სხვათა შორის არ არის ნათქვამი. მან ტარიელი წყლის პირას იმიტომ კი არ დასვა, როცა ის პირველად ნახეს, რომ სადმე ხომ უნდა დაესვა. არა, ის აუცილებლად წყლის პირას უნდა მჯდარიყო. ეს დეტალი, ეს ნიუანსიც კი ისე ზუსტად არის განსაზღვრული, რომ თუკი მკითხველი სათანადოდ იქნება მომზადებული, იგი საოცრად დიდი მხატვრული გააზრების, მხატვრული ეფექტის წინაშე აღმოჩნდება.

— რა მხატვრული გააზრებაა ასეთი-მეთქი, — ვთხოვე განმარტება.

— სასწაულია, სასწაული, — იმეორებს იგი და შემდეგ დიდხანს, გულმოდგინედ მიხსნის იმას, რაც ასე შესანიშნავად აქვს ნაშრომში ჩამოყალიბებული...

მერე იყო განხილვები სენსაციურსათაურიანი ნაშრომისა — „ვეფხისტყაოსნის საიდუმლო“ — უნივერსიტეტში, ჯერ ფილოსოფიის ფაკულტეტზე, შემდეგ დიდ სააქტო დარბაზში. იყო ხუთი თუ ექვსსაათიანი მოხსენება და იყო უზარმაზარი წარმატება. რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, იყო საწყენი გამოლაშქრებები მავანთა მხრიდან, მაგრამ ბატონი ვენორი ამგვარ ავყა გამომლაშქრებლებს მიჩვეული იყო და შესანიშნავად იგერიებდა.

ასე გრძელდებოდა მთელი წლის განმავლობაში, ვიდრე იგი ავად არ გახდა...

უძძიმესი იყო მისი ავადმყოფობა. ვერაგმა სენმა ორმოცდა-

თექვსმეტი წლის, ჯანღონით საესე კაცი ლოგინს მიაჯაქვა. შემდეგ უმძიმესი ოპერაციები ჯერ მოსკოვში, მერე თბილისში. და მაინც, მთელი ამ ხნის განმავლობაში მთლიანად „ვეფხისტყაოსნით“ ცხოვრობდა. მნახველებს უყვებოდა პოეზიისა და ფილოსოფიის იმ საოცარ სიმალღეებზე, „ვეფხისტყაოსანში“ რომ აღმოაჩინა, ყვებოდა საიდუმლოსა და მისი ამოხსნის გზების შესახებ. ყვებოდა გზნებით, გატაცებით, ყვებოდა თავდავიწყებით და ეტყობოდა, რომ ამა ქვეყნის დასათმობად ემზადებოდა...

„ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებული მასალები ცალკეული ჩანაწერების სახით უამრავ გვერდზე ჰქონდა მიმოფანტული. უკვე ჩამოყალიბებული და დაწერილი ჰქონდა წიგნის თითქმის ნახევარზე მეტი, მაგრამ ავადმყოფობის გამო მისი დამთავრება ყოვნდებოდა, წერა უკვე აღარ შეეძლო.

ერთ დღეს დამიძახა და მითხრა — დამეხმარეო. რა თქმა უნდა, ყოველგვარ დახმარებაზე მზად ვიყავი.

— მე გიკარნახებ და შენ ჩაიწერე, თორემ არა მგონია მე ამის დასრულება შეეძლო, — მითხრა. ძლივს გადავყლაპე ყელს მოწოლილი ბურთი. — არადა, მენანება, — თქვა — მენანება. — გაიმეორა ისევ და ქერს მიაშტერდა...

შემდეგ, ღამლამობით დიდხანს ვისხედით მარტო, უფრო სწორად, მე ვიჯექი საწერ მაგიდასთან, თვითონ იწვა და მკარნახობდა. მკარნახობდა სწორი, გამართული ქართულით. იქ, სადაც მის მიერვე ადრე გაკეთებული ჩანაწერის მოძებნა იყო საჭირო, მე ვეხმარებოდი, სათანადო ადგილს ვუძებნიდი. წაიკითხავდა, კვლავ მკარნახობდა და თითქოს ჩვენში იწებდა სუნთქვას რვაასი წლის წინანდელი საქართველო და „ვეფხისტყაოსნის“ დიდებულ გმირთა გასაოცარი გაღერება. ხანდახან ასე მეგონა დაირღვა-მეთქი დროის განზომილებანი, ისე ხილულად, ისე რეალისტურად შემოდრიოდნენ ჩემში დიდი ხნის წინ გარდასული ეპოქების, ჩვენს თვალწინ რალაც მანქანებით გაცოცხლებული, პერსონაჟები.

ასე ემატებოდა გვერდებს გვერდები და ასე კლებულობდა და იღეოდა მისი ავტორის დარჩენილი დღეები და წუთები...

დასაწყისში მოგახსენეთ, „ვეფხისტყაოსნის საიდუმლო“ კლასიკური გაგებით სამეცნიერო ნაშრომი არ არის-მეთქი, მაგრამ

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მასში მეცნიერული ხედვის ნაკლებობა იყოს. პირიქით, ვენორ ქვაჩახიას არ გამოუტოვებია „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით გამოთქმული არც ერთი მეტად თუ ნაკლებად საყურადღებო მოსაზრება. გვერდი არ აუვლია საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე არც ერთი მკვლევარისთვის, რომელსაც „ვეფხისტყაოსანთან“ შეხება ჰქონია. ნაშრომი მოიცავს უამრავ სქოლიოს, ციტირებულია უამრავი ავტორი, ზღვა მასალა და ა.შ.

მეცნიერული თვალსაზრისით აქ ყურადღებას იქცევს ის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არა ფილოლოგიური, არამედ ფილოსოფიურ-სოციოლოგიური კვლევის ობიექტადაა ქცეული. ეს პოემა მრავალგზის ყოფილა ფილოსოფოსთა, ფსიქოლოგთა, ასტრონომთა, გეოგრაფთა თუ ფიზიკოსთა და მათემატიკოსთა ყურადღების ობიექტი. მის შესახებ გამოკვლევები დაუწერიათ ისეთ დიდ ფილოსოფოსებს როგორებიც იყვნენ: შალვა ნუცუბიძე, მოსე გოგიბერიძე და სხვები, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ვენორ ქვაჩახიასა და დანარჩენი ფილოსოფოსების მიდგომას შორის არის ერთი არსებითი განსხვავება. სხვები თუ პოემაში შიგნით შეღწევას და შიგნიდან გაანალიზებას ანუ მთელში დეტალების დანახვას ცდილობდნენ, ბატონი ვენორი „ვეფხისტყაოსნის“ ნიუანსებსა და დეტალებში მთელის დანახვას ლამობს. იგი სწავლობს და მსჯელობს ამა თუ იმ დეტალზე და არასოდეს ივიწყებს, რომ მთელი რაღაცით მეტია დეტალთა მექანიკურ ჯამზე. იგი შესავალში წერს: „ვეფხისტყაოსანი“ საუკუნეების მანძილზე გვევლინებოდა ქართულ ეროვნულ ტრადიციათა და ადათ-წესების არა მარტო ამსახავად, არამედ დამსახავადაც“.

აქ ჩანს მისი მიდგომა.

მას „ვეფხისტყაოსანი“ აინტერესებდა არა მარტო როგორც უმაღლესი კლასის, უმაღლესი ღირებულების მხატვრული ნაწარმოები თავისთავად, არამედ (და უფრო მეტად) როგორც გარესამყაროზე, სოციუმზე, ერზე, სახელმწიფოზე უზარმაზარი გავლენის მქონე ფენომენი — სოციალური ფენომენი.

აქ არ გავაგრძელებ სიტყვას ვენორ ქვაჩახიას მიდგომების ორიგინალურობაზე. სამაგალითოდ მოვიყვან მის ერთ ნათქვამს,

„ვეფხისტყაოსანში“ შემდეგი დროის ჩამატებების შესახებ, რომელთა ავტორები რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილნი არიან როგორც ყალბისმქმნელები, ბატონი ვენორი ბრძანებდა — თუ ისინი ყალბისმქმნელები არიან, რა პრობლემა, ამოვიღოთ ყველა ეს ნაყალბევი ტექსტიდან და გავასუფთავოთ იგი, მაგრამ თუ ჩვენს წინაშე დგება ჩამატებული სტროფების ამოცნობის პრობლემა, მაშინ ყალბისმქმნელებთან კი არა რუსთაველის დონის პოეტებთან გვქონია საქმე და გამოსაკვლევი ისაა, თუ ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ისე წერდნენ, რომ რუსთაველის ნაწერში მათი გამორჩევა ქირსო.

საოცრად ორიგინალურია და სრულიად ახალი სიტყვაა რუსთველოლოგიაში ბატონ ვენორის გაგება იმისა, არიან თუ არა „ვეფხისტყაოსანში“ უარყოფითი პერსონაჟები.

ლოგიკური აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშია მის მიერ „ვეფხისტყაოსანში“ ექვიანობის თემის დამუშავება და სხვა.

ასე რომ, მეცნიერული და თანაც ორიგინალური მიდგომა ამ ნაშრომს არ აკლია, მაგრამ მაინც ვთქვი — კლასიკური გაგებით მეცნიერულ ნაშრომთან არ გვაქვს საქმე-მეთქი. მხედველობაში ის მქონდა, რომ „ვეფხისტყაოსნის საიდუმლო“ მეცნიერული ნაშრომიცაა და, ამავე დროს, რაღაცით მეტია კიდევ მეცნიერულ ნაშრომზე. ჩემთვის პირადად ესაა მხატვრული ნაწარმოები „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე, ესაა დამოუკიდებელი მოთხრობა, რომანი, რომელსაც უფრო მხატვრული ნაწარმოების კომპოზიცია აქვს, ვიდრე მეცნიერული ნაშრომისა. აქ გამოკვეთილად გვაქვს ფაბულა, კვანძის გახსნა, განვითარება, კულმინაცია, ფინალი. ე.ი. ყველაფერი ის, რაც კომპოზიციურად მხატვრული ნაწარმოებისთვისაა დამახასიათებელი და არა მეცნიერული ნაშრომებისათვის. თუ ამას დავამატებთ თხრობის სრულიად ორიგინალურ მანერას, საკმაოდ მდიდარ სამეცნიერო ტერმინოლოგიას, რომლებსაც, როგორი საკვირველიც უნდა იყოს, ავტორი ყოველთვის ახერხებს მისცეს არა მხოლოდ სემანტიკური, არამედ ემოციური, მხატვრული დატვირთვა, მაშინ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მკითხველთა წინაშეა მეცნიერული ნაშრომისა და მხატვრული ნაწარმოების ერთგვარი სინთეზი, რომლის მსგავსს ძალიან იშ-

ვითად თუ იცნობს ლიტერატურის ისტორია...

ბატონი ვენორი ჩქარობდა, ერთი სული ჰქონდა როდის დაიწერებოდა ნაშრომის ბოლო გვერდი, ბოლო აბზაცი, ბოლო სიტყვა. ვგრძნობდი, რომ ნაშრომის და მისი ავტორის ფინალი, დროში, რალაცნაირად დაკავშირებული იყო ერთმანეთთან და ერთის მოახლოება მეორის მოახლოებასაც ნიშნავდა...

ეს დღეც არ იყო შორს!

„ვეფხისტყაოსნის“ საიდუმლოს ნელ-ნელა ეხდებოდა ფარდა. „ვეფხისტყაოსანზე“ გამოკვლევა კი არა, თითქოს თვითონ „ვეფხისტყაოსანი“ იწერებოდა ჩემს თვალწინ. მაგიდის მკრთალი ნათურით განათებულ იმ პატარა ოთახში გათამაშდა თითქოს, სიყვარულისა და გმირობის, მეგობრობისა და რაინდობის არნახული ბატალიები...

დაცხრა ვნებები, მის ადგილზე დადგა ყოველი...

დაიწერა უკანასკნელი გვერდი, აბზაცი, დავსვი წერტილი...

ვიგრძენი, რომ ბედნიერი იყო. ერთადერთი შვილის დამკარგავს, ეულსა და მარტოსულ მეცნიერს, რომელსაც ორიოდ დღეში მეორე, უმძიმესი ქირურგიული ოპერაცია უნდა გაუკეთონ და რომელმაც შესანიშნავად იცოდა, რომ სწორედ ეს ორი დღე აშორებდა მარადისობისგან, როგორი საკვირველიც უნდა გეჩვენოთ, თვალეზე ბედნიერების კურცხალი უბრწყინავდა, რადგან მოასწრო, აღასრულა ის, რასაც ასე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა...

საოცარია! ბატონი ვენორი პირად ცხოვრებაში უბედური კაცი იყო, როგორ და რატომ გამოიმეტა განგებამ მისთვის ასე შეუღარებელი და ყოვლისმომცველი სიხარული იმ საიდუმლოს აღმოჩენისა, რაც რვაასი წლის განმავლობაში დაფარული რჩებოდა „ვეფხისტყაოსნით“ გაზრდილი და „ვეფხისტყაოსანზე“ მლოცველი ქართველი კაცისთვის?!

ორი დღის შემდეგ თავადაც აღესრულა 57 წლის მეცნიერი. იგი უკანასკნელად მაშინ ვნახე, როცა რესპუბლიკური საავადმყოფოს პალატიდან საოპერაციო ბლოკში გადაჰყავდათ გორგოლაქებიან საკაცეზე მწოლარე. წამით შეაჩერეს ჩვენს წინ. ვცდილობდით რალაცა გასამხნევებელი გვეთქვა და უა-

ზროდ ვლუღლუღებდით. გაგვიღიმა. მერე კი, თითქმის ჩურჩულით, მაგრამ ყველასათვის გასაგონად თქვა:

„სიკვდილის გზა არაა არის ვარდისფერ გზის გარდა...“

ღაიძრა გორგოლაქებიანი საკაცე, მარჯენივ შეუხვია და სამუდამოდ მიეფარა თვალს...

უცნაური იყო ამ კაცის ბედი, უცნაური იყო მისი ყველაზე დიდი სიყვარულისა და მეცნიერული გატაცების „ვეფხისტყაოსნის საიდუმლოს“ ბედიც. გრძელი, კატაკლიზმებით აღსავსე და დამანგრეველი 22 წელი უნდა გასულიყო, ამ ნაშრომს დღის სინათლე რომ ეხილა...

ბატონ ვენორის სახელით, მისი ოჯახის, მისი ახლობლების, მისი მოწაფეებისა და უამრავი გულშემატკივრის სახელით გულწრფელ მადლობას ვწირავ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს როინ მეტრეველს, ფილოსოფიის ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის გამომცემლობის ხელმძღვანელობას, რეცენზენტებს — ცნობილ რუსთველოლოგს, აწ განსვენებულ აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძეს, პროფესორებს რევაზ ბალანჩივაძესა და ვახტანგ გოგუაძეს, ბატონ ვენორის ღირსეულ მოწაფეს, ამჟამად პროფესორ ვაჟა გოროზიას, ყველას, ვინც უნივერსიტეტის აღზრდილისა და მისი ღირსეული პროფესორის ვენორ ქვაჩახიას ამ საინტერესო ნაშრომის მკითხველთა სამსჯავროზე გამოტანაში წვლილი შეიტანა.

**პალერი კპარახელია**

## შიქრები „ვეფხისტყაოსანზე“, ლაკვირვებანი და ბაკვირვებანი საკითხის დასმა საილუმლოების შესახებ

ყველაზე ადრე ეს „გაკვირვებანი“ უნდა განვმარტოთ: გაკვირება აქ კითხვას ნიშნავს, გაკვირვებანი — კითხვებს, რომლებიც, ჩემი აზრით, უნდა დაისვას, თუკი ყურადღებას მივაქცევთ „ვეფხისტყაოსნის“ იმ მხარეებს, რომელთა შესახებაც მექნება საუბარი.

რუსთველოლოგია დიდად წარმატებული დარგია ჩვენი მეცნიერებისა. როგორც ყოველი გენიოსი შემოქმედი, რუსთაველიც ამოუწურავია, ამიტომ მუდამ იქნება. ისეთი მხარეები, რომელთაც ჯერ ყურადღება ან არ მიქცევია, ან იმგვარად არ მიქცევია, რომ საკითხავი არაფერი იყოს.

უმიზეზოდ არ მომხდარა რუსთველოლოგიური საკითხებით ჩემი დაინტერესება. რამდენიმე მდგომარეობამ მიბიძგა, რის შესახებ ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ.

პირველი გახლავთ რუსთაველის პოემის ნიადაგზე და საფუძველზე აღმოსავლური რენესანსის პრობლემის დასმა, ცნობილი ქართველი მოაზროვნისა და მოღვაწის შალვა ნუცუბიძის მიერ აღმოსავლური რენესანსის თეორიის ჩამოყალიბება და გავრცელება. სადღეისოდ ამ თეორიას მომხრეებიცა ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც. ეს თეორია თავის მეცნიერულ გამართლებას იმითაც აღწევს, რომ იგი უკვე გამოყენებულია შემდგომი კვლევა-ძიებისათვის. უფრო მეტიც: აღმოსავლური რენესანსის ცნება გაათავოთვეს კიდევაც, მასში მთელი იმჟამინდ-



ლი აღმოსავლური კულტურა შეიტანეს და, ამრიგად, დასავლეთ-აღმოსავლეთის კულტურული დამოკიდებულების გარკვევაში ერთ-ერთ ამხსნელ ცნებად აღმოსავლური რენესანსი გამოიყენეს. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საჭიროა მეცნიერული პასუხი გაეცეს არა მარტო აღმოსავლური რენესანსის თეორიის მოწინააღმდეგეებს, არამედ სათანადოდ გაანალიზდეს აღმოსავლური რენესანსის ფართოდ გამოყენების საფუძვლიანობაც. როგორც კი ასე დაისმება საკითხი, ბუნებრივია, თვითონ „ვეფხისტყაოსანი“ ხვდება ყურადღების ცენტრში და, მაშასადამე, მისი დამკვირვებლები ვხდებით ნებსით თუ უნებლიეთ.

მეორე მომენტი ამისგან თითქოს სრულებით განსხვავებულია, თუმცა, კარგად რომ ჩაუვკვირდეთ, კავშირი აქაც აღმოჩნდება, რადგან საქმე სხვა მხრივ მაინც ეხება კულტურის სფეროს, კერძოდ, ქართული კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბანს — ეროვნულ ტრადიციებს და ამ სფეროს შემსწავლელი მეცნიერული მიმართულების — ტრადიციათმცოდნეობის, როგორც ქართველოლოგიის ახალი დარგის ჩამოყალიბებას. რუსთაველის გენიალური პოემა არის, ერთი მხრივ, ბრწყინვალე ასახვა ადამიანთა შორის ურთიერთობის იმ ფორმებისა, წესებისა, რომლებიც ეროვნულ ტრადიციებს წარმოადგენენ; მეორე მხრივ, რუსთაველის ნაწარმოები მარტო კი არ ასახავდა უკვე არსებულსა და მოქმედ წესებს, არამედ ერთგვარად ქმნიდა და აკანონებდა კიდევაც. და ბოლოს, რუსთაველის პოემის განსაკუთრებული გავლენა ქართული კულტურის, ქართული ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაში იმითაც არის გამოვლენილი, რომ რუსთაველის შემდგომი მთელი დიდი პერიოდის განმავლობაში მუდამ სანიმუშო და მისაბაძი იყო მისგან მოწონებული და მოწოდებული წესები. ამრიგად, რუსთაველი უნდა განვიხილოთ ქართული ეროვნული ტრადიციების ამსახველადაც და დამსახველადაც, აღმწერლადაც და დამწესებლადაც.

მესამე მომენტი, რომელიც უნდა გამოვყო, ორივესთანაა დაკავშირებული. ეს არის ცნობიერების სოციოლოგიის ანუ ცნობიერების სოციალური რეალობის თეორიის დამუშავება,

რასაც უკე თითქმის მეოთხედი საუკუნეა ვეწევი. ეს არის მეცნიერული კვლევა-ძიების ახალი მიმართულება, რომელიც თავისი ბუნებით კომპლექსური, ინტერდისციპლინარულია და მრავალ სფეროს მოიცავს. ამ რამდენიმე წლის წინ გამოვაქვეყნე „გენიოსთა სამყაროში“, სადაც მეტ-ნაკლებად მაინც ჩანდა ვაჟა-ფშაველას, ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებათა მნიშვნელობა აღებული მიმართულების პრობლემათა გააზრებისათვის. გალაკტიონის „პოეტური ინტეგრალების“ თაობაზე დაწერილ შრომაშიც ცნობიერების სოციოლოგიის ასპექტიც ჩანს. ცხადია, ქართული სულიერი კულტურის ცნობიერების სოციოლოგიის თვალთახედვით გარჩევაში უმთავრესი უნდა ყოფილიყო რენესანსის უკვდავი ქმნილება — რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. გაცნობიერებულად თუ არაცნობიერად აქეთკენ მოვისწრაფოდი, ეს უნდა გამხდარიყო გარკვეული წყაროც და კრიტიკრიუმშიც ჰუმანიზმის პრობლემების განხილვისათვის.

ასე ერთად შეიკრა ეს სამი მომენტი — ჰუმანიტური რენესანსული იდეები, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ჰუმანიტური ქართული ეროვნული მოდელი — ტრადიციები და ცნობიერების სოციოლოგია.

ეს სამი მომენტი დაკავშირებულია ერთმანეთთან. ეს ურთიერთკავშირი შეიძლება წარმოვადგინოთ სხვადასხვა მხრიდან. ამჟამად, დასახული მიზნის მიხედვით, ყველაზე გამართლებულია ეს კავშირი ვაჩვენოთ რენესანსის პრობლემის კუთხით, განსაკუთრებით დასავლეთისა და აღმოსავლეთის რენესანსის მიმართების თვალსაზრისით, ამიტომ წინასწარ კიდევ რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას. კერძოდ, აქ საჭიროა სულ მოკლედ მოვიხსენიოთ უკანასკნელი პერიოდის შეფასება, რაც ამ პრობლემის ნუცუბიძისეულ გაგებას აქვს მიღებული.

ამ მიზნით მინდა შევეხო გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის ალ. ლოსევის 1978 წელს მოსკოვში გამოცემულ წიგნს — „აღორძინების ესთეტიკა“, რომელშიც დასავლეთის რენესანსის საკითხებთან ერთად, ამასთან, მასზე წინ, წიგნის პირველსავე თავში განხილულია აღმოსავლეთის რენესანსის საკითხები და საფუძვლიანადაც არის შეფასებული შ. ნუცუბიძის თეორია.

შალვა ნუცუბიძის შეხედულებები სათანადოდ გავრცელდა, მას მომხრეებიც აღმოაჩნდა და კრიტიკოსებიც. ა.ლ. ლოსევის ნაშრომი ამ საკითხებს შეეხება და ამითაა ამჯერად ჩვენთვის საინტერესო, მასში ულრემესი მეცნიერული ანალიზი და მეტად საყურადღებო დასკვნებია გამოტანილი. უპირველეს ყოვლისა, ისაა აღნიშვნის ღირსი, რომ მეცნიერებამ უკვე აღიარა აღმოსავლური რენესანსის ფაქტი. წიგნში, რომელიც აღორძინების ესთეტიკას მიეძღვნა, პირველი თავი დათმობილი აქვს საკითხს — „აღმოსავლური აღორძინება“, შემდეგი თავი — „დასავლური აღორძინება“ და ა.შ. ეს იმის უტყუარი საბუთია, რომ ამიერიდან აღორძინების შესახებ მსჯელობა უსაფუძვლო იქნება, თუ სათანადოდ და უპირველეს არ იქნება გათვალისწინებული სწორედ აღმოსავლური სახე აღორძინებისა. ა.ლ. ლოსევი აღმოსავლურ რენესანსზე მსჯელობის დროს შალვა ნუცუბიძესთან ერთად მოიხსენიებს ნ. კონრადს, ე. ჟირმუნდსკის, ვ. ჩალოიანსა და სხვა მეცნიერებს. ცნობილია, რომ შალვა ნუცუბიძის თეორიას აღმოსავლური რენესანსის შესახებ თავის დროზე სწორედ ეს მეცნიერები გამოეხმაურნენ და სპეციალური ნაშრომები მიუძღვნეს ამ პრობლემას. ა.ლ. ლოსევი წერს: „თავის უადრესად საინტერესო წიგნში აკადემიკოსი შ.ო. ნუცუბიძე რუსთაველისა და აღმოსავლური რენესანსის სხვა მცოდნეებისაგან განსხვავებით, გვაძლევს, ერთი მხრივ, საერთოდ აღმოსავლური და დასავლური რენესანსის ფრიად ვრცელ სურათს, მეორე მხრივ, ამ სულიერი მოძრაობის კონცენტრირებას ახდენს ე.წ. ფსევდოდოდიონისე არეოპაგელზე, რომლის სახელის ქვეშ იფარება, შ.ო. ნუცუბიძის გამოკვლევით, არა სხვა ვინმე, არამედ ქართველი მოაზროვნე, პირდაპირი მოწაფე ნეოპლატონიკოსი პროკლესი, სირიაში ქართული კულტურული სკოლის მეთაური და პალესტინაში მაიუმის ეპისკოპოსი პეტრე იბერი (გარდ. 492 წ.). ამ დასკვნამდე შ. ნუცუბიძისაგან დამოუკიდებლად მივიდა ბელგიელი მეცნიერი ე. ჰონიგმანიც. სხვა სიტყვებით, აღმოსავლურ-დასავლური რენესანსის საფუძველია ანტიკური ნეოპლატონიზმი, შემდგომში გადაიშავებული. ამ ფაქტს მაში-

ნათვე შეაქვს გარკვეულობა და სიზუსტე მთელს პრობ-  
ლემაში რენესანსისა, თუმცა იგი არ არის არც უდავო და  
არც დარჩენილა კრიტიკის გარეშე (აქ ალ. ლოსევი  
მიუთითებს ს. დანელიას ნაშრომზე — ვ.ქ.). მიუხედავად ამი-  
სა, არეომაგიტიკის ავტორობის მიკუთვნება პეტრე იბე-  
რისათვის, მიგვაჩნია, შ. ნუცუბიძესთან ერთად, სავსე-  
ბით დამაჯერებლად“ (გვ. 23).

მსოფლიო კულტურის გამოჩენილი მკვლევარი ალ. ლოსე-  
ვი შემდეგ ლაპარაკობს შ. ნუცუბიძის ისეთი აღმოჩენის თაო-  
ბაზე, რაც ჯერ არ ყოფილა სამეცნიერო ლიტერატურაში სა-  
ერთოდ აღნიშნული. იგი წერს: „მეტად მნიშვნელოვანია ის  
აღმოჩენა შ. ნუცუბიძისა, რომ უმთავრესი ერესები მო-  
დიოდა აღმოსავლეთიდან, რომ მათ ჰქონდათ რევოლუ-  
ციური მნიშვნელობა, რომ ისინი არყვედნენ აზროვნები-  
სა და ცხოვრების სქოლასტიკურ წყობას და რომ ამ აზრით  
დასავლეთის რენესანსი ძალზე ბევრადაა დავალებული  
სწორედ აღმოსავლეთისაგან“ (გვ. 24). ავტორი აგრძელებს  
ანალიზს, დაობს, ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით საკუ-  
თარ მოსაზრებებს წამოაყენებს და ისევ ასკვნის: „შ. ნუცუბი-  
ძის ნაშრომის ნამდვილად უდიდესი დამსახურებაა ის,  
რომ მან ძალზე ენერგიულად და რეალური ფაქტებით  
ხელში დაამტკიცა აღმოსავლეთის გავლენა დასავლურ  
რენესანსზე“ (გვ. 27).

აქ არ არის არც ადგილი, არც საჭიროება და გამოვტოვებ  
რამდენიმე მომენტს, ამოვწერ ამჟამად ჩვენთვის ყველაზე მნიშ-  
ვნელოვანს: „ლაპარაკია ახლა მხოლოდ არეომაგიტიკაზე,  
რამდენადაც მას და სწორედ მას ემყარება შ. ნუცუბიძე.  
ნუცუბიძის გამოკვლევას, როგორც არ უნდა ვაფასებდეთ  
ჩვენ რენესანსს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გვე-  
რდი ავუაროთ. XI-XII სს. ქართული რენესანსის და იოანე  
პეტრიწის მოღვაწეობის შესახებ მისი წიგნის თავები მშ-  
ვენიერი გამოკვლევებია, რომელთა იგნორირება არ შე-  
უძლია არა მარტო ქართული, არამედ იტალიური რენე-  
სანსის წარმოშობის არც ერთ მკვლევარს. ვერავინ, რო-  
გორც ნუცუბიძემ, ვერ იგრძნო იმ ზომით პროკლეს ფი-

ლოსოფიის სინთეზური ხასიათი, უპირველეს ყოვლისა, მისი დიალექტიკისა“ (30).

აღ. ლოსევი რამდენიმე საკითხში ედავება შ. ნუცუბიძეს, ასევე სხვა, მათ შორის ქართველ მეცნიერებს, ძირითადად ეს ეხება ლმერთის საკითხის გაგებას რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დავაში აღ. ლოსევი გაცილებითი სწორია, ვიდრე ისინი, ვისაც იგი ეკამათება, თუმცა საბოლოოდ აქ გასარკვევი ბევრია. ამის გამო ახლა მსჯელობას არ ექნება გამართლება. საქმე ისაა, რომ ეს დავა აღ. ლოსევის დასკვნებზე არავითარ გავლენას არ ახდენს, მისი ძირითადი შეფასება არაა ამაზე დამოკიდებული.

მოვიტან კიდევ ერთ, დამამთავრებელ დებულებას: „ქართული აღორძინების მკვლევრებმა დაამტკიცეს, რომ ქართველი მოაზროვნეები იყვნენ დამწყებნი ევროპის ნეობლატონიკური და არეოპაგიტული რენესანსისა, რომ მათ, უდავოა, ამ მხრივ მიეკუთვნებათ პრიორიტეტი და რომ მათ აქ რამდენიმე საუკუნით დაასწრეს დასავლეთ ევროპას. ამაზე დავა შეუძლებელია“ (გვ. 37).

დიდად სამწუხაროა, რომ შალვა ნუცუბიძე ცოცხალი აღარ არის და ვერ კითხულობს ამ აღიარებას. შალვა ნუცუბიძემ შექმნა ქართველოლოგიის ახალი დარგი — ქართული ფილოსოფიის ისტორია. ამ რთულ საქმიანობაში მას სხვა დაბრკოლებებთან ერთად ისიც ჰქონდა წინ აღმართული, რომ აღმოჩნდნენ ურწმუნოები, რომლებიც კატეგორიულად უარყოფდნენ ქართული ფილოსოფიური აზროვნების საკაცობრიო მასშტაბსა და მნიშვნელობას. მათი აზრით, ქართველ მოაზროვნეებს რაც შეუქმნიათ, დიდად დასაფასებელია ჩვენთვის, მაგრამ მას არ ჰქონია საერთაშორისო დონე და ღირებულება, რომ ამ მხრივ ქართული აზროვნება არ არის ჩართული საკაცობრიო აზროვნების მაგისტრალურ ნაკადში. შალვა ნუცუბიძემ თავისი პირველხარისხოვანი გამოკვლევებით, განსაკუთრებით 40-იანი წლებიდან მოკიდებული, დაამტკიცა, რომ V საუკუნის ქართველი მოაზროვნის პეტრე იბერის ნაშრომებს — ე.წ. არეოპაგიტიკულ წიგნებს, შემდეგ კი პეტრიწისა და განსაკუთრებით შოთა რუსთაველის შემოქმედებას მსოფლიო მასშტაბი

და ღირებულება გააჩნდათ, რომ აღმოსავლური რენესანსი, რუსთაველის ჰუმანისტური ქმნილების სახით, წინ უსწრებდა დასავლეთის რენესანსს.

აღ. ლოსევის წიგნი ამისი აღიარებაა. შალვა ნუცუბიძე დარწმუნებული იყო, რომ ეს აღიარება იქნებოდა. მოვიტან კიდევ ერთ ადგილს აღ. ლოსევის წიგნიდან: „30-40 წლის წინ ეს ტერმინი (აღორძინება-რენესანსი — ვ.ქ.) არც კი იხმარებოდა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ. სამაგიეროდ, ამჟამად მოიხმარება სრულიად ფართო მნიშვნელობით, აღმოსავლეთის ქვეყნების ჩართვა მსოფლიო ისტორიის წრეში, უეჭველია, თანამედროვე მეცნიერების უდიდესი მინაღწევარია. მაგრამ თვითონ აღმოსავლური აღორძინების მომხრეები ხაზს უსვამენ სხვადასხვანაირობას, სხვადასხვა დროულობას, სხვადასხვა ხარისხს აღმოსავლეთის იმ ეპოქისა, რომელიც აღორძინებად იწოდება. აღმოსავლური აღორძინების შესახებ მეცნიერება ჯერ კიდევ ძალზე მცირედაა დამუშავებული. ამ ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური ბაზა მკვლევართა მიერ დახატულია ძალზე არაერთგვაროვნად და წინააღმდეგობრივად“ (გვ. 20-21).

სავსებით სწორია — 40 წლის წინ, პირველად, შალვა ნუცუბიძემ რამდენიმე სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ამ პრობლემებს, ჩამოაყალიბა აღმოსავლური რენესანსის თეორია და სწორედ ამის შემდეგ იხმარება ტერმინი რენესანსი (აღორძინება) აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ. ისიც მართებულადაა ნათქვამი, რომ შესასწავლი და დასამუშავებელი ძალზე ბევრია. შოთა რუსთაველის გენიალური შემოქმედება ამ მიმართულებითაცაა კიდევ და კიდევ შესასწავლი: წინამდებარე ნაშრომის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ეს არის.

აი, სულ მოკლედ, ის, თუ რამ მომცა ბიძგი რუსთაველოლოგიურ საკითხებში ჩაკვირებისათვის.

რამდენიმე საკითხი თავიდანვე ჩამოყალიბდა, ზოგიერთმა შემდეგ სახე იცვალა, ზოგიერთი თავდაპირველი სახით დარჩა. ალბათ, ზედმეტი არ იქნება მათი ჩამოთვლა:

1. რა მნიშვნელობა აქვს რუსთაველის მიერ „დასაწყისში-

ვე“ შაირობისა და მიჯნურობის თემების გამოყოფას? ვის ეკამათება რუსთაველი?

2. ღმერთის საკითხი „ვეფხისტყაოსანში“ — ვინაა ღმერთი?

3. ძებნა, ძიება და მისი მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსანში“.

4. ექვი და დანდობა „ვეფხისტყაოსანში“.

5. რატომ ტირიან ასე უსაშველოდ ბევრს „ვეფხისტყაოსანის“ გმირები?

6. რატომ ეძახის რუსთაველი მარტო ტარიელს და როსტევანს მოფერებითი სახელებით „ტარია“, „როსტან“?

7. ლალობა, სალალობო და იუმორი „ვეფხისტყაოსანში“.

8. რატომ ადარებს რუსთაველი ლომ ტარიელს — ვარდს?

9. უდიდესმა ჰუმანისტმა რუსთაველმა რატომ ჩაადენინა ავთანდილს შეუფერებელი საქციელი?

10. ვის ეწოდება ქაჯი „ვეფხისტყაოსანში“?

11. როგორ აფასებენ „ვეფხისტყაოსნის“ პასაჟებს, როცა არ ესმით?

12. არის თუ არა „ვეფხისტყაოსანში“ უარყოფითი პერსონაჟები?

თუ ჩემი საბუთები საკმარისი აღმოჩნდება, ამ გზით, იქნებ, უფრო კარგად გავიგოთ მთელი სიღრმე რუსთაველისა.

გავიგოთ? აქედანვე მესმის საყვედურები — როგორ თუ ახლა გავიგოთ?! აქამდე არ ჰქონდათ გაგებულები? როგორ არა! რუსთაველი ესმოდათ იმ დროიდან დღემდე. ესმოდა იგი ქართველ მოაზროვნეს, მეომარს, დედას, რომელიც მომავალ მეომარ შვილს აკვანში უმღეროდა, ვინც ქალიშვილს ატანდა მზითვში „ვეფხისტყაოსანს“, ესმოდა ყველას, მთელ ერს, მით უფრო იმათ, ვინც საგანგებოდ სწავლობდა მას. და მაინც — რუსთაველი იმდენად დიდია, გენიალურია მისი პოემა, ამოუწურავია და ახლა კი არა, შემდეგაც იქნება მასში ახალი! ეს, ერთი მხრივ, ე.ი. რუსთაველის ნაწარმოები გენიალური ქმნილება რომაა, ამაში უკვე არის ნაგულისხმევი, რომ მისი გაგება დაუსრულებელი იქნება განსახორციელებელი. ასეთია ყველა გენიალური ქმნილების დიდებული ბედი. მეორე მხრივ, რუსთაველის პოემის გაგების საკითხი სხვაგვარადაც დგას, ე.ი. ამ მხრივ ეს ქმნილება განსხვავებულია მისებრ გენიალურ ნაწარ-

მოებებთა შორისაც კი. საქმე ისაა — და ეს უნდა დავამტკიცო — რომ რუსთაველი თავის შემოქმედებაში თვითონვე, წინასწარ მოფიქრებით გვიტოვებს საიდუმლოსა და ამოსახსნელს. დასაწყისიდან, ეტყობა, გრძნობდნენ ამას. ამიტომ ამას ბევრი ეძებდა, თუმცა საიდუმლო მანც ხელუხლებელი რჩებოდა. ცნობილმა მეცნიერმა პავლე ინგოროვყამ ისიც დაწერა — დაშიფრულიაო „ვეფხისტყაოსანი“. დაშიფრულის გაშიფვრა კი ვერც მან, ვერც სხვამ ვერ შეძლო.

მაშ, რა არის რუსთაველის საიდუმლო? ახლა, როდესაც ჩემთვის საიდუმლოს ძიება უკვე დამთავრებულია, მისი ამოხსნა, გაშიფვრა ასზე მეტი გვერდის მოცულობით შავად ჩანაწერი წინ მიდევს, თავს ნებას ვაძლევ მეორე კითხვაც დავსვა — როგორია რუსთაველის საიდუმლოს ამოხსნის გზა?

ეს გზა, ჩემი ღრმა რწმენით — ესეც იქნება ნაჩვენები — ერთადერთია და იგი გადის სხვა, უფრო მცირე, ასე ვთქვათ, ძირითადს დაქვემდებარებული საიდუმლოებების მთელი სერიის გასწვრივ, უფრო ზუსტად — მასზე, სწორედ ეს ტრავერსია აუცილებელი, რომ მივალწიოთ მიზანს, ამოვხსნათ რუსთაველის საიდუმლო. მკითხველს უფლება აქვს არ დაგვიცადოს და აქვე დაგვისვას (ეს უკვე მესამე) კითხვა: რა ვიცით, რომ საიდუმლო ამოვხსენით? საიდან ვართ ასე დარწმუნებული? ან, სხვა სიტყვით — სად არის გარანტია, კრიტერიუმი იმისა, რომ მართლა საიდუმლო ამოვხსენით? წინასწარვე ვიტყვი — ესეც იქნება ნაჩვენები (რუსთაველს თვითონვე აქვს მოცემული კრიტერიუმი) — ვინც მივა საიდუმლოების ადგილზე, იქ მას სათანადო დასტურიც ელოდება. რუსთაველის გენიალობა წარმოუდგენელ დონეს აღწევს — იგი იძლევა საიდუმლოს ამოხსნის უტყუარ საზომს — მტკიცებას, დემონსტრირებას, რომელშიც დაეჭვება არ შეიძლება...

მივყვით გეზს, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს იმ საიდუმლოებისკენ მიმავალი ერთადერთი გზა.

ზემოთ უკვე ვთქვი — არსებობს მთელი სერია საიდუმლოებებისა, რომელთა ერთად, სისტემაში თავმოყრით ანალიზია საჭირო, ანუ, საჭიროა დაისვას და ერთმანეთთან კავშირში გაირჩეს ის კითხვები, რომლებსაც მე დასაწყისშივე ვუწოდე



გაკვირვებანი. რუსთაველის პოემაში არის არა ერთი და ორი ისეთი პასაჟი, რაც დამაფიქრებელია, გაკვირვებას იწვევს, გაიძულეbs იკითხო — ნუთუ ეს ასეა, ნუთუ ასე შეიძლებოდა დაეწერა რუსთაველს? ეს არ შეეხება იმ ადგილებს, რომლებიც შემდეგ სხვათა მიერ არის ჩამატებული. საქმე ეხება თვითონ რუსთაველის ხელით შექმნილს და მათ შესახებ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სულაც არაა გამართლებული. ასეთი ბევრია!\*

---

\*-ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი მიითითებულია 1957 წლის გამოცემის მიხედვით.

## რას ეწოდება ქაჯი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“?

ამ საკითხში გარკვეულობა არაა. ეს კი ერთ-ერთი უმთავრესია „ვეფხისტყაოსნის“ გასაგებად.

ღრმადპატივცემული მეცნიერი აკაკი შანიძე განმარტავს: „ქაჯი — ზღაპრული არსება, რომლის აღწერა მოცემულია 1247-1249 სტროფებში“ (იხ. ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, 1957 წ.). ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ქაჯის გასაგებად, გარდა მითითებულისა, აუცილებელია სხვა სტროფებიც გვქონდეს მხედველობაში, ამასთან, თვით მითითებული სტროფებიც არ იძლევა იმის უფლებას, რომ ქაჯის გაგებაში შემოვიზღუდოთ ზღაპრული არსებით. ქაჯი კი შეიძლება გავიგოთ ზღაპრულ არსებად, მაგრამ რუსთაველის პოემაში ქაჯის მართო ასეთი გაგება არაა მოცემული, პოეტი ქაჯს სხვა აზრითაც ხმარობს და ეს განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გენიალური ნაწარმოების გაგებისათვის.

„ვეფხისტყაოსნის“ საკუთარი რუსული თარგმანისათვის (1941) დართულ ლექსიკონში შალვა ნუცუბიძე გვაძლევს განმარტებას: ასევე — „Давар, кадж - Давар имя чародейки, сестры царя Каджети“.

ქაჯის ასეთი განმარტებაც არასაკმარისია. თავი რომ დავანებოთ უნებლიე უზუსტობას — დავარ იყო არა ქაჯეთის მეფის და, არამედ ინდოეთის მეფის, ნესტანის მამის, ფარსადანის და, ე.ი. მამიდა ნესტან დარეჯანისა. პოემის მიხედვით იგი განათხოვარი იყო ქაჯზე, დაქვრივებულია და უკან მიბრუნებულია

ძმასთან — ფარსადანთან, ამ უკანასკნელს მისთვის მიუხდვია ნესტანის აღზრდა, მისთვის სიბრძნის სწავლება (330,4).

„დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, ქაჭეთს გათხოვილი“ (330).

შალვა ნუცუბიძის რუსულ თარგმანში, რომელიც საერთოდ გამორჩეულია დედანთან სიახლოვით, მოცემული ადგილი ზუსტადაა გადაღებული.

„И Давар, невестка Каджети, тетка ей, жена с ней, там“.

როდესაც მძიმე ამბავი დატრიალდა იბდოეთს — მეფე ფარსადანის მიერ მოწვეული სასიძო, ნესტანის სურვილისამებრ, ტარიელმა მოკლა. განრისხებული ფარსადანი ამბობს:

„აწ, თავმან ჩემმან, მას მოვჰკლავ, ჩემად დად ვინცა მადესა!

მე ღმრთისა ვუთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა!“ (574).

ასევეა თარგმანში:

Я, княнусь, с сестрой расправлюсь за жестокие удары,

Я добро велел ей сеять, а не дьяволские чары (574).

ამას პოემაში მოჰყვება იმის თხრობა, რომ მეფეს წესად ჰქონდაო ამგვარ დანაფიცებს, დანაქადნებს არ გადავიდოდა, არ დათმობდაო. დავარი ვილაცამ გააფრთხილა:

„დავარს, დასა მეფისასა, უთხრა ვინმე ღმრთისა მტერმან:

თავი ფიცა ძმამან შენმან; არ დაგარჩენს, იცის ერმან“ (576).

სავსებით ცხადია, რომ დავარ და არის ფარსადანისა, ადამიანია, ხორციელია, არ არის ზღაპრული არსება, თუმცა, ამავე დროს, ქაჯია.

„შამიდაი ქაჯი იყო, გრძნეულება იცის კარგა“ (1585,1).

„მან უამბო დავარ ქაჯსა, ვინ გრძნებითა ცაცა იცის“ (575,4).

რატომაა ქაჯი, საიდან ჩანს? იქიდან, რომ იგი ქაჯზე იყო გათხოვილი, თუ სხვა რამ? რას ნიშნავს ეს?

ამაში გასარკვევად საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ არის პოემაში ადგილები, სადაც ქაჯი მართლაც ზღაპრულ არსებას, ავსულს (Чародѣй-ს) ნიშნავს და ამრიგად, ქაჯის ასეთი გაგება — ადამიანად მიჩნევა — არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩავთვალოთ ქაჯის ერთადერთ გაგებად.

არის ადგილები, რომლის მიხედვით ქაჯი არ ნიშნავს ადამიანს, არამედ ნიშნავს ზღაპრულ არსებას, ასეთია:

„ქაჯნი ყველა უხორცოა“ (1245,4).

„ქაჭნი უხორცონი“ (1246,2).

„უღონიოდ მართალ იყვნეს, რომელთაცა ქაჭად თქვიან“ (192,3)

„ვითა ქაჭი დაგვემალე, მონებიცა დავაფეთეთ“ (288,3).

აქ ქაჭი უხორცო არსებაა, ჩვენი თანამედროვე გაგებით ზღაპრულია, აესულია, ეშმაა.

ეს ჩანს აქედანაც:

„ვითა ეშმა დამეკარგა, არ კაცურად გარდამკოცნა, ჭერთცა ესე არა ვიცი, ცხადი იყო, თუ მეოცნა“ (110).

ამას შეადარეთ — „ვითა ქაჭი დაგვემალე“.

ასეთი ადგილები უდავოა „ეფხისტყაოსანში“. მაგრამ იქვე არის ისეთი ადგილებიც, რომ ვერ გავარჩევ, რა იგულისხმება — ზღაპრული, თუ რეალური, ხორციელი არსება.

„რა დავარ გაძღა ცემითა, მისითა დალურჯებითა, წამოდგეს ორნი მონანი, პირითა მით ქაჭებითა“ (580).

არ ჩანს, თუ რა იგულისხმება აქ და ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ავტორს რაღაც შეცდომა მოუვიდა. არა! ეს სავსებით მოფიქრებულადაა გაკეთებული! რუსთაველი ასეთ ხერხს მიმართავს სხვა შემთხვევაშიც. შეიძლება ითქვას, ამგვარად წერა მისი ისეთი მანერაა, რაც ნაწარმოების უმთავრესი იდეური შინაარსით არის განპირობებული. ამაში შემდეგ დავრწმუნდებით. ახლა დავუბრუნდეთ ისევ ქაჭის გაგებას.

ზევით ვნახეთ, რომ ქაჭი ერთ შემთხვევაში უხორცოა, ქაჭი სხვა შემთხვევაში გაურკვეველია, რას ნიშნავს. ახლა ვნახავთ სრულიად აშკარად, რომ ქაჭი ადამიანია. ეს არსებითია რუსთაველისათვის, ამიტომ ამაზე გამახვილებულად წერს. როდესაც ავთანდილმა ფატმანისაგან გაიგო ნესტან-დარეჯანის ქაჭეთს დატყვევების ამბავი და ამრიგად მიაღწია საწადელს — მიაგნო კვალს, იგი ეუბნება ფატმანს:

„ფატმანს უთხრა: საყვარელო, კმა ხარ ჩემთვის სასურველად, მე ამბავი სანატრელი მომასმინე არ პირ-ბნელად, მაგრა საქმე ქაჭეთისა გამაგონე უფრო მრთელად, ქაჭნი ყველა უხორცოა, რამან შექმნა ხორციელად?“ (1245).

ავთანდილი გამოკვეთილად, სავსებით გასაგებად სვამს საკითხს:

„მას ქალისა სიბრალური ამანთებს და მიდებს აღსა, მაგრა ქაჭნი უხორცონი რას აქნევენ, მიკვირს, ქალსა?!“ (1246).

ეს კითხვა, როგორც ვხედავთ, ძალზე მნიშვნელოვანია მთელი პოემისათვის, თუნდაც იმის გამო — ხომ უნდა იცოდეს ავთანდილმა, ვისთან, რა ძალებთან ექნებათ საქმე მას და ტარიელს, ვისთან მოუწევთ ბრძოლა, რომ მიაღწიონ საწადელს — დაიხსნან ნესტან-დარეჯანი. ამ კითხვაზე ფაქტმანი უპასუხებს, ვხედავ, რომ ვერა ხარ გარკვეულიო და აუხსნის:

„არ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა სალსა“ (1246,4).

მათაც ქაჯნი ჰქვიათ სახელად, არიან გრძნების მქონენი, დახელოვნებულნი, ამის გამო შეუძლიათ ჩაიდინონ საკვირველებანი (იხ. 1247-1248).

„ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი,  
თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელანი“ (1249).

ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“ ვხვდებით ქაჯებს, რომლებიც უხორციონი არიან, და ქაჯებს, რომლებსაც ხორცი ასხიათ. ამასთან არის შემთხვევა, როდესაც ჩვენ ვერ ვარკვევთ, უხორციონსთან გვაქვს საქმე თუ ხორციელთან. როგორც ზევეითაც აღვნიშნე, შეცდომა არაა განმარტება — ქაჯი ზღაპრული არსება არისო, ზღაპრებში მართლაც მოიხსენიება ქაჯი, ამასთან ზღაპრული არსებანი შეიძლება ხორციელნიც იყვნენ და უხორციონიც. არც ისაა შეცდომა, ქაჯის შესახებ ვთქვათ (458 — ქაჯები არიან გრძნეულნი, ასეთია მათს შესახებ წარმოდგენა. მაგრამ ყოველივე ეს არის საკმარისი „ვეფხისტყაოსანში“ ქაჯის მნიშვნელობის გაგებისათვის?

ჩვენთვის მთავარია იმისი აღნიშვნა, რომ ქაჯები და ქაჯეთი, თავისი მიუვალი ციხესიმაგრით, რომელთანაც ბრძოლა უხდებოდათ „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს, ადამიანებიც არიან. რუსთაველს ეს სრულიად გამოკვეთილად აქვს ნათქვამი და არც შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო, რადგან ეს არის პოემის უმთავრესი იდეის შესაბამისი.

მაშასადამე, ქაჯები ადამიანებიც არიან — ასეთი გაგებაც არის „ვეფხისტყაოსანში“. ეტყობა, ეს გახდა იმის საფუძველი, რომ ქაჯის კიდევ ერთი გაგება არის მოცემული რუსთველოლოგიაში. ცნობილი რუსთველოლოგის იუსტინე აბულაძის მიერ შედგენილ ლექსიკონში ვკითხულობთ: „ქაჯეთი (1245, 3) ქაჯთა ქვეყანა. ქაჯი( 1246,2,1247,1) ქაჯეთის მკვიდრნი, საზღა-

პრო ჯადოსნური საქმეებით და საომარი ხერხებით განთქმული ხალხი (იხ. „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წ. საიუბილეო გამოცემა).

რუსთაველის პოემას თუ ჩავუკვირდებით, იმასაც ვნახავთ, რომ ქაჯის ასეთი გაგების საფუძველიც არის, რადგან ისინიც ადამიანები არიან, ამასთან, რადგან არსებობს ქაჯეთი, ანუ ისეთი ადგილი, სადაც ქაჯები არიან თავმოყრილნი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქაჯეთი ქვეყანაა, ქაჯები კი ამ ქვეყნის მკვიდრი ხალხი.

ვარაუდი კი შეიძლება, მაგრამ ამისი მტკიცება ძალზე ძნელია, რადგან, როგორც ვნახეთ, ქაჯის სხვა გაგებებიც არის მოცემული პოემაში.

საკვირველი არ არის, რომ ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა, რის გარეშე ნაწარმოების აზრის გაგება უაღრესად გაჭირდება, არაა ნათლად წარმოდგენილი ავტორის მიერ, და ეს ხდება გენიალური რუსთაველის ქმნილებაში!

რაშია საქმე?

ამის თაობაზე, რა თქმა უნდა, ახლა არ გვექნება მსჯელობა, ამაზე შემდეგ. ახლა კი ის კითხვა მოვიგონოთ, ზევით რომ დავსვი — დავარ იყო გათხოვილი ქაჯზეო რომ ითქვა, ეს რას ნიშნავს? ნიშნავს იმას, რომ ის კაცზე იყო გათხოვილი, თუმცა იმგვარ კაცზე, რომელიც ქაჯად უნდა მოიხსენიო. ამიტომ გვეუბნება რუსთაველი, ავთანდილის მიერ დასმული კითხვის საშუალებით, უხორციოებს ქალი რალად უნდათო. დავარ ვერ იქნებოდა გათხოვილი ქაჯზე, რომელიც უხორციოა, ის იყო კაცზე გათხოვილი, რომელიც ქაჯი ყოფილა და თვითონ დავარიც ქაჯია, თუმცა იგი ხორციელია, თანაც პოემის მთავარი გმირის, ნესტანის, ხორციელი ნათესავია — ნესტანი არის მისი ძმის შვილი.

ჯერჯერობით ამ საკითხზე არ შევჭერდეთ და კიდევ ერთი, ამასთან დაკავშირებული, მაგრამ მაინც ცალკე გამოსაყოფი, რადგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, კითხვა დავსვათ: ბოლოს და ბოლოს, რა ქნეს რუსთაველის გმირებმა? გმირული ბრძოლით მათ დაიხსნეს ქაჯეთის ციხიდან ნესტანი. ეს ცხადზე უცხადესია. მაშასადამე, მათ დაამარცხეს ბოროტი ძალა — ქაჯები, „ბოროტსა სძლია კეთილმან“.

მართლა დაამარცხეს თუ არა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებმა ქაჯები?

ნუ ავჩქარდებით და ნურც ავწყებით სენსაციურ ყოინს. იცოცხლეთ, ასეთ შემთხვევებში გაუგონარი ხმაურის ატეხვის მოსურნეები მოიძებნებიან: როგორ თუ ასე? რვა საუკუნე კითხულობდნენ გენიალურ „ვეფხისტყაოსანს“, რვა საუკუნის განმავლობაში დარწმუნებულები იყვნენ, რომ კეთილმა ძალამ, ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის მეგობრობისა და მამაცობის სახით, დაძლია ბოროტება, ქაჯები, გამოიხსნა მშვენიერება, ნესტანის სახით. ესაა კულმინაცია ნაწარმოებისა. ამასვე გამოთქვამს რუსთაველის საყოველთაოდ ცნობილი სიტყვები — „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (1361,4). იგივე არის ნათქვამი იმითაც, რომ „ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა (1420,2). განა საკვირველი არ უნდა იყოს და, მაშასადამე, სენსაცია არ იქნება, რვა საუკუნის შემდეგ შევიტანოთ ექვი და, თუნდაც დავსვათ კითხვა იმის შესახებ, დამარცხდნენ თუ არა ქაჯები?

ნუ ავჩქარდებით, ჯერ ვნახოთ, რაშია საქმე.

იქნებ არც ეს გამართლდეს, ან იქნებ არც ამაზე შეჩერება შეიძლებოდეს, საჭირო გახდეს კიდევ სხვა ასეთი მტკიცებანი...

## ღამარცხნენ თუ არა ქაჯები?

როგორც უკვე ვთქვი, ეს თითქოს სულაც არ არის საექვო, ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა თავიანთი მეომრებით აიღეს ქაჯეთის ციხე, დაიხსნეს იქიდან ნესტან-დარეჯანი, ე.ი. გაიმარჯვეს, რაც ნიშნავს იმასაც, რომ ქაჯები ღამარცხნენ.

და მაინც არის საფუძველი დაექვებისა და ამ კითხვის დასმისა.

ცხადია, პოემის ტექსტმა უნდა მოგვცეს საამისო საფუძველი.

ავთანდილმა ფატმანისაგან შეიტყო ნესტანის ქაჯეთში დატყვევების ამბავი და სთხოვა მას, წერილი მიეწერა ნესტანისათვის, შეეტყობინებინა ისიც, რომ მას ეძებენ და თუ იპოვიან, გამოიხსნიან, მიეწერა ისიც, თუ რა ვითარებაა მანდ, ე.ი. ქაჯეთში. ფატმანმა ეს ყველაფერი მისწერა ნესტანს, იქაური ამბავი კი ასე ჰკითხა:

„ჩვენ ამისთვის ესე მონა გამოვგზავნეთ თქვენსა წინა,

ვცნათ ამბავი ქაჯეთისა, მოსრულანცა ქაჯნი შინა?

მანდაურთა მეომართა ანგარიში წვრილად გვინა:

ვინ არიან მცველნი შენნი, ან თავადი მათი ვინა?“ (1273).

როგორც ჩანს, ფატმანი იმასაც ვარაუდობს, რომ ქაჯები იქნებ არც არიან შინ და ითხოვს ნესტანისაგან გაგებინებას, ვინ არიან მისი მცველები, რაც მიგვანიშნებს, რომ ეს მცველები შეიძლება არ არიან ქაჯები. ასეა თუ არა? ჭერჭერობით ასე გამოდის, ვნახოთ შემდეგ.

ფატმანის მიერ გაგზავნილი შიკრიკი დაბრუნდება და ნე-



სტან-დარეჯანის წერილს მოიტანს, რომელშიც წერია:

„შენ ორთა დამხსენ გრძნეულთა, გამიადვილე ჭირები,  
აწ აქა სრულთა ქაჯთაგან ვარ ასრე დანამჭირები:  
ერთსა მცავს ერთი სამეფო, ბევრჯელ ათასი გმირები,  
ავად მომიხდა თათბირი და ჩემი დანაპირები!

სხვად ამბავი აქაური მეტი რამცა მოგიწერე:

ქაჯთა მეფე არ მოსრულა, არცა მოვლენ ქაჯნი ჭერე,  
მაგრა სპანი უთვალავნი მცვენ და მათი სიალფე-რე,  
რასა ჰქვიან ძებნა ჩემი? არ ეგების, დაიჭერე!“ (1286-87).

გასაგებია: მთელი სამეფო მე ერთს მიცავსო, ქაჯები არ არიან მოსულნი, არც მათი მეფეო, ძებნა და ქაჯეთიდან გამო-  
ხსნა კი ყოვლად უიმედოდ ეჩვენება ნესტანს...

იმავე შიკრიკისაგან მოტანილ წერილში ტარიელს წერს ნესტანი:

„შენი ხიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად“ (1297,1)

ნუ წამოხვალო, გეხვეწებიო, მეორე სიკვდილს მაინც ნუ შემყრიო, რადგან ფიქრობს, რომ ქაჯები უძლეველნი არიან, ისინი მოკლავენ ტარიელს და ამას ნესტანი ველარ აიტანს.  
„ქაჯთა, ძნელად საომართა“ (1299,3).

„მათთა შემბმელთა დახოცენ,

მართ ცეცხლად მოედებიან“ (1300,4).

„ნუთუ ესენი გეგონენ სხვათა მებრძოლთა წესითა?!“ (1301,1)

ესეც ნიშანდობლივია — ტარიელს, რომლის გმირული ბრ-  
ძოლების ამბავი ჩინებულად იცის ნესტანმა, არიგებს, ესენი  
ისეთი წესით არ ომობენ, რაც შენ იციო.

ფატმანმა უნდა გამოისტუმროს ავთანდილი. ეს მისთვის  
უძნელესია — არ ეთმობა მიჯნურთან განშორება, მაგრამ „დე-  
დისა მჯობი დედა“ — ფატმანი, როგორც ღირსეული გმირი  
რუსთაველისა, თმობს დაუთმობელსაც კი, ოღონდ ეშველოს  
ნესტანს.

„ხათუნმან უთხრა: „ჰე, ლომო, ცეცხლი აწ უფრო ცხელდების,  
მოეშორეების ნათელსა, გული ამისთვის ბნელდების;  
ისწრაფე, ჩემი ნუ გაგვა, — ხელი ეგრეცა ხედების,—  
თუ ქაჯნი მოგესწრებიან, მუნ მისვლა გაგიძნელდების“ (1313).

ეს უკვე მერამდენედაა ნათქვამი იქნებიან თუ არა ქაჯები  
ქაჯეთსო. ცხადია, რუსთაველს რალაც ჩანაფიქრი აქვს, თორემ

ასეთი ლაფსუსი მას არ მოუვიდოდა. იგივე გრძელდება შემდეგაც. საქმე ისაა, რომ რუსთაველს სურს ჩვენ გაგვაგებინოს, თუ როგორ გაიგო, როგორ გაიაზრა ავთანდილმა, ასე ვთქვათ, ინფორმაცია, რომელიც მიიღო მან ნესტანისა და ფატმანისაგან. ავთანდილმა წერილი მისწერა ფრიდონს, სადაც იგი მეგობარს ამცნობს:

„ჭირნი ვნახენ და მო-ცა-მხვდა ნაცვალი ჭირ-ნახულისა,  
კარგა მოხდომა საქმისა ჩემისა გაზრახულისა;  
მიცნია მართლად ამბავი პირისა მზედ სახულისა,  
დამარჩენელი ლომისა მის, ქვესკნელს დამარხულისა“ (1319)

ავთანდილმა საქიროდ სცნო ისიც აცნობოს, იქ ჯერ ქაჯები არ არიანო:

„იგი მზე ქაჯთა მეფეს ჰყავს, ქაჯეთს პატიმარია.  
მუნ მისვლა მიჩანს თამაშად, თუცა გზა საომარია.  
ნარგისთა წვიმა ბროლისა წვიმს, ვარდი ნაწვიმარია,  
ჭერთ ქალსა ქაჯნი არ ახლვან, მაგრა სპა უამარია“ (1320).

ამრიგად, ავთანდილმა სათანადოდ შეაფასა ვითარება, საესებით ირწმუნა ქაჯების ამბავი. იქ მისვლა მიჩანს თამაშადო, რომ ამბობს, ვითომ ეს იმას ნიშნავს, არაფერი საძნელო არ არის, გადაქარბებული შიში აქვთო? არა, ამას არ უნდა ნიშნავდეს. საქმე ისაა, რომ ავტორს, ეტყობა, არ სურს აქ მეტი სინათლე შეიტანოს ამბის თხრობაში. მოფიქრებულად გვიტოვებს ამოსაცნობს. იქნებ ავთანდილს იმიტომ უჩანს იქ მისვლა თამაშად, რომ იცის ფატმანისაგან გზა და საშუალება შეგზავნისა? რუსთაველი არ გვარკვევს ამაში. ერთი კი უცხადესია — ქაჯეთში ქაჯები არ არიან მისულნი. სანამ ისინი არ არიან, გაცილებით იოლია ბრძოლა, მათი ყოფნის პირობებში კი — უძნელესია. ამას ადასტურებს ფრიდონის სიტყვებიც, ფრიდონს კი ყველაზე მეტი დაეჭვრება, რადგან გმირი მებრძოლიცაა, როგორც ტარიელი და ავთანდილი, ქაჯების საქმეში მათზე უკეთაა გაცნობიერებული, როგორც ფატმანი. ბრძენი რუსთაველი აქაც შესანიშნავად იყენებს ფსიქოლოგიურ მომენტს — ისევე როგორც ფატმანს უმძიმდა ავთანდილის წამოსვლა, ასევე უმძიმს ფრიდონსაც მასთან მისულ უსაყვარლეს სტუმრებს, ტარიელსა და ავთანდილს ურჩიოს ადრე წავიდეთო აქედან.

მოვესმინოთ რუსთაველს:

„უთხრა, თუ: „ესე სიტყვაა ავისა მასპინძელისა,  
ჰგავს მოსწყენოდეს სტუმრობა თქვენ ბრძნისა ვითა ხელისა,  
მაგრა აწ ყოვნა არ ვარგა, წასლვა სჯობს გზისა გრძელისა,  
თუ ქაჯნი მოგვესწრებიან, საეჭვი არს სიძნელისა“ (1386).

განშორების სიძნელეს ფატმანთანაც, ფრიდონთანაც მო-  
ფიქრებით გვამცნობს რუსთაველი, რათა ამით სრულად მიგვა-  
ხვედროს, თუ როგორ ძნელი იქნება ბრძოლა, თუ ქაჯები აღ-  
გილზე იქნებიან, ამასთან, თუ ავთანდილი ამას გვეუბნება ნეს-  
ტანისა და ფატმანის ნათქვამის შემდეგ და შედეგად, ფრიდონი  
მათგან დამოუკიდებლად არის ამგვარი აზრისა. რუსთაველს  
არ ავიწყდება, რა თქმა უნდა, გაგვაგებინოს, რომ ფრიდონი  
კარგად იცნობს საგანს, რის შესახებაც მსჯელობს:

„ზღვა გაიარეს სამთავე ერთგან ძმად შეფიცებულთა;  
ფრიდონ გზა იცის, იარეს, დღისით და ღამით რებულთა.  
ფრიდონ თქვა: ვახლავთ არეთა ჩვენ, ქაჯეთს მიახლებულთა,  
აქათგან ღამით ვლა გვინდა, მით არას გამყლავნებულთა“ (1390)  
ამის შემდეგ. რაც მოხდა, ყველამ ვიცით: ითათბირეს, სწო-

რი გადაწყვეტილება მიიღეს.

„მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა;  
კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა;  
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმგრჯელე ცისა,  
ველი მკვდართა ვერ იტევდეს, გადიადდა ჯარი მკვდრისა“ (1415)  
გაათავისუფლეს ნესტანი, წამოიყვანეს.

„სამოცი კაცი დააგდეს ქაჯეთს ციხისა მცველია“ (1427,1). ყვე-  
ლაფერი არის ნათქვამი, გარდა ერთისა, რაც ასე მნიშვნელო-  
ვანი იყო ადრე, ასე ხშირად იყო მასზე ლაპარაკი, როგორც ეს  
ზემოთ ვნახეთ, ახლა კი ამას არავინ ახსენებს — იყვნენ თუ არა  
ქაჯები მოსულნი? ქაჯეთის ციხის აღება ნიშნავს თუ არა ქაჯე-  
ბის დამარცხებას? თუ არა? აკი ვნახეთ ზემოთ — ქაჯეთში  
ქაჯები არ იყვნენ, ისე იყო ურიცხვი ჯარი.

ასე დაგვტოვა რუსთაველმა გაურკვეველობაში და, სულაც  
არ უნდა გვეეჭვებოდეს, რომ მას ეს შეცდომით არ მოსვლია.  
ამას აქვს გამართლება, მაგრამ სახელდობრ რა?

ესაა ამოსახსნელი.

სანამ ამაზე ვილაპარაკებთ, უფრო სწორად, იმისათვის, რომ ამაზე ვილაპარაკოთ, საჭიროა კიდევ ზოგიერთი ანალოგიური მდგომარეობა გავარჩიოთ.

საკითხი, რომლის განხილვაზე უნდა გადავიდეთ, აქედანვე დავიწყოთ იმის აღნიშვნით, ახსენებს თუ არა რუსთაველი ქაჯებს ქაჯეთის ციხის აღების აღწერისას? ქაჯეთს კი ახსენებს და ეს ბუნებრივია. მაგრამ ქაჯებს? ესეც ხომ ბუნებრივი უნდა ყოფილიყო, ქაჯები ეხსენებინა. ახსენებს კიდევაც, როცა თათბირობენ მეგობრები. როგორ ახსენებს? ამისთვის ჯერ ის ვთქვათ, რომ რუსთაველი როგორც თათბირის, ისე თვით ქაჯეთის ომის აღწერისას ქაჯს არ ახსენებს ერთი შემთხვევის გარდა. ფრიდონი რომ იძლევა რჩევას, ამბობს, „შევიპარებო და — „თქვენ ჭირად გიყო შიგანთა პოვნა კაცისა მრთელისა“ (1395,4), ე.ი. კაცს არ გავუშვებ ცოცხალსო, ქაჯს არ ახსენებს. ავთანდილიც ასევე იქტევა — მან სულ სხვა რჩევა ანუ თათბირი ქმნა, მაგრამ ისევ შეპარვაზე აგებული:

„სჯობს, დადევით დამალულნი თქვენ ადგილსა იღუმალსა, ისი კაცნი არ იჭირვენ მგზავრსა, ქალაქს შემავალსა, სავაქროდა მოვეკაზმვი“ ... და ა.შ. (1399).

ისევ კაცს ახსენებს და არა ქაჯს. არც ტარიელი ახსენებს ქაჯს. ქაჯეთის ომიც ისეა აღწერილი, ქაჯი არაა ნახსენები. ავთანდილსა და ფრიდონს „მტერნი სრულად აეწყვიდნეს“ (1417,2), ტარიელის ნამოქმედარი ნახეს:

„მუნ ნახეს რიუე აბჯრისა, ნალეწი ხრმალთა წვერისა, ათი ათასი ნობათი, უსულო, მსგავსი მტვერისა“ (1418).

„ციხისა მცველი ყველაი იღვა მართ ვითა სნეული“ (1419,1).

თავად სამასი მეომარი რომ ახლდათ „ას-სამოცი შეჭყოლოდა“, რაც დიდად უმძიმს ფრიდონს. ამის შემდეგ

„მონახეს და არ აცოცხლეს, რაცა მბრძოლი დარჩომოდა“. (1425)

„მოკრიფეს ჯორი, აქლემი, რაცა ვით პოვეს მალეები, სამიათასსა აჭილდეს მარგალიტი და თვალეები“ (1426).

ყველაფერი მოასწრეს, „დალივნეს მტერი ომითა“ (1409,4),

სამოცი კაცი ციხეს ჩაუყენეს და არსად არ არის ქაჯის ხსენება, გარდა იმ ერთი შემთხვევისა.

ამრიგად, რუსთაველი მრავალგზის, სხვადასხვა საშუალებ-

ბებით გვეუბნება და გვაფრთხილებს, ქაჭეთში ჯერ არ მოსულანო ქაჭები, თუ მოვლენ, შემდეგ საქმე ძალზე გაძნელდებაო. მას მოსდევს იმ ომის აღწერა, რომლისთვის არის ასე ხანგრძლივი სამზადისი და ის არ გაგვაგებინა ავტორმა, რის შესახებ ადრე ასე გვაფრთხილებდა — იყვნენ თუ არა ქაჭები მისულნი ქაჭეთს, ომის დროს და, მაშასადამე, ქაჭეთის ციხის დამცველი ჯარის ასე ერთიანად განადგურება არის თუ არა ქაჭების განადგურების მნიშვნელობის მქონე — არათუ ამაზე პასუხი არ მოგვცა შოთამ, ქაჯი აქ თითქმის არც მოიხსენია.

რაშია საქმე? სანამ პასუხს მოვნახავდეთ, საქიროა სხვა საკითხების გარჩევა.

## წინასწარბანგრახული ბალაჟარბებანი „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანში“ ვხვდებით ისეთ გამოთქმებს, აღწერებს, გადაქარბებული რომაა, ეჭვს არ იწვევს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ისეთ გადაქარბებებთან გვაქვს საქმე, უნებლიეთ გაფიქრებინებს, რატომ არისო, ე.ი. რაიმე მიზნით ხომ არ არის ასეთი გადაქარბებებიო. გაფიქრებინებს, გარკვეულ გეზს აგაღებინებს, თუკი ამ გეზით ივლი, უკმაყოფილო არ დარჩები. მაგრამ ამის თაობაზე ჭერ ნუ ვიჩქარებთ. მოვიტანოთ რამდენიმე ნიმუში ამგვარი გადაქარბებისა.

ავთანდილი წავიდა იმ „მოყმე ვინმეს“ საძებნელად. ბევრი სიარულის შემდეგ ავტორის თქმით:

„გამოჩნდა მუნით მინდორი, სავალი დღისა შვიდისა“ (184,2).  
ცხადია, აშკარა გადაქარბებაა — შვიდი დღის სავალი მინდორი დედამიწაზე წარმოუდგენელია, მით უფრო, რომ მიმავალია ავთანდილისთანა ცხენოსანი.

ავთანდილმა გზა გააგრძელა.

„თვესა ერთსა სულიერი კაცი არსად არ ენახა“ (194,3),  
შეისვენა, „ცეცხლი დააგზო კვესითა“ (195,4).

ეს-ეს იყო წარმოუდგენელი სურათი დაგვიხატა, ახლა კი ეს „ცეცხლი დააგზო კვესითა“ საოცარი რეალისტური დეტალია, რომელიც ასე გრძელდება:

„ცხენსა მისცა საძოვარი, ვირე მწვადი შეიწოდეს;  
ეჭვსნი რამე ცხენოსანნი, ნახა, მისკენ მოვიდოდეს;  
თქვა, თუ: „ჭვანან ბეკობრეთა, თვარა კარგი რამც იცოდეს!“

აქა კაცი ხორციელი კვლა ყოფილა არასოდეს“ (196).

თითქოს თვალთ ხედავო, დღევანდელი წარმოდგენებით რომ ვისარგებლოთ, თითქოს კინო ფილმიო,, ისეთი სიცხადითაა სურათი დახატული — ზუსტი, რეალისტური. ამბის თხრობა შემდეგაც ამავე სტილში გრძელდება. მეკობრეები კი არა, ხატაელნი მონადირენი აღმოჩნდნენ, ვილაც უცხოვს გადაყრიან, შეჩერება მოუნდომებიათ, იმას მათრახის ერთი დაკვრით თავი გაუფხრეწია ერთ-ერთისათვის და ამით არიან შეწუხებულნი. ავთანდილს ენიშნა, ვისი ნახელავი შეიძლებოდა ყოფილიყო, აჩვენეს კიდევაც ეგერ მიდისო. ავთანდილი გამოუდგა, თან სავსებით რეალურად განსაზღვრა, რადგან არავის იკარებს, ახლა მეც რომ ვეჩვენო, არ ივარგებსო.

„მივეწევი შევიყრებით ერთმანეთის ცემა-ულეტად.

ანუ მომკლავს, ანუ მოვკლავ, დაიმაღვის მეტის-მეტად“ (216)

ასევე რეალური და გონიერი გადაწყვეტილება მიიღო — შეუმჩნევლად უკან გააქვეს. და აქ ისევ თავს იჩენს ასეთი გადაქარბებით ნათქვამი:

„წინა-უკანა იარეს ორნი დღენი და ღამენი,  
დღისით და ღამით მაშვრალნი, არ შექამათა მქამენი,  
არსადა ხანი არ დაყვეს, ერთნი თვალისა წამენი,

მათ თვალთა ცრემლი სდიოდეს, მინდორთა მოსალამენი“ (218)

აშკარად დაირღვა რეალისტური მანერა და თვალნათლად გადამეტებული ამბავი შემოგვთავაზა ავტორმა.

რატომ? რამ აიძულა? არ შეეძლო ისევე გაეგრძელებინა? რა თქმა უნდა, ავტორს არაფერი ზღუდავდა, იგი მოფიქრებით იქცევა ასე. რატომ? გავაგრძელოთ, უფრო სწორად, კიდევ მოვიტანოთ ასეთი მაგალითი, ამისათვის სრულიად საკმარისი იქნება, თუ გავიხსენებთ როსტევეანის ყმების უცხო მოწყესთან პირველად შეყრის ამბის აღწერას, სადაც ავტორი ამბობს:

„ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა“ (84,3).

კარგი, მაშინ არავინ იცოდა, ვინ იყო, ახლა ხომ ვიცით, რომ ეს იყო ტარიელი, რომელიც ტყე-ღრე დადიოდა, კაცს არ იკარებდა. მარგალიტი და ისიც ხშირად რატომ უნდა სხმოდა ლაგამზე, უნაგირზე, მით უფრო — აბჯარზე? საომარ იარაღზე მარგალიტი არის საერთოდ მიღებული? ისიც — ხშირად, და

მერე ვის აბჯარზე — კაცისა, რომელიც ასეთ დღეშია! რა ემარგალიტება მის აბჯარს?! რისთვის, ვისთვის? ცხადია, ღარიბული არ იქნებოდა მისი არც ლაგამი, არც უნაგირი, არც აბჯარი, მაგრამ რაც აქ არის აღწერილი — გადაჭარბება.

მარგალიტთა და საერთოდ ძვირფასეულთა, ე.წ. საბოძვართა გამო განსაკუთრებით უნდა ითქვას. აქ იქნებ არც იყოს საჭირო ადგილების დაძებნა — იმდენად ცხადია, რომ ავტორი გადაჭარბებულად აგვიწერს იმ ურიცხვ დასაჩუქრებებს. „აუვსებელნი არ დარჩეს მას დღესა“ (368,4) და შემდეგ დღეებშიც იგივე მეორდება. ამის თაობაზე საუბარი შემდეგაც გვექნება, როდესაც ერთი ეპიზოდი გაგვიხდება საანალიზო.

ახლა კი კიდევ ერთი მაგალითი: ავთანდილის ბრძოლა მეკობრეებთან ვაჭართა დასახმარებლად. აი როგორაა ეს აღწერილი:

„ქელი მოსტეხა ავთანდილ, დარჩა ნავ-დაუღეწელი;  
შეშინდეს იგი ლაშქარნი, გზა ძებნეს გარდასხვეწელი;  
ვეღარ გაესწრნეს, გარდუხდა მტერთა ში და მო მღეწელი;  
არ დარჩა კაცი ცოცხალი მუნ მისგან დაუფრეწელი“ (1043).

ჰიპერბოლიზირებისთვისაც საკმარისია, რაც აქ არის ნათქვამი. შემდეგ კი:

„მათ ლაშქართა გულ-უშიშრად ასრე ჰხოცდა, ვითა თხასა;  
ზოგი ნავსა შეანარცხის, ზოგსა ჰყრიდა შიგან ზღვასა;  
ერთმანერთსა შემოსტყორცის, რვა ცხრასა

და ცხრა ჰყრის რვასა;

დაკოდინნი მკვდართა შუა იმაღვიან, მალვენ ხმასა“ (1044).

მართალია, რუსთაველმა ავთანდილის ამ ომში უძლეველობა წინასწარ განსაზღვრა, როდესაც მას, ავთანდილს ათქმევინა დაშინებული „მობაღდადენი ვაჭრებისათვის“, ნუ გეშინიათო:

„უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა-მებნენ ხმელთა სპანი;  
განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მზანი;  
ვერ მიხსნიან ვერ ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი,  
ვინცა იცის ესე ასრე, ჩემებრვეა გულოვანი“ (1039).

განგების ძალის იმედით ყოფნა რუსთაველისათვის ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ, ჯერ ერთი, ამის გამო ყველაფერს კი არ სჩადიან რუსთაველის გმირები, ზომავენ, წონიან იმას, თუ



რა შეიძლება, რა არა, ვის უნდა შეეება და როგორ. მთავარი კი ისაა, რომ მთელი ის სურათი ერთი ვაჟკაცის მრავალთან გამკლავებისა, შიშის ზარის დაცემისა, ასე რიგად აღწერილი რომც არ ჩავთვალოთ არარეალისტურად, არ მივიჩნიოთ გადაჭარბებულად, იმაში ხომ არაფერი გვიშველის, ავტორი რომ გვეუბნება „რვა ცხრასა და ცხრა ჰკრის რვასაო“. სხვებისა არ ვიცი, მე კი ისევ იმ აზრისა ვარ, რომ ავტორმა ისე ოსტატურად შეგვიყვანა ამბის შუაგულში, ისე მოგვაწოდა ეს აშკარა გადაჭარბება, ვერაფერი გვითქვამს, თუმცა გაკვირვებულნი კი უნდა ვიყოთ: რატომ? რად დასჭირდა? განა ამ რვისა და ცხრის ერთმანეთზე შემოტყორცნის გარეშეც სრულიად საკმარისი არ იყო ავთანდილის გმირობა და ავტორის მიერ მისი აღწერა?

ასეთივე მდგომარეობაა იმ ეპიზოდშიც, სადაც აღწერაა ტარიელის განსაკუთრებული სიმამაცით ბრძოლის ქაჭეთის ციხის აღებისას.

„ერთმანცა არა იცოდა, ვერა ცნეს ტარიელისა.

ციხისა კარსა მიჰმართეს, რიდი არ ჰქონდა მტერისა;

მუნ ნახეს რიყე აბჯარისა, ნალეწი ხრმალთა წვერისა,

ათი ათასი ნობათი, უსულო, მსგავსი მტვერისა“ (1418).

ტარიელი რომ გამორჩევით იომებდა, ეს აშკარაა, ბევრს რომ დახოცავდა — ესეც, მაგრამ ათი ათასის ერთის მიერ სულ მცირე ხანში დაჟლეტა მეტისმეტია; სხვას რომ თავი დაეხანებოთ, ამას რამდენიმე დღე დასჭირდებოდა; სულ უბრალოდ თითო მოქნევის მეტი რომ არაფერი ყოფილიყო საჭირო. ამას ხომ ისიც უნდა დაეუმატოთ, ქაჭეთის ბრძოლა საძნელოაო, ადრე რომ გვაფრთხილებდა ავტორი.

როგორც ვთქვით, არც ერთი მათგანი (ასეთი კი პოემაში, გარდა აქ მოყვანილისა, სხვაც არის) ნაწარმოებისათვის აუცილებელი არაა — არც შვიდი დღის სავალი მინდორი, არც ორი დღე და ღამე წინა და უკან სიარული უქმელად, შეუსვენებლად; არც მარგალიტებიანი აბჯარი, არც სხვა რომელიმე. ამის გარეშეც პოემა დაუბრკოლებლად განვითარდებოდა.

ცხადია, რაღაც მიზნით აკეთებს რუსთაველი ამას — გადაჭარბებულად წარმოგვიდგენს ამა თუ იმ მოვლენას, მიგვაქცევინებს ყურადღებას ამისათვის.

ახლა ისევ გადავდოთ პასუხი იმ კითხვაზე, თუ რატომ აკეთებს ამას რუსთაველი და ერთი შემთხვევა საგანგებოდ გამოიყვით და გავარჩიოთ.

აქ კი იმას მივაქციოთ ყურადღება, რომ გადაქარბებანი, რის შესახებაც გვქონდა ლაპარაკი, არ შეიძლება ავურიოთ შედარებებში. შედარებები, მაგალითად, ტარიელისა და ავთანდილისა მზესთან, მთვარესთან სულ სხვა მნიშვნელობის მქონეა და ამას არ ეხება ნათქვამი გადაქარბების შესახებ. ეს არ ეხება, ვთქვათ, როგორც სირსა ვხოცავდი ლომსაო, კატასავით ვკლავდი ვეფხვსაო და სხვა მისთანანი. შედარების დროს ეს საესებით დასაშვებია. ხოლო ის, რის შესახებაც იყო ზევით მსჯელობა, არსებითადაა განსხვავებული: შვიდი დღის სავალი მინდორი, ან ორი დღე და ღამე იარესო — ეს შედარება არაა. ამიტომ ვამბობდი, რომ აქ ადგილი აქვს გადაქარბებებს, ამასთან, უნდა ვიფიქროთ, ეს გადაქარბებები მოტივირებულად კეთდება და არა შეცდომით. ავტორი არაფრით იყო შეზღუდული, თავისუფლად შეეძლო ასე არ დაეწერა, იგი ასე მხოლოდ იმიტომ მოიქცა, რომ ამაში გარკვეული აზრი აქვს ჩატანებული.

ახლა ავიღოთ და გავაანალიზოთ ისეთი სიუჟეტური მონაკვეთი, რომელიც შეეძლო არ ჰქონოდა პოემას, ავტორი მას მაინც გვთავაზობს, ამასთან ისეთ ამბავთან გვაქვს საქმე, ძნელი ხდება მისი შეთანაწყობა ნაწარმოების უმთავრეს ხაზთან, იდეურ შინაარსთან, ჰუმანისტურ მსოფლმხედველობასთან. რატომ შექმნა რუსთაველმა ასეთი სიძნელე ხელოვნურად, როდესაც შეეძლო მისი თავიდან აცილება?

საკითხი ეხება ავთანდილის მიერ ჩადენილ მკვლევლობას.

## რატომ ჩააღვინა ავტორმა ავთანდილს მკვლელობა?!

მთელს პოემაში უთვალავია ომი და, მაშასადამე, ომში და სხვა მხრივაც ადამიანთა მოკვლაც. ამჯერად სულ სხვაგვარი მოკვლის თაობაზე გვექნება საუბარი — ავთანდილმა ფატმანის თხოვნით მოკლა ფატმანის საყვარელი და თავად გაუხდა, რა თქმა უნდა, გამართლებული მიზნით, ფატმანს მიჯნურად.

ჯერ ის მოვიგონოთ, რომ დაახლოებით ასეთი საქციელი ჩაიდინა ტარიელმაც: ნესტანმა მას მოსთხოვა მიპარვით მოეკლა ნესტანის საქმროდ წვეული ხვარაზმელი უფლისწული. ტარიელმა შეასრულა მოთხოვნა და კმაყოფილებით ამბობს ამ ამბის შესახებ:

„კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე,  
ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე.  
წინა მწოლთა დაიზახეს, გლოვა მიჰხვდა საარაკე;  
ცხენსა შევჭე, წამო-ცა-ვე; ჭაჭვი შეცვა საკურტაკე“ (558).  
ამის შემდეგ ისიცაა ნათქვამი:

„წამოვე, წივნი დამიწყეს, დავხოცე ჩემი მღევარი“ (559,2).  
და ისევ კმაყოფილების გრძნობით. კმაყოფილებას არ ფარავს ავტორიც. არა მგონია, უბრალო შემთხვევითობა იყოს ის საოცარი სილამაზე ლექსისა, ალიტერაციის უბადლო ნიმუში, რითაც იწყება ამ ამბის აღწერა:

„კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე“.  
ასე გეგონება, ცეკვით — ხორუმით მიუხდა მოწინააღმდეგესო. ეს ხომ დაახლოებით ისეთი შემთხვევაა, რომელიმე მხა-

ტვრულ ნაწარმოებში რომ წაგვიკითხავს — ავტორი გმირის მოსაწონ საქციელს ბუნების შესაფერისად ამეტყველებას რომ მიუხსადაგებს ხოლმე. ოღონდაც აქ ეს უფრო მაღალ დონეზეა, როგორც რუსთაველს შეჰფერის და სხვა ხერხით, ვინემ ბუნების ამღერებაა.

როგორც არ უნდა იყოს, აქ სულ სხვა ვითარებაა, ხოლო ავთანდილს სულ სხვა მდგომარეობა აქვს შექმნილი. ჰერ ერთი, წყდება ბედი ნესტანისა და ტარიელის სიყვარულისა (შემდეგ გაირკვა, რომ ეს მოკვლა უბედობის სათავე აღმოჩნდა), მეორეც, და ეს შემთხვევით არა აქვს მოცემული ყველაფერის მცოდნე რუსთაველს: სასიძოს მოკვლის აღწერილ სიტუაციას პოემაში წინ უძღვის ის, რომ ნესტანის მამისა და დედის თათბირს ტარიელიც ესწრებოდა, ეს ამბავი ნესტანმა გაიგო და საშინლად განრისხდა, იხმო ტარიელი და მას ლალატი დააბრალა... ტარიელი ამ ამბავმა არა თუ არ დაალონა, მით უფრო არ განრისხდა, არამედ თქვა: „რა მესმა ესე მისაგან, მეიმედა მეტისმეტადო“ (529,1), რადგან აშკარად დარწმუნდა, თუ რაოდენ ძნელი ყოფილა ნესტანისათვის ტარიელის დათმობა, რაც შეეხება თათბირში ტარიელის მონაწილეობას, ეს ხომ სხვაზე უკეთ თვითონ ტარიელმა იცოდა, რომ მისი მონაწილეობა ამ საქმის თანხმობა არ იყო და, მაშასადამე, აქ წყენინების საფუძველი არ არსებობდა.

ასე შეასრულა ტარიელმა ნესტანის ბრძანება:

„რა მოვიდეს სიძე, მოკალ მისთა სპათა აუწუვედლად.

ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ (542).

სავსებით გამოკვეთილად არის დავალება გაცემული და ამას განმარტებებიც ერთვის:

„ასრე ქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გმირთაო,

მიპარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო,

მისთა სპათაცა ნუ დაჰხოც, ზროხათა, ვითა ვირთაო,

სისხლი კაცისა უბრალო კაცმანმცა ვით იტვირთაო?“ (543).

ამრიგად, უბრალო კაცის კვლა კი არის დანაშაული, მაგრამ აქ სასიძოს მოკვლა ისე, რომ სხვებს არ მიეცეთ ზიანი, სამართლიან საქმედ მიაჩნიათ ნესტანსაც, შემდეგ ამ საქმის განმხორციელებელ ტარიელს და ამდენად, ავტორსაც.

როგორი ვითარება ჰქონდა ავთანდილს? ფატმანისაგან მო-  
ელის იგი მისთვის საჭირო ამბის გაგებას, ამიტომ უარს არ  
ეუბნება, მის ნებას დაჰყვება და გაუმიჯნურდება. როცა ერთად  
შეიყრებიან

„შემოდგა კარსა ყმა ვინმე კეკლუცი, ტან-ნაკვთიანი,  
შემოვლო ახლოს, შემოჰყვა მონა ხრმალ-დარაკიანი“ (1099).

შემოსული შეერთა ავთანდილის დანახვაზე, ფატმანს დაე-  
მუქრა

„გამითენდების, განანებ მაგა მოყმისა ყოლასა“ (1100,4).

მუქარა არაა ლიტონი სიტყვით ნათქვამი, განმარტებული-  
ცაა

„გამკიცხე, ბოზო დიაცო, და დამდეგ გასათრეველად,  
მაგრა სცნობ ხვალე პასუხსა მაგა საქმისა მზღვეველად:  
ვარ შენთა შვილთა შენითა კბილითა დამაჰმეველად,  
დავშალო, წვერთა ფუ მიყავ, ხელილა ვრბოდე მე ველად!“ (1101)  
დაიქაღნა და წავიდა ის კაცი, ფატმანს შეეშინდა, იწყო  
თავში ცემა, დაიხოკა ლაწენი.

„ცრემლთა, მისთა მონადენთა, წყაროსებრნი ისმნეს წკარნი;  
თქვა: დამქოლეთ, მოდიოთ, ქვითა, მომადეგით მომაკარნი!“ (1102).

ფატმანი მოთქვამს, ქმარი და წვრილნი შეილნი მე თვითონ  
დავლუპეო, ყველაფერი მე გავანადგურეო — „ბოლო ვუქმენ  
სახლსა ჩემსაო“.

ავთანდილმა ეს მოისმინა და ნახა, გაიკვირვა:

„რას დაგეჟადა იგი ყმა, რა ნახა შენგან კლებული?“ (1104,3)  
ფატმანი არ წყვეტს ტირილსა და გოდებას, ამასთან ავთანდი-  
ლის სიყვარულს გადასწვდა:

„დავხოცენ შვილნი ხელითა, მით ვარ აღარას ღხენითა.  
თავი მოვიკალ უთმინოდ სიყვარულითა შენითა“ (1105).

და ისევ მეორდება პოემაში მიპარვით მოკვლის დავალება:

„ორისაგან ერთი ქმენით, ამის მეტსა ნურას ჰლამით:  
მო-ვითა-ჰკლავ იმა კაცსა, წადი, მოკალ მალვით ღამით,  
მე და სრულად სახლი ჩემი დახოცასა დაგვხსენ ამით!  
მოხვალ, გითხრობ უველაკასა,

მე ვითა ვარ ცრემლთა ღამით“ (1107)

თუ ამას არ იზამ, მაშინ ამაღამვე დატოვე აქაურობა, თო-  
რემ ჩემი ცოდვის გამო შენც ღირს გადაეყრებო:

„თუ დარბაზს მოვა იგი ყმა, შვილთა დამაჰმევს პირითა“ (1108)  
ავთანდილმა ის უპასუხა, კაცი გამაყოლე, გზას ვინც მასწავ-  
ლის, მეტი დამხმარე არა მქირდებოა

„იმა კაცსა ვერა ვხედავ მეომრად და ჩემად დარად“ (1110,3).  
ფატმანმა მონა გააყოლა, თან მოკვლასთან ერთად ისიც  
მოითხოვა:

„ბეჭედი ჩემი აცვია, მას გვედრებ მოსატანელად“ (1111,4).

სანამ იმას აღწერდე, თუ როგორ შეასრულა ავთანდილმა ფატმანის თხოვნა, იმას უნდა შევხებო, რომ როგორც ტარიელის მიერ ხვარაზმშას შვილის მოკვლის შემთხვევაში, აქაც გარკვეული კვანძი ინასკვება: ავთანდილს არ უნდა დაკარგოს ფატმანი, როგორც მისთვის საჭირო ინფორმაციის წყარო და თუ მას ეს სურს, უნდა მოკლას მისი საყვარელი კაცი. განსხვავება ამ ორ სიტუაციას შორის მაინც ძალზე დიდია. ტარიელის მიერ სასიძოს მოკვლა ისეა ნაჩვენები, ამისი განხორციელება მხოლოდ მას, ტარიელს შეეძლო. მართალია, ხვარაზმელი სასიძო მოწვევით ჩამოვიდა, ამიტომ იგი თითქოს არც რამეშია დამნაშავე, მაგრამ მისი გზიდან ჩამოშორება აუცილებელია, ეს კი მხოლოდ ტარიელს შეუძლია. ამ მკვლელობის შედეგად ფარსადანი განრისხდა და მას მოჰყვა ნესტანის გადაკარგვა. ამრიგად ეს სიტუაცია მართლაც რომ საკვანძოა ნაწარმოებში.

არის თუ არა ასეთივე სიტუაცია, ავთანდილს რომ შეეჩქნა? ერთი მხრივ, თითქოს ასეთი ჩანს, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით, მისგან არსებითად არის განსხვავებული. ახლა დავუბრუნდეთ და ვნახოთ, თუ როგორ განახორციელა ეს ავთანდილმა. ფატმანისაგან გამოყოლებულმა ყმამ ავთანდილს უჩვენა იმ კაცის სამყოფელი. ავთანდილს ორი მცველი დახვდა შესასვლელთან, რომლებთან საქმე იოლად მოათავა:

„თვითო ხელი ყელსა მიჰყო, მუნვე მისცა სულთა ზდასა,  
თავი თავსა შეუტაკა, გაურია ტვინი თმასა“ (1114).

რუსთაველი განაგრძობს თხრობას და აქ ხმარობს გამოთქმას, რა თქმა უნდა, რეალისტურად ზუსტს, მაგრამ სხვაგან არსად რომ არ უხმარია, თუმცა თუ საჭიროდ ჩათვლიდა, სხვაგანაც შეეძლო ეს გაეკეთებინა.

„იგი ყმა საწოლს მარტო წვა გულითა ჭავრიანითა;  
ხელ-სისხლიანი ავთანდილ შედგა ტანითა ჭანითა;  
ვერღა აესწრა, იღუმალ მოკლა, თუ, ვერცა ვცანითა,  
ხელი მოჰკიდა, მიწასა დაასკენა, დაკლა დანითა“ (1115).

მივაქციოთ ყურადღება გამოთქმას: „ხელ-სისხლიანი ავთანდილ“ და შემდეგი, უფრო შემზარავი სურათი ვნახოთ:

„მკვრეტელთა მზე და მებრძოლთა მხეცი და ვითა ზარია.  
ბექდითურთ თითი მოჰკვეთა, ქვესკნელთ მიწასა გარია,  
ზღვათაკე სარკმლით გატყორცა, ზღვისა ქვიშათა დარია,  
მისთვის არცა სად სამარე, არცა სათხარად ბარია“ (1116).

ამას კი მოჰყვება ისევ ის, ჩვენთვის ცნობილი, თუმც საკვირველი შედარება, არაერთგზის ნახმარი როგორც ტარიელის, ისე ავთანდილის მიმართ — „წამოვიდა ვარდი ტკბილი“ (1117,2), მივიდა ფატმანთან და ეუბნება მოკვალის, თანაც: —

„აჰა თითი და ბეჭედი, და დანა მაქვს სისხლიანი“ (1118,4).

ახლა კი მომიყვი რაშია საქმეო, ფატმანიც სრულიად მშვიდად ყვება, თითქოს, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სისხლში გასვრილი თითი და ბეჭედი აქ არ ედოს იმ კაცისა, რომელიც, ახლა აქ ავთანდილი რომ არ იყო, მის სარეცელს გაიზიარებდა, დიახ, ასეთ ვითარებაში, რუსთაველის სანაქებო ავთანდილი და ასევე დიდებული ქალი „დედის მჭობი დედა“ — ფატმანი, მშვიდად საუბრობენ:

„მე და უსენი შვილითურთ აწ ახლად დავიბადენით;  
ლომო, ქებანი შენნიმცა ჩვენ ვითა ვადიადენით!“ (1120).

როგორც ზევით ვთქვი, ამით თითქოს გარკვეული კვანძია განასკული — ამის შემდეგ ფატმანი ავთანდილს აცნობებს ნესტანის ამბავს. მაგრამ დავსვათ კითხვა — იყო თუ არა ის მკვლელობა ამისათვის აუცილებელი? არაფერი სხვა გზა არ შეეძლო მოენახა ავტორს? როგორ არა! მის წინ, სულ ცოტა, ხუთი ვარიანტი მაინც იყო. ჯერ ერთი, მას შეეძლო საერთოდ აეცდინა ეს ყველაფერი და ფატმანი სხვა მხრივ დაეინტერესებინა, ეთქვა ავთანდილისათვის სასურველი ამბავი. ეს ხომ ძნელი არ იყო, ამაში ხომ თვითონ ავტორი გვარწმუნებს — ისეა, პოემის მიხედვით, შეყვარებული ფატმანი, რომ ოლონდ ავთანდილს დაეუფლოს და არაფრის წინაშე არ დაიხვეს და, მაშა-

სადამე, ამბის არმოყოლის საშიშროება არ იგრძნობა. ამრიგად, საერთოდ არ იყო აუცილებლობა იმ ჭაშნაგირს შეხვედროდა ავთანდილი, მაგრამ, დავუშვათ, რომ შეხვდნენ და ის წინა საყვარელი განრისხდა, დაემუქრა ფატმანს, საჭირო შეიქნა მისი თავიდან მოშორება. აუცილებელი იყო თუ არა ეს მაინცა და მაინც ავთანდილის ხელით მომხდარიყო? ეს არ იყო აუცილებელი. ამჯერად ავთანდილს ხომ ოთხი ჩინებული მებრძოლი ახლავს, ფრიდონმა რომ გამოატანა, ხომ შეიძლებოდა მათ შეესრულებინათ ფატმანის დავალება: რაც შეეხება ავთანდილს, მას ხომ არ სჭირდება ფატმანის წინაშე ვაჟკაცობის გამოჩენა, ფატმანი ისედაც არის უკიდვგანოდ შეყვარებული. ახლა დავუშვათ სხვა შესაძლებლობა: თუ ეს საჭირო იყო ავთანდილის ხელით გაკეთებულიყო, ხომ შეიძლებოდა ერთმანეთს შეტაკებოდნენ და ამ პირობებში, ე.ი. უფრო გამართლებულად მომხდარიყო ეს მკვლელობა — უბრალოდ თავის დაცვის დროს შემოაკვდებოდა. დავუშვათ მეოთხე: არა, აუცილებელი იყო მასთან მიპარულიყო და იქ მოეკლა. კი, მაგრამ, თითის მოჭრა რაღა აუცილებელი იყო? და, ბოლოს, ესეც თუ ჩავთვალეთ აუცილებლად, ისიც რომ „ზღვისა ქვიშასა გარია“, რაღა უცილებელი იყო ასეთი სიამაყით გამოცხადება — თითი ბეჭდიანად მოგიტანეო და შემდეგ მშვიდად, თითქოს არაფერი იყო, საუბარი გააგრძელეს.

ასეთი, სულ ცოტა ხუთი შესაძლებლობა ხომ ჰქონდა ავტორს, მან კი მაინც ის ერთი, ყველაზე სისხლიანი ამოირჩია და ეს ჩაადენინა კაცს, გმირს, რომელიც ჰუმანისტური იდეების მატარებელია. რა ისეთი დანაშაული მიუძღვის იმ კაცს? ან რატომ არ მოერიდა რუსთაველი — ავთანდილი არ ჩაეგდო ასეთ საჩოთირო სიტუაციაში და ამით თვითონვე არ გაეხდა საექვოდ საკუთარი მონდომება, უაღრესად დიდი ჰუმანისტური იდეების ქადაგებას რომ შეეხება?!

„თავის მხრით, ავთანდილი ერთხელ იძულებული გახდა ხმალი ეშიშვლა სრულიად უდანაშაულო, მშვიდად მძინარი მოყმის, ჭაშნაგირის წინააღმდეგ.“<sup>2</sup> მართლაც რომ მშვიდად წერს

<sup>2</sup> ალექსანდრე ბარამიძე — „შოთა რუსთაველი“, 1975, გვ. 104.



აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე. არ არის დასმული კითხვა — „რატომ?“ როგორ თუ იძულებული გახდა, თუკი სრულიად უდანაშაულო იყო?

დავიჯეროთ, რომ ასეთი რამ შეეშალა რუსთაველს, ვერ მიხვდა, თუ რა შეესაბამებოდა მის ძირითად იდეებს, ან ვერ მოახერხა ის გამოეხატა, რაც სურდა, რაც ჩანათიქრი ჰქონდა? არა! აქაც, ეტყობა, შეცდომასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ავტორის მოფიქრებით გაკეთებულ სვლასთან.

დავიმახსოვროთ ეს, თითქოს აქ კალმის წვერზე მოსული გამოთქმა — „გაკეთებული სვლა“, მოვიგონოთ ისიც, რომ სვლები, მაგალითად, ჭადრაკის თამაშში კეთდება და სხვა საკითხის განხილვას შეეუდგეთ, რადგან მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი „ვეფხისტყაოსნის“ საიდუმლოს ამოცნობა. თვითონ ეს უკანასკნელი ფრაზაც საქიროა უყურადღებოდ არ მივატოვოთ — მხოლოდ ამ გზით, რომ ვამბობ, ეს შემთხვევითი არაა — შემდეგ ცხადი გახდება, რომ რუსთაველის მიერ თავის პოემაში კოდირებული, დაშიფრული საიდუმლო მრავალი კომპონენტისაგან არის შემდგარი და ყველა უნდა გადავიაროთ, რომ საძიებელ წერტილამდე მივიღეთ.

## აუსილუბელი ღა თითქოს არააუსილუბელი „ვეუსისტყაოსანში“

შეიძლება საკითხი ასე დავსვათ. რაც პოემაში ხდება, არის აუცილებელი?

რაც პოემაში ხდება, ეს ყველაფერი შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად:

1. მოქმედებანი, რაც აუცილებელია, რადგან ამის გარეშე მიზანი არ იქნებოდა მიღწეული და, ამდენად, ეს არის მოქმედებანი, რომელთა საშუალებით მიიღწევა მიზანი, ე.ი. მიზნისათვის საშუალებად აუცილებელი მოქმედებანი. ასეთია ძირითადი აზრი ნაწარმოებისა, სანამ ნესტანს დაიხსნიან: ყველაფერი ამ მიზანს ემორჩილება, ამითაა გამართლებული და, ამდენად, აუცილებელია.

2. პოემაში არის ისეთი მოქმედებებიც, რომლებიც, ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით — თუ მეტი არა, ასეთ მიზანს არ ექვემდებარება. თვით ნაწარმოების მიხედვით, ასეთია მოქმედებანი, რაც ხდება ნესტანის ქაჯეთიდან გამოსხნის შემდეგ.

ასეთია ზოგადი დასმა საკითხისა.

ნესტანი დაიხსნეს. წამოვიდნენ გამარჯვებულნი. დასრულდა. და ახლა იგივე საკითხი დავსვათ ასე: რატომ სთავაზობს ტარიელი ავთანდილს დახმარებას, რომელიც ავთანდილს არ სჭირდება? მით უფრო, ეს არაა საჭირო მთავარი მიზნისათვის — ნესტანის გამოსხნისათვის.

ნაწ მითხარ, ჩემგან რა გინდა, ანუ რით მოგეხმარები?

ვარჩევ, წავიღეთ არაბეთს, იყავ ჩემიცა მარები;

ტკბილის სიტყვითა გაუმართოთ და ზრმლითა საომარები.

თუ შენ შენს ცოლსა არ შეგერთავ, მე ჩემსა არ ვექმარები“ (1472)

ასე სჯის ტარიელი და, ერთი შეხედვით, არც არაფერი უნდა იყოს აქ გაუგებარი. ავთანდილმა უძმო და უმეგობრა, შეუძლებელი შეიძლო, დათმო ყოველივე, უდიდეს ხიფათში ჩაიგდო თავი, მეგობარი გასაქირში არ დატოვა, მოუძებნა და გამოახსნევინა გულის სწორი. ახლა ტარიელიც რომ ისევე ერთგულებას ეფიცება მას, ეს სრულიად ბუნებრივია. უცნაური და გაუგებარი იქიდან იწყება, როდესაც ამის თაობაზე ფრიდონს უგზავნის მოციქულად ავთანდილს, რომლისგან, როგორც უკვე ვნახეთ, უარი მიიღო. მათმა ძმობამ, მეგობრობამ ისეთი ძნელი გზა განვლო, ახლა მოციქულობა რაღა დროისაა? ეს სრულიად ზედმეტი ჩანს, მაგრამ მივყვით ამბავს — მოვუსმინოთ რუსთაველს:

„რა ფრიდონ უთხრა ავთანდილს ტარიას მოციქულობა,  
მას გაეცინნეს, გაღიჟდა, ჰშვენოდა მხიარულობა;  
თქვა, თუ: „მეშველი რად მინდა? მჭირს არვისგან წყლულობა!  
ჩემი მზე არცა ქაჯთა ჰყავს,

არცა სჭირს ლხინ-ნაკლულობა“. (1473).

მეგობრები ქაჯებისაგან გამოხსნილ ნესტანთან ერთად რომ ეწვივნენ ფრიდონის სამეფოს, იქ აქორწილა ფრიდონმა ტარიელი და ნესტანი, ეს რომც არ მომხდარიყო, ამით არ ჩაიშლებოდა მათი შეუღლება. ის, რაც ამ შეუღლებას ხელს უშლიდა, მისთვის აუცილებელი ღონე და ქმედება უკვე იყო შესრულებული. ფრიდონისაგან მიწვევა მხოლოდ სიხარულის ერთად გაზიარებისათვის ხდება. ახლა რუსთაველი უფრო ავლენს თავის ჩანაფიქრს — აშკარად გვაცნობს. რომ სულაც არაფერი აუცილებლობა არაა ახლა არაბეთს ეწვიონ. ამიტომ, მართალია, ნახევრად ხუმრობით, მაგრამ არსებითად სრულ ქეშმარიტებას ათქმევინებს ავთანდილს — რა დახმარება მჭირიაო. რუსთაველი აგრძელებს ავთანდილის სათქმელს:

„ჩემი მზე ტახტსა ზედა ზის, მორკმული ღმრთისა ნებითა,  
საკრძალავი და უკადრო, ლალი, არვისგან ვნებითა-ა,  
არცა რა უმძიმს ქაჯთაგან, არცა გრძნეულთა გრძნებითა,  
მას ზედა შველა რად მინდა? რად მექვ რასაცა თნებითა?“ (1474)

დავაკვირდეთ, რა სიმალღეზე აიყვანა რუსთაველმა ამბის სიმწვავე — არ მქირდება დახმარება, თქვენ კი ამას მაძალდებთ, ეს პირმოთნეობააო — მძიმე საყვედური გაერია ავთანდილის პასუხში. რუსთაველი ამ თემას არც ახლა ეშვება, დეტალურად გვიხატავს სურათს — ერთი მხრივ, სრულიად არაფერი საქირდება არაა, არავითარი დახმარება არ სქირდება ავთანდილს ტარიელისაგან. მეორე მხრივ, მოქმედება სწორედ ასე უნდა განვითარდეს, ასეც მოხდება და ესეც უმაღლესი დონის მხატვრული ოსტატობითაა დახატული.

რაშია საქმე? აუცილებელია ამაში გარკვევა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არ არის რაიმე მეორეხარისხოვანი მოვლენა, აქ რაიმე მცირე მნიშვნელობის დეტალთან როდი გვაქვს საქმე. ეს რუსთაველის ჩანაფიქრის ცენტრალური უბანია და ამიტომაცაა ასეთი ყურადღებით აღწერილი. რუსთაველს აღრიდნავე აქვს თადარიგი დაქერილი, ადრევე შეამზადა მან ეს სიტუაცია.

სიტუაცია კი სწორედ რომ რუსთაველის ხელოვნების შესაღარად არის დახატული, თუმცა ეს არ იძლევა საშუალებას, ვთქვათ, რომ გასაგებია, რაც ხდებაო. პირიქით, გაუგებარი და მიუღებელიც კი ჩანს ის, რასაც აქ ავტორი გვთავაზობს.

უკვე ვთქვი, რომ ტარიელმა ავთანდილს ფრიდონი მიუგზავნა — ასე გადაეციო, მე მას ისევე უნდა დავეხმარო, როგორც თვითონ მე დამეხმარაო.

„ავთანდილისგან შენც იცი ჩემთვის თავისა დადება,  
აწ მე მაქვს ნაცვლად მისისა მოხმარებისა წადება:  
შენ მიღი, ჰკითხე, რა უნდა, მან ქმნას ამისი ცხადება,  
ვითა დამივსო სახმილი, ეგრე მისიცა კმა დება“ (1470).

გასაგებია — შენ გითხრასო, თუ რა უნდა, რა აქვს სასურველი, როგორ უნდა დავეხმარო მას, რომ ისევე დავუცხრო ტკივილი, როგორც მან მე დამიცხროო. ტარიელი განაგრძობს, უთხარიო:

„თუ ვერა ვიქმ საწადელსა შენსა, შენთვის გაზრახულსა,  
არა ვნახავ სახლსა ჩემსა, არ დარბაზსა, არცა ხულსა“ (1471).  
მითხრასო, რა უნდა ჩემგან, რით უნდა მოვეხმარო გადაეციო, წავიდეთ არაბეთს, ტკბილი სიტყვითაც, ხმლითაც შენი საწადელი საქმე გავაკეთოთო.

„თუ შენ შენს ცოლსა არ შეგართავ,

მე ჩემსა არ ვექმარები“ (1472).

არ იქნება გამართლებული, მე ჩემი სიტყვებით ვცადო იმის გადმოცემა, რაც ამის პასუხად რუსთაველმა ათქმევინა ავთანდილს, თვითონ რუსთაველის სიტყვები ზევით უკვე მოვიყვანე (1473), თუმცა ამას ავტორი არა სჯერდება და აგრძელებს:

„სხვა თქვენგან არა არ მინდა, მძულან ცუდნილა თნებანი“ (1479)

ხელავთ — ისევ თქვა: ტყუილად პირში ფერება მძულსო. გამწვავდა საქმე! ავტორი ავთანდილის პირით განმარტავს, თუ რა ზედმეტია დახმარება, რადგან რაც მისთვის ღვთით არის დაწესებული, იმას მოელის კიდევაც და ავთანდილი ეუბნება ფრიდონს სრულიად გარკვეულ პასუხს მის მოციქულობაზე: მიდი და უთხარი (კადრე) ტარიელს ჩემი პასუხიო — მე არ მჭირდება ამგვარი დახმარება, თვითონ კი თქვენდა სამონოდ ვარ შობილიო (1476), მე განგების ნებით მოველი ჩემი საქმეების გასრულებას, დიდად ვიქნები მოსურნე და გახარებული გიხილოთო არაბეთს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ფრიდონმა, როგორც ერთგულმა მეგობარმა და სანიმუშომ მოციქულადაც, ამცნო ტარიელს, რომელმაც, ცხადია, ძალზე კარგად იცის, რომ სიტყვა თნება პირმოთნეობას ნიშნავს და არ ეკადრება მას. ტარიელი მაინც თავისას არ იშლის. ეუბნება ფრიდონს, წადი და უთხარი ჩემი სიტყვა, არა პირმოთნეობით ნათქვამი:

„მე შენისა გამზრდელისა უნახავად არ დავდგები“ (1481,2).

ამის მეტი მოციქულობა არ გასწიო, მე თვითონ გადავწყვეტ საქმეს,

„მე არ მიზამს არაბთ მეფე, რომე სიტყვა გავაცრუო

ამოდ ვსთხოვო ქალი მისი, შევეხვეწო, შევაგუო“ (1482).

აქ მეტად საინტერესოა რუსთაველის თხრობის მანერა — მან ისევ გაიმეორა ცოტათი ადრე ნათქვამი ფრაზა:

„უამბო ფრიდონ ავთანდილს ტარიას მოციქულობა“ (1483,1).

რატომ გაიმეორა? ასე იცის რუსთაველმა — სრულიად გადამწყვეტ მომენტში იუმორით მოსაავს უაღრესად დიდმნიშვნელოვან ჭეშმარიტებას. ამის შესახებ სხვაგან იქნება ლაპარაკი. ახლა ის ვთქვათ, რომ იუმორი მით უფრო ხელშესახებია,

რაც უფრო ვგრძნობთ, რომ საქმე მეტად სერიოზულია. მოკლედ, ფრიდონმა ერთხელ კიდევ უთხრა ავთანდილს:

„არ დადგებისო, ცუდია შენგან ცდისადა თქმულობა“ (1483,2) იუმორი აქ ჩანს, ძალზე რთულად რომ არის საქმე, ესეც ჩანს და რუსთაველი ამას გვიდასტურებს კიდევაც:

„მას დაუმძიმდა, მოედვა ვლა გულსა კვამლ-ალმულობა.“

მოვიგონოთ: დამიძიმდაო, ტარიელი ხმარობს ამ სიტყვას მაშინ, როდესაც მართლაც მეტად რთული მდგომარეობა ჰქონდა — განრისხებულმა ნესტანმა იხმო ტარიელი. ახლა აქ ხმარობს რუსთაველი ამ სიტყვას — დაუმძიმდაო, ასეთივე მდგომარეობაა?!

არაფრისგან თითქოს სულაც გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა.

ამის გამო:

„ავთანდილ მივა მუხლ-მოყრით ტარიას შესახვეწელად, ფერხთა ეხვევის, აკოცებს, აღარ შეხედავს ზე წელად, ეტყვის: კა, რაცა შევსცოდე როსტანს წლელულად მე წელად, კვლა ნუ მიქმ ერთგულობისა

გამტებლად, და-ცა-მღეწელად“ (1484)

მოკლედ, ტარიელი ეუბნება უნდა გიშველო, ისეთივე სამსახური გაგიწიო, როგორც შენ გამიწიე, ავთანდილი ეხვეწება — ნუ მიზამ ისე, რომ კიდევ ვაწყნინო ჩემს გამზრდელს, რომელსაც ისედაც ვაწყნინე, შენს საშველად რომ გამოვიპარეო. გაგიგონია! არაფრით თმობს ტარიელი. მაგრამ აქ უკვე ერთი მომენტიც იჩენს თავს:

„ტარიელ უთხრა სიცლით, მან მზემან შუქ-ნაფენამან, ხელი მოჰკიდა ავთანდილს, აჰმართა, ააყენა მან: მიყოო კარგი ყველაი მომართებამან, შენამან, მაგრა სჯობს, შენცა გალხინოს ჩემმან შენითა ლხენამან. დია მძულს მეტი მოყვრისა შიში, კრძალვა და რიდობა, მძულს გაუწყვედლად კუშტობა და სულ-მძიმობა, დიდობა; თუ მოყვარეა, გულისა ქმნას ჩემკე მონაზიდობა, თვარა მე ჩემდა, იგ მისდა, დია სჯობს კიდის-კიდობა“ (1487-88)

ამას მოჰყვება ისევ იმის მტკიცება ტარიელისაგან, რომ ვიცი, არ ეწყნებათო ჩემი სტუმრობა, შევხვეწებიო, ვემუდარებო.

„რომე მოგცეს ქალი მისი მან მისითა მოგონებით“ (1490,2).  
მოკლედ, არაა საშველი და რუსთაველი, რომელმაც ასეთი  
ოსტატობით მიგვიყვანა აქამდე, აგრძელებს:

„რა ავთანდილ ტარიასგან ცნა, წასვლასა არ დაშლიდა,  
არა ჰკადრა შეცილება, საუბარსა ზედა ჰრთვიდა;  
ფრიღონ კაცსა დარჩეულსა სათანაოდ გარდასთვლიდა,  
თანა წაჰყვა, განალამცა მასთანავე გზასა ვლიდა“ (1491).

საქმე არც ამით დასრულდა — იქაც, რომ მივიდნენ არა-  
ბეთს, ისევ გაგრძელდა. რა გაგრძელდა?

გაგრძელდა ღია კარების მტვრევა და მისი წარმოდგენა  
ბადალად იმისა, რაც ავთანდილმა გასწია ტარიელისათვის.

ამრიგად, მივიღეთ ნამდვილი ომის, ციხის, ისიც ქაჯეთის  
ციხის აღების შედარება იმასთან, რაც საერთოდ არ იყო ომი  
და იყო, ისევ გავიმეორებ — ღია კარების მტვრევა.

ამასთან დაკავშირებული კიდევ ერთი სიტუაცია გავარჩიოთ.

## რატომ აღარებს რუსთაველი ტარიელს პარღს?

ეს კიდევ ერთი ამოსაცნობია. ტარიელი, რომელსაც ავტორი გვიხატავს უდიდეს ვაჟაკად, ხოლო ვაჟაკს ტირილი არ შეშვენისო, გამუდმებით ტირის (ტირიან ბევრნი!), ამასაც არ გვაჭერებს რუსთაველი და ამ ძალის განსახიერება ვაჟაკს ადარებს ვარღს, თანაც ტარიელი თავის თავზე თვითონ ამბობს ასე:

**„მოვიწიფე, დავემსგავსე, მზესა თვალად,  
ლომსა ნაკეთად“** (319,4)

**„ხუთისა წლისა შევიქმენ მსგავსი ვარღისა შლილისა“** (320,2)

ამის თაობაზე ასმათს იმოწმებს, ტარიელი შემდეგ აგრძელებს ავთანდილისთვის ამბის თხრობას, ისევ ასმათის დამოწმებით ამბობს, ედემის ვარღს ვგავდიო: ამას ამბობს კაცი თავის თავზე, როცა მას, მისივე თქმით:

**„ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკვლა, მართ ვითა სირისა“** (320,3)  
დავაკვირდეთ: ერთსა და იმავე (320) სტროფშია ნათქვამი ისიც, რომ ვარღს ვგავდი და ლომებს სირივით ვხოცავდიო. შემდეგ ისევ — **„ვით კატასა ვხოცდი ლომსა“** (328,4). ტარიელის გვერდითვე იზრდება ნესტანი (5 წლით მასზე უმცროსი) და რუსთაველი მასაც ვარღს ადარებს: **„შეიქმნა პირითა მინა-ვარღითა“** (331,2).

ეს, რა თქმა უნდა, ბუნებრივია, ასეთი შედარება ვის გაუქვირდება, მაგრამ ესეც ხომ ხაზს უსვამს იმას, თუ რატომ ადარებს ავტორი ტარიელსაც ვარღს? კაცი დაღუპულია, ტყეში



დაეხეტება, გამოქცაბულში ცხოვრობს, ადამიანის შეიღს არ იკარებს, დიდი მუდარა და ოსტატობა დასჭირდა ასმათს, რომ ავთანდილთან შეეხვედრებინა. ეს კაცი დაჭდა, თავის უბედურების ამბავს ძლივს ამბობს, გული მისდის და წყლით აბრუნებენ, აგერ კი არხეინად იძახის — ვარდს ვგავდიო. საკვირველი არაა? მით უფრო, ავტორი რატომ მას ამბობინებს ამის შესახებ? ამ ამბის თხრობა ხომ გამოქცაბულში ხდება, რასაც ასმათიც ესწრება, ასმათს იმოწმებს კიდევაც ტარიელი, ხომ სწორს ვამბობო, მაშასადამე ავტორს სულაც არ უჭირს ეს შედარება, თუ ეს საერთოდ მოსატანია, ასმათს ათქმევინოს. რუსთაველი კი ასე არ მოიქცა! რა თქმა უნდა, მას არ ეშლება, მას, უდიდეს ხელოვანს, სულაც არ გაუჭირდებოდა სათქმელი სხვაგვარად ეთქვა, მაგრამ მაშინ ეს ნათქვამი არ იქნებოდა, ეტყობა, იმ მიზანს მორგებული, რისთვისაც არის მოხმობილი.

ლომთან შედარება, მზესთანაც, ედემს რგულ აღვასთან, დიხაც უხდება ტარიელს და ხშირადაც მიმართავს ამას ავტორი. „ლომო“, მიმართავენ ერთმანეთს ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ასე მიმართავენ მათ სხვებიც (ნესტანი, ფატმანი, ასმათი), ასე უწოდებს მათ შოთაც. მაგრამ როგორი საქმეა, ვარდივით ლომიო ან ლომივით ვარდიო! ეს რომ სხვა რანგის პოეტს ჰქონდეს ნათქვამი, იცოცხლე, მას დღეს დააყრიდნენ კრიტიკოსები. რუსთაველს ამას ვინ გაუბედავს! და სწორიცაა, თუ გრძნობენ, რომ რუსთაველს არ შეიძლება ასეთი შეცდომა მივაწეროთ, თუ გრძნობენ, რომ აქ რუსთაველის შეცდომასთან კი არა გვაქვს საქმე. გრძნობენ თუ სულაც უყურადღებოდ ტოვებენ? გვერდს უვლიან — ძნელია და იმიტომ. იქნებ ჩანაფიქრის გამო აკეთებს ასე რუსთაველი? ჭერჭერობით არავის უჩვენებია. უფრო მეტიც, რადგან ამისი ჩვენება, ეტყობა, არც ისე იოლია, საერთოდ გვერდი აქვს ავლილი ამ საკითხს, იგი არცკი ისმის. არის კი ეს მისაღები? უნდა ვიფიქროთ, რომ არა! ამას ახსნა სჭირდება. მით უფრო, რომ არ შეიძლება იგი არ იყოს სხვა ამბებთან არსებითად დაკავშირებული. იმედი მაქვს გავამართლო და ამიტომ ვიტყვი — ეს და ამისი მსგავსი სიტუაციები ერთ გასაღებს ემორჩილება, ერთი გასაღებით იღება და თუ იგი მოიძებნა, რუსთაველის გენიალური ნაწარმოების მშ-

ვენეერება კიდევ ერთი უხილავი მხრიდან წარმოგვიდგება.

ტარიელი განაგრძობს ამბის თხრობას, ამბისა, რომლის მოგონება ცუდად ხდის და რამდენჯერმე წყლის ჰკურებით მოაბრუნა „დად საესავმა ასმათმა“ (502), ის შედარება კი მაინც არ ავიწყდება:

„ფერმიხდილ-გვარად ვშვენოლი ვარდი,

ცრემლითა ნაბანი“ (478,3).

არა! ეს შედარება უმნიშვნელო არაა! მას ისეთი დანიშნულება უნდა ჰქონდეს, რომლის ამოხსნა „ვეფხისტყაოსნის“ გასაგებად დიდი მნიშვნელობისაა.

საქმე ამით არ ამოიწურება — ეს შედარება კიდევ და კიდევ გვხვდება. ავთანდილის პირითაც მოუხრიდებლად და ხშირად აღარებს ავტორი ტარიელს ვარდს. ავთანდილმა იპოვა ტარიელი, უკან მობრუნდა არაბეთს და თინათინის შეკითხვაზე:

„უთხრა: „ჰპოვეა, პატიჟნი ჰნახენ ძებნითა ვისით ა?“ (695,4)

თუ იპოვეთ იგი, ვისი ძებნით დაიტანჯეთ, რაზეც ავთანდილი უპასუხებს:

„ჰკადრა: „რა კაცხა სოფელმან მისცეს წადილი გულისა, ხსოვნა არა ხამს ჳირისა, ვით ღლისა გარდასრულისა.“

ვპოვე ხე, ტანი აღვისა, სოფლისა წყალთა რწყულისა, მუნ პირო, მსგავსი ვარდისა, მაგრა აწ ფერ-ნაკლულისა“ (696)

ავთანდილი აგრძელებს თხრობას:

„მუნ სარო, მსგავსი ვარდისა, ვნახე, მისჳირდა, მი, ნები“ (697,1)

„ვარდი შექმნილა ზაფრანად“ (699,4).

როცა საქმე კეთილად დასრულდა, გამოიხსნეს ნესტანი და გამარჯვებულები უკან მობრუნდნენ, ავტორი ისევ გვაგონებს ვარდთან შედარებას:

„ტარიელ ჰგვანდის ვარდსა“ (1561,1).

„ტარიელს ვარდსა დაუტულებს მეფე ხვევით

და კოცნებით“ (1575,1).

პოემაში ვარდთან ხშირადაა შედარებული ავთანდილიც, ასევე ლომად წოდებული. ფატმანმა სამიჯნურო წერილი რომ მისწერა ავთანდილს, მას ასე მიმართა:

„შენ გტრფიალობენ მჳვრეტელნი,

შენთვის საბრალოდ ბნდებიან, ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად

არ შენზედა კრფებიან“ (1086).

თვითონ რუსთაველიც ავთანდილს ვარდს ადარებს: ფატმანის მისამართით ხომ ამბობს, რა ყვავა ვარდი იშოვოს, თავი ბულბული ჰგონიაო. არის პოემაში კიდევ ერთი ადგილი, რომლის ირგვლივ საგანგებოდ ვიმსჯელებთ: რუსთაველი ავთანდილს ვარდს ადარებს მაშინაც, როდესაც იგი გამიჯნურებულ ფატმანთან მიბრუნდება. მიჯნურის (ფატმანის) სურვილის შესრულების შემდეგ — ავთანდილმა ფატმანს სურვილი შეუსრულა და მისი საყვარელი მოკლა, დახოცა მისი მონებიც.

რუსთაველი წერს:

„ხმა მათისა დახოცისა არ გაისმა არსით, არა.

წამოვიდა ვარდი ტკბილი, რასამცა ვით გაემწარა!“ (1117).

დავამთავროთ ამაზე მსჯელობა იმით, რომ რუსთაველი ავთანდილსაც ისევე მიმართავს — ლომო, მზე და ა.შ.

„რა ფატმანისსა შევიდა ლომი, მზე, მოყმე, წულთან“ (1118,1).

## „იყო არაბეთს როსტევენი...“

რუსთაველი ტარიელს — თავის უსაყვარლეს გმირს ტარიასაც ეძახის, ეს მოფერებითი სახელია. არსად ჩანს, რომ ლექსის ზომა იწვევდეს, ან რითმა მოითხოვდეს სახელის ამ ფორმას. ეს ავტორის სიმპათიის გამოხატვის ერთი სახეთაგანია. რაკი ეს შევნიშნე, ჩემი ყურადღება იმანაც მიიქცია, რომ სხვა გმირების მიმართ ასე არ მოიქცა რუსთაველი — არსად მათ მოფერებით სახელს არ უწოდებს. ვეიქრობ, მხედველობაში არ უნდა იყოს მისაღები ის, რომ ორჯერ ნესტან-დარეჯანს შემოკლებით ნესტანჯარს უწოდებს, იქაც გვაგრძნობინებს (რატომღაც!), ლექსმა მოითხოვა შემოკლება. მაგრამ არის კიდევ ერთი მოქმედი პირი პოემაში, რომლისთვისაც ტარიასავით გამონაკლისს უშვებს ავტორი. ეს არის მეფე როსტევენი. მის მიმართ სიმპათიებს მუდმივად გვიმჟღავნებს, სახელიც კი ტარიასავით შეუმოკლა — როსტანიო და ამას დაახლოებით იმდენჯერ აკეთებს, რამდენჯერაც ტარიელის მიმართ.

თუ დავაკვირდებით, თვითონ ტარიელიც განსაკუთრებული სიმპათიითაა მოხუცი მეფის მიმართ გამსჭვალული.

ტარიელი რომ გამორჩეული ჰყავს რუსთაველს, ეს არაა საკვირველი, რატომ გამოარჩია მან როსტევენი? უფრო ზუსტად რომ დავსვათ საკითხი, რაიმე შეფარული აზრი ხომ არა აქვს ამ ამბავში ჩატანებული რუსთაველს? ხომ არ არის ეს იმ დიდი საიდუმლოს ისეთი ნაწილი, რომლის გაგების გარეშე წინ ვერ წავალთ, რადგან ერთი საფეხური დაგვაკლდება საიდუმლოებისაკენ მიმავალი გზის კიბეზე. ეს გზა კი ისეთი რთუ-

ლია, აქ არ იქნება გამართლებული გაიოლებულად, ასე ვთქვათ, საფეხურგამოტოვებით ვირბინოთ.

გამოტეხით ვიტყვი — დიახ! ეს არის საერთო, დიდი საიდუმლოს ნაწილი. რუსთაველი სწორედ რომ განსაკუთრებულ აზრს ღებს ამ ამბავში; წარმოდგენილი აქვს იგი გრძელი ჭაჭვის ერთ რგოლად.

ვნახოთ ეს საკითხი უფრო ახლოს. ნუთუ ერთგვარად მაინც არ უნდა იყოს უცნაური, რომ რუსთაველმა ორი ერთნაირი, ერთმანეთის მეტისმეტად მსგავსი მეფე გამოიყვანა თავის ნაწარმოებში? მე ვგულისხმობ როსტევეანს — არაბეთის მეფედ წოდებულს პომაში და ფარსადანს — ინდოეთის მეფეს. ვაჟკაცობით, პურადობით, მეომრობით, ნადირობით — ვერ გაარჩევ, ისე გვანან ერთმანეთს, ორივე მოხუცდა, ორივეს ძე არა ჰყავს, მხოლოდ ქალიშვილები. როსტევეანს შვილივით ჰყავს გაზრდილი ავთანდილი, ფარსადანს — ასევე შვილივით — ტარიელი. ამით არა მარტო ეს მეფეები, არამედ ნაწარმოების უმთავრესი გმირებიც — ტარიელი და ავთანდილი ერთი მხრივ, ნესტანი და თინათინი მეორე მხრივ, დიდად დაამსგავსა ერთმანეთს. ამ ფაქტს უბრალოდ უყურადღებოდ ტოვებენ, თორემ, თუ მივატყევთ ყურადღებას, მაშინ ხომ გამორიცხულია არ გაგიკვირდეს — როგორ, უბადლო შემოქმედმა, რუსთაველმა, მეტი ფანტაზია ვერ გამოიჩინა? რა თქმა უნდა, მას ამას ვერავინ დასწამებდა და, მაშასადამე, ის უნდა გვეფიქრა, რომ გენიალური ხელოვანი მოფიქრებით აკეთებს ამას (ეს მერამდენედ!), აქაც მას ჩანაფიქრი აქვს ისეთი, რომლის განხორციელება მხოლოდ ასე, ამ გზით თუ შეიძლება.

ეს სასწაულებრივი დამთხვევა, მსგავსება კიდევ გაგრძელდა. ორივე ქალი თავიანთი მშობლების გაზრდილ ვაჟებზე არიან შეყვარებულნი და პირიქითაც! აქამდე ყველაფერი ზუსტად ერთნაირია. აქედან იწყება განსხვავება. როსტევეანმა დიდებული გადაწყვეტა მონახა და ქალი გაამეფა, ამავე დროს, მის მიჯნურობასაც არ უხშობს გზას. ფარსადანმა სასიძოდ უცნობი კაცი მოიწვია, არც ქალი გაამეფა და მისი ტრფობაც ძირში გასახმობად გაწირა.

ეს არის პოემის უმთავრესი კვანძი. ეს ერთნაირი ადამიანე-

ბი, წყლის წვეთებივით რომ ჰგავდნენ აქამდე ერთმანეთს, ახლა ასე რადიკალურად განსხვავებულნი აღმოჩნდნენ. აღმოჩნდნენო? რა აღმოაჩინდათ, იმ მსგავსებაში განსხვავება აღრევე რომ არ ყოფილიყო. არა! არ ყოფილან ადამიანები, მაშინაც კი, როცა ძალზე ჰგვანან ერთმანეთს, ერთნაირი და შეიძლება აქვე ეთქვათ კაცთა შორის განსხვავების ის შეფასება, აფორიზმად რომ აქცია რუსთაველის გენიამ, მაგრამ ვინძლო ჯერ ნაჩქარევი გამოდგეს და დროებით გადავდოთ, შემდეგ კი, თავის დროზე და თავის ადგილას დაწვრილებითაც უნდა გვეკონდეს ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა მანძილი ყოფილა კაცით კაცამდე.

როსტევეანი განსაკუთრებით იმსახურებს ამის გამო რუსთაველის სიმპათიას, მაგრამ ნუთუ ამას რაიმე წაფარება სჭირდება? ხომ შეიძლებოდა ეს შეფარვით კი არა, უფრო აშკარად ეთქვა ავტორს, ხომ ვხედავთ, ამას აქამდე არ მიექცა ყურადღება და თვით უმთავრესი კვანძიც კი სათანადოდ არ იქნა გახსნილი. ეთქვა უფრო მკაფიოდ და ნათლად, ხომ შეეძლო რუსთაველს? რა არ შეეძლო მას! მაგრამ ერთი არ შეეძლო — ყველაფრის გასაგებად თქმა. არ შეეძლო და ამაშია მისი საიდუმლო, რომლის თითო ნაწილაკს აქა-იქ ვხედავთ, მაგრამ მთლიანად ჯერ არა ჩანს.

ისე კი, რუსთაველს თუ შეეძლო, რომ ვამბობთ, მე კი იმასაც ვამბობ, რა არ შეეძლო, აბა ერთი ამ, თითქოს უმნიშვნელო დეტალს დაეაკვირდეთ: რა სიტყვებით იწყება „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი, ე.ი. შესავლის შემდეგი ტექსტი?

„იყო არაბეთს როსტევეან, მეფე ღმრთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მღაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი, მოხამართლე და მოწყალე, მორქმული, განგებიანი, თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.“

რუსთაველი თავის პოემას სხვა სიტყვებით არ დაიწყებდა! მისი ნაწარმოების შინაარსის მიხედვით ნაწარმოები ამით — „იყო არაბეთს როსტევეან“... უნდა დაწყებულიყო ისევე, როგორც „დასაწყისი უნდა დაწყებულიყო სიტყვებით: „რომელმან შექმნა სამყარო“ და არა სხვა რომელიმეთი, თუნდაც ამავე სიტყვების ადგილის შენაცვლებით...

... და იქნებ, პოემის ბოლო სიტყვებიც შეუძლებელი იყო

სხვა ყოფილიყო, თუ არა ეს:

„ტარიელ მისსა რუსთველსა,

მისთვის ცრემლ-შეუშრობელსა.“

ვნახოთ, გავაგრძელოთ ანალიზი და იქნებ დამიჯეროთ, მკითხველო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი თავის ქმნილებას ვერც სხვაგვარად დაიწყებდა და ვერც სხვა სიტყვით დაამთავრებდა — ცრემლ-შეუშრობელია მისი ბოლო სიტყვა!..

ამ პოემაში გენიალური შემოქმედი აღწევს სასწაულს — ზუსტადაა ყველაფერი გათვალისწინებული და განსაზღვრული. აბა, როგორ აკადრებდა კოსმიურ, ღვთაებრივ პარმონიას ოდნავ პარმონიადარღვეულ ქმნილებას, ავტორი, რომელიც ქვეყანაზე არაფერს მოელოდა, და საყოველთაო „ზესთა მწყობრთ წყობასთან“ შერწყმას თავისივე შემოქმედებით ლამობდა...

## იუმორი და ლაღობა „ვეფხისტყაოსანში“

ქაჭეთის ციხის ბრძოლის წინ ფრიდონს ავთანდილმა რჩევა-დარიგება დაუწუნა — „ეგე თათბირი არ ვარგა“ (1398,4), ტარიელმა კი ორივესი დაიწუნა და საკუთარი მოახსენა მეგობრებს. ამ დროს ახსენებს ფრიდონი ქაჭეთსა და ქაჭებს (1406,3).

ეს არის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიტუაცია, როდესაც რუსთაველი იუმორს მიმართავს, როცა იგი საშუალებას აძლევს თავის გმირებს

„ერთმანეთსა ელაღობნეს ლაღობითა,

მათთა მშვენთა“ (1407,3).

რუსთაველის იუმორზე საკმაოდ არის დაწერილი და კარგადაც. ამ თემაზე საგანგებოდ ჩერდება აკადემიკოსი ალ. ბარამიძე, რომელსაც საანალიზოდ მოხმობილი აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი ადგილი, გარდა აქ მითითებულისა. ამასთან არის ერთი გამოკვლევა — „ბ. დარჩიას „სიცილი ვეფხისტყაოსანში“, რომელიც თეზისების სახით დაიბეჭდა 1969 წ. როგორც გავიგე, შემდეგ ავტორს ამ საკითხზე აღარ უმუშავია, ან იქნებ უმუშავია, მაგრამ არ გამოუქვეყნებია ნაშრომი, რომელშიც თეზისებში მოცემული თვალსაზრისი იქნებოდა გატარებული. საქმე ისაა, როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ამ შეხედულებას რუსთაველის სიცილის თემაზე სიცილი დაუმსახურებია და ამას, ეტყობა, შეუჩერებია ავტორი. მოვიყვან მის თვალსაზრისს:

1. „ვეფხისტყაოსანში“ წარმოსახული სიცილი შინაარსით



საკმაოდ მრავალფეროვანია. ძირითადად ის თავისი ბუნებრივი მიზეზის — სულიერი კმაყოფილების, მხიარულების გამოძახატველია და უპირისპირდება ტირილს, როგორც მწუხარების აღმნიშვნელს. პოემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კომიკურით გამოწვეულ სიცილს.

2. „ვეფხისტყაოსანში“ სიცილი წარმოდგენილია როგორც ადამიანთა დამამშვენებელი, მისი ღირსების, გარეგნული და სულიერი სილამაზის გამოძახატველი. პოემაში არსად არ გვხვდება არაფრის მოქმედი, უსაგნო ღრეჟა, ან აბუჩად ამგდები, ცინიკური ხითხითი. არ იხსენიება სიცილის ისეთი ვულგარული ფორმები, როგორიცაა ფრუტუნა, რახრახი, ღინცილი და სხვ. რუსთაველისათვის შინაარსითა და ფორმითაც უცხოა ჰომერისებური ხარხარი. „ვეფხისტყაოსანში“ არის მხოლოდ სიცილი და ღიმილი, ან ორივე ერთად. პოემაში ასახული სიცილი კულტურული, დარბაისელი ადამიანის სიცილია.

3. „ვეფხისტყაოსანში“ წარმოსახული სიცილი ღიდად საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მასში გამოვლინდა რუსთაველის რენესანსული ჰუმანიზმი. რუსთაველმა შუა საუკუნეების რელიგიური შეზღუდულობის ეპოქაში სხვა სასიცოცხლო თვისებებთან ერთად ადამიანს დაუბრუნა მისთვის დამახასიათებელი ნამდვილი, ჯანსაღი სიცილი თავისი მრავალფეროვანი ფორმითა და შინაარსით“.

უნდა ითქვას, რომ ავტორს ზოგიერთი მომენტი სწორად აქვს შენიშნული, მართალია, რომ პოემაში არ არის ყოველგვარი სიცილი, ისიც სწორია, რომ სიცილი (საერთოდ) ტირილის საპირისპიროა და სხვა. ავტორის მსჯელობას სწორი მიმართულება ექნებოდა, მასში რომ ყოფილიყო ერთმანეთს დაპირისპირებული სიცილი, ლაღობა (ხუმრობა) და ტირილი რუსთაველის პოემის მიხედვით. მხედველობაში ის მაქვს, რომ ვინც ამ საკითხს შეეხება, ვალდებულია ანგარიში გაუწიოს თუნდაც იმ მდგომარეობას, რომ, ტირილი და სიცილი ვეფხისტყაოსანში, უხეშად რომ ვთქვათ, ერთნაირი მოცულობით არაა მოცემული. აქ სრულიად აშკარა განსხვავებაა, ეს იმდენად არის თვალში საცემი, რომ ამას არ შეიძლება გვერდი ავიაროთ. უფრო მეტიც უნდა ითქვას — ამ ფაქტს ერთ-ერთი გადამწყვეტი მნი-

შენელობა აქვს „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის სწორი გაგებისათვის და, თუ მე მართალი აღმოვჩნდი, იმ დიდი საიდუმლოს ამოხსნისათვის.

როგორია ტირილისა და სიცილის, ასე ვთქვათ, თანაფარდობა „ვეფხისტყაოსანში“? რაოდენობრივი გამოსახულება რომ მოვიშველიო, აქ მიმართება იქნება ათისა ერთთან. ამაში დარწმუნება ძნელი არაა. თუკი ვინმე დაექვდება, მას შეუძლია თუნდაც „ვეფხისტყაოსნის სიმფონიის“ მოშველიებით დარწმუნდეს ამაში.<sup>9</sup> ცალკე რომ ავილოთ და ერთმანეთს შევუპირისპიროთ ტირილი და სიცილი (ზუსტად ამ სახელებით გამოთქმული მოვლენები), ან ერთად ავილოთ ერთი მხრივ, ტირილი, დაღრეჯა (დაღრეჯილობა), ჭირი, კმუნვა, ხოლო მეორე მხრივ სიცილი, ლაღობა, სიხარული და ა.შ. შეფარდება ისევ ისეთივე იქნება — 10:1, თუმცა კი „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“ შეთანა-სწორებულად, თანატოლად ფიგურირებენ პოემაში.

ამას თუ გავითვალისწინებთ, ჩემი აზრით, გაგვიადვილდება იმაში გარკვევა, თუ რატომაა სიცილი ასე არამრავალფეროვნად წარმოდგენილი ნაწარმოებში, ხოლო ტირილი — პირიქით (ამის თაობაზე ცალკე გვექნება მსჯელობა).

ახლა კი ვნახოთ, როდის იცინიან და ლაღობენ რუსთაველის ქმნილების გმირები.

ჯერ მოვიტან ისეთ ნიმუშს, რომელიც გარჩეულია რუსთაველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში! ეს არის ის სიტუაცია, როდესაც ასმათი, დიდი ბრძოლის შემდეგ, დაყვავებისა და ახსნა-განმატების შედეგად, როგორც იქნა დაიყოლია ავთანდილმა და ასმათმა უამბო ტარიელის ამბავი, მისი გასაჭირი. ეს არის ერთ-ერთი კულმინაციური მომენტი ნაწარმოებში. მით უფრო, რომ ასმათისაგან ამბის თხრობაც არაა საკითხის გადაწყვეტა, რადგან აღმოჩნდა, რომ ტარიელი არავის იკარებს და ეს საქმეა ახლა მოსაგვარებელი, რომ ტარიელი დათანხმდეს ავთანდილს შეხვედრაზე. თვითონაც სისხლხორცეულად დაინტერესებულია, რომ მის ძმას, მეგობარ ტარიელს საბოლოო მხსნელი და მშველელი თუ არ გამოუჩნდება,

<sup>9</sup> იმ. მაგალითად ალ. ბარამიძე — „შოთა რუსთაველი“, თბ., 1975, გვ. 315-316.

მოსაუბრე და თანატოლი მაინც ჰყავდესო ვინმე, ასმათი ავთანდილს ეუბნება — შენ იყავი, დამაცადე და საქმეს მე მოვაგვარებო. მოვუსმინოთ ამის გამო რუსთაველს:

„აწ რაცა გითხრა, თუ ამა საქმესა დამმორჩილდები,  
რასაცა ეძებ, მიჰხვდები, უცილოდ არ ასცილდები;  
თუ არ მომისმენ, ვერ ჰპოვებ,

რაზომცა ცრემლსა ჰმილდები,

მოგვხვდების მღურვა სოფლისა,

მოჰკვდები, გა-ცა-სწბილდები“ (254).

მე ვფიქრობ, აქ საგანგებოდ შეგვაჩერა ავტორმა, თითქოს ყურადღება ჩამოგვაშორებინა უშუალო დაძაბულობისაგან, სული მოგვათქმევინა და ხუმრობა შემოგვთავაზა:

„ყრმამან უთხრა: „ეგე საქმე ამას ჰგავსო, არა სხვასა:

ორნი კაცნი მიდიოდეს სადაურნი სადმე გზასა,

უკანამან წინა ნახა ჩავარდნილი შიგან ჰასა,

ზედ მიადგა, ჩაჰყოდა, ტირს იძახის ვაგლახ-ვასა“ (255).

რა თქმა უნდა, დაძაბულობა დიდი იყო, მომავალი სასიკეთო გამოჩნდა, ამას არ შეიძლებოდა შემსუბუქება არ გამოეწვია როგორც ავთანდილში, ცოტა ხნის წინ თმით რომ დაითრია და გულს დანა დააბჯინა ასმათს, ისე ასმათშიც, რომელიც მისი ტარიელის მომავალ კარგ მეგობარს ჰვრეტს ავთანდილის სახით. შოთა რუსთაველი, შესანიშნავი მცოდნე ადამიანის სულის მოძრაობისა, ასეთ ფსიქოლოგიურ მომენტს უსათუოდ შეამჩნევდა და გამოხატავდა კიდევაც. ამიტომაც (ალბათ, ასე უნდა ვიფიქროთ!) მეტად დაბეჭითებით ათქმევინებს ავთანდილს იმ ჭაში ჩავარდნის ამბავს. ავთანდილი აგრძელებს:

„ეგრე უთხრა: „ამხანაგო, იყავ მანდა, მომიცდიდე,

წავალ თოკთა მოსახმელად, მწადსო, თუმცა ამოგზიდე;“

მას ქვეშეთსა გავცინა, გაუკვირდა მეტად კიდე,

შემოჰყვილა: „არ გელოდე, სად გაგექცე, სად წავიდე?“ (256).

აღიარებულა, რომ ეს ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია რუსთაველის იუმორისა, მისი გმირების ხასიათის სავსებით შესაბამისი. ამის თაობაზე დავა არ შეიძლება. და მაინც, სხვა არაფერი ჰქონდა ამავე იუმორით შემოსათავაზებელი ავტორს? იქნებ აქაც შეფარვით კიდევ რალაც მოგვეყვარა, რაც, თუ ჩავუკვირდებით, იქნებ სადმე გამოსადეგი იყოს ნაწარმოების მთ-

ლიანი შინაარსის გასაგებად. ასეთად მე აქ მიმაჩნია ის, რაც ნათქვამია ასმათის სიტყვებით — „რასაცა ეძებ“ და ა.შ. ქვევით საგანგებოდ გვექნება ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ძებნის, ძიების თემა ერთ-ერთი მთავარია შოთა რუსთაველის ნაწარმოებში და ეს შემთხვევაც ავტორმა ოსტატურად გამოიყენა — ბრწყინვალე იუმორიც მოგვცა, გვაღაღობა, სული მოვითქვით ნაწარმოების გმირებთან ერთად, ამასთან ისიც „შემოგვაპარა“, შემდეგ რომ უსათუოდ იქნება საჭირო და გამოსაყენებელი.

ახლა განვიხილოთ მეორე შემთხვევა, რომელიც, აქ მოტანილისაგან განსხვავებით, რამდენადაც ვიცი, არ არის განხილული როგორც იუმორის განსაკუთრებული ნიმუში, მე კი ყველაზე მნიშვნელოვნად მესახება.

საკითხი ეხება ქაჭეთის ციხის აღების წინ მეგობრების ლალობას.

მეგობართ შორის ქაჭეთის ამბების უკეთესი მცოდნე ფრიდონია, ასე ვთქვათ, იგი ქაჭეთის სპეციალისტია.

„ქაჭეთს ერთხელ კვლაც ყოფილვარ,

ზნახვთ, თქვენცა გემაგრების;  
ყოვლგნით კლდეა, გარეშემო მტერი ვერა მოადგების;  
თუ იღუმალ არ შევუვალთ, ცხადად შებმა არ ეგების,  
მით ლაშქარი არად გვინდა,

რაზმი მალვით ვერ მოგვევების“ (1388).

კაცმა რომ თქვას, ეს უკვე არის სრულიად გარკვეული რჩევა-თათბირი. თანაც დაიჭერეს კიდეცა, „იგინიცა დაემოწმნეს“ (1389,1), ამიტომ არის, რომ მართლაც მცირე, სულ სამასკაციანი ჯარი წაიყვანეს. ამ რჩევის დაჭერების შემდეგ, ბუნებრივია, რომ შემდგომაც, უკვე თვით მისადგომებთან ქაჭეთისა უპირველესი რჩევა-თათბირიც ნურადინ-ფრიდონმა თქვა და სწორედ ის აღმოჩნდა ყველაზე უფრო მიუღებელი რჩევა. ეს ჯერ ავთანდილმა, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, გააკრიტიკა — „ეგე თათბირი არ ვარგა“ (1308,4), შემდეგ ტარიელმა ორივე დაიწუნა და, მაშასადამე, ფრიდონის თათბირი მეორეჯერ იქნა უარყოფილი. მართალია, ტარიელმა მეგობრებს ტყბილი სიტყვით მიმართა, „მე თქვენი ვცან გმირთა მეტი გმირო-

ბაო“, მაგრამ, თუ დავაკვირდებით, ფრიდონის რჩევა მაინც არ გამოჩნდა ისეთი, დიდ სპეციალისტს რომ შეეფერება — ეს ძალზე კარგად აჩვენა ავთანდილმა. შოთა რუსთაველს ჩვეული სიბრძნით აქვს მომზადებული სიტუაცია ისე, რომ მეტად მნიშვნელოვანი მომენტებია ჩატანებული. იგი, ერთი მხრივ, იმას გვიჩვენებს, თითქოს აქ შეიძლება სულაც დაძაბულიყო მდგომარეობა — ცოტაა შემთხვევა, როდესაც ერთმანეთის აზრს ვერ გაიზიარებენ თვით მეგობრებიც კი, ვერ შეთანხმდებიან და, არცთუ ისე იშვიათად, ისიც ყოფილა, სულაც ჩაშლიათ ერთობლივი მოქმედება. ეს საომარსაც ეხება და არასაომარ საქმეებსაც. ამის მსგავსი სიტუაციებისთვის ხომ ზედგამოჭრილია, თუ მდგომარეობის სიმძიმის შემამსუბუქებელი იუმორი იჩენს თავს. რუსთაველმა, რა თქმა უნდა, ეს იცის და ასეც წარმართა ვითარება.

ტარიელის თათბირის შემდეგ, ტარიელს, რომელიც ფრიდონის ნაიუქარ ცხენზე ზის, ფრიდონმა უთხრა:

„მაგა ცხენსა ჩემეულსა მოასწრებენ კარსა ვერა;  
ოდეს გიძღვენ, არ ვიცოდი, ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზერა,  
თვარა ყოლა არ გიძღვნიდი, ჩემი გითხრა სიძუნწე რა“ (1406).

ჩვენი სიტყვით რომ ვთქვათ, რასაც მაჯობებდა შენი თათბირი, იმასაც ვნახავდი, შენთვის რომ ის ცხენი არ მეჩუქებინა, რომელსაც, რა თქმა უნდა, ვერც ერთი ცხენი ვერ მოასწრებს და ამისი იმედით ამბობ ასეთ თამამ რჩევასო. ამიტომ ამბობს ფრიდონი — „ჩემი გითხრა სიძუნწე რა“, რას მოგცემდიო და ამით რას დავიმარცხებდიო თავს (დამარცხდა თათბირში). რუსთაველი აგრძელებს თავის საქმეს, აგრეერიგად მოფიქრებულს:

„ფრიდონ ლალი ამხანაგობს საუბართა ესოდენტა.  
ამას ზედან გაიცინეს მათ წყლიანთა, სიტყვა-ბრძენთა,  
ერთმანერთსა ელალობნეს ლალობათა, მათთა მშვენთა“ (1407)

მოფიქრებული და შემზადებული ჰქონდა ავტორსო, რომ ვთქვი, ამაში ისიც ვიგულისხმე, რომ ადრე ტარიელი და ავთანდილი ეხუმრნენ ფრიდონს. ესეც ერთ-ერთ ნიმუშად მოჰყავთ ხოლმე, როდესაც „ვეფხისტყაოსანში“ იუმორისა და ხუმრობა-სიცილის საკითხს არჩევენ. ეს მოხდა სწორედ ქაჯეთს საომრად წამოსვლის წინ, როდესაც ტარიელი და ავთანდილი ფრი-

დონთან მივიდნენ:

„იარეს და ზედან შეჰხდეს ნურადინის მეჭოგეთა;  
ჯოგი ნახეს, მოეწონა, ფრიდონისთვის ეაგეთა.

მუნ ავთანდილს იხლო ეტყვის: „გაქნევ კარგთა სიშმაგეთა,  
მოდი, ფრიდონს ველალობნეთ, ჯოგსა მისსა მოვადგეთა!“ (1375)  
ფრიდონი ჩვენკენ გამოქანდებდა, უცბათ, ჩვენ რომ გვი-  
ცნობს, გაოცდებოდა და აქ აქვს რუსთაველს ლალობაზე ნათქ-  
ვამი:

„ამოა კარგი ლალობა, ლალსა შე-ვე-იქმს ლალებად“ (1376,4)  
მართლაც დაერიენ ჯოგსა და ცხენთა რემას, აყვირდნენ  
მეჭოგეები, უხმეს საშველად ფრიდონს, მოვარდა ფრიდონი.

„რა ტარიელ ფრიდონ იცნა, თქვა: „ვნახეო, ვინცა მინა“  
მუზარადი მოიხადა, გაიღიმა, გაიციცინა:

ფრიდონს უთხრა: „რასა ჰლაპი, ჩვენი მოსვლა რას გეწყინა?  
პურად ავი მასპინძელი მოგვეგებვი ომად წინა!“ (1380).

აი, ეს ლალობა უძლოდა წინ ქაჭეთის ციხის მისადგომე-  
ბთან თათბირის შემდეგ წარმოშობილ სიტუაციას და „ერთმა-  
ნეთს ელალობნეს ლალობითა, მათთა მშვენთა“.

მაშასადამე, რუსთაველს, უნდა ვიფიქროთ, სავსებით წინა-  
სწარგანზრახულად აქვს მოცემული ფრიდონთან შეხვედრის  
დროს ლალობისა და სიცილის, მხიარულების ამბავი.

ახლა ეს ვიკითხოთ: მაინც რა აზრი აქვს იმ გადამწყვეტი  
ომის წინ მეგობართა ლალობა-მხიარულებას? რუსთაველი არაა  
ისეთი რანგის მოღეჭსე, რომ ერთადერთი რამ აზრი ჩადოს  
ასეთი სიტუაციების აღწერაში. ის ერთი აზრი, იმ ლალობაში  
ჩადებული, უკვე ზევით იყო აღნიშნული — ფრიდონი გაწბი-  
ლდა თავის ნაფიქრში, რუსთაველის მიერ არაერთხელ ნახმარი  
სიტყვა რომ მოვიშველიოთ, იგი მოალორა-მოატყუა, შეცდო-  
მაში შეიყვანა საკუთარმა ნააზრმა, არ გამოუვიდა თათბირი,  
ამან, სავსებით ბუნებრივია, ნირი წაუხდინა მას (მისგან ხომ  
უმთავრეს თათბირს მოელოდნენ — ეს ადრე გვიჩვენა პოეტმა,  
როცა გვითხრა „იგინიცა დაემოწმნესო“ და ამ მდგომარეობი-  
დან გამოსვლა ყველაზე უფრო შეიძლებოდა ხუმრობით (ო, რა  
ქართული ხასიათია!), რისი საშუალებაც კიდევაც მისცა მას  
გულთმისანმა მისმა ავტორმა — რუსთაველმა.

ვითომ რა, არ ეყოფოდა ერთ სიტუაციას? სავსებით ეყოფოდა სხვაგან, მაგრამ რუსთაველის ნაწარმოებში, ნურას უკაცრავად, აქ ჩვეულებრივი არაფერია. არც ეს ამბავი იქნება მარტივი, ერთგანზომილებიანი.

რუსთაველი, სავსებით ერთგული საკუთარი გენიალური ჩანაფიქრისა, ამ სიტუაციაში სხვა აზრსაც ჩააქსოვს, კერძოდ კი, შემდეგს:

რუსთაველი ხომ უბადლო ფსიქოლოგია, ამის თაობაზე ბევრი დაწერილა (იხ. ცნობილი მეცნიერების, პროფესორების ვლ. ნორაკიძის და ალ. ფრანგიშვილის ნაშრომები ამ საკითხზე), ალბათ, კიდევ იქნება სხვაც დასაწერი. მართო ეს ერთი სიტუაცია, რასაც ახლა ვიხილავთ, რომ გავაანალიზოთ, მასში, გარდა ზევით მითითებულისა, არის მასზე არანაკლები, შეიძლება უფრო მეტი ფსიქოლოგიური დატვირთვაც.

ფეხბისტყაოსნის გმირთა ამბავმა მიაღწია უმაღლეს დონეს. ახლა, აი სულ რამდენიმე ხნის შემდეგ უნდა გადაწყდეს ბედი ტარიელისა და ნესტანისა, ხოლო ნაწარმოების მიხედვით, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება სხვა გმირების შემდგომ ბედზე. ამდენად, ეს არის დაძაბულობის უმაღლესი წერტილი, რადგან ყველას ბედი ყოფილა დამოკიდებული ქაჯეთის ციხის ომზე. ამ ომის წინ შექმნილი ეს დაძაბულობა, როგორ ფიქრობთ, მხედველობიდან გამორჩა გენიოს შემოქმედს და იგი თავის გმირებს ასეთი დაძაბულობით ხელფეხშეკრულს შეუშვებს გადამწყვეტ ომში? არა! და რუსთაველმა აქ შესანიშნავად (ეს უკვე მერამდენედ ნაწარმოებში!) გამოიყენა უებარი საშუალება, ფსიქოლოგიურად სავსებით გამართლებული მეთოდი — ხუმრობა-გართობის მუზა მოუვლინა თავის გმირებს, ჩამოხსნა უდიდესი ტვირთი დაძაბულობისა და შეამზადა მთელი ძალით ბოროტებასთან საბრძოლველად (ბევრი არსებობს ასე რიგად გაფიქრებული და ასეთი ოსტატობით განხორციელებული მხატვრული სურათი? — ამის თაობაზე მე არაფერს ვამბობ და სიტყვა ამ საქმის უკეთესი მკოდნეებისათვის დიდი სიამოვნებით დამითმია).

ამრიგად, გადამწყვეტი ბრძოლების წინ ილალობეს, გამხიარულდნენ, იცინეს და დაძაბულობის ტვირთი ჩამოიგდეს. ეს

არის მეორეგვარი გამართლება რუსთაველის იუმორისა მოცემულ სიტუაციაში.

მკითხველო, რაც უნდა მითხრა, მე მაინც არ შემიძლია აქ შეეჩერდე და არა ვთქვა, რომ რუსთაველი არც ამაზე ჩერდება, მას კიდევ ერთი, შეიძლება სულაც უმთავრესი აზრი აქვს აქ ჩატანებული. ეს აზრი მით უფრო არის უმთავრესი, რომ ძირითადი იდეისა და რუსთაველის პოემის საიდუმლოს გახსნა დიდად არის მასზე დამოკიდებული.

ასევე ამოვიწეროთ ერთი სტრიქონი ზევით მოტანილი სტროფიდან:

„ოღეს გიძღვენ, არ ვიცოდი, ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზერა“ — ასე ამბობს იმ საღალღობოდ გამიზნულ სტროფში, რუსთაველი ფრიდონის პირით. ამის შემდეგ, აქედან მოკიდებული სიტყვა ქაჯი არსად გვხვდება, ისე დამთავრდება ქაჯეთის ციხის აღება. აი ეს არის ის ერთადერთი შემთხვევა, ზევით რომ აღვნიშნე, მეტად რუსთაველი არაფერს გვეუბნება ქაჯებზე სწორედ გადამწყვეტ მომენტში. ალბათ გვახსოვს, რომ ძალზე ბევრჯერ თქვა ავტორმა, მანდ ქაჯები თუ არიანო, თუ მოვლენ, მერე ძნელი იქნებაო. ახლა კი, როდესაც ქაჯეთის ომის ამბებია, მან ერთ, სახუმროდ გამართულ სტროფში ახსენა ქაჯი. რა შეგვიძლია ვთქვათ ამის მიხედვით? ვთქვათ, რომ რადგან ფრიდონმა თათბირისას ახსენა ქაჯი, ე.ი. ქაჯები უკვე მოსულან ქაჯეთს და ბრძოლაც ექნებათ ქაჯებთან? კი, მაგრამ ამ ნათქვამიდან ეს რომ არ გამოდის? აქ ხომ ისაა ნათქვამი, რომ მცოდნოდა, როცა ცხენი გაჩუქე, რომ ქაჯეთს მოგვიწევდა „ქაჯთა მზერა“, მაშინ არ გაჩუქებდიო, თანაც, როგორც უკვე დავრწმუნდით, ეს ნათქვამია აშკარა ხუმრობით და გვაქვს უფლება აქედან დავასკვნათ, რომ ქაჯები უკვე არიან იქ, ქაჯეთს მისულნი? აკი, როგორც ვნახეთ, ასე ძნელი იყო იმის დადგენა, არიან თუ არა, იქნებიან თუ არა ქაჯებიო, ახლა ერთი ხუმრობით ნათქვამი ფრაზით, ისევ ნახევრად წარსულს რომ ვკუთვნის (მაშინ რომ მცოდნოდაო!) დავასკვნათ.

არა! ამ დასკვნის უფლებას რუსთაველი არ გვაძლევს და ერთ-ერთი უმთავრესი აზრი მისი ხუმრობისა სწორედ ეს არის — ავტორი კიდევაც ახსენებს ქაჯს და არც გვეუბნება, რომ



ისინი ახლა ქაჯეთს არიან და მათთან ექნებათ ბრძოლა.

ასეთია რუსთაველის ქმნილებაში ხუმრობა-სიცილ-ლალობის, ანუ, ჩვენებურად, იუმორის აზრი და მნიშვნელობა ერთ-ერთ გადამწყვეტ მომენტში. ზევით უკვე ვთქვი, სხვა შემთხვევებში როგორაა საქმე — ყველგან, იუმორი, ხუმრობასთან ერთად, სავსებით სერიოზული მნიშვნელობის მქონეა. ეს ნაწილობრივ აღვნიშნე, როცა ვვხვდებით საკითხს იმის თაობაზე, რატომ დააძალა ტარიელმა ავთანდილს ისეთივე სამსახური, რაც ავთანდილმა ტარიელს გაუწია, თუ როგორ აღმოჩნდა, რომ ასეთი სამსახური უბრალოდ შეუძლებელი იყო, რადგან ასეთი დახმარება არ ქირდებოდა ავთანდილს და ტარიელი მაინც ეხვეწება მას, მოციქულს უგზავნის, ისევ ეხვეწება: ერთხელ კიდევ მივიღოთ, მკითხველო, დიდი სიამოვნება, გადავიკითხოთ ის ადგილები და, ნუთუ არ დამეთანხმებით, რომ იქაც დიდი დოზით არის მოცემული ხუმრობა-იუმორი. მე პირადად ასე მეჩვენება, თითქოს იმ ადგილებს რომ წერდა სულმნათი შოთა, ღიმილით ხომ არ ჰქონდა სახე გაბადრული, ამას რას სჩადიან ქართველები, რა დროს და რას ეხვეწებიან ერთმანეთსო.

მოვიტან რამდენიმე ნიმუშს, სადაც ქართველი კაცის ხასიათი, ბუნება ჩანს ხუმრობაში.

როსტევეანმა ბრძნული გადაწყვეტილება რომ მიიღო, ერთადერთი ქალის გამეფების შესახებ, დარბაზსაც გააცნო თავისი აზრი და დაითანხმა, მას ვაზირი ეხუმრა — ელაღობა:

**„დაგოდრეჯია მეფეო, აღარ გიცინის პირიო.**

**მართალ ხარ: წახდა საჭურქლე თქვენი შქიმე და ძვირიო, ყველასა გასცემს ასული თქვენი საბოძვარ-ხშირიო;**

**ყოლამცა მეფედ ნუ დასვი! თავსა რად უგდე ჭირიო?“ (60)**

მეფე, რა თქმა უნდა, მიუხედა ხუმრობას, კარგი ჰქენიო, მოუწონა, რადგან სიბერის გამო დადარდიანებულს საამოდ ექნა ვაზირის ნათქვამი, ამ ხუმრობითვე წამოიჭრა სანადიროდ წასვლისა და მეფისა და ავთანდილის გაჯიბრების საკითხიც, რაშიც ისევ ხუმრობაც არის ჩაქსოვილი. ამიტომაც არის, რომ ავთანდილი

**„იციხოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და კარგად ზმიდეს, ნაძლევიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკვნიდეს:**

„ვინცა იყოს უარესი თავ-შიშველი სამ დღეს ვლიდეს“ (69)  
ქარგია, დიდებული ხუმრობაა!

ასევე შესანიშნავი ხუმრობაა, როდესაც ავთანდილის დავა-  
ლების შესასრულებლად ვაზირი ქრთამსა სთხოვს, ლაღობს იმ  
სიტყვებით, რაც სავალალოდ, სერიოზულად მიიღო ბევრმა შე-  
მდეგ დროშიაც:

„თქმულა: „ქრთამი საურავსა ჭოჭოხეთსა დაიურვებს“ (764,4)

ასევე ბრწყინვალე, შეფარული იუმორის ნიმუშია:

„ჭმუნვა შეექმნა, თქვენც იცით, ხელმწიფე ნებიერია“ (289,1)

ნებიერია ისეა ნათქვამი, მკითხველს საამოდ გააღიმებს.

არაბეთს რომ იქორწინეს, ტარიელი ავთანდილს მიმართავს,  
ნუ წამოხვალ ჩვენთან ერთად, აქ დარჩიო. მომაჯადოებელია  
აქაც მეგობართა ხუმრობა ანუ ლაღობა:

„შაგითა შენგან არ მოვილორებო“ — მიუგებს ავთანდილი  
და გააგრძელებს:

„არ დია გინდა დამაგდო, წახვიდე ჩემად მზრახავად!

„ცოლი უყვარსო, გამწირა, იყო ამისად მსახავად“ (1565),

თავის საყვარელ გმირებთან ერთად ხარობს ავტორიც:

„ტარიელს უგავს სიცილი ბროლისა

ვარდთა ფრქვევასა“ (1566,1)

ასეთია ხუმრობა და ლაღობა „ვეფხისტყაოსანში“. ახლა  
გავარჩიოთ ამის საპირისპიროდ ტირილი და მწუხარება, ცრე-  
მლთა დენა. სიცილი რომ ასე ზომიერი, თავშეკავებულია, რო-  
გორია მისი საწინააღმდეგო მოვლენა — ტირილი?

## „რა აბირღის, აბირღიან...“

ძნელი არაა იმაში დარწმუნება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ტირილი და ცრემლისღვრა გაცილებით მეტია, ვინემ სიცილი და სიხარული. ზევით უკვე გვქონდა საშუალება ზოგი რამ ამის გამო გვეთქვა, ახლა ამას საგანგებოდ უნდა შევეხოთ.

პირველ რიგში ის ვნახოთ, რას ამბობს პოეტი ტირილისა და ცრემლისღვრის თაობაზე. ამას იმ მიზნით ვაკეთებ, რომ უფრო რელიეფურად, აშკარად გამოჩნდება შეუსაბამობა „უსარგებლო ცრემლთა ღენის“ შესახებ პოემაში არაერთგზის დამოძღვრასა და ფაქტობრივ მდგომარეობას შორის.

„ასმათ უთხრა: „ცრემლით, ლომო,

მაგა ცეცხლსა რა ერგების“ (301,1).

შემდეგ ვნახავთ, რომ ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ არც თვითონ ასმათი, არც მისი მეგობრები ამ რჩევას არ მიჰყვებიან.

ავთანდილიც საკუთარ თავს ასევე მიმართავს:

„აწ ტირილი არახ მარგებს,

ცუდად ცრემლნი რასა მდიან?“ (192,4).

მეორედ რომ მოუხნდა ავთანდილს წასვლა (ტარიელის დასახმარებლად) და ანდერძი დაუტოვა როსტევანს, იმ ანდერძში თვით თავის გამზრდელს ჰკადრა თათბირი:

„არას გარგებს სიმძიმოლი, უსარგებლო ცრემლთა ღენა;

არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა;

წესი არის მამაციისა მოჭირვება, ჳირთა თმენა,

არვის ძალ-უც ზორციელსა განგებისა გარდავლენა“ (795).

გამოკვეთილად, წმინდა რუსთაველურად არის ნათქვამი და ჩამოყალიბებული. რუსთაველის ეს შეგონება-აფორიზმი საუ-

კუნეების განმავლობაში ჩაესმოდათ ჭირში მყოფ ადამიანებს, რამდენ კაცს დაუშოდღვრავს ბედუკულმართობის ჟამს მოკეთე და მოყვარე ამ დიდებული სიტყვებით. მით უფრო საოცარი არ არის, რომ თვითონ რუსთაველის გმირები არ მისდევენ ამ სწავლება-სიბრძნეს. ისე კი, როგორც ნაწილობრივ ზევითაც ვნახეთ, ერთმანეთს დარიგებებს არ აკლებენ — ნუ ტირიო. მოვიყვან კიდევ რამდენიმე მაგალითს. ასმათი მეგობრულად ტუქსავს ავთანდილს:

„დადუმდი, ვარდას ნუ აზრობ, ცრემლითა ნუ ითოვნების“ (259,4)  
ამის თქმიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ კი

„დიდხანს იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან“ (266,2).  
ეს შაოსანი ქალია ასმათი, ცოტაც და

„ცალ-ყრდ ზის და პირსა იხოკს ქალი მისი შენამქვერეტი“ (169,4).  
ნესტანიც ასევეა განსწავლული ამ სიბრძნეში:

„ბედითი ბნელა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?“ (377,1).  
„ჭობს, ცუდად ნუღარა სტირ,

ვარდი კვლამცა რად დასტენე“ (379,3)

მიუხედავად იმისა, რომ ყველამ კარგად იცის „უსარგებლო ცრემლთა დენის“ ამბავი, მაინც ყველანი ტირიან, ტირიანო, რა სათქმელია! — გამუდმებით და ზედმეტადაც ტირიან!

კიდევ უნდა ვიკითხოთ, როგორც ზევით ანალოგიურ შემთხვევებში, — რაშია საქმე? გვაქვს რაიმე საბუთი ვივარაუდოთ, რომ ისეთი ავტორი გვაყვდეს, ასე მარტივად ეშლება, ერთს წერს, მეორეს აკეთებს. არა! ასეთი ვარაუდი უსაფუძვლოა. ისევ ის უნდა ვთქვათ, რომ აქაც რაღაც ღრმა ჩანაფიქრი აქვს დიდებულ რუსთაველს, ესეც რაღაც საიდუმლოსთან არის დაკავშირებული. ეს ვიფიქროთ, ასე სჯობია და ამ გეზს, როგორც ზევითაც ვთქვი, გავყვეთ, ვინძლო მან მიგვიყვანოს საჭირო ადგილას.

ამ მიზნით ვნახოთ თუ როდის, რა მიზეზით ტირიან და რამდენად მართალია, რომ ზედმეტად, გადაჭარბებულად ტირიან. არა მგონია საჭირო იყოს განსაკუთრებით შევაჩეროთ ყურადღება იმაზე, რომ ჩვენ რუსთაველის ნაწარმოების პერსონაჟებთან, მართლაც რომ გმირებთან გვაქვს საქმე და სწორედ ეს უსვამს ხაზს მათი ტირილის გადაჭარბებულობასა და

ზედმეტობას. არა! თუ არ აღმოჩნდა, რომ ამ ტირილს სხვა გამართლება და ახსნა აქვს, ისე იძულებულნი ვიქნებით ვალია-როთ, რომ ეს ზედმეტად მტირალა გმირები ამ მხრივ აფუქებენ მათ შესახებ შექმნილ შთაბეჭდილებას — ეს მათ არ შეჭფერიო.

„დასაწყისში“ — პროლოგშივე თვალში საცემია ტირილი და ცრემლი:

„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული“ (4,1)

„მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის

ცრემლი გვდის შეუშრობელი; “(7,1)

შემდეგ თინათინი ატირდა სრულიად მოულოდნელად

„ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს“ (46,1), აქაოდა, მე არა ვარ ღირსი მამის ტახტზე ჯდომისაო

„ამად ტირს, ბაღი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა“ (47,2).

ახლა, აქ, არაფერს ვამბობ იმის გამო, რამდენჯერაა ამ სიტუაციაში დაღრეჯა და დაღრეჯილობა. სულ მალე ისევ ტირილი, ახლა უკვე იმ უცნაურ მოყმესთან დაკავშირებით, რომელიც ნახეს „ჯდა მტირალი წყლისა პირსა“ (84,1) „თავ-ჩამოგდებით მტირალი“ (86,2). „ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდულრად ანატირსა“ (84,4).

თავისი ბედით კმაყოფილია ავთანდილი, რომელსაც იმ უცხო მოყმის საძებნად წასვლა აქვს ნაბრძანები, რასაც ისე მიიღებს, როგორც ნამდვილ რაინდს შეჭფერის, ოღონდ ეს ტირილი რაღაა!

„საწოლს დაწვა, ტირს,

მტირალსა ცრემლი ძნელად ეხოცების“ (140,1).

„ცრემლსა ვითა მარჯალიტსა ჰურის ვარდისა დახანაზოდ“ (141,2)

წასვლა და მიჯნურს გამორება ძნელი რომ შეექნებოდა, არაა სადავო, მაგრამ ეს სულაც სატირალი რომ იყოს, ამას თუ მოათმენინებდა ავტორი, უკეთ არ გვიჩვენებდა რაინდულ ბუნებას?! რა თქმაა, ასე მოიქცეოდა, ალბათ, სხვა ავტორი და იგი არ იქნებოდა რუსთაველი. რუსთაველმა კი სხვაგვარად განსაჯა და არა თუ ავთანდილი, როსტევეანიც ატირა:

„როსტან მისთვის აატირა გონიერი გული, ლბილი“ (146,4).

რაც შეეხება ავთანდილს, მას სრულებითაც არ ეთაკილება

შერმადინს უთხრას, რატომ არის ატირებული:

„მოუკლავარ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა,  
ცრემლი ცხელი ასოვლების ნარჯიზთაგან ვარდსა ზრულსა“ (152)

და ერთგულ შერმადინს იმას დაუბარებს, სხვა ყველაფე-

რთან ერთად:

„არ მოვბრუნდე, მომიგლოვე, მიტირე და მივაგლახე“ (157,4)

რატომ უნდა გაგვიკვირდეს, რომ შერმადინმაც

„თვალთა ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოყარა“ (160,2)

შემდეგ დაგვირდება და ამიტომ ახლავე ისიც შევნიშნოთ,

რომ ავთანდილის წასვლის გამო

„მისი სპანი გულ-მოკლულნი

ცრემლსა ცხელსა გარდმოჰყრიდის“ (174)

„თავსა იცემდეს, არ იყო გული უცრემლო, ულები“ (175,4)

წავიდა ავთანდილი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გაუშვა

რუსთაველმა თავისი საყვარელი გმირი, ვაჟკაცი რაინდი, ღირ-

სეული მიჯნური, ხომ ვიცით შემდეგ რა ვაჟკაცობას ჩაიდენს.

ეს ტირილი და ცრემლი გზაზეც მიჰყვება, მერე როგორი:

„მუნ ეძებს, ცრემლი

მტირალსა სდის ზღვათა შესართავისად“ (181,1)

შინ კიდევ მეორე რაინდი როგორ მოიქცევაო, იმასაც არ

ივიწყებს:

„ღრო გარდაუწყდეს შერმადინს, შეჰრჩენ ლაწვისა ბანანი“ (187,3)

ამაზე ფიქრობს ავთანდილი და როგორ ფიქრობს? ინებეთ

„ამას იგონებს ტირილით გონება-შეიწრებული“ (188,4)

დიდებულმა რუსთაველმა ისიც ხომ საუკეთესოდ იცის, თუ

როდის არ არის ტირილი და ცრემლისღვრა საჩოთირო, პირი-

ქით, ბუნებრივიცაა. აი ერთი ასეთი მაგალითი: ტარიელისაგან

დაქრილი ყმა მოჰყავთ, ავთანდილს შეეყრებიან:

„ტიროდეს და იჭირვოდეს, ცოტა ედგა მას, გლახ, სული“ (197,4)

ტიროდნენ სხვებიც და ესეც გასაგებია:

„ჩვენ ვართო ძმანი სამნივე, მით ვიდნთ ცრემლთა მწარეთა,

დია გვაქვს ციხე-ქალაქი ხატაეთს არე-მარეთა“ (199);

არც ესაა უცნაური, ავთანდილს რომ უხსნიან, ჩვენ თვი-

თონ მოგვინდა იმ უცხო ყმის (როგორც აღმოჩნდება — ტარი-

ელის) შეპყრობა, ეს კვადრეთო, ე.ი. ჩვენ თვითონ ვართ დამნა-

შავე, — „მით ვართ, ცრემლისა დადენით“ (205,4), ასევე „მტი-

რალნი გაუხარებლად“ (210,3) უჩვენებენ ავთანდილს — აგერ მიდისო ის უცხო კაცი.

მე ეს პასაჟი მარტო იმის გამო კი არ აღვწერე, რომ ასეთ სიტუაციაში ტირილი გამართლებულია, არამედ იმის გამო, რომ ეს ადამიანები ასე გაგვაცნო რუსთაველმა, ტირიან თავიანთ თავს, ტირიან ძმის გამო. სხვა ბევრი არაფერი ვიცი მათ შესახებ, ვიცი ის, რომ თუ სატირლად შეექმნათ საქმე, ტირილი შეუძლიათ. შემდეგისთვის დაგვირდება ამისი დამახსოვრება და სათანადო შემთხვევაში მისი მოგონება.

ახლა დავუბრუნდეთ ავთანდილსა და ტარიელს — ისინი გზაზე არიან, ტარიელმა არაფერი იცის, რომ მას ვიღაც (ავთანდილი) უკან მოჰყვება, ავტორი კი არ გვასვენებს — ისევ ტირიან, თანაც:

„მათ თვალთა ცრემლნი სდიოდეს,

მინდორთა მოსალამენი“ (218,4).

ეს „მინდორთა მოსალამენი“ ცრემლიც არ არის დასავიწყებელი, რადგან შემდეგ გამოგვადგება. ახლა წვრილად ნუ აღვწერთ, ნუ გავყვებით იმას, შემდგომ კიდევ რამდენჯერ იტირეს, ასმათმა „ზღვათა შესართავი“ ცრემლი რომ ღვარა, როცა ტარიელი ნახა გამოქვაბულში მობრუნებული, მაგრამ ისევ გამოყოფა გვმართებს ერთი მომენტისა: ტიროდნენ ასმათი და ტარიელი გულში ხელის კვრით, ტიროდნენ და „ერთმანეთსა სისხლი სწმიდეს“ (222,4). ახლა აქ ის მოვიგონოთ, „დასაწყისშივე“ რომ გვითხრა რუსთაველმა „სისხლის ცრემლი“ (4,1). ცრემლი სისხლია, ეს სხვაგანაც არაერთხელ არის პირდაპირ ნათქვამი, თუ მინიშნებით. „სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გომრისა სატები“ (267,4). ასევე: „მზე ტირს სისხლისა ცრემლითა, ზღვისაცა მეტის-მეტია“ (712,3); ან კიდევ: „სისხლმან და ცრემლმან გარევით ღაწვი ქმნის ღარად და ღარად“ (714,1).

ყველა შემთხვევის აღწერა და აღნუსხვა არც მიზნად მაქვს, არც არის საჭირო. გაეაგრძელებ მხოლოდ იმიტომ, რომ გამოვყო კიდევ რამდენიმე შემთხვევა, რაც, ვფიქრობ, შემდეგი ანალიზისათვის არის აუცილებელი.

...კიდევ ერთხელ, მერამდენედ ატირდა ასმათი, ამჯერად რატომ?

„უმა მტირალი შეებრაღა, ამაღ ცხელნი ცრემლნი ღვარნა, მაგრა უჯდა უცხოს უცხო, არ ბაგენი აუბარნა“ (245).

აქამდე ტარიელისათვის და ტარიელის გამო ტიროდა ასმათი. ახლა რუსთაველი ხაზს უსვამს მის ტირილს მისთვის ჭერ კიდევ უცხო ავთანდილის გამო — მტირალი შეებრაღა და ატირდაო. ხოლო ავთანდილმა, რაკი ეს იგრძნო, უფრო დაუწყო ხვეწნა, მუდარა, ტარიელის ამბავი გამაგებინეო, თანაც ეუბნება:

„მიჯნურისა შებრაღება ხამს, ესეცა გაიგონე“ (247,2).

„გულ-ამოხვინჩვით დაიწყო ას-კეცად ცრემლთა დინება“ (248,2) ტირილი დაიწყო მოთქმით, „ხმამალალი ძახილით“.

ამის შემდეგ პირის ხოკით, მკერდში და თავში ცემით ტირილი ტარიელისა და ასმათისა რომ არ მოვიგონოთ, უყურადღებოდ ნუ დავტოვებთ იმას, რომ ტარიელი და ავთანდილი პირველად შეხვდებიან ერთმანეთს და მაშინაც „ერთმანეთსა აუტირდეს“ (283,3), „ტირებს დიდხანს ცრემლითა ცხელითა“ (283,2); ეს არის უხმოდ, სიტყვის უთქმელად თანაგრძნობის ტირილით გამოხატვის ნიშნუში. აქ უნდა მოვიგონოთ ერთი შემთხვევა, უფრო კარგადაც რომ ააშკარავებს ტირილის მზაობას თანაგრძნობისათვის. ტარიელის საქმბნელად უგზო-უკვლოდ მავალ ავთანდილს მეკობრეები ეგონა, რამდენიმე კაცი რომ გამოჩნდა.

„უყვილა, თუ: ძმანო, ვინ ხართ? მეკობრეთა დაგამსგავსენ! მათ მიუგეს: დაგვიწყნარდი, გვიშველე რა, ცეცხლნი ავსენ, ვერა გვარგო, მოგვიმტკივნე, ჭირნი ჭირთა მოგვისავსენ, სატირელნი მოგვიტირენ, დაწვნი შენცა დაიმხავსენ“ (198).

უნდა მივაქციოთ ყურადღება — უცნობი უცნობს, თუკი კეთილი ნებისანი არიან, ტირილით თანაგრძნობას სთხოვს. ეს მეტად მნიშვნელოვანია, დამახასიათებელია „ვეფხისტყაოსნისთვის“.

არის თუ არა აუცილებელი ასე გავყვეთ ნაწარმოებს და ყველა, თუნდაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შემთხვევა ამოვწეროთ? არა, ეს არ არის აუცილებელი, მთავარი ისაა, ვიცოდეთ პრინციპულად როგორია საქმის ვითარება ჩვენთვის საინტერესო საკითხში. ამიტომ, გამოვტოვოთ თუნდაც ასეთი შე-



მთხვევები „ცრემლმან მისმან ქვანი ზერიტა“ (499,2) და მისთანები. თუ ამაში შევთანხმებით, მაშინ ბევრი რამ უნდა გამოვტოვოთ, ამისი უფლება გვექნება, თუმცა კიდევ არის ისეთი შემთხვევები, რომელთა უყურადღებოდ დატოვება არ იქნება გამართლებული.

ამას რომ ვამბობ, ავთანდილის ფრიდონთან მისვლას და მათს ერთად, ჩვეულებრივ, როგორც ტარიელთან ერთად, ტირილს არ ვგულისხმობ. ეს შეიძლება ისე, სხვათა შორის აღვნიშნოთ, როგორც თავისთავად ნაგულისხმევი — იტირებდნენ, აბა რას იზამდნენ! იტირეს კიდევაც და ამის შესახებ შოთა წერს:

„აწ ფრიდონ იწვის სიტყვითა მის ემისა ნაუბართა;  
ორნივე სწორად მოთქმიდეს მოთქმითა საქებართა,  
გულ-ამოსკვნილნი გულითა ტირან ვერ-დამთბობართა,  
მუნ ვარდსა წყლითა ცხელითა

რწყვენ ტევრთა საგუბართა“ (1005).

ავთანდილი და ფრიდონი კი არა, მთელი ლაშქარიც ტირის, მსგავსად იმისა, როგორც ტიროდა ლაშქარი ავთანდილის წამოსვლის გამო. მართალია, ახლა, როცა ფრიდონის ლაშქარი ატირდა, განსხვავებული მდგომარეობაა, ვინემ მაშინ, მაგრამ ამას სრულებითაც არა აქვს მნიშვნელობა რუსთაველისთვის.

„ლაშქართა შიგან შეიქმნა ხმა ტირილისა დიდისა,  
ზოგთაგან ზოკა პირისა, ზოგთაგან სრევა რიდისა.  
ფრიდონ ტირს, მოთქვამს ხმა-მაღლად,

გაურილი წლისა შვიდისა;

„უხანობა და სიცრუვე, ვა, საწუთროსა ფლიდისა!“ (1006).

არც აქ თავდება ტირილი, ფრიდონ კიდევ დიდხანს მოთქვამს „მოთქმითა შვენიერიითა“, მაგრამ ახლა ამას თავი დაუანებოთ. როგორც უკვე ვთქვი, ეს შეიძლებოდა სულაც გამოგვეტოვებინა, რადგან ფრიდონიც ხომ ისევე მოიქცეოდა, როგორც ტარიელი და ავთანდილი, ე.ი. ისიც ისევე იტირებდა — ისედაც ვიცოდით, რაც იქნებოდა — „გაამრავლნეს ცრემლთა ღვარნი“ (1024)..

ფრიდონისაგან დიდი პატივით მიღებული და გამოცილე-

ბული ავთანდილი წავიდა ნესტანის საძებნელად, რა თქმა უნდა, ზედმეტი იქნება შეხსენება მკითხველისათვის, რომ გზაზეც ტიროდა

„ღღისით და ღამით მტირალი იღვრების

ცრემლთა ფონითა“ (1027,3)

ზღვის პირს შეხვდნენ მოქარავენნი. ვინ არიან? შეხედეთ, რუსთაველს რა შეუძლია

„გარდახდა, ჰკადრეს: „ჩვენ ვართო მობაღდადენი ვაჭარნი, მაჰმადის სჯულის მჭირავნი, აროდეს გვისვმან მაჭარნი“ (1031)

ასე მოკლედ, ასე ჩამოსხმულად და რამდენი რამეა თქმული! ასეთ გენიოსს ეშლება, არ იცის როგორ გამოთქვას და, ამიტომ; სადაც არაა საჭირო, იქაც გამოუდის, მაგალითად, ტირილი? ამის დაჭერება არ შეიძლება, ყველა შესაძლებლობა თუ ამოიწურება, სხვა გზა არ იქნება, იძულებული გახდები — მაშინ, რა უნდა ქნას კაცმა, რომც არ გვჯეროდეს, უნდა გაჩუმდე. ისე კი არ შეიძლება გაფიქრებაც კი, რომ ის უსაზღვრო, ყოველგვარ ზომას გადამეტებული ტირილი, მოთქმა, ცხვირპირის ზოკვა და სხვა მისთანანი უმიზნოდ ჰქონდეს მოტანილი პოეტს, რომლის მიერ სიტყვის ფლობა ზედა ზღურბლს არის მიღწეული.

ეს ვაჭრები მეკობრეების დაშინებული აღმოჩნდნენ. ავთანდილმა უშველა, დაამარცხა მეკობრეები და უსენ მისი ამხანაგებით დაიამხანაგა, ხოლო მათგან ქების პასუხად უთხრა:

„ყმამან შესთვალა: „ჰე, ძმანო, წედანცა მოგისმენია,

ღმერთსა შეესმა ნაკადი, რაცა თქვენ თვალთა გდენია,

მან დაგარჩინა; მე რა ვარ? მე, გლახ, რა მომიღხენია!

რა გინდა მომცეთ, რას ვაქმნევ? მე ვარ და ჩემი ცხენია!“ (1055)

ტირილით ამ ვაჭართაც უტირიათ თურმე, ცრემლი იმდენი უღვრიათ, შეუსმენია გამგებელს. ამათი ტირილიც დასამახსოვრებელია. შემდეგ ვნახავთ, რომ საჭიროა. ავთანდილი კი ვაჭრულად გადაცმული მივიდა ზღვათა სამეფოს — გულანშაროს, ვაჭართა ქალაქს, სადაც „სმა, გახარება, თამაში, ნიადაგნ არს სიმღერები“ (1066,2), სადაც დიდ-ვაჭარნი „ოყიდიან, გაყოფიან, მოიგებენ, წააგებენ“ (1007,2), ვაჭართა უხუცეს უსენს „ძღვენსა სძღვნიან“, ხოლო „ფატმან ხათუნ შინა არის, ხათუნი

და ცოლი მისი, პურად კარგი მასპინძელი, მხიარული, არ თუ  
შქისი“ (1071).

ფატმანის ამბავი იცის მკითხველმა. მას რუსთაველი დედო-  
სა მჯობნ დედას უწოდებს, ნესტანისაგან ნათქვამით, იმის გა-  
მო, რომ განიცადა ფატმანმა ნესტანის ბედი და უბედობა, რა  
თქმა უნდა, უთანაგრძნო და ბევრჯერ, როგორც წესია, იტირა  
და ცრემლი ღვარა. ისე, ჩვენს შორის დარჩეს, ფატმანმა იმის  
გამოც იტირა, ავთანდილი რომ შეუყვარდა (1082). შემდეგაც,  
როდესაც საქმეს კარგი პირი გამოუჩნდა, ავთანდილისაგან თა-  
ნხმობა მიიღო სამიჯნურო წერილზე, „მიუწერა: კმარის, რაცა  
უშენომან ცრემლი ვლამე“ (1096,2). სულ მალე ვითარება შეი-  
ცვალა; ფატმანს დაემუქრა მისივე საყვარელი „ისი კაცი ქაშა-  
გირი“, დაშინდა ფატმანი და

„ფატმან შექმნა თავსა ცემა, დაწვნი ესხნეს ნახოკარნი;  
ცრემლთა, მისთა მონადენთა, წუაროსებრნი ისმნეს წკარნი“ (1102)

მოკლედ რომ ვთქვათ, ფატმანიც მტირალთა ჯგუფის სრუ-  
ლუფლებიანი წევრი აღმოჩნდა, თუმცა მისი სტიქიაა დროს-  
ტარება „მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის-მს-  
მელი“ (1077,3), თვითონვე ამბობს — „ვომღერდი და ვყმაწვი-  
ლობდი“ (1125,4). ამიტომ სულაც აღარ გვიკვირს, როგორც  
ზევით აღარ გვიკვირდა ფრიდონის ტირილის გამო, რომ ფატ-  
მანი ავთანდილს ნესტანის ამბავს ისე უყვება, თვითონაც ცრე-  
მლად იღვრება და ავთანდილსაც აატირებს (1137), იმასაც არ  
დაივიწყებს, რომ ნესტანი „გულ-ამოხვინჩვით ატირდა“ (1140,2),  
როცა საკუთარი ამბის მოყოლა დაიწყო ფატმანთან. შემდეგ,  
მით უფრო:

„ღღე და ღამე გაუწყვედლად ტირილი და ცრემლთა ფრქვევა!  
შევეხვეწი: „დადუმდიო“, წამ ერთ ჰქონდის ჩემი თნევა.

აწ უმისოდ ვით ცოცხალ ვარ, ჰაი ჩემთვის, ვაგლან მე, ვა!“ (1145)

ასე უყვება ფატმანი ნესტანის ამბავს და ამატებს:  
„უამი ჯერ ვპოვე კითხვისა ნიადაგ ცრემლთა ღვრისაგან“ (1147,1)

შემდეგაც სულ ასეა:  
„შევე, ვნახე იგი ტურფა მტირალად“ (1174,1),

„გადმოყარა ცრემლი ხშირი“ (1176,1) და ა.შ.

უსენისაგან, თუმცა ფიციტ ჰქონდა მას პირობა დადებუ-

ლი, ზღვათა მეფემ შეიტყო ფატმანთან ნესტანის ყოფნა. დიდებული შვილი ჰყოლია ზღვათა მეფეს, მისთვის მოისურვა ნესტანი, ამან კი შორს დაიჭირა ეს ამბავი, გაპარვა მოახერხა და საბოლოოდ ქაჯების ტყვე შეიქნა...

... და აი, გარდახდათ დიდი ამბები, მეგობრებმა ნესტანი გაათავისუფლეს, ზღვათა სამეფოში მივიდნენ ფატმანთან. ტარიელმა დამორჩილებული ქაჯეთი ზღვათა მეფეს უბოძა, ქაჯეთის მთელი სიმდიდრე — ფატმანს. დამხდურებმაც გაიღეს დიდი საბოძვარი. რით არის გამართლებული, რომ ტარიელი ასაჩუქრებს ზღვათა მეფეს, რომელიც ქაჯების მიერ ნესტანის დატყვევების ერთგვარად მაინც მიზეზია? პასუხის ნაცვლად მოვუსმინოთ რუსთაველს, როგორ აღწერს იგი ზღვათა სამეფოდან წამოსვლას:

**„მეფემან ნავო-ხომალდი მოკაზმა ზღვისა კიდესა.**

**გამოემართა ტარიელ, გამყრელნი ცრემლსა ღვრიდესა,  
თავსა იცემდეს, იგლეჯდეს, თმა-წვერსა გაიყრიდესა,  
ფატმანის ცრემლთა შედენით თვით ზღვაცა გაადიდესა“** (1447)

ამრიგად, ზღვათა სამეფოშიც ისეთივე მეცრემლე ხალხი ყოფილა! ისეთივეო, რომ ვამბობ, ამას რუსთაველი გვხდის ვალდებულს ასე ვთქვათ, რადგან, რომ არაფერში შევცდეთ, რამდენიმე სტროფის შემდეგ აგვიწერს ანალოგიურ ცრემლთა ფრქვევას, ოღონდ ამჟამად ნურადინ ფრიდონის სამეფოში:

**„მუნ ატირდეს ყველაკანი, რა ტირილად იგი ნახეს“** (1457,1)  
ფრიდონ კი ატირდა ქაჯეთს დაღუპული მისი მეომრების პატივისცემით, რუსთაველი განაგრძობს:

**„აგთანდილცა მიუმტკივნა, იტყვის დიდსა ხიმძიმოლსა“** (1459,1)

ახლა კი შეიძლება დავსკვნათ. რუსთაველის გმირები ტირიან ყველა შემთხვევაში, ტირიან ყველა სახითა და ფორმით (როგორც ეს ზევით ვნახეთ, სიცილსა და ლაღობაში მეტად თავშეკავებულნი არიან), ტირიან საკუთარ სატყვიარს, სხვის მწუხარებას, ტირიან სიხარულის ჟამსაც, ტირიან მაშრიჩნი და მალრიბელნი...

როგორც ზევით ვთქვი, იმდენად ბევრია ცრემლი რუსთაველის პოემაში — აშკარად ჟარბია, ან რალაც ჩანათფიქრი უნდა იყოს, რომლითაც ეს იქნება გამართლებული, ან ...

## „კასი არ ყველა სწორია...“

და არიან რუსთაველის პოემაში ისეთებიც, რომლებიც სულაც არ ტირიან, ან თუ ტირიან — იშვიათად.

ვინ არიან ისინი? ეს ისეთი საკითხია, დეტალურად უნდა გაირჩეს.

დავიწყოთ იქიდან, თუ როგორ იტირეს ერთხელ ნესტანის მშობლებმა. სატირალი კი მათ, დიახაც რომ ჰქონდათ — შვილად გაზრდილ ტარიელს გული შეუღონდა, სამი დღე-ღამის განმავლობაში გონს ვერ მოვიდა. ამის შემყურე გამზრდელებს, რა თქმა უნდა, ტირილი მართებდათ, მით უფრო, რომ პოემაში ტირიან ასეთი კი არა, სულაც უმნიშვნელო საბაბის გამო, თუ სულაც უსაბაბოდაც — საამისო მაგალითები ზევით საკმაოდ ვნახეთ, ხოლო მათი ანალოგიურის მოტანა ძნელი არაა.

ტარიელს გული წაუვიდა, ნესტანი რომ ნახა პირველად, „დავეცი, დავბნდი, წამიხდა ძალიო“ (348,2), ამბობს შემდეგ ტარიელი, მაგრამ ნესტანის მშობლებმა, ჩანს, არ იციან მისი ავადგახდომის მიზეზი — ვერავენ გაიგო, თუ რა მოუვიდა, რით გახდა ავად. ამ ამბავს, როგორც ვიცით, ტარიელი იგონებს, უამბობს ავთანდილს ასმათის დასწრებით. ამ ამბისვე მოყოლაშია ჩართული ისიც, თუ როგორ უტირიათ მაშინ ნესტანის მშობლებს, მოვიტანოთ ეს ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“ და დავაკვირდეთ.

„შიგან ვწევ დიდთა დარბაზთა ტურფითა საგებელითა,  
ზედ დამტიროდეს მეფენი ცრემლითა უშრობელითა,  
პირსა იხოკდეს ხელითა, დაწვისა გამპობელითა.  
მუყარნი მოასხნეს, სენითა მთქვეს გამაბელზებელითა“ (349)

ამას მოჰყვება იმის თხრობა, რომ ტარიელი, ბოლოს და ბოლოს, თვალახელილი რომ უნახავს მეფეს

„ცრემლით მითხრა: „შვილო, შვილო,

ცოცხალ ხარ-ლა? სიტყვა თქვია!“

მე პასუხი ვერა გავეცე, ვითა შმაგი, შევკრთი დია,

კვლა დაფეცი დაბნედილი, გულსა სისხლი გარდმეთხია“ (350)

ამის შემდეგ მოდის სტროფი, რომელიც რუსთველოლო-გიურ სამეცნიერო ლიტერატურაში მოაქვთ ხოლმე ერთი აზრის დასადასტურებლად — აქ რუსთაველი ყურანს და, მაშასადამე, მუსულმანობას ცუდად მოიხსენიებსო, ე.ი. ისლამის რჯული არ მიაჩნია მისაღებ სარწმუნოებადო. ეს სტროფი კი, შესაძ-ლოა იძლეოდეს ასეთი გაგების საშუალებას, მაგრამ იქნებ სუ-ლაც ასე არ იყოს, ან, არ არის გამორიცხული, როგორც ეს სხვა შემთხვევაში ხშირად გვაქვს, მას ჰქონდეს ერთი კი არა, რამდენიმე მნიშვნელობა. ეს სტროფი ასეთია:

„სრულნი მუყრნი და მულიმნი მე გარე შემომცვიდიან;

მათ ხელთა ჰქონდა მუსაფი, ყოველნი იკითხვიდიან;

მტერ-დაცემული ვეგონე, არ ვიცი, რას ჩმახვიდიან.

სამ დღემდის ვიყავ უსულოდ, ცეცხლნი უშრეტნი

მწვიდიან“ (351)

აქ ნათქვამია, რომ სამი დღე ვიყავიო უგონოდ, ამ ხნის განმავლობაში ყურანის (მუსაფის) მცოდნეები, მასწავლებლე-ბი (მუყრნი და მულიმნი) მიკითხავდნენ, მაგრამ მე არაფერი ვიცი, რას ჩმახავდნენო. ახლა ეს ვიკითხოთ — რომ ეთქვა ტა-რიელს, ვიცი რას ამბობდნენო, ეს უფრო იქნებოდა დამაჯერე-ბელი, თუ ის, რომ მან არაფერი იცის, რადგან გონზე არ იყო.

მოვიტანოთ კიდევ მომდევნო სტროფი და ჩვენს სათქმელი კიდევ უფრო გამოიკვეთება.

„აქიმნიცა იკვირვებდეს: „ესე სენი რაგვარია?

სამკურნალო არა ხჳირს რა, სევდა რამე შემოჰყურია“.

ზოგჯერ შმაგად წამოვიჭრი, სიტყვა მცთარი წამერია.

დედოფალი ზღვასა შეიქმს, მას რომ ცრემლი დაუღვრია“ (352)

ხომ გასაგებია — ექიმებმაც ვერ გაარკვიეს რა სენი მქონდა, მე კი შმაგივით ვიყავი, ვბორგავდი და მცდარ სიტყვასაც ვამბო-ბდი (ე.ი. ვბოდავდიო). ამგვარ მდგომარეობაში მყოფი ტარიე-ლი ამბობს — დედოფალს რამდენი უტირიაო.

რა არის ეს? ზევით უკვე დავსვი კითხვა — დაეჭვრება თუ არა ასეთი მდგომარეობის კაცს? ახლა იმას დავაკვირდეთ, რუსთაველი რა ფორმას ხმარობს: მეფენი ზედ დამტიროდნენო, ცრემლით მითხრაო, დედოფალმა ბევრი ცრემლი ღვარაო. ეს არის თვითონ ტარიელის მიერ ნანახი თუ არა? ამას ვერ ვიტყვით. უფრო ის უნდა ვთქვათ, რომ ტარიელს ან ასე უთხრეს მას შემდეგ, რაც ის გამოკეთდა და იგი ახლა ამას იმეორებს, ან ტარიელს ასე აქვს წარმოდგენილი — იტირებდნენ, ძალიანაც ბევრს იტირებდნენ, რადგან ისე ცუდად ვიყავი, აბა სხვაგვარად როგორ იქნებოდაო. ტარიელს ხომ არც შეიძლება ადამიანი სხვაგვარად წარმოედგინა! ადამიანი ასეთ დროს უსათუოდ ტირის — ასეთია მისი სრული რწმენა და იგი ამ რწმენით ელაპარაკება ავთანდილს. არის მერე ეს მართლაც ასე? მართლა იტირეს თუ არა ნესტანის მშობლებმა მაშინ? ეს, როგორც ვხედავთ, გარკვეული არაა.

ამ ამბის მოყოლა გამოქვაბულში ხდება, ამას ესწრება ასმათი. „ასმათ, შენცა ხარ მოწმეო“ (321,1) ტარიელი ავთანდილს თავის თავგადასავალს რომ მოუთხრობს, ასე იმოწმებს ასმათს. დამოწმება სწორედ ახლა იყო საჭირო, რადგან ტარიელს არ შეიძლებოდა დანამდვილებით სცოდნოდა ამბავი, რომელსაც ამბობს. რუსთაველი დუმს — ასმათის დამოწმება არ ჩანს. მხოლოდ ასმათს შეეძლო დაემოწმებინა ამ ამბის სიმართლე. მაგრამ ეს არ გააკეთა რუსთაველმა. დავრჩით გაურკვევლობაში — არ ვიცით, მართლა უტირიათ ნესტანის მშობლებს მაშინ, თუ ტარიელს ჰგონია ეს ასე. ზევით ხომ ვნახეთ, ქაჭებთან დაკავშირებით, რვაასი წლის განმავლობაში რომ ვკითხულობდით ქაჭების დამარცხებას, ეს თურმე უეჭველი არ ყოფილა. ახლა მეორე მსგავსი შემთხვევა გვაქვს.

ახლა ის გავარჩიოთ, არის თუ არა ეს პრინციპული მნიშვნელობის მქონე? რატომ უნდა გაეხადოთ ეს საეჭვოდ, ნათქვამი არის უტირიათო, ჩვენც ამას მივენდოთ და გავაგრძელოთ შემდეგ. არა! ასე არაა საქმე! რუსთაველი, როგორც არაერთხელ აღვნიშნე, ასე უსაფუძვლოდ და ჰაი-ჰარად არ წერს. რადგან მან საეჭვო მდგომარეობა შეგვიქმნა, ეს ეტყობა, მისი ჩანაფიქრის მიხედვითაა და აჯობებს, ვეცადოთ ამ ჩანაფიქრს ჩავუ-

ხვდეთ. ამიტომ ექვის უსაფუძვლობაზე დასკვნის გამოტანას ნუ ვიჩქარებთ.

აგერ, ვნახოთ შესანიშნავად აღწერილი შემთხვევა, იქ ხომ შეიძლება შევამოწმოთ ჩვენი დაექვება. ტარიელი იგონებს თავისი მამის სიკვდილის ამბავს:

„მამა მომიკვდა, მოვიდა დღე სიკვდილისა მისისა;  
ქმნა გაუცუდდა ფარსადანს ნიშატისა და ნიშისა;  
მათ გაეხარნეს, ვის ზარი დაღვედის მისგან შიშისა;  
ერთგულთა შექმნეს ვაება, მტერთა-ხსენება იშისა“ (334).

ტარიელის მამა სარიდან უერთგულესი კაცი იყო ფარსადანისათვის; „წავალ და ფარსადანს შევეწყნარებო“ (313,4), შეეწყნარა კიდევაც, მისი შვილი ტარიელი კი ფარსადანმა შვილივით გაზარდა.

„ერთგულთა შექმნეს ვაებაო“, რუსთაველი რომ წერს, ეს ვაება, თუ ვინმეს ეკუთვნოდა, პრიველ რიგში ხომ ფარსადანს ეკუთვნოდა. პოემაში კი არ ჩანს, რომ მან იტირა ამ მდგომარეობის გამო. მოვიყვანოთ სათანადო სტროფი:

„შე წელიწდამდის ბნელსა ვჭე საწუთრო-გაცუდებული,  
დღისით და ღამით ვვაებდო, ვერვისგან სულ-დაღებული;  
გაყვანად ხანსი მოვიდეს, მითხრეს მეფისა მცნებული,  
ებრძანა: შვილო ტარიელ, ნუ ხარ შავითა ღებული“ (335).

არ ჩანს ტირილი. ისე, უბრალოდ მაინც ტირილი, თორემ ჩვენ ზევით ხომ ვნახეთ ასეთ შემთხვევაში ტირილის რა ფორმებია მიღებული პოემაში. მოვიგონოთ, ფრიდონთან რომ მობრუნდნენ, ყველა ატირდა იმის გამო, ქაჭეთის ციხის აღებას ფრიდონის მეომრები შეეწირაო. იტირეს, იგლოვეს, ავთანდილმა ყველა წესის დაცვით მიუსამძიმრა (რა თქმა უნდა, ტიროდა თანაც) მეგობარს. ისინი, ვინც ასე დაიტირეს, იყვნენ რიგითი მეომრები. აქ კი კაცს მეგობარი მოუკვდა, თანაც ეს მიცვალებული მისი შვილის — ტარიელის მამაა, ეს შვილი დღე და ღამე ვაებაშია, ეს მეფე ფარსადანი კი არ ტირის, არც დედოფალი ტირის. პოემაში არა მარტო მიცვალებულის გამო, თანაგრძნობის გამოც ხომ ტირიან! ესენი კი არა!

ეს რაც შეეხება ფარსადანს.

ახლა მისი და, დავარი ვნახოთ.

მას ცრემლი არასოდეს ჩამოვარდნია. სატირალი კი ბევრი



ჰქონდა — თუნდაც ის, რომ მისი გაზრდილი ნესტანის საქმე მიდიოდა ცუდად, ეს ზომ უნდა ყოფილიყო საკმარისი, რომ ეტირა ქალს, იმ ნაწარმოებში, სადაც გაცილებით ნაკლები მიზეზის გამო, ვაჟაკებიც კი ცრემლად იღვრებიან.

ავტორი ასე წარმოგვიდგენს საქმის ვითარებას:

„მაშიდაი ქაჯი იყო, გრძნეულობა იცის კარგა,  
მით შემართა საშინელი, მზე ხმელეთსა დაუკარგა;  
თვითცა მოკვდა უბედური, მართ საცოცხლოდ

არად ვარგა;

ოგი ქალი დაიკარგა, ალვა მორჩი სხვაგან დარგა“ (1585).

მოკვდა, უბედურიო, თითქოს რომ იცოდებენ დავარს მთ-  
ხრობელები, ეს ნუ გაგვიკვირდება — საქმე მეფის დას შეეხება  
და აქ სხვაგვარად ლაპარაკი არ ეწყობა, ისე კი სასიცოცხლო  
მანძი არ იყო, რადგან მისი სწავლება-აღზრდის ბრალად მი-  
აჩნდათ ნესტანის გადაკარგვა. თვითაც მოკვდაო, ისე ამბობენ,  
როგორც შეჰფერის იმ სიკვდილს, რომლის დროს ცრემლის  
ღვრა არ ყოფილა.

ახლა ეს ადგილიც მოვიგონოთ:

„დავარ მოთქმიდა სიტყვითა,

რომელნი არა მსმენოდესო“ (577,3).

და მართლაც, პოემის მიხედვით სავსებით ცხადია, მოთქმა  
დაკავშირებულია ტირილთან, აქ კი, მართლაც გაუგონარი მო-  
თქმა ხდება:

„ბოზო, შენ ბოზო, რად მომკალ?

ვექვ შენცა არა გლხენოდეს“ (577,4).

ამას ამბობს ნესტანის გამზრდელი! იმას კი არ დარდობს,  
შენ რალა გეშველებო, შენ დაიღუპეო, ჩემო გაზრდილო. არა!...  
და რომ გაძღა ნესტანის „ცემითა, მისითა დაღურჯებითა“ (580,1),  
უგულოდ გასწირა სიკვდილზე უფრო მძიმე ხვედრისათვის —  
გადაკარგვისთვის, იმისათვის, ისეთი ხვედრისთვის, რომელსაც  
თვითონ მან სიკვდილი არჩია: „ვინმე მომკლავდეს, მოკვკვდე-  
ბიო“, დანა დაიცა.

და ყოელივე ეს მოხდა ტირილისა და ცრემლის გარეშე.

„ვეფხისტყაოსანში“ არის კიდევ ერთი, უალრესად მნიშვნე-  
ლოვანი სიტუაცია, როდესაც ყველა ტირის, გარდა ერთისა —  
ეს ერთი არის ნესტანის დედა, ინდოეთის დედოფალი, ფარსა-

დანის მეუღლე. ამ დროს, როგორც ვიცით, ცოცხალი აღარაა ფარსადანი და, ამდენად, გადარჩა გამოცდას — არავინ იცის, იტირებდა თუ არა იგი. თუმცა, რატომ არ ვიცით? რომ ვთქვათ, არა, არც ის არ იტირებდაო, ვითომ არ ვიქნებით მართალნი? რუსთაველი გვაძლევს ამის უფლებას და სხვამ ვინ უნდა დაგვიშალოს! გვაძლევს იმით, რაც ზევით უკვე ითქვა, იმის მიხედვით და კიდევ შემდეგით: რუსთაველი ვაჭრების პირით ამცნობს უკვე შეუღლებულ და სამშობლოს მობრუნებულ ნესტანსა და ტარიელს იმის შესახებაც, თუ როგორ მოკვდა ნესტანის მამა, მეფე ფარსადანი.

„მეფე გაშაგდა მათისა უღონო-ქმნილი ძებნისა;  
ვად შეიცვალა ინდოეთს ხმა წინწილისა, ებნისა;  
ცოტასა ხანსა გა-ვე-ძლო დება სახმილთა გზნებისა,  
აწ თვითცა მოკვდა, შეიქმნა ბოლო სრვისა

და ტკებნისა“ (1587)

ახლა აქ ის რომ წერია, „ვად შეიცვალაო“, ე.ი. სიხარული ინდოეთში მწუხარებამ შეცვალაო, ეს სხვა ნაწარმოებში იკმარებდა კიდევაც იმისათვის, რომ გვეგრძნო თვითონ ფარსადანის მდგომარეობაც, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“, სადაც, როგორც ვნახეთ, რუსთაველი — ახლა პირდაპირ ვიტყვი — შემთხვევას არ უშვებს ტირილისა და ცრემლის გარეშე, ეს ამ ნაწარმოებში არ გვაძლევს უფლებას ვიგულისხმოთ, რომ ფარსადანს უტირია თავისი შვილების გადაკარგვის გამო, მით უფრო, ვიფიქროთ, ბევრი უტირიაო. არ არის ეს ნაწარმოების მიხედვით! რატომღაც ასე ჩათვალა საჭიროდ რუსთაველმა და მან კი იცის რას წერს, რისთვის წერს, სად რა თქვას და როგორ თქვას.

ახლა მივუბრუნდეთ ნესტანის დედას და ვნახოთ, თუ როგორ მოხდა, რომ მან ახლაც არ იტირა. მაგრამ იქნებ ის ვთქვათ ორიოდ სიტყვით მაინც — ნესტან-დარეჯანი როგორ შეხვდა ამბავს მამის სიკვდილის შესახებ?

„რა ვაჭარმან ესე სიტყვა თქვა, საქმენი გააკვლადნა,  
ქალმან დიდნი დაიკვილნა, ფიცხლა თავსა მოიხადნა;  
ტარიელცა დაიზახნა, დაფარულნი გააცხადნა;  
ნარჯისთავან ნაწვიმარე ღვარი ადგა, თოვლი გადნა“ (1588).

„მომკალ, ქალსა თავ-შიშველსა თუ მზე ვითა ეურჩოსა!  
სული ვარდსა დავამსგავსე, თავ-მოხდილი — ყაყაჩოსა.  
თუ ბრძენიცა მაქებარი მისი იხმობს ვირებრ „ჩოსა“,  
ჭგავს, თუ ტყუბი მარგალიტი ზის ბროლისა ხარაჩოსა“ (1589).

ასეთი სურათის აღმწერელი რუსთაველი სიტყვას დაიშურებდა, ოდნავ მაინც არ გვაგრძნობინებდა ფარსადანის მწუხარების ამბავს, მას საამისოდ რომ ჰქონდეს საქმე? არა, რუსთაველმა ის რომ არ აგვიწერა, ამითვე გვითხრა, მას არ უტირია, ცრემლი არ უღვრიო. გვითხრა, მაგრამ არა პირდაპირ, არა საყოველთაოდ გასაგებად და ყველას გასაგონად, გვითხრა შეფარვით, გვითხრა საიდუმლოდ. თუ რატომ, ამას ვნახავთ.

ხომ საკმარისი იქნებოდა აქ რომ შევჩერდეთ, ხომ თვალწინ გვიდგას დიდად დამწუხრებული ნესტანი? რუსთაველი კი კვლავ განაგრძობს:

„ქალი საბრალოდ მამასა სტირს, ბუღბუღისა მსგავსია,  
თმა გაიგლიჯა გაყარა, ღაწვი ცრემლითა ავსია,  
ვარდი შექმნილა ზაფრანად“ და ა.შ. (1590).

ასე შემდეგო, ისე დაწვერე, თითქოს შემდეგ კიდევ არ გრძელდებოდეს შეცხადებული ტირილი. ესეც საჭიროა ვნახოთ:

„იხოჭს და იგლეჯს, ზახილით ტირს სიტყვა-ზაფი უარე;  
სისხლი და ცრემლი თვალთაგან ჩამოსდის გარე უარე:  
„მოვკვდე, მამაო, მე შენთვის შვილი ყოველთა უარე,  
ვერა გამსახურე ასულმან, ვერცა რა შეგაგუარე“ (1591).

ზევით რამდენჯერ ვნახეთ, სისხლისა და ცრემლის თვალთაგან დენა, ან სისხლად ცრემლის დენა არ არის შემთხვევითი სიტყვები. შემდეგ ისიც უნდა ვნახოთ, რომ ამასაც თავის სრულიად ჩამოყალიბებული მნიშვნელობა აქვს მიცემული ავტორისაგან და ამიტომ მეორდება ასე ხშირად:

ნესტანი კი არ გაჩერებულა:

„ჩემთვის ბნელ-ქმნილო მამაო, ნათელო თვალთა ჩემთაო.“

მზის სინათლის დაკარგვასა და ქვეყნის დაქვევას აღარებს მამის სიკვდილს. ტირის, რა თქმა უნდა, ტარიელიც.

„ტარიელ მოთქვამს: „გამზრდელი,

ჰა,ჰა, რა საქმე მსმენია!

მიკვირს, თუ მზელა რად ნათობს, რად არა დაუჩენია?!

მზე მოჰყვე ყოველთა სულ-დგმულთა, სოფელი აღარ შენია,

ღმერთსა მიჰმადლე, შემინდე,

რაცა შენ ჩემგან გწყენია“ (1593)

არა მგონია, განმარტებები იყოს საჭირო. ან ის რად უნდა იყოს გაუგებარი, რომ რუსთაველმა ერთმანეთს შეუპირისპირა იმის აღწერა, თუ როგორ ზერელედ იმწყუნხარა ფარსადანმა შვილების დაკარგვა (რაშიც მას უმთავრესი ბრალი მიუძღვის) და როგორ გულამოსკენით იტირეს შვილებმა გამზრდელი მამა, როგორ იტირეს მის წინაშე, რაც ბრალი მიუძღვით (რაც, რა თქმა უნდა, არა აქვთ!).

ამის შემდეგ რა მოხდა? ისიც გაიგეს ტარიელმა და ნესტანმა, რომ ამ ხნის განმავლობაში მათი სამშობლო, ინდოეთი, დაქვეითებულა, ახლა კი მას ხატაელთა ჯარი დასხმია. ისიც შეიტყვეს ამავე ვაჭრების ნაამბობიდან

„ქერთ დედოფალი ცოცხალა, მკვდართაგან

უფრო მკვდარია;

ობრძვის ინდოთა ლაშქარბ, თუც იმედ-გარდამწყდარია;

გარეთ ციხენი წაუხვმან, ყველაი გარდამხდარია;

მზენო, თქვენ შუქნი მიჰფინეთ, ჰაი, რა ავი დარია“ (1595).

ამ ვითარებაში, ათი წლის გადაკარგვის შემდეგ, ტარიელი და ნესტანი დაბრუნდნენ სამშობლოში. ტარიელმა ისევ აღადგინა დაქცეული სამშობლო, მოიგერია ან შემოირიგა მოსული მტერი. ავი დარი რომ ედგა, ტაროსად გადააქცია და ამ საქმეში მას გვერდით უდგანან და მისი ინდოეთისათვის მასთან ერთად იბრძვიან არაბი ავთანდილი და მულღაზანზარელი ფრიდონი.

ასეთ რთულ ვითარებაში საქმე რომ უცრემლოდ არ ჩაივლიდა, ამას რად უნდა თქმა.

„ტირან ორბივე ქალ-ყმანი... ზახილით თავსა იცემდეს...“ (1622)

არ დაივიწყა რუსთაველმა და ასე მოიხსენია კიდევ ერთხელ:

„ვითა გამზრდელსა ჰმართებდა, გაზრდილი აგრე ხელია;

რომე სდის ცრემლი თვალთაგან,

ცეცხლთაგან უფრო ცხელია;

თავსა იცემდეს, იზახდეს, ტირს მეტად გულ-ფიცხელია,

გიშრისა ტევრსა მოჰფოცხდა ბროლისა საფოცხელია“ (1623).

ტარიელის მისამართით კვლავ შეგვახსენა — ეტყობა აქაც საჭიროა — რუსთაველმა:

„სისხლი და ცრემლი თვალთაგან სდის

და მიწყობით მიღნია.

მოვიდეს, ყელსა მოეკდვნეს,

ვითა ძმანი და შვილნია“ (1624).

საბოლოოდ ასე ითქვა — ყველა ტიროდაო:

„მუნა კაცთა ვერ ჰნახავდი გაცინებით მოღიმართა“ (1625,4).

დედოფალი? დედოფალი როგორ მოიქცა ამ დროს? არ შეიძლება შეგვეშალოს, რომ ლაპარაკია ნესტანის დედაზე, ქალზე, რომელმაც ახლა იხილა შვილები, რომლებიც აღარ ეგონა, თუ იყვნენ ცოცხლები, ამასთან იმ დროს იხილა, როცა მისი სამფლობელო ნადგურდებოდა — „ჰაი, რა ავი დარია“, „იმედი გადამწყარია“, ვაჭრებიც რომ ამბობენ ამრიგად, გამოჩენილი შვილები, ამავე დროს, სამეფოს მხსნელებიც არიან. მოვუსმინოთ რუსთაველს:

„დედოფალი გამოჭრილი მოვიდოდა მათად ნახვად,  
უბრძანებდა: რად ვინ სტირთო —

ესე ჰქონდა წყრომა-ზრახვად,  
— ღმერთმან რისხვა მოაქცია წყალობისა გამოსახვად,  
გვმართებს, რომე შადლი მივსცეთ,

აღარა გვცალს გლოვა-ახვად“ (1626).

როცა, ბოლოს და ბოლოს, დედამ და შვილმა ნახეს ერთმანეთი, მაშინაც ასე მოიქცა დედოფალი:

„ქალმან დედასა შესტირნა: „ჰაი, მე, რა ვქმნა, დედაო!

წითელ-ყვითლითა დაგაგდე, აწ შაოსანსა გხედაო,

მამამან ტახტი დაცალა, აღარსადა ზის ზედაო!“

დედამან ცრემლნი მოსწურნა:

„ნუ სტირ, დადუმდი ბედ-აო“ (1628)

არ ტირის დედა, გაჩუმებულია, ვითომ რაღაც წესს იცავს, სხვებსაც აჩუმებს.

რუსთაველიც არ ეშვება წესსა და რიგს:

„ავთანდილ და ფრიდონ ჰკადრეს

დედოფალსა მიმტკივნება“ (1631,1).

გვეუბნება სრულიად აშკარად — დედოფალს ჰკადრეს მიმტკივნება, ე.ი. მიუსამძიმრესო. იქ, სადაც მისამძიმრება არსებობს, თანაც როდესაც სამძიმარს ქალს ეუბნებიან, ისიც ქმრის, ამასთან მეფე ქმრის გამო თქმულ სამძიმარს, იქ რომც არ იყოს ისეთი ცრემლების ზღვა, როგორც ამ ნაწარმოებშია, მაინც არის წესი ქალმა იტიროს და ისე მიიღოს სამძიმარი. ეს დედო-

ფალი კი თავისას მაინც არ იშლის:

„უბრძანა: „გლოვა გახსენით, — ქოს-წინწილასა ჰკარითო...  
ნუ ცრემლი აწანწკარითო“ (1633)

რუსთაველი ბოლომდე მიჰყვება სათქმელს, აქაც არ ჩერდება და საბოლოოდ:

„ერთსა ბრძანებს დედოფალი, მართ სიტყვასა ვითამ ათსა:  
ღმერთმან მოსრნა მტერნი ჩვენნი,

ვერ დაგვცემენ უოლ შამათსა,  
ამად შევიქმ სიხარულსა მართ გულისა საკამათსა“ (1632).

უყურადღებოდ არ შეიძლება დავტოვოთ ისიც, რომ მთელი ამ ამბის აღწერისას ერთგან ვხვდებით ამგვარ სტრიქონს:

„ტარიელ ზედა მოიქლო

მხურვალთა ცრემლთა მდენელმან“ (1627,2)

არ ვიცი რა დასკვნა შეიძლება ამ ერთი სიტყვიდან გამოვიტანოთ? არის ეს საკმარისი იმისათვის, რომ ვთქვათ, იტირაო? მაშინ რა საჭიროა იმ მართლა ტირილისა და ცრემლების ზღვის ასე დაწვრილებით აღწერა? არაფერი მნიშვნელობა აქვს ამას? მერე ის ვთქვათ, რომ ასე წერს გენიოსი პოეტი? ან კიდევ რად იმეორებს, დედოფალმა არ იტირაო, ტირილი აკრძალაო. აი კიდევ ერთი და ამით დავამთავროთ ამის შესახებ:

„მოიშორვა კაეშანი, გული მდებრი აქვიტკირა,

გლოვა ცვალა სიხარულად, აღარავინ აატირა“ (1634).

თითქოს გასაგებია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ასევე სხვა შემთხვევებში არა მარტო გლოვის, არამედ სიხარულის გამოც ხომ ტირიან და ცრემლს აფრქვევენ რუსთაველის გმირები. ამან არც გლოვის გამოსახატავად, არც სიხარულისა, არ იტირა. სიხარულმა, გაუგონარმა და მოულოდნელმა კარგმა ამბავმა მაინც რატომ არ აატირა, როგორც სხვებს მოსდით, ამ შემთხვევაში დედოფალი?!

დავაკვირდეთ რუსთაველს: ხომ თითქოს აშკარაა, დედოფალი ახლაც რომ არ ტირის, ამას ისე აღწერს, კიდევაც შეიძლება იფიქრო დედოფლის მისამართით კეთილი და არა აუგი. ნახეთ რამდენი რამ თქვა ავტორმა, როგორ ცდილობს გაამართლოს ის, დედოფალი თუ რატომ არ ტირის. ცხადია, მას, რუსთაველს, სრულებითაც არ უნდა ესეც იყოს ყველასათვის გასაგები და თვალსაჩინო. ერთი მხრივ, უნდა ჩანდეს, მეორე

მხრივ — არ ჩანდეს. იყოს დაფარული, ესაა მისი ჩანაფიქრი და ამას აკეთებს კიდევაც.

როგორც ცნობილია, რუსთაველს აქვს მრავალთაგან ერთი აფორიზმად ქცეული ფრაზაც:

„კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“ (952.4).

ამ სიტყვებს რუსთაველი ავთანდილის პირით ამბობს. ასეც რომ არ იყოს, ამაში რომ განსაკუთრებული მნიშვნელობის აზრი აქვს რუსთაველს მოცემული, ეს შეიძლება მტკიცების გარეშეც დავიჭეროთ. მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ სიტყვების მნიშვნელობის ბოლომდე გააზრება და, მაშასადამე, დასაბუთებაზე დამყარებული დაჭერება შესაძლებელიც არის და აჯობებს კიდევაც.

ის ფაქტი, რომ რუსთაველის პოემის პერსონაჟების ერთი ნაწილი უხვად ღვრის ცრემლს, ხოლო მეორენი ამ მხრივ მათგან დიდად განსხვავდებიან, არ უნდა იყოს უმნიშვნელო. ყოველ შემთხვევაში, „კაცი არ ყველა სწორია“ ამ მხრივაც გვახსოვდეს, ხოლო რა მანძილია ნამდვილ, როგორც ვიტყვით ხოლმე, კაცურ კაცსა და არაკაცს შორის, ამას, ცხადია, მარტო ამ ერთი მონაცემის საფუძველზე ვერ დავადგენთ, ახლა დროებით ისევ მივუბრუნდეთ იმ ცრემლთაღვრის ამბავს, რადგან ერთი მნიშვნელოვანი პასაჟი გამოტოვებული გვაქვს განხილვის გარეშე.

ეს ის სიტუაციაა, ფატმანისაგან ავთანდილისთვის ნაამბობი, თუ როგორ გააპარა მან ნესტანი ზღვათა სამეფოდან, რადგან იქ საშიშროება წარმოიშვა. გაქცევით თავს უშველა ნესტანმა — გადაარჩა ზღვათა მეფის შვილზე გათხოვებას, მაგრამ წასულ ნესტანს გზად ქაჯები გადაეყარნენ და დაატყვევეს. ნესტანი თავს შველოდა და გზაზე იმიტომ იყო, საკითხავი ისაა, სად მიდიოდნენ მაშინ ის ქაჯები? ქაჯები მიდიოდნენ სატირალში. დიახ! დაუფკვირდეთ ამასაც: პოემაში ამდენი ცრემლი რომ არის აღწერილი, ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც სატირალში მიდიან. სხვა ასეთი შემთხვევა, არაა აღწერილი, ნახსენებიც კი. ვითომ ისე მოხდა ესეც, წინასწარი ჩანაფიქრის გარეშე, შემთხვევით? არა მგონია! აქაც ავტორი სწორედ თავისი ძირითადი სათქმელის შესაბამის სიტუაციას ქმნის. სატირლად მიმავალი ქაჯებით

სურს მას რაღაც მნიშვნელოვანს გაუსვას ხაზი, გამორჩევით დაგვანახოს, თანაც ისე, რომ მნიშვნელობა კი ჰქონდეს, როდესაც ჩაუყვირდებით, მაშინ აზრი გამომდინარეობდეს, მაგრამ თავისთავად არ იყოს ცხადი, ყველასათვის არ ჩანდეს, მინიშნება იყოს. დაფარულის ამოსაცნობი ერთ-ერთი მინიშნება!

ამრიგად, ფატმანი მოგვითხრობს ამბავს, რაც მან გაიგო ნესტანის შემდგომი ბედის შესახებ.

„ღულარდუხტ არის დიაცი, მაგრა კლდე, ვითა ლოლია, ვისცა არ დაჰკოდს, უმა მისი ვერავის დაუკოლია.

მას უსხენ წვრილნი ძმის-წულნი:

როსან და ერთი როლია,

აწ იგი ქაჭეთს ხელმწიფედ ქვე ზის, მორქმული სწოლია“ (1221)

მათი დის სიკვდილის ამბავი შევიტყვეთო ზღვის იქითა მხარიდან, ამის გამო არიან ახლა გზაზე, სატირალ ში, დასათლავებაზე მიდიან ქაჭები.

„როშაქ ბრძანა: „მო-მცა-ვინ-მკლავს,

მე ტირილსა არ დავჰხვდები.

მინდორს წავალ, ვიმეკობრებ, ალაფითა ავივსები,

შინა მოვალ შოებულო, აღრე ზედა მოვესწრები,

მეფეს დისა დატირებად წავილოდეს, წა-ცა-ვჰყუები“ (1223)

ამბავს აგრძელებენ ის მონანი, რომელსაც შემდეგ ფატმანი ჩვენ გვიყვება — „წავალ, თანა წამომყვივითო!“ ასი მონა წაგვიყვანა, დღისით, მზისით ვმეკობრობდითო, ვლენით ქარავნებიო (1224). ეს არის მათთვის ჩვეულებრივი საქმიანობა — შოვნა, მოხვეჭა. ამ საქმიანობის დროს ნახეს მათ ნესტანი, გაუყვირდათ და „გარე მოვერტყნითო“. მონა რომ არ იყო შევატყოთ, როშაქმა ისიც შეატყო, ქალი იყო, ცრემლი კი ბევრი ღვარა, მაგრამ მაინც დავიჭირეთო. ჩვენს მეფეს მივუყვანოთ, დიდად გაუხარდებო და — „დავბრუნდით, ქაჭეთს მივჰმართეთ“ (1234,2) ესეც საშოვარია, თანაც ფრიადაც კარგი — მეფეს მიართმევენ.

ასე დასრულდა მეფის დის დატირება ქაჭთაგან. სამაგიეროდ, იმეკობრეს, ქარავნები დალაშქრეს, როსანს საცოლე (ნესტანი) უშოვეს —

„როსანს შევართოთო, დულარდუხტს მეფესა უბრძანებია“.

ასე აღმოჩნდა ნესტანი ქაჭების ტყვე.

„ქაჭთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია“ (1242,1)



და უშუალოდ ამას მოსდევს პოემაში ფატმანისაგან იმის ახსნა ავთანდილისთვის, რომ „არ ქაჯნია, კაცნია“ (1246,4).

ამრიგად, პოემაში არიან კაცნი, რომლებსაც უსაზღვროდ სდით ცრემლი, არიან ისეთი კაცნი, რომლებმაც ტირილი და ცრემლი არ იციან. ქაჯები არ ტირიან. ასეთები სხვებიც აღმოჩნდნენ, ასე წერს რუსთაველი. რატომ?

რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

სანამ სხვა საკითხზე გადავალთ, აქ ერთი დეტალი, როგორც ჩანს, ფრიად მნიშვნელოვანი, მოვიგონოთ.

დედოფლის, ნესტანის დედის შესახებ, რომელმაც, როგორც ვნახეთ, არ იტირა, რუსთაველი წერს: „გული მდედრი აქვიტკირაო“. ახლა დავაკვირდეთ დახასიათებას, რომელსაც რუსთაველი აძლევს ქაჯ დულარდუხტს: „დულარდუხტ არის დიაცი, მაგრა კლდე, ვითა ლოღია“. სრულად არ დაემთხვა ერთმანეთს ამ ორის დახასიათება? — იმას გული ქვიტკირივით, ქვასავით აქვს, ამასაც — ლოდივითა. ეს უკანასკნელი ქაჯია. ქაჯთა მეფეა. ის? ის არის ინდოეთის დედოფალი, ნესტანის დედა.

არც ის ტირის, არც ეს. ნუთუ ეს არაფერს ნიშნავს? თუ ნიშნავს, მაშინ რატომ არის მხოლოდ მინიშნებული, ძლივს შესამჩნევი?

## როლის არა თქვა რუსთაველმა ბრძელი სიტყვა მოკლედ...

„გრძელი სიტყა მოკლედ ითქმისო“... ცნობილია რუსთაველის სიტყვები, ახლა კი ამბავი იმისა, თუ როგორ არა თქვა რუსთაველმა მოკლედ მაშინაც კი, როდესაც ეს მას აშკარად შეეძლო. მხედველობაშია ის სიტუაცია, როდესაც როსტევეანმა შეიტყო ავთანდილის მეორედ წასვლის ამბავი, გაიგო, რომ მან არ დაუჭერა მის გამზრდელს, მეფე როსტევეანს და გაიპარა. გაპარვა რომ შეიტყო, როსტევეანმა, როგორც იტყვიან, სულ ცოფები ყარა. ჩვენ, ამ ამბის მკითხველებმა, უფრო მეტი ვიცით, ვიდრე როსტევეანმა. ჩვენ უკვე ვიცით „ანდერძი ავთანდილისა როსტევეან მეფის წინაშე“. ეს ანდერძი აღრეა ნაწარმოებში მოცემული. როსტევეანის მიერ ამბის შეტყობა ამის შემდეგაა. მაშასადამე, ვიცით, თუ როგორი სიბრძნითაა გამართლებული ავთანდილის წასვლა ტარიელის საშველად. ჩვენ ეს ვიცით, როსტევეანმა — ჯერ არ იცის, ჩვენ ვიცით და დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს რაინდთა შესაფერისი საქციელია. ჩვენთან ერთად ამ წერილს — ანდერძს როსტევეანიც რომ იცნობდეს, მაშინ იქნებ სულაც არ მოიქცეს ისე, როგორც როსტევეანი მოიქცა, როდესაც ვაზირისაგან გაიგო ავთანდილის გაპარვის ამბავი.

ჩვენ, ვიცნობთ რა ანდერძს, ვიცით, ავთანდილი დარწმუნებულია, რომ მას გაუგებს მისი გამზრდელი: „ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა განზრახულსა“ (789,1) ანდერძი მასაც რომ ჩვენსავით დროზე გაეგო, ასეც მოიქცეოდა. რუსთაველმა კი

ასე არ გააკეთა, არ თქვა გრძელი სიტყვა მოკლედ.

ვნახოთ ეს სიტუაცია.

ვაზირის წინა დღით ნათქვამი მაინც არა სჯერა როსტე-  
ვანს, ქუში ადგაო, წერს რუსთაველი, „ადენს პირით აღსაო“,  
ისევ ვაზირის ხმობა ბრძანა. მოიყვანეს დაშინებული ვაზირი.

„რა ვაზირი მოწიწებით დარბაზს ნახა შემოსრული,  
როსტან უთხრა: „არა მანსოვს გუშინდელი შენგან თქმული.  
მაწყინე და გამარისხე, ვერ დავიღე დიდხან სული,  
აზომ რომე გაგათრივე შენ, ვაზირი გულის-გული“ (814).

დაუყვავა ვაზირს, რა იყო, „ისე ავად რად გამხადეო“, მი-  
თხარი რას ამბობდიო. ვაზირმა ისევ მოახსენა გუშინდელი ნა-  
თქვამი.

„კვლა ამის მეტად ნუ მასმენ, თვარა მე სრულად გელევე“ (816,4)  
ვაზირი გამოვიდა, მეტად დარბაზს ვერ შევალო, ვერ ვეტყვი ავთან-  
დილის წასვლის ამბავს, თორემ სულ გადაირევა და მე დამატყდებო  
მისი რისხვა.

„რა ვაზირი არ შევიდა, კვლა მეფემან კაცი გზავნის,  
კაცმან ცნის და გარეთ დადგის, წასვლა ვერვინ გააჟღავნის,  
როსტანს ეპვი შეუვიდა, კმუნვა ამით გაათავნის,  
თქვა: „უცილოდ გაიპარა, ვინ მარტომან ასთა ავნის“ (818).

ისევ „ქუში ქნა“ როსტევანმა, ისევ ბრძანა შემოვიდესო  
„იგი ფლიდი“. ისევ შიშით შევიდა ვაზირი და, ბოლოს, დადგი-  
ნდა, რომ ავთანდილი წასულა. აი როგორ აგვიწერს რუსთავე-  
ლი მეფე როსტევანის ქცევას ამ ამბის გამო: რა მეფემან მოი-  
სმინა, დაიზახნა მეტის-მეტნი;

„მოსთქვამს, იტყვის: „ვა, გაზრდილო,  
ველარ განახვენ თვალნი რეტნი! —

პირსა ზოკით, წვერსა გლეჯით გააკვირვნა მისნი მკვრეტნი —  
სად წაჰხე და სად დაჰკარგენ სინათლისა ევე სვეტნი?!“ (821)

შენთან კიდევ შეყრამდე ჩემი ტანჯვა ენით უთქმელიაო,  
ვერ გხედავდე მობურთალს, ვერ ვისმენდე შენს ხმასაო,

„მაგრა, თუ მოგკვდე, გაზრდილო, ვისგანლა დავითირები?“ (824,4)

— ასე დარდობს და წუხს როსტევანი, დარბაზს მოგროვდა  
ყველა, შეწუხდნენ:

„იგლეჯს და იცემს ყველაი, ხმა ისმის თავსა ტკაცისა“ (825,3).

მეფემ დიდებულები რომ ნახა დარბაზს შემოკრებილნი: „სულთქმით შემოსტირნა“, რა ვაწყინეთო, რაში შევცდითო რატომ მიგვატოვაო.

„ყოვლნი ტიროდეს, მოთქმიდეს,

მერმე დაწყნარდეს გვიანად.

მეფემან ბრძანა: „იკითხეთ, მარტოა, ანუ ყმაინად?“

მოვიდა მონა შერმაღინ მოშიშრად, სირცხვილიანად,

ანდერძი ჰკადრა, ატირდა, სიცოცხლე უჩნდა ზიანად“ (827)

ხომ ვნახეთ, რა ამბავი მოხდა ავთანდილის წასვლის გამო როგორ განიცადა მეფემ, რა ტირილი და თავშიცემა არის ამ ტყდარი და მხოლოდ ახლა გამოჩნდა „ანდერძი“, რომელიც ჩვენ უკვე გვაქვს წაკითხული და რომლის გაცნობა, რა თქმ: უნდა, როსტევეანსაც დაარწმუნებდა, ნაწილობრივ მაინც დაამშვიდებდა და, მაშასადამე, ამდენ გადამეტებულ-ვაიუშველებელსაც ასცდებოდა... მოკლედაც იქნებოდა ნათქვამი იგივე, რაც ასე გრძლად არის აღწერილი და აჯობებდა ყოველმხრივ. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, თუ ვნახავთ, რას ამბობს რუსთაველი დასასრულს, როცა ანდერძი, ბოლოს და ბოლოს, მოუვიდა თავის ადრესატს — მეფე როსტევეანს.

„რა ანდერძი წაიკითხეს, კვლა იტირეს დიდი ხანი,

მერმე ბრძანა: „მხიარულსა ნუ ჩაიცმენ ჩემნი სპანი,

ვამლოცველნეთ დავრდომილნი, ობოლნი და ქვრივნი სხვანი,

შევეწივნეთ, მშვიდობისა

ნუთუ ღმერთმან მისცნეს გზანი!“ (829)

ანდერძის გაცნობის შემდეგაც, ბუნებრივია, უტირლად არ გათავდა საქმე, მაგრამ სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რა აუცილებელი იყო ავტორს ადრე მიეცა აღწერა იმ ტირილისა და გლოვისა, ახლა ხომ ითქვა ესეც და ზომიერადაც დასრულდა ჯველაფერი. იტირეს, მართალია, მაგრამ წვერის გლეჯა და თავში ტყაცანი არ ყოფილა. ვიმეორებ — მოკლედ ნათქვამიც ხომ გამოვიდაო. მაგრამ, საკითხავია, რა იქნებოდა მოკლედ თქმული? იქნებ რუსთაველს სწორედ ის სურდა, რომ განსაკუთრებით მწვავედ გამოეხატა როსტევეანის რეაგირება ავთანდილის წასვლის თაობაზე! ეს რომ მას გაეკეთებინა ანდერძის გაცნობის შემდეგ, არ იქნებოდა გამართლებული, რადგან ამით იმ დიდებულ „ანდერძს“ ჩრდილი მიადგებოდა, არ გამოჩნდებოდა

მისი ძალა, დამაჯერებლობა. ამიტომ გადაიტანა რუსთაველმა ანდერძის გაგებამდე წასვლის შეცხადების ამბავი, გადაიტანა და ისე დახატა, როგორც მას სურდა, როგორც იქნებოდა შესაფერისი მისი მთლიანი ჩანაფიქრისა. გაზვიადებულად არისო, ვამბობ, წარმოდგენილი ეს შეცხადება და „ხმა ისმის თავსა ტკაცისა“, არის, რა თქმა უნდა ასე, და, ჩანს, ეს შეესაბამება რუსთაველის განზრახვას, მას აქ ისე, შემთხვევით კი არ გამოუვიდა გადაჭარბება, არამედ სურდა და გამოუვიდა განსაკუთრებით თვალში საცემად, — რატომ უნდა ნდომოდა მას ასეო? — იკითხავთ, ალბათ. ახლა მოვიგონოთ სულ სხვა სიტუაცია — როგორ არის აღწერილი ტარიელის გამზრდელისა და ნესტანის მამის რეაგირება.

„ცნა ამირბარძან, წავიდა ლომი მის მზისა მძებნელად,  
იგიცა წახდა, ინდოეთს გახდა მთვარე და მზე ბნელად;  
ორნივე გადაიკარგნეს, მათილა პოვნა არს ძნელად;  
მეფემან ბრძანა: „ჰე, ღმერთო,

რად ცეცხლსა მომიღებ ნელად?“ (1586).

ნესტან-დარეჯანი რომ გადაკარგეს, ტარიელი მის საქებნელად წავიდაო, ორივენი დაიკარგნენ და ინდოეთს მზე დაბნელდაო, მეფემ (ფარსადანმა) ასე ბრძანაო... შემდეგ?

„მეფე გაშმაგდა მათისა ულონო-ქმნილი ძებნისა;  
ვად შეიცვალა ინდოეთს ხმა წინწილისა, ებნისა;  
ცოტასა ხანსა გა-ვე-ძლო დება სახმილთა გზნებისა,  
აწ თვითცა მოკვდა, შეიქმნა ბოლო

სრვისა და ტკებნისა“ (1587).

არაბეთიდან ავთანდილი დროებით წავიდა, მას ყველა მისტირის, გამზრდელი სულ ვერ იკავებს თავს. ინდოეთში კი სულაც გადაიკარგნენ ნესტანიც, ტარიელიც, მაგრამ, რატომღაც, ამ ამბების აღწერა ისე დაასრულა რუსთაველმა, არავისი ტირილი არ გვაუწყა. ზევით ხომ ვნახეთ, როგორი შეცხადება და ცრემლთა ფრქვევა მოჰყვა ნესტანისა და ტარიელისაგან იმ ამბის გაგებას, ფარსადანი გარდაცვლილაო. ახლა ორი, სრულიად უცრემლო სტროფი რომ მოვიტანე, აღწერილი რომაა ფარსადანის ამბავი, ამ ორ სტროფს მოსდევს პოემაში ექვსი სტროფი, სადაც ფარსადანის სიკვდილის ნესტანისა და ტარიელისაგან შეცხადებაა აღწერილი.

უკვე ამაშიც ჩანს რაღაც დაპირისპირება. ახლა ჩვენ იმაზე ვსაუბრობდით, თუ როგორ განიცადა როსტევანმა ავთან-დილის დროებით გაშორება და როგორ არის ეს აღწერილი რუსთაველის მიერ. აშკარაა ამ ორი სიტუაციის არა მარტო განსხვავება, არამედ ერთმანეთთან შეპირისპირებაც. ზევით ისიც ხომ ითქვა, როსტევანი და ფარსადანი იმთავითვე ერთმანეთს ისე დამსგავსებული მოგვცა რუსთაველმა, წყლის წვეთებივით გავდნენ ერთმანეთს. ახლა თუ დავაკვირდებით, მათ შორის განსხვავება ისეთია, უნებლიედ გვაგონდება რუსთაველის ის დიდებული სიტყვები:

„კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდე“ (954,4)  
იმასაც ხომ უნდა ჩავუვირდეთ, რუსთაველი თითქოს არაფერს ამბობს ამ განსხვავების შესახებ. სიტუაციებს აქა-იქ ისე ხატავს, თითქოს გადაჭარბებას მიმართავს, რაღაცას მინიშნებით გვამცნობს, მინიშნებით და არაპირდაპირ!

ზევით განხილულ შემთხვევებში ეს განსხვავება ისეთი არ არის, რომ რაიმეს პირდაპირ ამბობდეს — უბრალოდ, ერთგან ცრემლია ბევრი, მეორეგან ეს ცრემლი არ არის.

ჯერ იმის შესახებ — როგორ არის ტირილი წარმოდგენილი მსოფლიო ლიტერატურაში. ეს საკითხი სპეციალური შესწავლის საგანი ყოფილა. ნაშრომებია ამის თაობაზე შექმნილი, ვისარგებლოთ ამით და ზოგიერთი აუცილებელი მომენტი გავითვალისწინოთ.

ვ. ნოზაძე, ამასთან დაკავშირებით, წერს:

„ვეფხისტყაოსნის ჩვენი დროის მკითხველს აოცებს ის ტირილი, ცრემლთა დაღვრა, პირთა ხოკვა, თმათა გლეჯა, თავთა და მკერდთა ცემა, რაც ასე ხშირია ამ დიდებულ პოემაში. ეს მუდმივი ტირილი, მოთქმა, ოხვრა, სულთათქმა, ვაება მკითხველს აკვირებს და აჭაგრებს კიდევაც, რად ტირიან და იკლავენ თავს ვეფხისტყაოსნის გმირები, თანდამსწრენი და მკვრეტელები?“<sup>3</sup>  
— სვამს ავტორი კითხვას, თვითონაც არის, ეტყობა, გაკვირვებულიც და გაჭაგრებული ამ ცრემლთა ოკეანისა და ცრემლის ღვრაზე უფრო ძლიერი მოქმედების — თავში ცემისა და სხვა-

<sup>3</sup> ვ. ნოზაძე — „ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება“, გვ. 222.

თა, როგორც თვითონ უწოდებს, გამო, მაგრამ გარკვეულ პასუხს ვერ გვაძლევს, სამაგიეროდ, საკმაოდ ვრცელი მასალა აქვს მოტანილი, განსაკუთრებით ფრანგი ავტორის ლ. ბესარის სპეციალური ნაშრომის გამოყენებით. ეს მასალები შეეხება იმას, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ მსოფლიო ლიტერატურაში, როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის მწერლობაში.

დადგენილია, რომ ტირილი და ცრემლთა ღვრა დამახასიათებელი ყოფილა ბერძნული რაფსოდიისათვის, ასევე რომაული პოეზიისათვის, მაგრამ ისიც ხომ აღსანიშნავია, რომ, მაგალითად, ჰომეროსის გმირები ბევრს თუ ტირიან, ასევე დიდად მოხარხარენიც არიან — ჰომერული სიცილი ხომ აქედან მოდის. ამასთან, ტირილი და გოდება მაინც მალე თავდება. ასევე ტირიან ვირგილიუსის გმირებიც. შუა საუკუნეების ფრანგული პოეზიაც ამ ნიშნის მატარებელია. იგივე ითქმის იმავე პერიოდის გერმანულ პოეზიაზეც.

„ჰომეროსის ეპოქაში მებრძოლნი ტირიან ისე ხშირად, რომ ჰელენე ამზადებს რაღაც სასმელს, რომელსაც შეუძლია ცრემლთა დენა შეაჩეროს; ყველა სვამს ამ სასმელს და აღარავინ ტირის. ოდისეას გმირები იღებენ წამალს, რათა აღარ იტირონ, მხოლოდ საძაგელ მტერს არ ატირებს ჰომეროსი, მისი საყვარელი გმირები კი ტირიან... ჰომეროსის ეპოქაში, სადაც დედაკაცს დაბალი დაფასება აქვს, ქალიშვილთ ტირილი არ მიეწერებათ, — ისინი გულგრილნი არიან... ცოლნი (დედოფალნი და დედანი) სადღეოში („გინეკია“) გამომწვეულნი არიან და იქ ტირიან, ისე როგორც აგრეთვე დიაცნი — ღმერთებიც. იგივე მოვლენაა ვირგილიუსის „ენეადა“-ში, იგივეა ფრანგულ საგმირო პოეზიაში; იგივეა პროვანსულ და ესპანურ ეპოსშიც, ნაკლებად — გერმანულში.

ხალხის, ან ლაშქრის ტირილი უკვე მოისმის ჰომეროსის ეპოსში. ასევე „ენეადაში“.

ფრანგულ ეპოსში ტირის მთელი ლაშქარი; გერმანულში — ტირის მხოლოდ მაშინ, როცა ბელადი ტირის. ესპანურ პოეზიაში ქალაქის ყველა მცხოვრები ტირის, როცა „სიდ კამპედორო“ ქალაქში შედის; ყველა ტირის, როცა სიდი ალკორას ტოვებს. ტირიან ბერ-მონაზვნებიც... ტირიან მოსამსახურენი

და კიდევ მეტი: — „ტირიან ცხენები, ტირის ლომი“.

“ვირგილიუსის პოემაში ტირის ცხენი... ასევეა ჰომეროსის ეპოსში.”

ლ. ბესარის დასკვნები ასეთია: 1. ტირილის მოტივი არის განუყრელი ნაწილი კლასიკური და რომანული ეპოსისა. 2. თავდაპირველ რომანებში ცრემლთა მოტივს ზომიერებით ხმარობდნენ... 3. დასაწყისში ტირილის მოტივი უფრო მამაკაცთა შორის არის გავრცელებული. ეს აიხსნება დედაკაცთა დაბალი მდგომარეობით. 4. ცრემლები ეკუთვნით მოსაწონ, სიმპათიურ და დიდ პირებს; ცრემლები არა აქვთ ლაჩრებს — მტერი თითქმის მოკლებულია ცრემლებს.

რაც შეეხება აღმოსავლურ პოეზიას, უენიშნულია, რომ ფირდოუსის მეფეთა წიგნ „შაჰნამეში“ ძალზე ხშირია ცრემლი, უფრო ხშირიც, ვიდრე ვეფხისტყაოსანში. „შაჰნამეში“ ტირიან მეფენი, გმირები, საერთოდ მამაკაცებიც და დედაკაცებიც, მთელი ლაშქარი და, აგრეთვე, ცხენებიც.

მაგრამ, რატომ ტირიან რუსთაველის გმირები ასე ბევრს? რა მნიშვნელობა აქვს ტირილსა და ცრემლს?

---

\* ნოზაძე — ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება, გვ. 223.



## „მომეც სურვილთა ღათმოზა...“

„ვეფხისტყაოსანში“, როგორც ვნახეთ, სიცილისა და ტირილის აღწერაში რაღაც მნიშვნელოვანი აზრი უნდა იყოს ჩადებული. რაშია საქმე? ნაწარმოებში, რომელიც, სრულიად აშკარაა, კეთილად სრულდება, რატომ აქვს ასეთი დიდი უპირატესობა ცრემლს, გლოვასა და ტირილს?

არა, არ არის დასაჯერებელი, რომ რუსთაველი ასე უსაზომო ცრემლს დაღვრიდა (თვითონ დაღვრიდა, დააღვრევინებდა თავის გმირებს) სათანადო გამართლებების გარეშე.

ტირილი და ცრემლი სიყვარულთან რომ არის დაკავშირებული, ყოველ შემთხვევაში ძირითადად მაინც, ეს ექვს არ იწვევს. ჯერ იყო და ის გვითხრა:

„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა

ცრემლ-დათხეული (4,1),

შემდეგ:

„მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის

ცრემლი გვდის შეუშრობილი“ (7,1),

ხოლო პოემის პროლოგი — „დასაწყისი“ დაამთავრა სტროფით:

„თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს,

ტირილსა ემართლების;

სიარული, მარტოობა ჰშვენის, გაჭრად დაეთვლების;

იგონებდეს, მისგან კიდე ნურაოდეს მოეცლების,

არ დაარნდეს მიჯნურობა, სჯობს, თუ კაცსა ეახლებს“ (31).

ზევით ვნახეთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არის სიხარული, სიცილი, ღაღობა, სიმღერა.

„ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს,

ეცვა ოდენ მართ პერანგა

იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი“ (120).

ამ დროს იხმო იგი თინათინმა, იმ უცხო მოყმის ამბის გაგება დაავალა, გულისნადებიც გაანდო. რუსთაველი აქაც არ ძუნწობს:

„ერთგან დასხდეს, ილაღობეს, საუბარი ასად აგეს,  
ბროლ-ბადახში შეხვეული და გიშერი ასადაგეს“ (137).

ადრეც ხომ მოვიტანეთ ლაღობის ნიმუშები, ახლა აქ მოტანილსაც შეიძლება კიდევ არაერთი დავუმატოთ. ყველაფერს არის პოემაში. მაგრამ გაცილებით მეტია ტირილი.

მოკლედ რომ ვთქვათ, რუსთაველმა თავისი გმირები აცინა და ალაღობა, მაგრამ უფრო მეტად ატირა და ცრემლი აღვრევინა. საკითხი ახლა ესაა — რატომ? საკითხავი ისაა, „არაჲ გვარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენაო“ რომ ამბობს, ის ავტორი გამუდმებით რატომ ატირებს თავის გმირებს? (თანაც გმირი ამ სიტყვის სრული და პირდაპირი გაგებით) მამაკაცები უფრო მეტსაც ტირიან, ვინემ ნაწარმოების გმირი ქალები. ეტყობა, რუსთაველს იქითკენ მიყვავართ, საქმე სულაც არაა ფიზიკურ ძლიერებაში, თუნდაც მამაცობაში. მამაცობას რუსთაველმა ძლიერად გაუსვა ხაზი, როდესაც ამ გმირებმა სწორედ ყველაზე გადამწყვეტ ჟამს კი არ იტირეს, არამედ იცინეს და ილაღობეს. ხომ ქაჩეთის ციხის აღებისათვის ბრძოლაა ყველაზე უმთავრესი, — „ვეფხისტყაოსანში“ გარდახდილ ომთა შორის ყველაზე მძიმე, ამასთან საქმე ეხება ამდენი ხნის სანუკვარი ოცნების განხორციელების სიახლოვეს — შეიძლება სულ მალე უვნებელი იხილონ ნესტანი. ზევით უკვე ვიმსჯელეთ იმის თაობაზე, თუ როგორი ფსიქოლოგიური დატვირთვა მისცა რუსთაველმა ამ სიტუაციაში მეგობართა ხუმრობა-სიცილს. ახლა კი იგივე ამბავი იმიტომ მოვიგონე, რომ მინდა ვთქვა — ფიზიკური ძალა, ვაჟკაცობა, მამაცობა არაფერ შუაშია ცრემლთა ღვრასთან.

ავთანდილი ტარიელს მიმართავს:

„შენ გენუკვი, შემიჭერო, ღმერთი იღმერთო, ცაცა იყო,  
ერთმანეთი არ გაწვიროთ, მაფიცო და შემომფიცო“ (664).

ეს ერთმანეთის არგაწირვაა იმ ცრემლთა საბადო... ახლა კი, მგონი, საკმარისია, ნულარ მივკიბავთ, პირდაპირაც შეიძლება ითქვას სათქმელი: მწუხარების გამოვლენაში, გამოხატვაში, ეტყობა, უფრო გამოჩნდება ადამიანი, ვიდრე — სიხარულისაში.

სიხარულის გამოხატვაა სიცილი, ლაღობა, მწუხარებისა — ტირილი და ცრემლი. რუსთაველმა აშკარად უპირატესობა მისცა ტირილს, ალბათ, იმიტომ, რომ ტირილში უფრო ჩანს პიროვნება, მისი ზნეობრივი სახე. რუსთაველის პოემაში ისიც არის ნაჩვენები, რომ სატირალი უფრო მეტია, ადრე სასიხარულო. ამის გამოც იქნებოდა ნაწარმოებში ცრემლთა სიუხვე. მაგრამ თავისთავად ეს მდგომარეობა არ იძლევა იმის ახსნას თუ რატომ არის „ვეფხისტყაოსანში“ ასე ხშირი ტირილი და რატომაა იგი ასეთ მრავალსახეობად, მრავალფეროვნად წარმოდგენილი.

სიხარულიც და მწუხარებაც განცდაა, ერთი და მეორეც ადამიანს ახასიათებს. ამასთან, არ იქნებოდა მართებული გვეფიქრა, რომ არათუ სხვადასხვა ადამიანს, არამედ ერთსადაიმავეს, თუნდაც ასაკის მიხედვით ერთგვარად ახასიათებდეს ეს განცდა. ადამიანებისათვის სასურველი და სასიამოვნო იწვევს მასში სიხარულს და ეს ახასიათებს ადამიანს დაბადებიდან სიკვდილამდე. ასევეა მწუხარებაც. ადამიანისათვის არასასურველი და არასიამოვნო იწვევს შეწუხებას, რასაც შეიძლება მოჰყვეს დამწუხარება და ბოლოს იგი გამოიხატოს ტირილში. ესეც ისეთი მოვლენაა, ადამიანს მთელი არსებობის მანძილზე რომ ახასიათებს. ორივე მოვლენის ამხსნელი თვითონ ინდივიდია, ასე ვთქვათ, მისკენაა მიმართული, თვითონ ინდივიდია მოვლენათა ცენტრში: იგი მიზანია. ინდივიდის პიროვნებად ქცევის პროცესი არ გამორიცხავს ამ ეგოცენტრიზმს, რადგან შეიძლება პიროვნება ისე ჩამოყალიბდეს, მისთვის ისევ თვითონ იყოს მოვლენათა ცენტრად ნაგულისხმევი. იგივე პროცესი პიროვნებად ადამიანის ჩამოყალიბებისა არც იმას გამორიცხავს, რომ პიროვნებაში ეგოცენტრისტულის, პირდაპირაც რომ ვთქვათ — ეგოისტურის საწინააღმდეგო მიდრეკილებები შეიქმნას და განმტკიცდეს. სოციალიზაციაზე, როგორც პიროვნე-

ბად ადამიანის ჩამოყალიბებაზე, სადღეისოდ ძალზე ბევრი იწერება, ამ პრობლემას ამუშავებენ სოციოლოგები, სოციალური ფსიქოლოგები და სხვა მეცნიერული დისციპლინების წარმომადგენლები. ამის შესახებ აქ საუბრის გაგრძელების აუცილებლობა არ არის. ის, რისი თქმაც მინდა „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს სოციალურ და სოციალ-ფსიქოლოგიურ თეორიებს, მაგრამ მათი შინაარსის აქ გადმოცემა არაა საჭირო, ისედაც, ვფიქრობ, გასაგები უნდა იყოს, თუ რას ვამტყიცებ.

რუსთაველმა თავის პოემაში სიხარულისა და მისი გამომხატველი სიცილის (ლალობის), ერთი მხრივ, მწუხარებისა და მისი გამომხატველი ტირილის, ცრემლთა ღვრის, მეორე მხრივ, გაშუქებისას, რატომღაც, უპირატესობა მისცა მეორეს. უპირატესობა მისცაო იმ აზრით არის ნათქვამი, რომ, როგორც უკვე ვნახეთ, მისი გმირები მეტად თავშეკავებულნი არიან მხიარულების გამოხატვაში, ზედმეტად უხვნი არიან მწუხარების გამოვლენაში — გამუდმებით ტირიან.

პოემაში ბევრი ცრემლი შეიძლება იმის გამო ყოფილიყო, რომ ავტორს სატირალი მეტი ეჩვენებინა, ვინემ სასიხარულო. ასეც რომ ჩავთვალოთ, ეს არ იქნება იმ მოვლენის ახსნა, რასაც ადგილი აქვს „ვეფხისტყაოსანში“.

სიხარულიც და მწუხარებაც პიროვნების განცდაა, მისი სულიერი მდგომარეობაა. ადამიანისთვის სასიამოვნო იწვევს მის სიხარულს და ამას ეძლევა სათანადო სასიამოვნო გამოხატულება — სიცილი, ლალობა. ადამიანისთვის სასიამოვნო შეიძლება იყოს სხვა ადამიანის კარგი მდგომარეობა, ვთქვათ, მისი, ან სხვა ადამიანის გამარჯვება, კარგად ყოფნა შეიძლება გასახარელი იყოს, ამას სათანადო გამოსახულებაც მოჰყვება.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს მწუხარების შემთხვევაშიც. ადამიანი შეიძლება შეაწუხოს საკუთარმა მდგომარეობამ, ვთქვათ, ფიზიკურმა ტკივილმა და ეს ტირილითაც გამოიხატოს. ასევე შეიძლება ადამიანი შეაწუხოს სხვა ადამიანის ცუდმა მდგომარეობამ, მისმა დამარცხებამ, ავადყოფობამ, მით უფრო სიკვდილმა, ესეც ტირილით გამოიხატოს, ცრემლი აღინოს ადამიანს.

თითქოს ორივე განცდა — სიხარული და მწუხარება ანა-  
ლოგიური ნიშნებით ხასიათდება. მაგრამ, თუ ღრმად გავარჩევთ,  
არსებითი განსხვავება აღმოჩნდება მათ შორის. სიხარული და  
სიცილი, იქნება ეს ჩემი პირადი მდგომარეობით გამოწვეული  
თუ სხვისი, სულ ერთია, ორივე შემთხვევაში ჩემი კარგი, დადებ-  
ითი განცდაა — თვითონ განმცდელია კარგად იმით, რომ ის  
მხიარულობს, იცინის, ლალობს. სიცილი პიროვნების დადები-  
თი განცდის გამოხატულებაა. ეს ჩემი დადებითი ემოცია შეიძ-  
ლება სხვისი კარგად ყოფნით, მისი სიხარულით იყოს გამოწვეუ-  
ლი, ჩემი განცდა შეიძლება იყოს მისი თანაგანცდა, თანაგრძ-  
ნობა, მისივე მდგომარეობით გამოწვეული ჩემი სულიერი მდ-  
გომარეობა, მას ამ შემთხვევაშიც ჩემთვის დადებითი ემოციის  
შინაარსი აქვს.

ამისგან არსებითად განსხვავდება წუხილი, რომელიც სხვი-  
სი მდგომარეობით არის გამოწვეული. წუხილი პიროვნების  
უარყოფითი ემოციაა, იქნება იგი მისივე მდგომარეობით თუ  
სხვისი მდგომარეობით გამოწვეული. სიხარულისგან მისი გან-  
მასხვავებელი ისაა, რომ, მართალია, შეიძლება ესეც თანაგანც-  
დაა, თანაგრძნობაა, მაგრამ არასასიამოვნოა, უარყოფითი ში-  
ნაარსის მქონეა. ვტირი სწორედ მაშინ, როდესაც არა ვარ  
კარგად, ცუდად ვარ, ცუდი განცდები მაქვს არა მარტო ჩემი  
პირადი მდგომარეობის გამო (მაგალითად, ტკივილის გამო),  
არამედ სხვისი მდგომარეობის მიზეზით. ეს ჩემთვის ცუდი  
განცდაა, სხვის თანაგრძნობით გამოწვეული, და იგი სწორედ  
თანაგრძნობის ხასიათით არის განსხვავებული თანასიხარუ-  
ლისაგან. სიცილით პიროვნება, ინდივიდი არაფერს კარგავს,  
არაფერს თმობს, პირიქით, კარგ მდგომარეობას, განწყობი-  
ლებას იქმნის, ამიტომ ეს არის შენსკენ შემობრუნებული და-  
დებითად. ამისაგან განსხვავებით, ტირილი, მწუხარება არაა  
დადებითად პიროვნებისკენ მიმართული. ეს არ არის, უხეშად  
რომ ვთქვათ, სასარგებლო მდგომარეობა, ის არაფერს მაძლევს,  
პირიქით, მართმევს — დადებითის ნაცვლად უარყოფით ემო-  
ციაში მაძყოფებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, თანასიხარულით სხვასთან, მე ვიღებ  
ჩემთვის დადებით ემოციას, ხოლო მწუხარების თანაზიარე-

ბით, თანაგრძნობით, თანამწუხარებით ვლებულობ ჩემთვის უარყოფით განცდას — შეწუხებული ვარ — ამაზე კარგად არც ითქმის და არც არის საჭირო, რადგან ეს არ არის ორგანიზმის ბუნებრივად გამართლებული მისწრაფება, ბუნებრივად გამართლებული მდგომარეობაა არა წუხილი, არამედ კმაყოფილება — ორგანიზმი კმაყოფილებისაკენ მიილტვის, ესაა მისი შინაგანი მამოძრავებელი, მას ეს რომ არ გააჩნდეს, იგი დაილუპებოდა. საერთოდ ორგანიზმზეა ლაპარაკი და ეს, ძალიან რთულად, მაგრამ ადამიანის დონეზეც პრინციპულად ასეა — ადამიანი მიისწრაფვის კარგისაკენ, კმაყოფილებისაკენ, დადებითი განცდისაკენ.

ამდენად, სიხარულისაგან განსხვავებით, ტირილის დროს, თუკი ეს მწუხარება და ტირილი გამოწვეულია სხვისი თანაგრძნობით, სხვისი მდგომარეობით, ადამიანი, პიროვნება უკეთ ჩანს. ამ შემთხვევაში ადამიანს დაძლეული აქვს საკუთარი სურვილი სხვის სასარგებლოდ, ამრიგად, იგი აღარ არის შემოფარგლული, შემოზღუდული, არ არის ვიწრო ეგოცენტრისტი, აღარ არის ეგოისტი. ეთიკის მეცნიერებაში ადრიდანვე ჩამოყალიბებული, ეგოიზმის საპირისპირო შინაარსის გამომხატველად მიღებული ცნება რომ მოვიხმაროთ — ადამიანი ასეთ მდგომარეობას თუ აღწევს, იგი არის ალტრუისტი. ასეთი მდგომარეობის ადამიანი საკუთარ სიამოვნებას, სურვილს უმორჩილებს სხვისას, იგი მეორე ადამიანის წინაშე თავს მოვალედ თვლის, თანაუგრძნობს მას, არა უბრალოდ, ასე გრძნობს, არამედ, საუკეთესო შემთხვევაში, მოქმედებს ამ მოვალეობის გრძნობის მიხედვით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთ მდგომარეობაში ადამიანი, პიროვნება მოვალეობის ზნეობრივ კანონს ემორჩილება და არა მხოლოდ სიამოვნების გრძნობას.

ამრიგად, მწუხარება სხვისი მდგომარეობის თანაგრძნობის გამო პიროვნების მაღალი დონის გამოვლინებაა. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, თითქოს თანასიხარული და მისი შესაბამისი განცდა უარყოფილია, დამცირებულია. არა! მაგრამ ხომ ცხადია, რომ თანამწუხილი რაღაცით მეტია, როგორც თანაგრძნობა ზნეობას შეიძლება ორივე მდგომარეობა ექვემდებარებოდეს, მაგრამ ჩემთვის არასასიამოვნოს (უარყოფითი განცდის)

მდგომარეობა სხვისთვის მეტის გაცემაა. როგორც უკვე ვთქვი, ეს ალტრუიზმია.

ასეთია რუსთაველის მორალი, ზნეობა, ასეთია „ვეფხისტყაოსნის“ ეთიკა. ზნეობა კი კულტურის ერთ-ერთი უმაღლესი კომპონენტია. ეს სულიერი კულტურა ადამიანისა მით უფრო მაღალია, მით უფრო ადამიანურია, რაც უფრო მეტად არის იგი მიმართული ადამიანებისაკენ, სხვებისაკენ და არა მხოლოდ პირადისაკენ. უფრო მართალი ვიქნებით თუ ვიტყვით — როდესაც პიროვნულ მდგომარეობად არის განცდილი ის, რაც სხვისთვისაა განკუთვნილი. წუხილი და ტირილი სხვისი მდგომარეობის გამო, არის შენის გაცემა, შენის დათმობა. ამიტომ — მომეც დათმობა ანუ გაძღება სურვილთაო, რუსთაველი რომ ამბობს. დამახასიათებელია ისიც, თუ რა მდგომარეობაშია ეს ნათქვამი: ამას ამბობს ავთანდილი, როცა იგი ლოცულობს ტარიელის დასახმარებლად წასვლის წინ. როგორც ცნობილია, ამ თავს ეწოდება „ლოცვა ავთანდილისა“ და იგი სწორედ ამ სტროფით იწყება.

**„ილოცავს, იტყვის: „მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,  
ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,  
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,  
მომეც დათმობა სურვილთა,**

**მფლობელო გულის-თქმათაო“ (809).**

ამ სტროფს მოჰყვება სტროფი, სადაც ავთანდილი ლოცულობს მიჯნურობის გამო. სურვილთა დათმობა და მიჯნურობა როგორაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ეს შემდეგ უნდა გამოჩნდეს.

ახლა ისევ მივუბრუნდეთ ჩვენს სათქმელს სიხარულისა და მწუხარების მიმართების შესახებ რუსთაველის პოემაში. უფრო ზუსტად იმის გამო, თუ რატომ მისცა ავტორმა უპირატესობა მწუხარებასა და ტირილს.

საქმე ისაა, რომ ვეფხისტყაოსანში მოქმედებენ გმირები, რომლებიც სხვის მდგომარეობას განიცდიან, სხვებს თანაუგრძობენ, მათ გამო ტირიან. ნაკლი ის კი არაა, ამათ რომ ეტირებათ, არამედ ნაკლი იმათ აქვთ, ვისაც არ ეტირება, ვისაც არ შეუძლია სხვათა ისე თანაგრძობა, რომ სხვისი წუხილი საკუთარი-

ვით განიცადოს.

ამრიგად, თანაგრძნობა ყოფილა ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელი ადამიანობისა, ადამიანური ღირსებისა. და იქ, სადაც რუსთაველი გვეუბნება — „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცადღეო“, ეს უნდა ვიგულისხმოთ განმასხვავებელ ნიშნად. ტირილი, ცრემლი თითქოს მიმანიშნებელია, პაროლია, რომლითაც შეგვიძლია გამოვიცნოთ ნამდვილი კაცი არაკაცისაგან.

ავთანდილი და ფატმანი ასე ატირდნენ:

„ესე სიტყვა დაასრულა, ფატმან იკრნა პირსა ხელნი;  
ავთანდილსცა აეტირნეს, გარდმოყარნა ცრემლნი ცხელნი;  
ერთმანერთი დაავიწყდა, მისთვის გახდეს ვითა ხელნი,  
ღვარმან, ზედათ მონადენმან,

გააწყალნა ფიფქნი თხელნი“ (1137)

ასეთი ადგილი ბევრია პოემაში. ეს იმის გამო ამოვარჩიე, რომ აქ ერთი მომენტი განსაკუთრებითაა წარმოჩენილი: ერთმანეთი დაავიწყდათ, საკუთარი სატიკვარი არა აქვთ, ტირიან სხვის გამო, თანაც ვის გამო ტირის ახლა ავთანდილი, იგი (ნესტანი) მას არცკი უნახავს, ფატმანმა სრულიად შემთხვევით ნახა. ხოლო ის უსათუოდ მოგვაგონდება, რომ არ უტირიათ ნესტანის გადაკარგვის მიზეზით არც ფარსადანს, არც დედოფალს, არც გამზრდელ მამიდას (დავარს). აი ამგვარი ტირილის, ამგვარი ცრემლთა ღვრის შესახებაა აქ ნათქვამი — „ღვარმან ზედათ მონადენმან“ — ეს არ არის უბრალო რამ, ეს მალლიდან, ზეციდან, ღვთისაგან არის მონადენი.

ისიც ხომ გვახსოვს, ზევით რომ მოვიყვანე — მეგობრები ეგონა ავთანდილს, იმათ კი ასე შემოსძახეს: არაო, დაწყნარდი, მოგვეშველე, „სატირალნი მოგვიტირნეო“. კაცური კაცი ვინცაა, სხვის სატირალზეც იტირებსო — ესაა ამით ნათქვამი. მით უფრო, თუ სატიკვარი და სატირალი მეგობრობისაა.

უამრავი მაგალითიდან ერთი მოვიტანოთ: ტარიელმა ფრიდონს უთხრა, ვხედავ, მის (ე.ი. ნესტანის) ამბავს ვეღარ გავიგებ, ამიტომ წავალ შენგანო.

„ფრიდონს რა ესმა, ატირდა, სისხლითა მოერწყო ველი,  
მითხრა, თუ: „ძმაო, დღესითგან ცუდ ჩემი

ლხინი ყოველი“ (644)



მეგობრები ერთმანეთს, რა თქმა უნდა, ტირილით დაშორდნენ. ამასთან:

„სრულად ლაშქარნი მტიროდეს გულითა მართლად,  
არ ენით“ (648,3).

ესეც იმიტომ მოვიტანე, ამასაც უნდა დავაკვირდეთ — გულით მისტიროდნენო და არა ისე, ფორმალურად, „არ ენით“.

აქვეა უმნიშვნელოვანესი დეტალიც:

„გაზრდილ-გამზრდელთა გაყრასა  
ჩვენ თავნი დავადარენით“ (648,4)

ისე გავიყარენითო, როგორც გაზრდილსა და გამზრდელს შეჰფერის. შეჰფერის, კარგია, მაგრამ იქ ხომ ვნახეთ — გამზრდელმა (დავარმა) ისე გაიმეტა გაზრდილი (ნესტანი), კურცხალი არ გადმოვარდნია თვალიდან, მაშასადამე, არ ჰქონია ბოძებული „ზედან მონადენი“...

როგორც ზევით ვთქვი, ადამიანი მიელტვის დადებით განცდებს, ემოციებს — ეს ბუნებრივი მდგომარეობაა და ეგოიზმად ამისი მონათვლა არაა საფუძვლიანი. მეორე ადამიანისადმი სიხარულში თანადგომით მიღებული ემოცია დადებითაა, ჭირში თანადგომითა და თანაგრძნობით მიღებული კი, პირიქით, უარყოფითი და სწორედ ესაა ის ბუნებრივად გამართლებული ლტოლვის დათმობა. ამ თმობას განსაკუთრებული ადგილი უკავია „ვეფხისტყაოსანში.“

ჯველაზე მეტად ეს გამოვლენილია, მაგალითად, ავთანდილის ქცევაში. ამას განსაკუთრებული გულისხმიერებით აღწერს ავტორი. აჯობებს ამისი გადმოცემა სხვა საკითხთან დავაკავშიროთ და ახლა თავი დავანებოთ. სახელდობრ, შეიძლება ასეთი კითხვა დაესვათ ახალ თავში: დავეთანხმოთ, მივილოთ, რომ ტირილი ასეთი მნიშვნელობისაა პოემაში, მაგრამ ზედმეტი ტირილი და ცრემლის ღვრა რითაა გამართლებული?

## „რასაცა ბასცემ, შენია...“

ვშიშობ, მკითხველი არ განაწყენდეს, მაგრამ სხვა გზა არ არის — კიდევ ერთი გადაჭარბების შესახებ უნდა ვილაპარაკო. ეს არის გადაჭარბებული საჩუქრები, საბოძვარნი:

„შიართვეს, გასცა უზომო, უანგარიშო, ულევო“ (52.4)

და თვით ის აფორიზმად ქცეული თქმა:

„რასაცა გასცემ შენია, რას არა, დაკარგულია“ (50.4).

თუმცა, ამ საკითხზე წერას რომ ვიწყებ, ვგრძნობ, ჩემი მდგომარეობა ერთბაშად გაიოლდა იმით, რომ რუსთველოლოგიური ლიტერატურის გაცნობისას ძალიან საინტერესო მოსაზრებები აღმოჩნდა. კერძოდ, ახლა ჩემს წინ დევს ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის მოსე გოგიბერიძის ნაშრომი. რომელშიც ვკითხულობთ, რომ რუსთაველის პოემაში სიმღერისა და საჩუქართა გაცემის აღწერაში ზომიერება დარღვეულია...

მოსე გოგიბერიძე ასე მსჯელობს: პოეზიას, როგორც უმაღლეს ფორმას სინთეზური ხელოვნებისა, ცხადია, სიმეტრიის გრძნობის გარეშე ოპერირება არ შეუძლია. პოეზიაში ამას სიმეტრია კი არა, ზომიერება ეწოდება, რომლის გარეშე არ არსებობს არავითარი ხელოვნება, რა თქმა უნდა, პოეზიის ჩათვლით. როგორც კი ხელოვნება დაარღვევს ზომიერების პრინციპს, ის კარგავს ღუზას. ზომიერებით იზომებაო, წერს ავტორი, პოეტის შემოქმედების სიღრმე და სიგანე. პოეზიას, უმეტეს შემთხვევაში, საქმე აქვს ადამიანის გრძნობებთან და აფექტებთან, ამიტომ დიდი ხელოვანი უნდა იყოს ფსიქოლოგი,

ზომიერების გრძნობა ინტუიტური გზით აძლევს ყოველ ნამდვილ პოეტს ფსიქოლოგობის უფლებას. რა ითქმის ამ მხრივ რუსთაველის შესახებ, ან, როგორც მ. გოგიბერიძე წერს — „როგორ მუშაობს რუსთაველი ზომიერების გრძნობით“ (ხაზგასმულია ავტორის მიერ). იგი კიდევ აზუსტებს თავის პოზიციას და ამ მიზნით წერს, რომ ზომიერების პრინციპის გასასინჯად ყველაზე მდიდარი მასალა პოეტის მიერ შექმნილი მხატვრული სახეებია. მხატვრული შემოქმედების ხერხებიც უნდა იყოს ზომიერების მიხედვით გამოქანდაკებული. რუსთაველი ორივეში ოსტატია, იგი ხშირად მიმართავს ჰიპერბოლებს, მაგრამ იშვიათად თუ აქარბებს, მაინც არის ასეთი ორი შემთხვევაო, წერს მ. გოგიბერიძე, თანაც მათ შესახებ მსჯელობასაც ამართლებს: საქებია, თუ ლიტერატურული კრიტიკა ხარვეზებს აღმოაჩენს რუსთაველის ბრილიანტივით დახვეწილსა და უცვლელად ფოლადივით ნაწრთობ მონუმენტში, უნაკლოსა და ამალღებულს აქ მოძებნა არ სჭირდება, იგი ხელსახებია ყველგან.\*

ამის შემდეგ ავტორი იხილავს იმ ორ შემთხვევას. იგი წერს: „ჩვენ მხედველობაში გვაქვს საჩუქრისა და სიმდიდრის აღწერა „ვეფხისტყაოსანში“, პოემის პირველი ტაეპიდანვე იწყება საჩუქრების გაცემისა და მიღების, სიუხვისა და სიმდიდრის აღწერა და სანამდე რუსთაველი იტყოდეს „გასრულდა მათი ამბავი“, „ვეფხისტყაოსნის“ გმირები იმდენ განძეულობას გაასაჩუქრებენ, რიყის ქვებიც მარგალიტებად რომ ექცია შემოქმედს, მაინც არ ათავებოდლა“.

ავტორი განაგრძობს:

„გაზვიადებულია აგრეთვე სიმდიდრის აღწერა, სამკერ რომ გამრავლდეს ჩვენთვის ცნობილი ყველა სახელმწიფოს მატერიალური ძლიერება, მაინც ვერ გაუთანაბრდება იმ ზღაპრულ სიმდიდრეს, რომელსაც ვნახულობთ რუსთაველის მიერ აღწერილ სამ სახელმწიფოში. მარტო პატარა ქაჭეთის ციხეში გამარჯვებულმა რაინდებმა იმდენი

\* მოსე გოგიბერიძე — „რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები.“ 1961. გვ. 85-88.

\*\* იქვე, გვ. 98.

ალაფი შეკრიბეს, რომ აქლემსა და ჯორს

„სამიათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალები,  
თვალი ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლალები“ (1426)

ნუ დავივიწყებთ, რომ პოეზიის ნორმების თანახმად, გაზუადებული ჰიპერბოლებით წერა დაშვებულია მიუწვდომელი იდეალების აღწერისას, მაგალითად, ღმერთის ძლიერების აღწერის დროს და თუ რუსთაველი ამ მეთოდს იყენებს სიმღერის აღწერის შემთხვევაში, ეს იმის მაჩვენებელია, რომ იმდროინდელი საქართველო ერთობ მდიდარი ქვეყანა იყო და კიდევ უფრო მეტი გამდიდრება ქართული ძლევამოსილების სიმბოლო უნდა ყოფილიყო\*.

უკანასკნელი ფრაზა იმ მიზნითაა ნათქვამი, რომ ავტორმა გამართლება მოუპოვოს იმ ზღაპრულ სიმღიდრეს, უწოდოს მას სავსებით დასაშვები ჰიპერბოლა. ეტყობა, ავტორს თვითონვე უგრძნია, რომ ეს არ არის საკმარისი. ამიტომ იმ მაგალითსაც იშველიებს, პლატონს „პოლიტიკაში“ ასევე ზღაპრული სიმღიდრე რომ აქვს აღწერილი. და მაინც, ავტორი არაა დარწმუნებული, რომ გამართლება მოუპოვა „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილ გაუგონარ სიმღიდრეს. საიდან ჩანს, რომ ეს ასეა? მოვუსმინოთ ავტორს. იგი იქვე აგრძელებს:

„რაც შეეხება საჩუქრის სიუხვეს, ზომიერება აქაც დარღვეულია“ შემდეგ კი ავტორი ისევ ცდილობს გამონახოს გამართლება — „მაგრამ აქაც იდეალის აღწერის უფლებითო“.\*\* შემდეგ მსჯელობა ეხება იმას, რომ იმდროინდელ საქართველოში საჩუქარს ალება-მიცემის სახეც ჰქონდა, ყველა ცდილობდა საჩუქარი გაეცა და თავადაც მიეღო და ა.შ.

გამართლება მაინც არ გამოდის. მ. გოგიბერიძე აღიარებს, რომ ორივე შემთხვევაში ზომიერება არაა დაცული, დარღვეულია (ზევით კი პრინციპი ჩამოაყალიბა — ზომიერება არ უნდა დაირღვესო ნამდვილ ხელოვნებაში!). ცოტაც რომ გავაგრძელოთ, უფრო დავრწმუნდებით, რომ ჩვენი ავტორი ვერ პოულობს იმ გადაჭარბებათა გამართლებას. იგი წერს: „ჰომეროსი,

\* მოსე გოგიბერიძე — „რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები.“ 1961. გვ. 88-89

\*\* იქვე, გვ. 89

ლესინგის თქმით, უმაღლესი მხატვრული ამოცანის გადაჭრისათვის არასდროს არ მიმართავს ენამრავლობას და მოვლენათა გაუთავებელ სიტყვიერ აღწერას საცილობელო ჰიპერბოლების დახმარებით“.<sup>90</sup> ეს სიტყვა „საცილობელი“ აქ ისეა მოტანილი, აძლიერებს ზომიერების დარღვევის თაობაზე ზევით თქმულს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მ. გოგიბერიძე რუსთაველის გენიას უმაღლეს შეფასებას აძლევს და მას მხოლოდ ჰომეროსს ადარებს: „ჰომეროსის სადარი ნიჭი ჩვენი პოეტისა“,<sup>91</sup> ასევე სხვაგანაც: „ლექსის გაფორმების ოსტატობაში მას (რუსთაველს), ჰომეროსის გარდა, მეტოქე არ ჰყავს პოეზიის მსოფლიო ისტორიაში“.<sup>92</sup>

რა გამოდის? ჰომეროსს, რომელსაც რუსთაველი შეედარა (და მხოლოდ მას შეედარა) მართლაც ჰქონია განხორციელებული ზომიერების პრინციპი, რუსთაველს კი ზოგჯერ მაინც ვერ დაუცავს იგი. ასე გამოუვიდა მ. გოგიბერიძეს, რადგან მან ვერ შეძლო მიეცა ახსნა და გამართლება იმისათვის, თუ რატომაა რუსთაველის პოემაში ასე უზომო სიმდიდრე და საჩუქრები. საქმე არც ამით ამოიწურება — ზომიერება არც სხვა მხრივ ყოფილა დაცული. მ. გოგიბერიძე წერს: „საქართველოს მთებიდან მდინარეებს არ უდენიათ იმდენი, რამდენიც ცრემლი რუსთაველმა ადენინა თავის გმირებს“... „ხშირად გამოუთქვამთ გაკვირება ამ გაუთავებელი ტირილის გამო“.<sup>93</sup> მართალია, ავტორი იქვე წერს, რუსთაველის ცრემლის ფსიქოლოგია ცალკე კვლევის ღირსიაო, თანაც სავსებით სწორად ამბობს, რომ „საიდუმლოება ნათელი გახდება, როგორც კი გავიგებთ, თუ რა აზრი აქვს სიტყვას — „ტირილი“ — რუსთაველთან.

ავტორი განმარტავს, მაგრამ ეს განმარტება არაა დამაჯერებელი: „ტირილი მეტყველების მიმართ იმ როლს ასრულებს, რასაც ინსტრუმენტი ვოკალის მიმართ: ხან წინ უსწრებს და უწყობს მის ხმებს, არის უვერტიურა, ხან ახლავს მას და აშუ-

<sup>90</sup> მოსე გოგიბერიძე — „რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები.“ 1961. გვ. 91.

<sup>91</sup> იქვე, გვ. 90.

<sup>92</sup> იქვე, გვ. 84.

<sup>93</sup> იქვე, გვ. 98.

ქებს მის დენადობას“... შემდეგ: „ტირილი და მუსიკა მსოფლმხედველობაა რუსთაველთან“, მაგრამ არა ჩანს, თუ როგორ არის ეს ასე.

ამრიგად, მ. გოგიბერიძემ რუსთაველის პოემიდან გამოჰყო სიმღერა, დასაჩუქრებები, ტირილი, სამივეს მიმართ აღიარა, რომ ადგილი აქვს გადაჭარბებას, ზომიერების დარღვევას, შეეცადა მიეცა გარკვეული გამართლება, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს დამაჯერებლობას მოკლებულია. „ზომიერების პრინციპის ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს შინაგანი სიმართლისა და დამაჯერებლობის განცდის გამოწვევა“.\* ხაზგასმით წერს მ. გოგიბერიძე. იმ საკითხს კი მაინც ვერ არკვევს, თუ რამდენადაა დამაჯერებელი მდინარეებზე მეტი ცრემლის დენა და ყოვლად უზომო საჩუქრების გაცემა. ავტორი, ჩანს, თვითონვე კარგად გრძნობს ამას და გარკვეულ ხერხს მიმართავს, რის შესახებაც უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა, რადგან ეს, ჩემი აზრით, მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია რუსთაველოლოგიური ნაშრომებისათვის. ავტორმა შემჩნევით კი შეამჩნია ის გადაჭარბებები, აღნიშნა კიდევაც, მაგრამ მათ განხილვაზე უფრო სხვა ადგილებს აანალიზებს, მოიტანა პოემიდან ასეთი ადგილი:

**„ვერა შევიგენ, რა იყო, ანუ ნაქმარი რაულად!**

**ვისცა ვუჩვენო, უკვირდის, ღმრთისაგან თქვის სასწაულად;**

**არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, არ ორხაულად;**

**სიმტკიცე ჰგვანდის ნაჭედსა,**

**ვთქვი ცეცხლთა შენართაულად“ (461)**

ამ ადგილის გამო მ. გოგიბერიძე წერს: „შეხედეთ რუსთაველს, ხელოვანს სულით და გულით! როცა საჩუქარი უნდა მიართვას უძვირფასეს არსებას ამა ქვეყნისა, მაშინ თვალ-მარგალიტით ტვირთული ქარავენი კი არ გაგზავნა, არამედ მალაღობი ხელოვნების უბადლო ნამოქმედარი; ღირებულება იმ ჩინური რიდისა მის იშვიათობასა და ხელოვნებაში მდგომარეობდა“.\*\* ავტორი აქედან გადადის ისევ დიდებულ მომენტზე — ტარიელმა რომ უთხრა როსტევანს, სხვა არაფერი საჩუქარი არა მაქვს, თქვენთვის ავთანდილი მომიძღვნიაო და წერს: „აი,

\* მოსე გოგიბერიძე — „რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები.“ 1961. გვ. 94.

\*\* იქვე, გვ. 90.

ჩვენი აზრით, ჩინებული მაგალითი მხატვრული გამოცანის გენიალური ამოხსნისა... რუსთაველის მხატვრულმა ალლომ იგრძნო, რომ ჰიპერბოლა ამ შემთხვევაში ეფექტს არ მოახდენდა; ამიტომ მთლიანად უარი თქვა ჰიპერბოლის ხერხზე... ეს მაგალითი ამტკიცებს თვალნათლივ, რომ მისი ავტორი არის შეუდარებელი ხელოვანი, რომელიც ისე წყვეტს ხელოვნების რთულ ამოცანებს, რომ ნორმას აწესებს "შემოქმედებისათვის".<sup>4</sup>

ჯერ თავი შევიკავოთ იმისგან, მართლა ამიტომ გააკეთებინა თუ არა რუსთაველმა ტარიელს ის უჩვეულო საჩუქარი, დანარჩენში კი უდავოდ უნდა დავეთანხმოთ ავტორს რუსთაველის, როგორც ხელოვანის სიდიადის აღიარებაში. ისიც უეჭველია, ამ შემთხვევაში ავტორი რომ იხსენებს ჰომეროსის მიერ ისეთივე ამოცანის გადაჭრის შემთხვევას — ელენეს მშვენიერების აღწერა კი არ მოგვცა ჰომეროსმა, არამედ იგი წარუდგინა ტროას უზუცესთა საბჭოს, ამ მოხუცების აღტაცება რომ გამოიწვია, ამით ყველაზე უკეთ დაგვიხასიათა ელენეს გაუგონარი სილამაზე.

რატომ გამოვყავი ასე შედარებით განსაკუთრებულად მ. გოგიბერიძის შეხედულება? რა თქმა უნდა, მართლაც ის მიზეზი არაა განმსაზღვრელი, რომ მ. გოგიბერიძე დაკვირვებული რუსთველოლოგია, მას ბევრი საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული. რუსთველოლოგიაში ბევრ ავტორს, ცნობილ მეცნიერს აქვს მნიშვნელოვანი დებულებები წამოყენებული. მკითხველი უთუოდ შეამჩნევდა, რომ ჯერჯერობით იშვიათად, ისიც ძალზე მოკლედ თუ იყო აღნიშნული ამა თუ იმ მეცნიერის თვალსაზრისი. ცხადია, ეს ასე არ შეიძლებოდა მუდმივად, ბოლოს და ბოლოს ხომ დადგებოდა დრო როცა აუცილებელი გახდებოდა ტექსტის ანალიზთან ერთად, რაც არსებითი იყო, ამ ტექსტის გამო გამოთქმულ მოსაზრებათა მეტ-ნაკლებად საფუძვლიანი ანალიზი. გარდა იმისა, რომ მოცემულ გამოკვლევაში ასეთი ანალიზიც იქნება წარმოდგენილი, გადაწყვეტილი მაქვს საჭიროების შემთხვევაში სპეციალური ცალკე ნაშრომი მიუძღვნა რუსთველოლოგიური ლიტერატურის საფუძვლიან

<sup>4</sup> მოსე გოგიბერიძე — „რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები.“ 1961. გვ. 90-91.

და ვრცელ განხილვას. ასეთი გადაწყვეტილების სისწორეში სულ უფრო დავრწმუნდებით, რაც მეტად წავალთ წინ და ამ ნაშრომის დასკვნით ნაწილს მივუახლოვდებით. ახლა კი უკვე აქვე ამავე ნარკვევშიც, სადაც აქამდე სულ მცირე ადგილი დაეთმო სხვების აზრთა განხილვას, მ. გოგიბერიძის შეხედულება უფრო ვრცლად განვიხილე და ასევე, მართალია არასრულად, მაგრამ შედარებით ვრცლად განვიხილავ კიდევ რამდენიმეს.

მოსე გოგიბერიძის თვალსაზრისმა ერთგვარად მაინც რომ აღიარებს გადაჭარბებებს, რასაც ვხვდებით „ვეფხისტყაოსანში“ (რის შესახებაც ამ გამოკვლევის პირველ ნაწილში საკმაოდ ვილაპარაკე), რა თქმა უნდა, ამით მიიქცია ჩემი განსაკუთრებული ყურადღება. უფრო სწორად, იმ პასუხებმა, რასაც გვაძლევს ეს მეცნიერი. როგორც ვნახეთ, იმ პასუხებში არ აღმოჩნდა დამაჭერებლობა იმისა, რომ გადაჭარბებები და ზომიერების დარღვევა უკუუვადოთ, ე.ი. რუსთაველის ჩანაფიქრი ისე გავიგოთ, რომ ზომიერების დარღვევაში არ დავდოთ მას ბრალი რა გზას მიმართა მეცნიერმა? ზევით უკვე ვთქვი — დამახასიათებელ ხერხს მიმართაო. რა ხერხზე, რა გზაზეა ლაპარაკი? როცა აღმოჩნდა, მაგალითად, რომ პოემაში უზომო ძღვენია ნაჩვენები, ამისი ახსნისა და გამართლების ნაცვლად მკვლევარმა ჩვენი ყურადღება გადაიტანა რუსთაველის ერთ-ერთ ბრწყინვალე პასაჟზე — როგორაა აღწერილი ტარიელის მიერ ნესტანისათვის მიერთმეული საჩუქრის მხატვრული ღირებულება. ასეთივე მიზნით აღწერა, აღტაცება გამოთქვა და ჩვენც დაგვაჩერა, აღტაცებაში მოგვიყვანა მეორე შემთხვევის გადმოცემით პოემიდან — ტარიელმა როსტევეანს რომ უთხრა საჩუქარი არათფერი მაქვს, ძღვნად ავთანდილი მომირთმევიო. რა თქმა უნდა, ბრწყინვალედაა პოემაში ეს და ბევრი ასეთი ადგილი დაწერილი. რუსთაველის გენიალურ ქმნილებაში იმდენია ბრწყინვალე იდეის, მისი მხატვრული განხორციელების სახით, იმდენი სილამაზეა ლექსში, იმდენი სიბრძნეა აფორიზმებად ჩამოგვირისტებული, რომ თვით მტრულად განწყობილ კაცსაც გაუჭირდება ამისი უარყოფა, ხოლო მოყვრად ვინც მიადგება ამ ნაწარმოებს, მას ხომ სათქმელი და სადიდებელი არ გამოელევა. ვინც შეამჩნია რაიმე შეუსაბამობა (მ. გოგიბერიძე რომ



წერს — საქებარია, თუ კრიტიკოსები ხარვეზებს აღმოაჩენენ-  
ნო), მას შეუძლია სრულიად გულდამშვიდებით გადაუხვიოს  
სულ ოდნავ, გვერდით, იქვე, იპოვის ბრწყინვალეობას და შემდეგ  
შეუძლია დაღლამდე ილაპარაკოს მის შესახებ.

ეტყობა, რუსთველოლოგიაში დღემდე ასე ხდებოდა, თო-  
რემ როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ შეუმჩნეველი დარჩენი-  
ლიყო მდინარეებივით მომდინარე ცრემლი, რიყის ქვებივით და-  
ყრილი მარგალიტები და სხვა მისთანა გადაჭარბებები, მაგრამ  
ხომ შეიძლება ეს დავტოვოთ უყურადღებოდ, უფრო სწორად,  
რატომ უნდა მივაცივდეთ მაინცდამაინც ასეთ ადგილებს, რო-  
დესაც გაცილებით მეტია ბრწყინვალე და მართლაც დიდებუ-  
ლი. ასე რჩებოდა უყურადღებოდ ის საჩოთირო სიტუაციები  
და პასაჟები, ამიტომ მოხდა, რომ განსაკუთრებული მონდომე-  
ბით არავის მოუცია ამ მოვლენების ანალიზი. იმასაც ვფი-  
ქრობ, რომ ამგვარი სიტუაციები, ვინც მათ მიაქცია ყურადღე-  
ბა, მიუჩნევიათ, მართლაც ხარვეზებად. ალბათ, დაახლოებით  
მაინც, ასეთ მსჯელობას ჰქონდა გასავალი — რა მოხდა ისეთი,  
ერთი-ორი ხარვეზი რა სახსენებელია, იქ, სადაც ნაწარმოებს  
ამოურწყავი ღირსებები გააჩნიაო. ყველაფრიდან ჩანს, სერიო-  
ზულად არავინ დაუშვა, რომ ის, რაც ხარვეზი, გადაჭარბება,  
გაზვიადება, ზომიერების დარღვევა ჩანს, იქნებ სულაც არ იყოს  
ასე და ავტორის მიერ მოფიქრებულად იყოს ასე მოწოდებუ-  
ლი. იქნებ რუსთველი ვარაუდობდა, რომ ასეთი შემთხვევები  
თუ ყველასი არა, ზოგიერთების ყურადღებას მაინც მიიქცევდა,  
გახდებოდა სერიოზული დაფიქრების საგანი და, ბოლოს და  
ბოლოს, ერთად თუ არა, თანდათანობით, გაირკვეოდა, რატომ  
მიმართავს ავტორი ამ, ასე ვთქვათ, აშკარა გაზვიადებებს.

ამრიგად, მოსე გოგიბერიძის მიერ რამდენიმე შემთხვევის  
აღნიშვნა, გადაჭარბების აღიარება და ისეთი სიტუაციების ანა-  
ლიზზე გადასვლა, სადაც ყველაფერი რიგზეა, უფრო მეტი —  
შესანიშნავადაა, მინდოდა ახლა წამოყენებული მოსაზრების გა-  
მოსათქმელად. ამიტომ მივაქციე ამას ასეთი ყურადღება.

მთავარი კი ისაა, როგორ ავხსნათ ის უსასრულო საჩუქრე-  
ბი და უზომო სიმდიდრე? ამას პასუხი რომ მოვუძებნოთ, ისევ  
ის აფორიზმი მოვიგონოთ და მისი აზრის გაგება ვცადოთ:

„რასაცა გასცემ შენია, რას არა, დაკარგულია!“

არის თუ არა აქ ლაპარაკი ისეთი რამის გაცემაზე, რაც გაჩუქებას, ბოძებას, სიმდიდრის გადაცემას ნიშნავს? იქნებ იქ, სადაც გაცემაზეა ლაპარაკი, სულ სხვა აზრია ჩადებული, ვიდრე ქონების გაცემა, ხოლო ეს თუ ასე აღმოჩნდება, მაშინ ყველგან, სადაც საჩუქარზე, ბოძებაზე, საჭურჭლის გაცემაზეა ლაპარაკი, იქნებ არ იყოს ერთი მნიშვნელობის მქონე, იქნებ ამ სიტყვებით ერთ შემთხვევაში ერთი მნიშვნელობაა ნაგულისხმევი, სხვა შემთხვევაში კი — სულ სხვა. სხვადასხვა მნიშვნელობით სიტყვათა მოხმარების უფლება მხატვრულ ლიტერატურას, პოეზიას აქვს და ეს არც იწვევს დავას. მთავარია ის დადგინდეს, რომ რუსთაველი ამ სიტყვებს მართლაც ხმარობს როგორც პირდაპირი მნიშვნელობით, ისე გადატანითი მნიშვნელობითაც. ე.ი. ამ სიტყვებში პირდაპირთან ერთად და მისი ოსტატური გამოყენებით სიმბოლური მნიშვნელობაცაა ჩადებული.

ახლა შეიძლება და საჭიროცაა ითქვას, რომ რუსთაველი ამ შემთხვევაშიც, ბევრ სხვა შემთხვევაშიც სწორედ ასე იქცევა, ასეთი გაგებით გვაძლევს როგორც ცალკეულ სიტყვებს, ისე სიტუაციებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოსტატურად ქმნის მხატვრულ სახეებს და ამგვარი სახეებით კი მთელს გიგანტურ მხატვრულ ქმნილებას.

რა არის ის, რაც შეიძლება გაგაჩნდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვას, მეორე ადამიანს, ან ადამიანებს უბოძებ, მათ დასაჩუქრებ? ცნობილია და რუსთაველის დროსაც აღბათეცოდინებოდათ, რომ ცოდნის შესახებ არის ასე ნათქვამი: მისი მფლობელი, ე.ი. ვისაც ცოდნა გააჩნია, ამ ცოდნას თუ სხვებს გადასცემს, სხვას მისცემს ისეთსავე სიმდიდრეს, რისი მფლობელიც თვითონ არის, მას ეს სიმდიდრე არ დააკლდება. ჩვეულებრივი სიმდიდრის გაცემის დროს ის, რაც სხვას მიაკუთვნე, დააკლდება თავდაპირველ ქონებას, სიმდიდრეს.

ამიტომ რუსთაველს არ შეეძლო ეთქვა პირდაპირი მნიშვნელობით სიმდიდრის, საჭურჭლის შესახებ, თუ სხვას მისცემ, შენ არაფერი დაგაკლდებაო. კი, შეიძლებოდა მას ეგულისხმა, შენ თუ სხვას აჩუქებ, შემდეგ შენც სხვა გაჩუქებს და ამ გაგებით შენს სიმდიდრეს არ დააკლდებაო. მაგრამ ეტყობა, რომ

რუსთაველი არა თუ ამას არ გულისხმობს, არამედ იგი არც იმის გაცემის გამო წერს, რასაც არ დააკლდება სხვისთვის გადაცემის დროსაც — რუსთაველი არც ქონების გაცემაზე ამბობს და არც ცოდნისა. არც ცოდნა და, მით უფრო, არც ქონება არ არის იმაზე დამოკიდებული, გასცემ თუ არა მას. ვინც ქონებას სხვას არ მისცემს, იმას ეს ქონება არ დააკლდება, არც ცოდნა, თუ სხვას არ გადასცემს, არ დააკლდება ამის გამო მის მფლობელს. თუ ცოდნაც კი არ არის ასეთი ბუნების, მაშინ, საერთოდ არის კი რაიმე, რისი სხვისთვის გაცემის გარეშე თვითონაც არ არსებობს? თუ ასეთი არაფერი აღმოჩნდა, მაშინ მთელი ჩვენი მსჯელობა უნაყოფო აღმოჩნდება.

საქმე კი ისაა, რომ ასეთი „სიმდიდრე“ არსებობს და რუსთაველი სწორედ ამ საქმის საუკეთესო შესაიღუმლეა, მან იცის ასეთი ფენომენი. ამის შესახებ წერს იგი თავის ნაწარმოებში.

სიყვარულია ასეთი.

სიყვარული საერთოდ, ზოგადად, სიყვარული კონკრეტულად როგორც ქალ-ვაჟის მიჯნურობა. სიკეთეა ასეთი.

სიყვარული, მიჯნურობა და ის, რაც ზევით განსაკუთრებით ხაზგასმით იყო ნათქვამი — სიკეთის ქნა, თმობა, სურვილთა დათმობა, მომეც დათმობა სურვილთაო, ეს უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული. ასეთი ურთულესი გზით მიყვარათ რუსთაველს, ამიტომ იმთავითვე გვაფრთხილებს იგი, თავიდანვე გვმოდღვრავს, მიჯნურობის სიბრძნეს გვაზიარებს, შემდეგ კი ამ სიბრძნეს გვაძლევს პრაქტიკულ-ცხოვრებისეულ განხორციელებაში. აქედან გამომდინარე, არ უნდა გვიკვირდეს, თუ რუსთაველის პოემის პროლოგი — „დასაწყისი“ წარმოგვიდგება ძირითადად შაირობის როგორც სიბრძნის დარგისა და მიჯნურობის ხოტბის შესხმად. ავტორი კი მიახლოებამდე მიჯნურობას გვიხასიათებს — 13 სტროფი მიუძღვნა რუსთაველმა „დასაწყისში“ მიჯნურობას.

„ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,

ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;

იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;

ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა“ (20).

საზეო საქმე — ასეა მიჯნურობა გაგებული და ეს აზრი

გაჰყვება მთელს პოემას.

რატომ მაინცდამაინც მიჯნურობა ამოარჩიავ რუსთაველმა „დასაწყისში“ — ვიკითხეთ და ახლა სრული რწმენით შეგვიძლია პასუხი გავცეთ რუსთაველის პოემაზე დაყრდნობით: რუსთაველს უმაღლეს გრძნობად მიაჩნია მიჯნურობა იმიტომ, რომ მიჯნურობისას ერთმანეთს ემთხვევა ჩემი და შენი, საკუთარი და სხვისი, შენ და ის სხვა. ტირის ტარიელი თავის ბედს და ეს, ამავე დროს, არის ნესტანის გამო ტირილი, ტირის ნესტანი თავის ბედს და ეს, ამავე დროს, ტარიელის გამო ტირილია.

განა მართო ტირილი. ტირილს იმიტომ ვამბობ, თანაგრძნობის გამო ტირილში პიროვნება უფრო ჩანსო, ზევით რომ ვამტკიცებდი, თორემ მიჯნურობა თავის ბუნებას ავლენს არა მართო ერთმანეთის უბედურების განცდით, არამედ საერთოდ. მიჯნურთა სიხარულიც საერთოა, სიამოვნებაც, განცდათა მთელი სიმდიდრეა საერთო ანუ, როგორც ითქვა, ამ გრძნობის პირობებში საკუთარი და სხვისი ერთმანეთს ემთხვევა მიჯნურობა, საერთოდ სიყვარული, სიყვარულის სახეობა მეგობრობა არის „ერთმანეთისა მონება“. მართო მონება? ამავე დროს, ამავე ერთმანეთისა მონებით ზეასვლა, ამაღლება.

## „წაბიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაბჰარ წერენ?“

ავთანდილის ცნობილი ანდერძი გადაუმეტებლად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო პოეზიის შედეგად. ეს ანდერძი მრავალი თვალსაზრისითაა საყურადღებო, რა თქმა უნდა, მიჯნურობის ავთანდილისეული (რუსთაველისეული) გაგებითაც.

„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?

ვით იტყვიან, ვით აქებენ, ცან, ცნობანი მიაფერენ.

„სიყვარული აღგვამალღებს“, ვით ეუვანნი, ამას უღერენ,  
შენ არ სჯერხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჭერენ!“ (791)

ხორციელის, მიწიერის, ამქვეყნიურის — მიჯნურობის, სიყვარულის საზეოდ წარმოსახვა, ამ გზით ამაღლება ღმერთამდე ისე, რომ ამისი უბრალო მოლოდინი და ბედს დალოდება კი არა, საამისოდ ბრძოლა — ასეთია რუსთაველის ჰუმანიზმის აზრი და ამიტომაც, რომ სიყვარულით ამაღლების მტკიცებას წინ უძღვის:

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა ,  
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ

მწყობრთა წყობისა“! (790).

და რა არის იგი, ასეთი სიყვარული, მიჯნურობა, რომლის საშუალებით ამაღლება და შერთვა ზესთა წყობასთან მოქმედებით არის მისაღწევარი? როგორ მოიპოვებ მას? როგორ შეიძლება იგი გაგაჩნდეს? მხოლოდ იმით, თუ მას გასცემ — „რასაცა გასცემ შენია, რას არა, დაკარგულია“ — იგი არ არსებობს მაშინ, თუ იგი არ გაეცი, — ე.ი. თუ სხვაში, მეორე პიროვნებაში არა გაქვს ეს სიმდიდრე გაბარებული, ისე შენც

არ გაგაჩნია იგი. აქ არ მინდა მტკიცებითი საბუთის ძალით მოვიყვანო, ისე კი როგორ შეიძლება ამ შემთხვევაში არ მოგვაგონდეს შეიდასზე მეტი წლის შემდეგ პოეტის მიერ ნათქვამი სიტყვა — „მე შენში სიყვარულს, ვით სალაროში ოქროსა ვღებო“. ეს სიტყვები ვლადიმერ მაიაკოვსკის ეკუთვნის, არ ვიცი, იცოდა მან ისე კარგად რუსთაველი, თუ არა, ის კი ფაქტია, ამ სიტყვებში გამჟღავნებულია რუსთაველური სიბრძნე. სიყვარული, თუ იგი ნამდვილია, უნაშთოდ სხვისთვის გადაცემაა ყოველივესი, რაც ადამიანს გააჩნია, ამით არსებობს იგი, ამაშია მისი ბუნება და თუ ეს არ არის, მაშინ, ადამიანს იგი — ეს სიმდიდრე არ გააჩნია. სიყვარულია უდიდესი სიმდიდრეო, გვეუბნება რუსთაველი და ეს სიმდიდრე ჩვეულებრივისგან იმით არის განსხვავებული, რომ თუ სხვას არ აძლევს საკუთარ სულს, ისე შენც არ გაგაჩნია ეს სიმდიდრე. რასაცა გასცემ, იგია შენი სიმდიდრე, იგია სიყვარული, თუ არა და შენი არსიც დაკარგულია, შენი შესაძლებლობა არაა განხორციელებული, არაა რეალობად ქცეული...

და როგორც უნდა იღავონ რუსთაველოლოგებმა იმ მე-20 სტროფის თაობაზე, ერთი უდავოა — ეს უმაღლესი გრძნობაა, „იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“, არც ის უნდა იყოს სადავო, რომ იგია „ძნელად სათქმელი“.

ამ ძნელად სათქმელის გამოსახატავად აქვს რუსთაველს, სხვათა შორის, სიმდიდრის, საქურჭლის, გაჩუქების ამბებიც გამოყენებული. ყოველ მათგანს თავისი პირდაპირი მნიშვნელობაც აქვს პოემაში და აქვს გადატანითი მნიშვნელობაც. თუ ამას არ გავითვალისწინებთ, ისე სრულიად გაუგებარი იქნება პოემის ბევრი პასაჟი, მართლაც მდინარის ლოდებად დაყრილი მარგალიტები, ულევო საჩუქრები. თუ ეს ყველაფერი გამოყენებულია არა უბრალოდ ქონების, არამედ მართლაც ულევო სულიერი მდგომარეობის — უსაზღვრო სიყვარულის გამოსახატავადაც, მაშინ, ვფიქრობ, ყველაფერი გასაგები ხდება.

ამასთან, სიყვარული, როგორც მიჯნურობა, თავისთავად არც არსებობს, იგი დაკავშირებულია მეგობრობასთან, სიკეთესთან, თანაგრძნობასთან, ამიტომ ისიც გასაგებია, რუსთაველი რომ ამბობს:

„კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა“ ( 26,4)  
ე.ი. გაძლებას!

ის, რაც სიყვარულზე ითქვა, ოდნავ შეცვლილი სახით განა არ ითქმის მეგობრობის გამოც? ისევე როგორც სიყვარულის უდიდესი სიმდიდრე არ გააჩნია ადამიანს მანამ, სანამ მას არა აქვს საკუთარი სული სხვისთვის გაცემული, ასევე არ არსებობს მეგობრობაც, თუ სხვა ადამიანისათვის არ შეგიძლია თანაგრძნობა ისე, რომ საქიროების მიხედვით ეს იყოს თავდადება ამ სიტყვის პირდაპირი მიშენელობითაც კი.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ ღამრიღად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხილად; კვლა მიჯნურსა მიჯნურისა ჭირი უჩნდეს ჭირად დილად, აჰა, მაქვსმცა უმისოსა ლხინი არმად, თავი ფლილად!“ (703).

ასეთია გრძნობა, როდესაც იგი არის თანაგრძნობა. ზევით ვნახეთ, თანაგრძნობა ჟამს სიხარულისა და თანაგრძნობა ჟამს შეჭირვებისა, ვნახეთ და ვარჩიეთ, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში პიროვნების ზნეობრივი სახე უკეთ არის გამოვლენილი, რადგან სწორედ ამ შემთხვევაში არის იგი დამთმობი, დადებითი ემოციების დამთმობი და ამითვე დადებითი ემოციების მიძღები. ამ აზრითაა ნათქვამი კარგი მიჯნურის მისამართით, „ვინ იქმს სოფლისა თმობასაო“. ამიტომააო, ვამბობდი ზევით, ტირილისკენ მეტად მიდრეკილია რუსთაველი, რადგან ეს ავლენს პიროვნებებს, პიროვნებათა შორის განსხვავებას. ეს არის ის ნიშანი, რომლითაც უნდა გავარჩიოთ, თუ ვინ რას წარმოადგენს, ესაა მანიშნებელი კაცსა და არაკაცს შორის მანძილისა.

განა მთელი პოემა ამას არ ადასტურებს? განა მართლა იმაში არა ჩანს უმაღლესი ღირსება „ვეფხისტყაოსნის“ უბადლო გმირების, რომ ისინი მზად არიან საკუთარის დათმობით შეეწყონ სხვას და სწორედ ამით განამტკიცონ საკუთარი არსებობა. ამ იდეის გამოხატვას უბრწყინვალესი პასაჟები აქვს პოემაში მიძღვნილი. ეს რომ არ იყოს გამოსახატავი, მაშინ იქნებ სულაც შეგვაცბუნებდა, როდესაც რუსთაველი აგვიწერს, თუ როგორი ტირილით მიემართება ავთანდილი ტარიელის საძებნად, მეორედ — მის საშველად. მიემართება, განსაკუთრებით მეორედ, საკუთარი სურვილით, უფრო სწორად საკუთა-

რი არსებით — მას არ შეუძლია სხვაგვარად, იგი ვერ იზამს იმას, რომ არ წავიდეს და არ მიეშველოს ტარიელს. გენიოსმა იცის თავისი საქმე! ერთი მხრივ, უალრესი სიმძაფრით, უმაღლესი ხელოვნებითაა ეს ნაჩვენები — მარტო ავთანდილის ანდერძი, ის უქცნობი განძი საკაცობრიო ხელოვნებისა, საკმარისია ამაში დასარწმუნებლად. თუმცა, რუსთაველი მაინც არ იქნებოდა თავის სიმალლეზე, მას რომ სწორედ აქვე არ ეჩვენებინა მეორე, სრულიად საწინააღმდეგო, მაგრამ ამავე სიძლიერის განცდა ავთანდილისა — მას უკიდურესად უმძიმეს წასვლა! რუსთაველს რომ ეს არ დაეხატა, არ ეჩვენებინა სრული ძალით, თუ რაოდენ ძნელია ავთანდილისათვის წასვლა, მაშინ არც ის იქნებოდა სრული ძალით ნაჩვენები, თუ როგორია მისი კაცური თანაგრძნობა ტარიელისადმი. ესაა ნაჩვენები. ე.ი. რა არის ნაჩვენები? ავთანდილის უმდიდრესი სული! მოვიტანოთ ახლა სათანადო ადგილი და ვნახოთ, რა აზრითაა ნათქვამი აქ სიმდიდრის შესახებ:

„მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,  
მიეც გლახაკთა საქურჭლე, ათავისუფლე მონები,  
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები:  
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“ (803).

რა არის ეს? ვისთვისაც აქ ურიცხვი საქონელი, მართლაც, აუწონელ ოქროსა და მარგალიტს ნიშნავს, მისთვის, მაპატიოს ყველამ, რუსთაველი ჯერ კიდევ არაა გასაგები! რა თქმა უნდა, ქონებაც უნდა იგულისხმოთ, მაგრამ აქ ნაგულისხმევია სულ სხვაც — ის უდიდესი, მართლაც რომ ვერავინ აწონის, რომელიც არ გათავდება, ისეთი სიმდიდრე სულისა, გაუგონარი სიმდიდრე ადამიანური ქცევისა, სიკეთისა, რომელიც სხვას თუ გადაეცემა, ამით გახდება მდიდარი, განთავისუფლდება იგი, თუ მონაა, ამით დამდიდრდება ყველა და არც დაავიწყდებათ ეს, ამიტომ მუდამაც მოიგონებენ. ამას გვეუბნება რუსთაველი. როგორც უკვე ვთქვი; ეს არ იქნებოდა მთელი სისრულით გამოხატული, რუსთაველს რომ არ ეჩვენებინა, თუ როგორ უმძიმეს ავთანდილს „დათმობა სოფლისა“ — დათმობა ყველაზე სანუკვარისა, წასვლა მისგან შორს. შეიძლებოდა თუ არა ამისი გამოხატვა სხვაგვარად, ვინემ ეს რუსთაველმა გააკეთა? არის



თუ არა ამიტომაც სრულიად ბუნებრივი ის უსაზღვრო ცრემლი, რომელსაც მიმავალი ავთანდილი ღვრის? არის თუ არა გასაგები, თუ რატომ ლოცულობს მიმავალი ავთანდილი ასე გულმხურვალედ? ამ ლოცვის პირველი სტროფი, სადაც არის ნათქვამი „მომეც დათმობა სურვილთაო“, ზევით ხომ მოვიტანე, ახლა მეორე, არანაკლებ ცეცხლოვანი ნათქვამი ვნახოთ:

„ღმერთო, ღმერთო, გეაჭები, რომელი ჰელობ ქვენათ ზესა,  
შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,  
მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა,  
ნუ აღმოჰტეხვი სიყვარულსა,

მისგან ჩემთვის დანათესა!“ (810).

ასეთი დრამატიზმია დახატული. ამას რატომღაც ასე არ აღიქვამენ რუსთველოლოგიაში, არ აქცევენ ყურადღებას, რომ აქ საქმე გვაქვს უკიდურესად დაძაბულ დრამატულ სიტუაციასთან. ერთი მხრივ, რა კაცია ის კაცი, ვისაც ეს უმაღლესი გრძნობა არ აქვს და, მაშასადამე ისე არ მოიქცევა, როგორც ავთანდილი, მეორე მხრივ, ასე მოქცევა ნიშნავს უდიდეს დათმობას. დრამატიზმია, აუცილებელი ნამდვილი კაცის ცხოვრებისათვის, მისი სიყვარულისათვის, მისი მეგობრობისათვის. ვნახოთ, როგორ იწყებს რუსთაველი აღწერას „წასვლა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ“:

„მთვარე მზესა მოეშორვოს, მოშორებდა განანათლებს,  
რა ეახლოს, შუქი დასწვავს, გაეყრების, ვერ იახლებს,  
მაგრა ვარდსა უმზეობა გაახშობს და ფერსა აკლებს,  
ჩვენ ვერ-ჰვრეტა საყვარლისა ჭირსა

ძველსა გაგვიახლებს“ (830).

რა არის ნათქვამი? იმ ერთი რთული მოვლენის ორი საპირისპირო მხარის აუცილებლობით მიღებული დრამატიზმი.

ამ სტროფის წინწამძღვარება საქიროდ მიიჩნია რუსთაველმა და შემდეგ წერს:

„აწუა დავიწყებ ამბავსა, მის ყმისა წამავლობასა;  
მივა და მიტირს გულ-მდულრად, ვერ ვიტყვი ცრემლთა  
მცრობასა,

წამ-წამ მობრუნდის, იაჭდის მისთვის მზისავე მზობასა,  
უჰვრეტდის, თვალნი ვერ მოჰხსნის,

თუ მოჰხსნის, მიჰხდის ცნობასა“ (831).

ასეთი დრამატული სურათი რომ დაგვიხატა რუსთაველმა, მისმა გენიამ ესეც არ გვაკმარა და სრულიად იგავმიუწვდენელ სიმალღებზე ავიდა. არ ვიცი, იქნებ სხვებმა შეძლონ დაასახელონ ანალოგიური ნიმუში მსოფლიო ლიტერატურიდან. ასე ჩამოყალიბებული და გადმოცემული დრამატული სურათი ისეთ ახალ სიმაღლეზე აპყავს ავტორს, იმდენად წარმოუდგენელ ეფექტს აღწევს გაცეხისაგან გაგაშეშებს მკითხველს:

„ტირს, იტყვის: „დადგა კეშანი

ლახვარმან ჩემთვის ათმანო;

ინდოთა რაზმი ჩემად კლვად თქვა, ესე ტევრი

ვთხზა თმანო.

თვალთა გიშერი აშვენებს,

სათმან რად მომკლა, სათმანო!

ბაგე-კბილო და თვალ-წარბო,

მომცემდი პატიჟთა, თმანო!“ (835).

ამას მოსდევს სტროფი, რომელშიც უზენაესისადმი მიმართვაა:

„იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,  
ერთ-არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად,  
ვის გმორჩილობენ ციერნი ერთის იოტის წამისად,  
ბელსა ნუ მიცვლი, მიაჯე,

შეყრამდის ჩემად და მისად!“ (836).

ეს სტროფი სრულად თუ დანაწევრებით რამდენჯერ არის მოტანილი რუსთველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორი აზრი არ არის მის შესახებ გამოთქმული! მზე მიაჩნია ავტორს ღმერთად? ეს იქნება გარკვეული მსოფლმხედველობის ძირი. არ მიაჩნია — ეს სულ სხვა მსოფლმხედველობის ნიშანი იქნება. რა იგულისხმება ერთ არსება ერთში? თუ სამებაა ნაგულისხმევი, ისევ ნათელი მოეფინება რუსთაველის მსოფლმხედველობის ყველაზე გაურკვეველ პრობლემას. არ არის სამება? მაშ, რაღაა? და ეს უკვე სულ სხვა სურათის მომცემი იქნება. რა არის უჟამო ჟამი? ქრისტიანული დებულებაა ჩათქმული თუ სხვა რელიგიისა?.. და აქვე, თითქოს ავტორს სურს ცოტათი მაინც დაგვაყენოს სწორ გზაზე, შემდეგი სტროფი:

„ვის ხატად ღმრთისა გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“ (837).

მაშასადამე, მზეში ღმერთი არაა ნაგულისხმევი? იგი ხატი ყოფილა ღმერთისა? ვინ უწოდებდა ასეთ სახელს ღმერთს? იყო ასეთი „ფილოსოფოსი წინანი“? ვინ იყო? თუ ავტორს არ უნდოდა გამკლავება, რატომ ახსენა, თუ უნდოდა, რატომ ისე არა თქვა, რომ გაგვეგო? ზევით ხომ უმპრავჯერ იყო ნათქვამი და, მგონი, ნაჩვენებიც, რომ რუსთაველი იმ რანგის პოეტური ძალის მფლობელია, არაფრის გამოთქმა არ უჭირს, თუ რაიმე აქვს სათქმელი, სრულიად ძალდაუტანებლად ახერხებს მისი შესაფერისი ფორმის გამონახვას. და აქ, უალრესად საპასუხისმგებლო მომენტში ისე თქვა, ნამდვილად რა იგულისხმა ვერ გაგვიგია, ამას უტრიალებს ამდენი მეცნიერი, ფილოსოფოსი და ვერ მიმხვდარან, თუ რა არის ხატად უთქვია, ან რომელ ფილოსოფოსს უთქვამს.

სტროფი, რომელიც თითქოს პასუხის მომცემად იყო მოწოდებული, სინამდვილეში ასე გრძელდება:

„ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი,  
შენ მიშველე რა ტყვე-ქმნილსა, ჭაჭვნი მაბიან, რკინანი!  
ბროლ-ბადახშისა მძებნელმან სათნი დავკარგენ, შინანი;  
მაშინ ვერ გავძელ სიახლე, აწ სიშორესა ვინანი“ (837).

ზევით რამდენჯერმე ვიხმარე სიტყვა დრამატიზმი, დამახასიათებლად იმისა, თუ როგორი აუცილებელია, ერთი მხრივ, ავთანდილის წასვლა ტარიელთან, როგორი ძნელია ეს, მეორე მხრივ. ამისი ჩვენებისათვის არისო, ვამბობდი, ასეთი ფერებით აღწერილი მიმავალი ავთანდილის განცდები, მისი ტირილი და ვაება. ამიტომ ამასვე დაუკავშირდა და სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება, როცა ავთანდილმა მზეს შესთხოვა შველა „შიაჯეო შეყრად ჩემად და მისად“. ისეთ სიმალლეზე ვიყავით ამ მხრივაც აყვანილი, არ გაგვეკვირვებია მზისა და ღმერთის გამო ნათქვამი, ახლაც თითქოს ბუნებრივია, რომ გამოიკვეთა ისევ ის უმთავრესი ხაზი და ავთანდილის სატრფოსთან განშორების სინანულია გამოთქმული.

„ამას ზოსთქმოდის, იწვოდის, ვითა სანთელი დნებოდის,  
დაყოვნებისა მოშიში ისწრაფდის, იარებოდის;  
რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსლვა ეამებოდის,  
მას ამსგავსებდის, ილხენდის,

უქვრეტდის, ეუბნებოდის“ (838).

შემდეგ მოდის მიმართვა მთვარისადმი. ამწუთს იმას ვფიქრობ, ამისი აღნიშვნით დაკმაყოფილები, გამოვტოვებ ამ სტროფისთვის და ხელი კი ისევ წერს.

„მთვარესა ეტყვის: „ოფიცე, სახელი ღმრთისა შენისა!  
შენ ხარ მიმცემი მიჯნურთა მიჯნურობისა სენისა,  
შენ გაქვს წაშალი მისისა მოთმინებისა თმენისა,  
მიაჭე შეჲრა პირისა, შენ გამო შენებრ მშვენიისა!“ (839).

როგორ გითხრათ, შეიძლება უფრო ძლიერად გამოხატვა სიყვარულის ძალისა, განშორების და, მაშასადამე, დათმობის სინანულისა?

სხვაგან არა, არ შეიძლება, რუსთაველს კი კიდევ შეუძლია:  
„ღამე აღხენდის, დღე სჯიდის, ელის ჩასლვასა მზისასა;  
რა წყალი ნახის, გარდახდის,

უჭვრეტდის ქავლსა წყლისასა,  
მას თანა-ჭრთვიდის ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა,  
კვლა გაემართოს, ისწრაფდის

წასლვასა მისვე გზისასა“ (840).

წყლის ქავლში მიჯნურის სახის მოლანდება! ახლა ხომ ის მზეც, მთვარეც და ვარსკვლავებიც დაგვაფიწყდა, ისეთი შეუღარებელი მხატვრული სახე მოგვცა დიდებულმა კაცმა! შემდეგ? რა მოსდევს ამას? ისეთი რეალისტური სურათი, კიდევ უნდა გოცდეს — ასე უცბად რატომ გადავიდა ავტორი ასეთ რეალისტურ სურათზე? მხოლოდ ის უნდა ვიგულისხმოთ, რომ რუსთაველი გვეუბნება — მთვარეში, წყლის ქავლში სატრფოს დანახვა ავთანდილისთვის ისევე რეალურიაო, როგორც აი ეს სიტუაცია:

„მარტო მოთქმოდის, ტიროდის ტანად აღვისა ხიანი,  
მინდორს თხა მოკლის, სადაცა

ადგილი დაჰხვდის კლდიანი,  
შეწვის, ჭამის და წავიდის პირ-მზე, გულ-მარხიანი,  
იტყვის: „დაგუარენ ვარდნი და, აჰა

მე ვაგლახ, იანი!“ (841).

ტყე-ლრე მარტო მიმავალი, რა თქმა უნდა, ინადირებდა, შეწვადა, შეჭამდა, ეს ხომ სრულიად რეალისტურია? თითქოს ასევეაო ის მზესთან, მთვარესთან მუდარა და წყლის ქავლში საყვარელი არსების სახის ნახვა — აი, რა სიმალღეზე აღის

რუსთაველის გენიალური ხილვა და ამ ხილვის გამოხატვის ოსტატობა. სულ ახლახან არ ვნახეთ, რომ კარგად ვერ გაგვაგებინა იმ მზისა, მზიანი ღამის, ხატისა და რომელიღაც ფილოსოფოსის ამბავი. ვითომ დავიჭეროთ, რომ უკეთესად ვერ თქვა და იმიტომ? არა! ამას ახლა არაფრით არც მკითხველი დაიჭერებს, მე კი რომ არ მჭერა, იმიტომაც დავიწყე წერა და იმდენი დავწერე, იმედი მაქვს, რომ ბოლოც გამოჩნდება.

ახლა ისევ ტექსტს მივუბრუნდეთ — როგორ გააგრძელა ავტორმა?

„აწ ვერ ვიტყვი მაშინდელსა მე მის ყმისა ნაუბარსა.  
რას უბნობდის, რას მოსთქმიდის,

რას ტურფასა, რაზომ გვარსა!

ზოგან თოვლი გაეწითლის ვარდსა, ბრჭლითა ნახოკარსა.

ქვაბნი ნახნა, გაეხარნეს, ზე გავიდა ქვაბთა კარსა“ (842).

იქვე ასმათი მიეგება და, რასაკვირველია, ცრემლთა ღენით. აქამდე მიგვიყვანა ავტორმა, ამას დიდად ვიყავით ჩვენც დანატრებულები, ისევ შეხვედროდენ ერთმანეთს ავთანდილი და ტარიელი. აქ კიდევ რთული ამბავი გველის — ტარიელი არ დახვდა, ავთანდილი, მთელ პოემაში ერთადერთხელ, ექვმა შეიპყრო — ტყუილუბრალოდ ჩამოვსულვარო:

„ემა დაქმუნდა, ვითამც რამე ჰკარეს ლახვარი გულსა შუა;  
ქალსა ეტყვის: „აჰა, დაო, ეგეთიმცა კაცი ნუა,  
იგი ფიცი ვით გატენა! არ ვეცრუვე, ვით მეცრუა!  
ვერ იქმოდა, რად მიქადა?

თუ მიქადა, რად მიტყუა?“ (845).

ეს დაექვება ახალი თემის დასაწყისია, ამის თაობაზე შეიძლება შემდეგ დაგვკვირდეს მსჯელობა, ახლა ისევ ჩვენს სათქმელს მივუბრუნდეთ. ტარიელის არ დახვედრა და შემდგომი ამბები თავისთავადაა მნიშვნელოვანი, მაგრამ ჩვენ ხომ იმას უნდა გავუწიოთ ანგარიში, თუ რა ეფექტის მომცემია ეს სიტუაცია: ვინმარ ისევ იმ სიტყვას — დრამატიზმი, ზევით აღწერილი, დაუთმობელის დათმობით ავთანდილის წამოსვლა ამ სიტუაციით ხომ კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული.

ასეთი დამბუღლობით, ამასთან, უნაკლო ოსტატური პოეტურობით გვატარა ავტორმა, ვილას ცალია იმისათვის, იქ

რომ გაგვიჭირდა გაგება! იმდენია საინტერესო, ისე ვართ დაპყრობილი თხრობით, რომ თავისუფლად მივყვებით ავტორს, საითაც მოინდომებს. მან კი, უნდა გამოვტყდეთ, მოიწადინა ის ადგილი ყოფილიყო ნაკლებ გასაგები. — ღმერთისა, მზიანი ღამისა, უქამო ქამისა და ფილოსოფოსთა შესახებ ვამბობ. ამას ორი მომენტი დავუმატოთ. ჯერ ერთი, მკითხველმა იცის, რომ რუსთაველი კიდევ ერთხელ გაგვხდის საოცარი სურათის მხილველს — ავთანდილის კოსმიურ საუბარს, სიმღერა — ტირილით შესრულებულ უბადლო სიმფონიის უნაკლო რუსთაველისეული შესრულების განმცდელს გაგვხდის. ზევით აღწერილი თითქოს დაიჩრდილება ციურ სხეულთა ამჟამინდელი სურათით:

„მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:  
აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა ძლესა,  
ვინ მღაბაღთა გააძაღლებ, მეფობასა მისცემს სვესა,  
მე ნუ გამყრი საყვარელსა,

ნუ შემიცვლი ღამედ დღესა“ (957)

განა ანალოგიური არ იყო 836-ე სტროფში მზისადმი მუდარა, მიაჯო? ახლა ეს თემა აქ უფრო (თურმე ესეც შეძლება რუსთაველს!) მაღალ რეგისტრშია აყვანილი, აქ მზეც არის და ყველა პლანეტაც, ამასთან ისეა ეს მიმართვა მათდამი შესრულებული, „ისმენდიან, გაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან“, სმენად მოსული მხეცნიც კი, შესამკობლად მოვიდიან ქვეყნით ყოვლნი სულიერნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი.

ამრიგად, მზისადმი და მზიანი ღამისადმი მიმართვის თემა განმეორდა კიდევ ერთხელ, წარმოუდგენლად ძლიერი რომ გვეგონა იმ პირველად, ახლა კიდევ უფრო დიდი ექსპრესიით. ეს ერთი მომენტი, რომელიც უნდა დავიმახსოვროთ. მეორე. 836-837-ე სტროფებში მზიანი ღამის ამბავი რომ წამოიწყო რუსთაველმა, გაურკვევლობაში აღმოვჩნდით, მაგრამ ისეთი სურათების გაღერებაში ვიყავით მაშინ, ამ გაუგებრობას იოლად დავადწიეთ თავი, შემდეგ შორი მანძილი ასევე სულმოუთქმელად გვატარა ავტორმა, კეთილად დაასრულა წამოწყებული საქმე, ნესტანი დაიხსნეს, უკან მობ-

რუნდნენ და, სრულიად მოულოდნელად ავტორს იმისი გარჩევა „გაუჭირდა“, ავთანდილმა რომ საქმე გაუკეთა ტარიელს, ასეთივე იქნებოდა თუ არა ის, ტარიელი გაპყოლოდა ავთანდილს ქორწილში. როგორც იქნა მოგვარდა ეს საჩოთირო ამბავიც:

„რა ავთანდილ ტარიასგან ცნა, წასლვასა არ დაშლიდა, არა ჰკადრა შეცილება, საუბარსა ზედა პრთვიდა; ფრიდონ კაცსა დარჩეულსა სათანადოდ გარდასთვლიდა, თანა წაჰყვა, განაღმცა მასთანავე გზასა ვლიდა“ (1491).

გასაგებია ყველაფერი. დასრულდა ეს თავი. რუსთაველი იწყებს ახალ თავს და სრულიად მოულოდნელად იგი იწყება ასეთი სტროფით:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:  
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,  
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს,

კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,  
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს,

არ აზადებს“ (1492).

აჰა, სრულიად მოულოდნელად ჩაერთო ეს სტროფი, შემდეგ კი რუსთაველი ისევ ამბის მოყოლაზე გადადის — ფრიდონისას გაემართნენო „იგი ლომნი, იგი მზენი“ და ა.შ.

ისე შორი-შორსაა 836 და 1492 სტროფები, ჩვეულებრივ მკითხველს კი არა და მონდომებულ მკვლევარსაც შეიძლება მხედველობიდან გამორჩეს ამ სტროფთა შორის რაიმე საერთოს შემჩნევა. ასე იყო თუ ისე, თანამედროვე რუსთველოლოგიამ იცის, რომ ეს ბრძენი დივნოსი — დიონისო არეოპაგელი, უფრო ზუსტად ფსევდო დიონისო არეოპაგელი და „ფილოსოფოსნი წინანი“ რაღაც კავშირში მაინც უნდა იყვნენ ერთმანეთთან. მეტიც ვიცით — ეს ფსევდო დიონისო არის პეტრე იბერი და იგივეა „ფილოსოფოსნი წინანი“...

აი, ეს ორი მომენტი გვახსოვდეს შემდეგისათვის.

ამჟამად კი ისევ განსახილველ თემას დავუბრუნდეთ.

ჩვენი თემა კი ზოგადად სიყვარული იყო, უფრო კონკრეტულად, სურვილთა დათმობა და მისი აუცილებლობა ნამდვილი სიყვარულისათვის! ამ მიზნით გავარჩიეთ ავთანდილის წა-

სკლის ამბის აღწერა რუსთაველის მიერ. ვნახეთ, თუ რაოდენ დიდი სურვილთა დათმობაა საჭირო იმისათვის, რომ სიყვარულის უმაღლესი სურვილი დაიკმაყოფილო. ეს ცენტრალური იდეათაგანია „ვეფხისტყაოსანში“ და მას სხვა შემთხვევებშიც, რასაკვირველია, ნათლად ვხედავთ. აქ კიდევ ერთი ასეთი შემთხვევის გამოც უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა. მხედველობაში მაქვს ნესტანის წერილი ტარიელისადმი, ქაჯეთის ციხიდან გამოგზავნილი. დაწერილია და მე მხოლოდ ჩემს აზრს მივუერთებ იმას, რომ ავთანდილის ანდერძთან ერთად ნესტანის წერილი არის მხატვრული შემოქმედების შედეგრი, რომლის ბადალი ძნელი საპოვნელია.



## „შენი სისოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად“...

ასე წერს ნესტანი ტარიელს, რომელიც, როგორც თვითონ ნესტანი ამბობს, მას არ ჰგონებია ცოცხალი, ახლა ფატმანის წერილიდან გაიგო ეს უაღრესად სასიხარულო ამბავი. იმისათვის, რომ აქ სათქმელი კარგად ჩამოვაყალიბოთ, დავსვათ საკითხი შემდეგი სახით. რა იქნებოდა, რომ ნესტანისათვის არ მიეწერათ, არ შეეტყობინებინათ ამბავი, ისე შედგომოდნენ ქაჩეთის ციხის აღებას? ჩვენ ზევით ხომ ვნახეთ, რომ ეს საჭირო იყო თუნდაც იმის გამო, ქაჩები თუ არიანო, ფატმანი რომ ეკითხება, და შემდეგ ვნახეთ როგორაა ამ მხრივ საქმის ვითარება. მაგრამ, ეტყობა, როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც, რუსთაველი მარტო ერთ აზრს როდი აქსოვს ამა თუ იმ ნათქვამში, მით უფრო ამა თუ იმ სიტუაციაში. მოცემულ შემთხვევაშიც, გარდა ზევით აღნიშნულისა, სხვა მნიშვნელობაც აქვს მას ჩატანებული. ნესტანის პასუხი ავტორს სჭირდება იმისათვის, რომ სრულად დაგვიხატოს ამ დიდებული პიროვნების ზნეობრივი სახე, იმის მიხედვით, თუ როგორ მოიქცევა, რას იტყვის ნესტანი. მაგრამ არც ზოგადი პასუხი, ნესტანისაგან მოსალოდნელი, დააკმაყოფილებს რუსთაველს. ეს არის შემთხვევა, როდესაც რუსთაველს შეუძლია ისევე თვალნათლივ დაგვანახოს სიყვარულისათვის აუცილებელი დათმობის, რაღაც სურვილის ჩახშობის, მისი შეწირვის საჭიროება. სიყვარული შენს მიერ სხვაში ჩადებული უმაღლესი ღირებულებაა და ამიტომაც მან შეიძლება მოითხოვოს მსხვერპლი. ასეთი მსხვერპლის გაღების

ნიმუში იყო ავთანდილის ქცევა — მან დათმო სურვილი ახლოს ყოფილიყო სატრფოსთან, სურვილი თითქოს ყველაზე უმეტესი, მაგრამ დათმო იგი სწორედ სიყვარულის უმაღლესი ღირებულებისათვის. ასეთივე მსხვერპლის გაღება უყოყმანოდ შეუძლია ნესტანს. ამისი გამოხატვა სურს რუსთაველს. ამიტომაც შეატყობინეს მას განზრახვა, უნდა დაგიხსნათო.

როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო პასუხი? სხვა რანგის მწერალს შეიძლებოდა საერთოდ გამოპარვოდა ასეთი შესაძლებლობა. ან მეორეს თუ არ გამოეპარებოდა, მასზე მეტი რანგის მწერალი იქნებოდა, მას სხვა უბედურება შეიძლებოდა შეყროდა: დაეხატა, თუნდაც კარგად, თუ როგორი მოუთმენლობით მოელის ნესტანი თავის მიჯნურს. ღმერთმანი, კარგი ნაწარმოებისათვის ეს, მით უფრო, თუ კარგადაც იქნებოდა დაწერილი, საკმაოდ დიდი წარმატების მომტანიც იქნებოდა. რით არის ცუდი, აჩვენო, რომ სიყვარული ისევ ჰქონია გულში, სურვილი არ განელებია და არიქა, ჩქარა წამოდი, ერთმანეთს შევეყაროთო. არ ვიცი, დიდია მსოფლიო ლიტერატურა, საამისო მაგალითი რამდენია?

მაგრამ რუსთაველის რანგის გენიოსისათვის საქმის ასე წარმოდგენა არ აღმოჩნდა საკმარისი. ეს საკმარისი რომ ყოფილიყო, ისიც იკმარებდა, ბოლოს ერთმანეთს რომ შეახვედრებდა, უდიდეს სიხარულს აღწერდა პოეტი, ლამაზ ფერებსა და სიტყვებს დახარჯავდა. რუსთაველი ასე არ მოიქცა — აბა მოვიგონოთ, სულ ერთი ფრაზით დაამთავრა რუსთაველმა განთავისუფლებული ნესტანისა და ტარიელის შეხვედრის აღწერა, რატომ ასე ძუნწად? იმიტომ, რომ მას ეს შეხვედრა, მისი უდიდესი სიხარული ისე აქვს წინასწარ აღწერილი, გამოხატული, მსგავსი რამ, ალბათ, სხვაგან არსად გვხვდება.

იმ წერილში ნესტანი ტარიელს სწერს, ეხვეწება, არავითარ შემთხვევაში არ წამოხვიდეთო ჩემს დასახსნელად.

გაგონილა ასეთი რამ?!

„ჰე, ჩემო, ესე უსტარო არს ჩემგან მონადვანები, ტანი კალმად მაქვს, კალამი ნავდელსა ამონაწები, მე გული შენი ქალაღლად გულსავე ჩემსა ვაწები,— გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები“ (1293)

სანამ წერილს გაგვაცნობს, როგორც ცნობილია, რუსთაველი წინ წაუძღვარებს სიტყვებს: „დაწერა წიგნი, მსმენელთა გულისა გასაგმირალიო“. რუსთაველს ისე ერჩის პოეტური ძალა, არც ეეჭვება, რომ მის მიერ შეთხზული ტექსტი მსმენელს გულს ჩაუთუთქავს. მე მხოლოდ ერთი მინდა მკითხველს ვკითხო — არ გეტირებათ ამ წერილს რომ კითხულობთ? ნუთუ შეგიძლიათ თავი შეიკავოთ? ნუ დაატანთ თავს ძალას, ნუ შეიკაებთ თავს.

„**ჰხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია!**  
რაზომმცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია.  
ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ, მით მათგან საწუნელია;  
უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია!“ (1294).

აღარ არისო უშენოდ სიცოცხლე და თუ მოხდება მათი შეხვედრა, ერთად ყოფნა, საჭიროა აღწერა სიხარულისა? ან რა უნდა თქვა ამაზე მეტი?

„**უენმან მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე;**  
ჩემი მეტქვა: გარდასრულდა სიცოცხლე და ყოვლი ღონე;  
აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვჰმონე,  
ჩემი ყველა აქანამდის ჭირი ღმერთსა შევაწონე“ (1296).

რადგან შენ არ მეგონე ცოცხალი, ჩემთვის ყველაფერი დამთავრებულად ჩავთვალეო, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჭირი, აქამდის რაც ვნახეო, რომ ამბობს, ეს ჭირი არც მეტი, არც ნაკლები, მთელი მისი სიცოცხლის მოსპობის ჭირია. და ამას შევაწონეო მარტო ის, რომ გავიგე შენი ამბავი. ჩემთვის ესეც საკმარისია, თუმცა უშენობა, „ვამე, რა დიდად ძნელია“. ეს საკმარისიაო ჩემთვის, ცოტა განვმარტოთ — რას ნიშნავს — „**შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად**“ (1297,1). რა იმედზეა აქ ლაპარაკი? ეს კითხვა ზედმეტი, ალბათ, იმიტომ არ არის, რომ იგივე სიტყვა უკვე აქვს მოხმობილი რუსთაველს ნესტანის წერილში ფატმანისადმი, რომელსაც მკითხველი გაცნობილია ნესტანის წერილის წაკითხვამდე:

„**პირ-მზე სწერს: „აჰა, ხათუნო, დედისა მჭობო დედაო!**  
აწ ვნახე შენი უსტარი, მე დიდად შეიმედაო“ (1285).

რა ეიმედა? ის კი არ ეიმედა, მიპოვნიან, მოვლენ და გამო-მისხნიანო. ასე შეიძლებოდა, ზევითაც ვთქვი, საქმის ვითარების წარმართვა. მაგრამ რუსთაველმა სრულიად სხვა გზა, მხოლოდ

მისთვის საცნაური გზა აირჩია. იმავე წერილში ფატმანს სწერს ნესტანი, „ნუ წამოვა ძებნად ჩემადო“:

„მე რომ მჭირს, კმარის, ნუ მომკლავს ამისითავე სწორითა:  
მას მკვდარსა ვნახავ, მოვკვდები  
მე სიკვდილითა ორითა“ (1290)

არაო! ახლა ტარიელს წერს იგივე აზრს, მეყოფა მე ისიც, რომ შენ ცოცხალი ხარო — ესაა დიდად მეიმედაო, ახლა მე ეს სიცოცხლედ მიღირს და ნულარ მომკლავო.

ხომ აბსოლუტურად ცხადია — ნესტანისათვის ტარიელის ნახვის სურვილი უდიდესია. სწორედ ამ სურვილის დათმობა უხდება მას, უფრო სწორად, საამისოდ რისკის გააზრებაც არ უნდა, ურჩევნია უკუაგდოს ამ შესაძლებლობაზე ფიქრი, არა სურვილთა საერთოდ დათმობის გზით, არამედ უმაღლესი სურვილის შესრულების მიზნით — ეს უმაღლესი მიზანია ტარიელის სიცოცხლე, ამითივე — უმაღლესი მიზანია, უმაღლესი ღირებულებაა სიყვარული. დიდი ხანია თავს ვიკავებ, აქ არა მგონია შესაძლებელი იყოს გვერდი ავუარო ამგვარი მდგომარეობის გამომხატველ სიტყვას. მდგომარეობისა, როდესაც საწინაღმდეგონი ასე მოითხოვენ ერთმანეთს. ზევით ბევრჯერ ვნახეთ ასეთი მდგომარეობა. ამას დიალექტიკა ეწოდება. ისიც ხომ უნდა გვახსოვდეს:

„რაცა არ გწადდეს, იგი ქმენ,

ნუ სდევ წადილთა ნებასა“ (880,3)

ესეც დიალექტიკური ვითარებაა და მას არაფერი აქვს საერთო ასკეტიზმთან, ამქვეყნიური სიამოვნების დათმობასთან.

„შენმან მზემან, უშენოსა არვის მიხვდეს მთვარე შენი,  
შენმან მზემან, ჯერვის მიჰხვდეს, მოცა-ვიდენ სამნი მზენი!

აქათ თავსა გარდავიტევ,

ახლოს მახლვან დიდნი კლდენი,

სული ჩემი შეივედრე,

ზევით მომხვდენ ნუთუ ფრთენი“ (1303)

ამაზე უმაღლესად სიყვარულის გამომჟღავნება ძნელია. ეს არის საკუთარი თავის აბსოლუტურად სხვაში გულგება, ესაა ის უმაღლესი საზეო სიყვარული და ვის სულშიც არის იგი ჩაღვრილი — მქონებელია უსაზღვრო განძისა, სწორედ იმით, რომ ეს განძი სწვის კუთვნილებად არის ქცეული, ანუ „რასაცა გა-

სცემ შენია, რას არა, დაკარგულია.”

ღვთაებრივია ეს გრძნობა, საზეოა სიყვარული და ამის გამოა საბოლოო მოკიაფე იმედი:

„ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა  
დამხსნას სოფლისა შრომასა,  
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა;  
მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე,  
მივჰხვდე მას ჩემსა ნდომასა,  
ღღისით და ღამით ვჰხედვიდე

მზისა ელვათა კრთომასა“ (1304)

ესეც იმ სტროფთა რიცხვს განეკუთვნება, ხშირად რომ არის ციტირებული, განსაკუთრებით რუსთაველის მსოფლმხედველობის გაგების მიზნით. ალბათ, მოგვიწევს მისი მოგონება შემდეგში, ახლა აქ იმიტომ მოვიხმე, ისევე აღწერილი განწყობილების გამოხატვას რომ ემსახურება:

„მუნა გნახო, მადვე გნახო, განმინათლო გული ირდილი,  
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, <sup>ეს</sup>  
სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი“ (1305)

ამიტომაც

„მე სიკვდილი აღარ მიმძიმს,  
შემოგვედრებ რათგან სულსა,  
მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა“ (1306).

და როგორც ერთ ღროს, როდესაც უდიდესი იმედი იბადებოდა, საფუძველი ეყრებოდა ამ უბაღლო სიყვარულს და ნესტანმა საბრძოლო, საგმირო დავალება მისცა ტარიელს, ახლაც, როდესაც ყველა სხვა იმედი გადაწურული აქვს ნესტანს, გარდა მუნა ნახვისა, კვლავ საგმიროდ განაწყობს ტარიელს, ანდერძად უტოვებს უმაღლესი პატრიოტული მოვალეობის შესრულებას:

„წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,  
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით  
ხელ-აღუპურობელსა,  
გულსა აღხინე ჩემისა მოშორებებისა მთმობელსა,  
მომიგონებდი მტირალსა,

შენთვის ცრემლ-შეუშრობელსა!“ (1307).

„ცრემლ-შეუშრობლით“ დაიწყო პოემა; ცრემლ-შეუშრო-

ბლობა აქ და ცრემლშეუშრობლობით დასრულდება ნაწარმოები. ცრემლი ჩვეულებრივ ცრემლია, მაგრამ მარტო ეს მნიშვნელობა რომ არა აქვს რუსთაველის ქმნილებაში ცრემლს, ზევითაც ვთქვი, და ახლაც უნდა გავიმეორო. ცრემლი იმავე უმაღლესი, საზეო გრძნობის, თანაგრძნობის გამომხატველია, სიმბოლოა, „რასაც გასცემ შენიას“ განძის გამოვლენის ნიშანია და არა უბრალოდ ტკივილის გამო წატირებისა.

ვისაც ზენარით მოემადლა ეს, იგია ყველაზე დიდი სიმდიდრის პატრონი, იგია, ვისზეც ითქმის, „თუ შენი თავი შენ გახლავს, ღარიბად არ იწოდები“: არაფრის მქონე, ღარიბი დღევანდელი ჩვენი გაგებით და ღარიბი რუსთაველური გაგებით (უცხოობაში მყოფი, გადაკარგული) იგია, ვისაც ეს სიმდიდრე სულისა არ გააჩნია. ეს აღმოაჩნდა ნესტანს და ამიტომაც ქაჭეთის ტყეობაშიც იგი არც ერთი გაგებით ღარიბად არ იწოდება, რადგან საკუთარი პიროვნული ღირსება თან ახლავს...

ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გასაგები იქნება ის უსაზღვრო განძეულობანი, საჭურჭლეები და მათი გაცემა. ულევნი განძი ამას ნიშნავს. რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი განძიც არის „ვეფხისტყაოსანში“, მერე და ცოტა კი არა, ძალზე ბევრი, თითქოს ისიც ულევიაო. რად სჭირდება ეს ულევნი ნივთიერი განძი რუსთაველს? თუ ისე, შემთხვევით, მოფიქრების გარეშე წერს ამ ულევნი სიმდიდრის შესახებ? თუ ამას ვიფიქრებთ, ე.ი. თუ რუსთაველის მიერ უსაზღვრო სიმდიდრის აღწერას გამართლებას ვერ მოვუპოვებთ, მაშინ სხვა გზა არ დაგვრჩება, უნდა ვალიაროთ გადაჭარბება, უნდა შევეურიგდეთ ზომიერების პრინციპის დარღვევას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დიდი ხარვეზი უნდა მივუსადაგოთ ნაწარმოებს. თუ ასეთივე გადაჭარბება იქნება ცრემლისღვრაში, სხვა რამეშიც, კიდევ გამრავლება ხარვეზები და ეს, რა თქმა უნდა, ზიანს მიაყენებს ნაწარმოებს, არ გაამართლებს მისი უმაღლესი დონის შეფასებას.

როგორც ვნახეთ, საბედნიეროდ, ეს ასე არ არის. რუსთაველს არაფერი მოუფიქრებლად არა აქვს დაწერილი. აბა ერთი წუთით დაუშვათ, რომ რუსთაველს არ დაეწერა იმ ფანტასტიკური სიმდიდრის, ალაფის შესახებ, რაც ქაჭეთის ციხიდან წამოიღეს „ვეფხისტყაოსნის“ გმირებმა, „სამითასსა აკედეს მარგალიტი და ლაღებიო“.

ასე რომ არ იყოს აღწერილი, თითქოს ამით ზომიერება იქნებოდა დაკული? ნამდვილად კი ეს არ იქნებოდა გამოხატვა იმისა, რისთვისაც ეს სტირდება ავტორს. რუსთაველის გენია გვიჩვენებს, პირდაპირი მნიშვნელობით სიმდიდრე, რაც უნდა დიდი იყოს, არაა მთავარი და კაცობის (ქაჯებიც კაცნაო, ამბობს შოთა) მანიშნებელი, სხვა სიმდიდრეა კაცობას რომ ნიშნავს. ქაჯეთს ნივთიერი სიმდიდრე უთვალავი იყო, მაგრამ იქ აკლდათ სხვა, ზენით მოვლინებული სიმდიდრე სულისა, იქ აკლდათ თანაგრძნობა, სიყვარული, ამიტომ — აკლდათ ცრემლი. ამ ნამდვილი, სულიერი სიმდიდრის სიმცირეს ხაზგასმით უჩვენებს ნივთიერის სიმრავლე. ესაა მთავარი საჩვენებელი და ამას აჩვენებს კიდევაც რუსთაველი. ისე ქაჯებს ნესტანიც ყვდათ, მაგრამ არა როგორც მათი საუფლო, არამედ როგორც ტყვე, როგორც ნივთი და არა როგორც უმაღლესი ღვთიური ღირებულება. ქაჯები მშვენიერების მფლობელნი ვერ იქნებიან!

ამგვარ მარგალიტებს გვიხატავს და გვაძლევს სულმნათი შოთა და არა უბრალოდ ნივთ-მარგალიტებს. აბა, მოვიგონოთ — „ქალმან მისცა მარგალიტი, სრულ-ქმნა მისი საწადელი“ (710,3), ასეთი გაგებითაა ნათქვამი, ასეთი სულიერი უღვევი ღირებულება მიიღო ავთანდილმა მიჯნურისაგან და, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში პირდაპირი მნიშვნელობითი მარგალიტი იქნებოდა ძვირფასი საჩუქარი, თუ ფასის თვალსაზრისით უმნიშვნელო ნივთი, ეს არაა ძირითადი აზრი. არას ვამბობ მარგალიტის მიცემის ისეთ უხეშ გაგებაზე, რისი ნებაც თავისი თავისთვის მიუცია ერთ-ერთ ავტორს და რის გამოც სავსებით მართალია პ. შარია, როდესაც ამგვარ გაგებას უხამსს უწოდებს.

ზევით, სულ დასაწყისში ქაჯის განმარტებები რომ მოვიტანე და ვთქვი, არ არის ეს განმარტებები ზუსტი თქო, ახლა ეს უნდა გავიმეორო საჭურჭლის განმარტების შესახებაც.

„საჭურჭლე 1. ძვირფასეულობა, განძი (158,4; 324,4). 2. საგანძური (336,2; 804,1)“ — კვითხულობთ „ვეფხისტყაოსნის ლექსიკონში“. საჭურჭლე ასეთი გაგებითაც იხმარება რუსთაველის პოემაში. მაგრამ იგი არამარტო ამ გაგებით არის ნახმარი. ვნახოთ, თვით საჭურჭლის განმარტებისათვის დასახელებულ სტროფებშიც არის თუ არა საკმარისი საჭურჭლე ასე ვიწროდ გავიგოთ?

ავთანდილი ეუბნება შერმადინს:

„მაშინლა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურვალთა,  
აცნობე ჩემი სიკვდილი, — იყავ მართ ვითა მთრვალთა,  
მიჰხვდა-თქო საქმე,

რომელი ყოვლთათვის გარდუვალთა. —  
გლახაკთა მიეც საქურქლე, ოქრო,

ვერცხლი და რვალთა“ (158).

პირველ მაგალითად ხომ ეს სტროფია დასახელებული „ვეფ-  
ხისტყაოსნის“ ლექსიკონში!

ამოვიკითხოთ ამ სტროფიდან მხოლოდ ის, რომ მე თუ  
მოკვდები, ამის აღსანიშნავად გლახაკთა მიეც საქურქლე, ე.ი.  
ლარიბები დაასაჩუქრეო, მათ ქონება მიეციო? კი, შეიძლება  
ესეც ამოვიკითხოთ, მაგრამ ეს ძალზე ცოტაა! ასე ცოტათი ნუ  
შემოვიზღუდებით — ცოდვაა გენიალური ნაწარმოები! ტე-  
ქსტი და, რაც მთავარია, ამ ტექსტის, მთელი ნაწარმოების  
იდეური შინაარსის შესაბამისი გაგება გვაძლევს სრულ უფლე-  
ბას არ შემოვიზღუდოთ საქურქლის ნივთიერი გაგებით, შეგ-  
ვიძლია ვთქვათ გაცილებით მეტი. კერძოდ რა? ვფიქრობ, რომ  
შესაძლებელია აქ ასეც გავიგოთ: შე ასეთი საღმრთო დანიშნუ-  
ლების საქმის გამო თუ დავიღუპე, ეს გააგებინე მეფეს (აქედან  
— შემდეგ ყველას) და ამგვარი ამბის გაგება გაამდიდრებს იმათ,  
ვისაც ასეთი სიმდიდრის მოთხოვნილება და ნაკლებობა გააჩნი-  
აო. ასეთი გაგება რომ შესაძლებელია, ამას მხარს უჭერს ამ  
ამბის გაგრძელება: ეს რომ შერმადინმა გაიგო

„თვალთა ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოყარა“ (1602)

მარგალიტით ცრემლი მეტია, ვიდრე უბრალოდ ცრემლი და  
აქ მარგალიტიც მეტის მანიშნებელია, ვიდრე ძვირფასი ქვაა.

მეორე მაგალითი, რომელიც აღნიშნულ ლექსიკონში სა-  
ქურქლის განმარტებისთვის არის დასახელებული:

„ქება არ ითქმის ენითა, აწ ჩემგან ნაუბართა.

ფარსადან დაჭდა ხარებად ზეიმითა და ზარითა;

ყოვლგნით მოვიდეს მეფენი ნიჭითა მრავალ-გვართა,

საქურქლე გახცეს, აივსნეს

ლაშქარნი საბოძვართა“ (324).

აქაც ისე გავიგოთ — ლაშქარი ქონებით გაავსესო? ასეც  
იქნებოდა, ალბათ, ინდოეთის მეფე-დედოფალს, ბოლოს და ბო-



ლოს, შვილი რომ ეყოლათ, ამისი აღსანიშნავი დასაჩუქრება მოხდებოდა, მაგრამ პირდაპირი მნიშვნელობით გაგებული ლაშქრის ავსება, რა თქმა უნდა, დიდი გადაქარბებაა. მოტანილ სტროფში ისიცაა ნათქვამი, უდიდესი იყო სიხარული და, ეტყობა, საზეიმო განწყობილებით გაივსო ყველა. აქაც მომდევნო ამბები ამგვარ გაგებას უჭერს მხარს: „ასი ებოძა საქურქლეო“ (336,2) რომ ამბობს ავტორი, ეს საჩუქარი მიიღო ტარიელმა და, როგორც ვხედავთ, ბევრადაც რომ ჩავთვალოთ, უსაზღვრო მაინც არაა, სავსებით განსაზღვრული რაოდენობაა. სწორედ ამ შემთხვევაში საჩუქრის განსაზღვრულად მითითება, იქნებ სულაც მოფიქრებითაა გაკეთებული ავტორის მიერ — ეს საჩუქარი ტარიელმა მიიღო ფარსადანისა და მისი მეუღლისაგან, მათი სულიერი სიმდიდრის ამბავი კი არც ისე გარკვეულია, ყოველ შემთხვევაში, ამბის მოყოლის ამ სტადიაზე უფრო კარგად არაფრის თქმა არც შეიძლება და, ჩანს, არც აწყობს რუსთაველს. რალაც არ მაგონდება ბევრი სხვა შემთხვევა „ვეფხისტყაოსნიდან“, ასე რომ იყოს მითითებული ათი აჩუქეს, ასი თუ ორასი. აქ მიიჩნია საჭიროდ ამისი მითითება რუსთაველმა. აქ განისაზღვრა ნივთიერი საჩუქრის ოდენობა.

ახლა ლექსიკონში „საქურქლის“ განმარტების ის ბოლო დასახელებული სტროფიც:

„რაცა თქვენთვის არ ვარგ იყოს

საქურქლესა დასადებლად,

მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხილთა ასაგებლად;

ნურა ნუ გშურს საქონელი ჩემი ჩემთვის წარსაგებლად!

შენგან კიდე არვინ მივის

ცეცხლთა ჩემთა დამავსებლად“ (804).

აქ თითქოს სავსებით ესადაგება სიტყვა „საქურქლესა“ ზევით მოყვანილი განმარტების მეორე მნიშვნელობას: საგანძური. და ეს კი არ უარყოფს, არამედ სწორად ადასტურებს, რომ საქურქლე უფრო ფართე მნიშვნელობითაც, როგორც ზევით ვთქვი, იხმარება „ვეფხისტყაოსანში“. საქმე ის გახლავთ, რომ მოტანილი სტროფი უშუალოდ მისდევს იმ საყოველთაოდ ცნობილ სტროფს, რომელიც მარტო კი არ შეიცავს აფორიზმს, როგორც ეს სხვა შემთხვევაში გვაქვს, არამედ მთლიანად, მთე-

ლი სტროფი არის უნიკალური ხელოვნების ნიმუში — აფორიზმი.

„მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,  
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები.  
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები;  
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“ (803).

მართლაც, რა შეუწყნარებლად საცილო იქნებოდა, რომ აქ საჭურჭლე, საქონელი ურიცხვი გაგებული იყოს პირდაპირი მნიშვნელობით. როგორ, ის უნდა ვიფიქროთ, რომ რუსთაველი ათქმევინებდა თავის გმირს, ისიც ავთანდილს, მე რომ მოკვდები ქონება დამრჩება ბევრი, ეს გაეცით და ამით სახელი შექნებაო, ამით ვიქნები მოსაგონარიო? არა, ასეთი რამ სწორედ რომ არ არის მოსაგონარი! ის რუსთაველი, რომლისთვისაც „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოვლისა მოსახვეჭელსა“, ის რუსთაველი, რომელმაც კატეგორიული იმპერატივივით დაგვიტოვა — „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, თავის უსაყვარლეს გმირს ქონების გაცემით მოპოვებული სახელით დაამშვენებდა? არავითარ შემთხვევაში! ამ სტროფის აზრი ისაა, რომ ავთანდილი ამბობს, მე დიდი საზეო საქმისათვის — სიკეთისათვის, მეგობრობისათვის, მიჯნურობისთვის ვიქნები სახელოვნად დაღუპული, ეს ყველას გააგებინეთ, მიეცით ყველას ეს ცხოვრებისეული სიბრძნე, იგი ულევია, რადგან იმით, რომ გასცემთ, არაფერი დააკლდება, მიეცით და დაამდიდრეთ არას მქონენი, ათავისუფლეთ მონები, ე.ი. მიუბოძეთ მათ წვრილმანების მონობისაგან განთავისუფლება, გახადეთ ამით ნამდვილი ადამიანები და დაიხსენით ისინი მონობისაგან. ეს იქნება მათთვის დიდი ქონება, სიმდიდრე, რადგან ეზიარებიან სიბრძნეს, რომ „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ და ასეთი კაცი სწორედ უქონელი, ღარიბია. მოყვრის გამო თუ დავიღუპები, ამით იქნება ჩემი სახელი მოსაგონარი, ამიტომ ვიქნები მათგან დალოცვილი, ამიტომ მოვეგონები მუდამ და მათში ამით მოვიპოვებ უკვდავებასაო.

თუ ეს სტროფი (803) ასე უნდა გავიგოთ, მაშინ მომდევნოში „საჭურჭლესა“ სიტყვა პირდაპირი მნიშვნელობისა რომ იყოს, სწორედ რომ დადასტურება იქნებოდა საჭურჭლის სხვა მნიშ-

ვენლობით გაგების სამართლიანობისა.

ამრიგად, აღმოჩნდა, რომ საქურქლის განმარტება, მოცემული „ვეფხისტყაოსნის ლექსიკონში“, თვით მითითებული ადგილების მიხედვითაც არაა ზუსტი, ვიწროა, აღმოჩნდა რომ რუსთაველი გადატანითი მნიშვნელობითაც მოიხმარს ამ სიტყვას, ისევე, როგორც ის მოიხმარს სიტყვა „ცრემლს“, ამიტომ მხოლოდ მოჩვენებითია, თითქოს რუსთაველი ზომიერებას ვერ იცავდეს, გადაქარბებული იყოს ბოძება, თუ ტირილი და ა.შ. ასე რომ გავიგებთ, როგორც მე ვცადე ზევით დამემტკიცებინა, მაშინ ხომ სავსებით ცხადი იქნება, თუ რას ნიშნავს ტარიელის ნათქვამი როსტევისათვის — საჩუქარი სხვა არაფერი მაქვს, ავთანდილის გარდაო. ზევით უკვე იყო აღნიშნული, ეს სიტუაცია შემდეგ უნდა მოვიგონოთო. ახლაა სწორედ ამისი დრო. ტარიელმა, როგორც იქნა, დაიყოლია ავთანდილი, გადაწყდა მასთან ერთად წამოსულიყო არაბეთს. წამოვიდნენ კიდევაც, ტარიელმა როსტევან მეფეს კაცი აახლა — შეატყობინა, „მე მოვალ მეფე ინდოთაო“, წინასწარ ბოდიშობს, „მაშინ თქვენ ჩემი გეწყინაო“, მოვალ რომ შემინდოთო.

„აწ აჰად მოვალ წინაშე, დავეარენ ჩემნი გზანია,  
შემინდოთ, რაცა შევცოლდე, ჰქმნეთ გაწყრომისა კმანია.  
ძღვენი არა მაქვს, მმოწმობენ ფრიდონ და მისნი ყმანია,  
ოდენ ძღვნად თქვენა ავთანდილ

მე თქვენთვის მომიტანია“ (1506).

ტარიელი დიდი მონდომებით მოდის არაბეთს და იმ პოემაში, სადაც შედარებით უბრალო შემთხვევებშიც კი უთვალავი საჩუქარი გაიცემა, ამ განსაკუთრებული მდგომარეობის ქაშს ტარიელს არაფერი აღმოაჩნდა. თითქოს საგანგებოდ არის აღწერილი, რომ ტარიელმა წინა დღეს გასცა უთვალავი საბოძვარი — „უბოძა ტურფა მრავალი“, „კვლა ფრიდონისნი აავსნა“... „აავსო კაცი ყველაი, მაშინ მათანა ნარები“ (1499). სულ რამდენიმე სტროფის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ტარიელს დიდი დაუკვირვებლობა გამოუჩენია, მეორე დღისათვის არ უფიქრია — საჩუქარი არ შემოიჩენია ავთანდილისა და როსტევანისათვის. ამ ამბის გამო ისიც კი გამიგონია — რუსთაველმა ამით ქართულ ბედოვლათობას გაუსვავო ხაზი. ასეთი

„ახსნა“, რა თქმა უნდა, ძალზე იაფფასიანი ჩანს. მაშ რაშია საქმე? თუ ჩავუყვირდებით, „ძღვენი არა მაქვს“, სრულებით არ ნიშნავს, რომ ტარიელს ნივთები შემოეხარჯა, გამოელია და არა აქვს გასაჩუქებელი. უღვევი როგორ დაეღეოდა! ამას გვიდასტურებს შემდეგი სიტყვები: „მაგრა ძეს რომე საქურქლე, ჰგევანდა კაც-დაუქარებო“, ასეა ნათქვამი იმავე 1499 სტროფში, სადაც წერია „აავსო კაცი ყველაიო“. ამრიგად, უნდა დავასკვნათ — საქურქლე მოცემულ შემთხვევაში არ ნიშნავს მარტო ნივთიერ განძს. აქ რომ საჩუქარი, საბოძვარი იყოს მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით ნაგულისხმევი, ე.ი. აქ რომ რაიმე ნივთის მნიშვნელობა ჰქონდეს ჩუქებას, დავადაბლებლით რუსთაველის გენიის ჩანაფიქრს. ცოდვაო, რომ ვთქვი ზევით, სწორედ იმას ჩავიდენდით ამ შემთხვევაში. რა გამოვიდოდა? ბეჭედი არ მაქვს, ან კიდევ, საკაბე ან საჩოხე, ან კიდევ ვთქვათ — ცხენი და ხარი, ამიტომ (ამის მაგივრად) ავთანდილი მიიღეო. რუსთაველი ისე თავდაქერილია, ასეთ რამეს ხუმრობითაც არ ჰკადრებდა თავის გმირებს, არც ტარიელს, არც ავთანდილს და არც როსტევანს. საჩუქარი აქ განძს ნიშნავს მეორეგვარი მნიშვნელობით — არა ნივთიერი განძი, არამედ ადამიანური, ზეცით მონიჭებული ღირსება. თუ ასე გავიგებთ, ვნახავთ, რა კარგად გამოვა. ნუ გაგვიკვირდება, რუსთაველია და კარგად გამოუვა, აბა რა იქნება! აი რას ათქმევინებს ამ ადგილას რუსთაველი ტარიელს: მე არ შემეძლო ჩემი ღირსება ავთანდილისათვის შემედარებია (ის უფრო მეტი განძიო! თუ მაინც და მაინც საჭიროა ეს სიტყვა ვიხმაროთ) — იგი, თვითონ ავთანდილი გეახლათ, გიბოდიშებთ წყნინებისათვის (რომ გაიპარა, ამას ავთანდილი განიცდის, ვაწყნინე ჩემს გამზრდელსაო), მე მას ამიტომ ვახლავარ, უალრესად მინდა პატივი მოგაგოთო. ამაზე უკეთესი საჩუქარი რა უნდა ყოფილიყო როსტევანისათვის, რომ თვით ღიდი ინდოთ მეფე, რომლის ნახვამ თავის დროზე გზა აუბნია ბევრის მნახველ მეფე როსტევანს, ახლა მას ეთაყვანება და ავთანდილს მიიჩნევს მასზე ღიდი ღირსებების მქონედაც...

ამ ეპიზოდის შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, საკითხის დიდებული მხატვრული გადაქრააო. მ. გოგიბერიძეს მოაქვს 1506-ე სტროფი, სადაც ტარიელი ამბობს, ძღვნად ავთანდილი

მოგართვიო და აღტაცებას ვერ ფარავს: „აი, ჩვენი აზრით, — წერს იგი, ჩინებული მაგალითი მხატვრული ამოცანის გენიალური ამოხსნისა. რომელიმე სხვა, საშუალო ნიქის მწერალს ცხენ-აქლემი რომ არ აუთავდებოდა, სპილოებსაც კი აპკიდებდა მარგალიტების ამანათს და მიართმევდა მეფე როსტევანს. რუსთაველის მხატვრულმა ალლომ იგრძნო, რომ ეს ჰიპერბოლა ამ შემთხვევაში ეფექტს არ მოახდენდა. ამიტომ მთლიანად უარი თქვა ჰიპერბოლის ხერხზე და ამოცანა გადაქრა ერთი დაკვრით, პირდაპირ და მომხიბლავად. მკითხველი გრძნობს, რომ ამ მომენტში იგი უნებლიე მოწმეა უდიდესი და უმშვენიერესი ძღვენის მირთმევის რიტუალისა“.\* მ. გოგიბერიძის ეს მოსაზრება დიდად მოსწონს ალ. ბარამიძეს. აქ რომ გენიალურად მიგნებული გადაწყვეტა გვაქვს, ეს ცხადია, მაგრამ ხსენებული მეცნიერები მაინც ცდებიან, რადგან მათ ჰგონიათ ავთანდილი საჩუქარი ნივთის სანაცვლოდაა მირთმეული. როგორც ვნახეთ, რუსთაველის გენიალობა ცოტათი მეტი აღმოჩნდა. მან აქ უმაღლესი პატივისცემა გამოხატა და იგი მიიჩნია ყველაზე დიდ განძად. არა ნივთიერ განძად, რა თქმა უნდა. ავთანდილის ყველაზე წინ დაყენება, მისდამი პატივისცემა ასე უაღრესად ფაქიზად გამოიხატა. ამითვე ასევე ფაქიზი პატივი ღირსეული როსტევანისადმი რომ არის აქ გამოხატული და არა ნივთის უქონლობის გამო ავთანდილის გაჩუქება, ეს, ვფიქრობ, ცხადად ჩანს აქედანაც:

„მეფე ტარიას ქებასა დაპკრთების, დაელონების.

ტარიელ ეტყვის: „მეფეო, აწ გული შენ გემონების;

მიკვირს, თუ ეგრე სიკეთე თქვენ ჩემი რად გეგონების!

რათგან ავთანდილ შენია,

სხვა რად ვინ მოგეწონების?“ (1517).

ამასაც დავაკვირდეთ: ძღვენი არა მაქვს, მოწმობენ ფრიდონ და მისი ყმანიო. ამათ კი შეეძლოთ იმის დამოწმება, წინააღმდეგით თუ როგორ ბევრი გასცა ტარიელმა, მაგრამ მას ხომ უღვევი საჭურჭლე ჰქონდა და არ გაუთავდებოდა! დამოწმებას აქ უფრო მეორე აზრი აქვს — ავთანდილის მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემაში იმოწმებს, მისი ნამდვილი ვაჟკაცობის,

\* მოსე გოგიბერიძე — „რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები“, 1961, გვ. 90.

გმირობის, სიკეთის მოწმეებად სახავს და ამით სცემს პატივს.

შენს წინაშე მუხლს ვიყრიო მე, „მეფე ინდოთა“, და მაინც ეს არ შეედრებაო იმას, ავთანდილი რომ არის შენს წინაშე მუხლმოყრილიო, ჩემი შენდამი პატივისცემაზე მეტია ავთანდილის პატივისცემაო — აი, ამას ამბობს ტარიელი.

აქ მთავარი საჩუქარია — პატივისცემა, და არა ნივთები (ე.ი. მართლა საჩუქარი). ნივთების სიუხვე, საბოძვართა სიმრავლე ამას უსვამს ხაზს და ამიტომაცაა ასე რომ ჩანს პოემაში. საერთოდ, მოვიგონოთ ზევით თქმული, ქაჯებიდან ცოტა ქონება რომ წამოეღოთ, ეს ისე გამოკვეთილად არ უჩვენებდა ქაჯებს სულიერ სიმცირეს. ასევეა აქაც...

რომ დავასრულოთ ეს თავი, სათაურად აღებული სიტყვები მოვიგონოთ — „შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად“. შენთან შეხვედრას — დაუთმობელს — დავთმობ, იმიტომ, რომ შენ ვერ დავთმობო.

ეს ეხება ნესტანს. მაგრამ ამავე პრინციპით მოქმედებს ყველა დადებითი გმირი „ვეფხისტყაოსანში“. ასეთივე პრინციპით მოქმედებენ როსტევანი, თინათინი, ტარიელი, ასმათი, ფრიდონი, ფატმანი — ყველა დადებითი პერსონაჟი. დადებითიო? მაშასადამე, უარყოფითებიც არიან? ეს პრინციპულად არის უარყოფილი — რუსთაველის პოემაში არ არიან უარყოფითი გმირებიო. ასეა? ეტყობა, მოგვიწევს უარი ვთქვათ ასეთ გაგებაზე. აქეთკენ მივდივართ. ჯერ ის ხომ ვნახეთ, თუ რა პრინციპზეა აგებული კაცური კაცობის საქმე, ნაწილობრივ გამოჩნდა, გარეგნული ნიშნებით მაინც — თუ რას ნიშნავს, რომ „კაცი არ ყველა სწორია“. გავაგრძელოთ ამის შესწავლა და ვცადოთ გავცეთ პასუხი ამ აფორიზმით ნაგულისხმევ მეორე თქმას — „დიდი ძევს კაცით კაცამდე“.

## რა არის კაცით კაცამდე?

რას ნიშნავს დიდი ძეგს კაცით კაცამდეო? რა არის ეს „დიდი“? ამის თაობაზე აზრი გამოთქვა ისეთმა დიდმა მეცნიერმა, როგორცაა შალვა ნუცუბიძე. მან თვითონ მიაკვლია იმ საფუძველს, რომლის მეშვეობით სრულიად გამოკვეთილი დებულება წამოაყენა. ცნობილია, რომ შალვა ნუცუბიძემ არეოპაგიტიკის საიდუმლო ამოხსნა იმით, რომ დაამტკიცა: 15 საუკუნის განმავლობაში ფსევდო დიონისო არეოპაგელის სახელით ცნობილი თხზულებების ავტორი პეტრე იბერიყო. მანვე, შალვა ნუცუბიძემ, რუსთაველის მსოფლმხედველობაში იპოვა არეოპაგიტიკის უტყუარი კვალი და საქვეყნოდ განაცხადა — აღმოჩენილია ის წყარო, რომელიც რუსთაველის მსოფლმხედველობას ასაზრდოებდა და ამდენად მისი რენესანსული თვალსაზრისის საფუძველიც იყო. ამ მიმართულებით მრავალი ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ შალვა ნუცუბიძე წერდა: „დადგა დრო, როცა რუსთაველოლოგიამ ხელი უნდა მოჰკიდოს რუსთაველის სიტყვათხმარების შესწავლას მისი არეოპაგიტული წარმოშობის თვალსაზრისით“. ამის ერთ-ერთ ნიმუშად მეცნიერი განიხილავდა რუსთაველის ნათქვამს — „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდე“ და ამ საკითხს მიუძღვნა კიდევაც სპეციალური გამოკვლევა — „პეტრე იბერი რუსთაველის სიტყვათხმარებაში“.\*

შალვა ნუცუბიძეს აქვს სრული საფუძველი თქვას, რომ რუსთაველის ამ სტროფში სიტყვა „დიდი“ ნახმარია ისეთი მნი-

\* შალვა ნუცუბიძე — „კრიტიკული ნარკვევები“. თბ., 1969, გვ. 132-133.

შენელობით, როგორც ამას ხმარობდა პეტრე იბერიო. შ. ნუცუბიძეს მოაქვს პეტრე იბერიის შემდეგი სიტყვები:

„დიდ უკვე სახელ ედების ღმერთსა თვისაგან მისდა განკუთვნილობისათვის დიდისა და ყოველთა დიდთა მისისა სიდიდისაგან მიმცემლობისა“. ამის შემდეგ . ნუცუბიძე ასკვნის: „მაშასადამე, „დიდის“ სახელდებას, პეტრეს აზრით, ჰქონია ორი მხარე: პირველი — ის თავისთავს განაკუთვნებს დიდს და მეორე — ამ სიდიდისაგან მისცემს სხვათაც. რაში გამოიხატება ეს „თავისთავის მიკუთვნება დიდისადმი“ და „სხვისადმი განკუთვნება?“ გამოიხატება იმაში, რომ „გარე შემოსწერს ყოველსა სიდიდესა, ზეშთაგარდეთინების და გარე შეიცავს ყოველსა ადგილსა, ზეშთააღმატების ყოველსა რიცხუსა და ზეშთა გარდაჰვლის ყოველსა ურიცხებასა“. შ. ნუცუბიძე განაგრძობს: ეს დიალექტიკური გამოხატვა „ყოვლისა უზეშთაესობისა“ ისე, რომ „ყოვლით კერძი მიუკლებელ არიან და იგივე აქვს ზეშთავსეობას“. გამოდის, რომ მიმღებისათვის სიკეთის გადაცემა არ ამცირებს დიდის (ე.ი. ღვთაების) სიკეთის რაოდენობას, რადგან ეს რაოდენობა იგულისხმება როგორც რიცხვთა მიღმა მყოფი, ანუ უზეშთაესი. პირიქით, „გადაცემა სიკეთისა დიდისაგან მიმღებელთა მიმართ აღიღებს და აძლიერებს დიდის სიკეთეს“.\*

ამრიგად, თქმა იმისა, „დიდი ძეს კაცით კაცამდღო“, პეტრე იბერიიდან ამოსული რუსთაველისათვის იმას ნიშნავდა — რამდენად არის ღვთაება, ღვთაებრივი ადამიანებში, იმდენად არიან ისინი განსხვავებულიო. „დიდი ძეს“ ნიშნავს — დიდი მანძილთა კაცთა შორის, დიდი განსხვავებაა — ე.ი. ამ სიტყვას „დიდი“ რუსთაველთანაც გააჩნია მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობა, მაგრამ, როგორც ზევით არაერთხელ ვნახეთ, რუსთაველი დიდოსტატია სიტყვათა არაერთმნიშვნელობით ხმარებისა. იგივე ჩვეულებრივი მნიშვნელობის მქონე სიტყვა „დიდი“ ამ მნიშვნელობასთან უშუალოდ დაკავშირებით ნიშნავს სხვასაც, უფრო მეტსაც, კერძოდ, იგი ნიშნავს ღმერთს, ღვთაებრივს, როგორც ამას ამტკიცებს შალვა ნუცუბიძე.

აქ მე ისევ გავაგრძელებ შალვა ნუცუბიძის მიერ ამ საკი-

\* შალვა ნუცუბიძე — „კრიტიკული ნარკვევები“. თბ., 1969, გვ. 134.



თხის გამო დაწერილი გამოკვლევების განხილვას იმიტომ, რომ ყველაზე უკეთ აქ შემიძლია დავარწმუნო მკითხველი, თუ როგორ ახლოს იყო შალვა ნუცუბიძე „ვეფხისტყაოსნის“ იმ საიდუმლოს ამოცნობასთან, რის შესახებაც მე ვწერ, მაშასადამე, როგორ შეეძლო მას რუსთაველის ანდერძი განეხორციელებინა. რა თქმა უნდა, შალვა ნუცუბიძე იყო ყველაზე მეტად ამისი ღირსი — ჩემი ნათქვამის გულწრფელობაში არ დაეკვდება არავინ, ვინც იცის ჩემი დამოკიდებულება ჩემი დიდი მასწავლებლის — შალვა ნუცუბიძისადმი.

იმავე ნაშრომში შალვა ნუცუბიძეს, პეტრე იბერის წიგნიდან — „საღმრთოთა სახელთათვის“ მოაქვს შემდეგი სიტყვები: „რამეთუ არა დამცირდებიან მისაღებლობითა (სიკეთისა — შ.ნ.), არამედ უფრო შეშთააღმოეცენებიან“. ამ ადგილის განმარტებისათვის შალვა ნუცუბიძე წერს: „თანამედროვე ქართულით რომ ვთქვათ, მთელი ზემოთ მოტანილი აზრი მდგომარეობის იმის აღიარებაში, რომ რასაც გასცემს „დიდი“ მიმღებელთათვის“, იგი კი არ იკარგება, არამედ ისევ მას უბრუნდება და მეტის სახით აღმოცენდება, ან მიეცემა“. შ. ნუცუბიძე განაგრძობს: „შევნიშნოთ სხვათა შორის, რომ ამ ადგილზე (პეტრე იბერი, დასახ. ნაშრომი) ნათლადაა მოწოდებული ის აზრთა წყობა, რომელიც რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“ გამოიყენა თავისი ცნობილი აფორიზმისათვის „რასაცა გასცემ შენია, რას არა, დაკარგულია“. მაგრამ ამაზე სხვა დროს“.\*

შ. ნუცუბიძე ამას წერდა 1965 წელს, რამდენიმე წლის შემდეგ ავად გახდა და ისე წავიდა ჩვენგან, სამწუხაროდ, არ დაუდგა ის სხვა დროსო, რომ წერს. ისე კი, როდესაც ასე დაახლოვდა გაგება ამ ორი აფორიზმისა „რასაცა გასცემ“... და „კაცი არ ყველა სწორია“, ამ წერტილიდან შეიძლებოდა წინ წასვლა და მთელი იმ საიდუმლოს ამოხსნა. აქედან ხომ ჩანს, თუ რატომ გადააქვს სიმძიმის ცენტრი რუსთაველს მიჯნურობაზე, როგორც საზეო საქმეზე, რა არის თანაგრძნობა და ამის გამო ცრემლთაღვრა და ასე შემდეგ. ნუცუბიძისათვის არ დადგა ის „სხვა დრო“, როდესაც მას შეეძლო სწორედ ამ მიმართუ-

\* შალვა ნუცუბიძე — „კრიტიკული ნარკვევები“. თბ., 1969, გვ. 135.

ლებით წასულიყო, თუკი ეს მოხდებოდა, მაშინ იგი უსათუოდ გამოიყენებდა მის მიერვე შემჩნეულ მეორე მომენტსაც — „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს“ — აქაც ხომ პეტრე იბერის ამბავია და, ამდენად, გეზი სავსებით სწორი იქნებოდა.

ამის სანაცვლოდ შალვა ნუცუბიძემ იმავე გამოკვლევაში (1965) მსჯელობა ასე გააგრძელა: „დიდის ცნება არაა შედარებითი და ამდენად ადიექტივის არ წარმოადგენს. იგი თავისთავად არის ლირებულება. ის იმით კი არაა დიდი, რომ რაღაცის მიმართ მეტია... „დიდი“ არ უნდა იქნეს შედარებითად, რელატიურად მოაზრებული. აქაა პეტრეს დიალექტიკური აზროვნების ერთი უბრწყინვალესი ადგილი. თუ ის უმაღლესი სიკეთე განუზომელია, „ურავდენო და ურიცხუ (ურიცხვი — შ.ნ.), მაშინ ის იმდენად დიდია, რომ მის მიმართ გრამატიკულ შედარებას აზრი ეკარგება. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „უდილო დიდია“, „უსახო სახე“, ანუ „აბსოლუტური დიდი“.\*

აქაც არის ერთი, ჩვენთვის მეტად საჭირო მომენტი, ამიტომ ოდნავ შევყოვნდეთ და გამოვარჩიოთ იგი. „უსახო სახე“, „უდილო დიდი“, აქ რომ ახსენებს შ. ნუცუბიძე, სავსებით შეიძლებოდა მას დაეკავშირებინა იმ ცნობილ „უჟამო ჟამთან“, „მზიან ღამესთანაც“. „დიდი“, „უსახო სახე“, „უჟამო ჟამი“ და „მზიანი ღამე“ ყველა ღვთაებას ნიშნავს და ყველას წყარო რუსთაველისთვის არის პეტრე იბერის თხზულებები. რატომღაც აქ ამას არ მიაქცია ყურადღება შალვა ნუცუბიძემ. ამასთან ერთად პეტრე იბერი მცირესაც მოიხმარს ღმერთის გასაგებად. ამის გამო იტყვის შ. ნუცუბიძე — პეტრე იბერის დიალექტიკური აზროვნების მაჩვენებელიაო, მაგრამ აქ არ განიხილავს. და გააგრძელა: „ერთი სიტყვით, „დიდი“ განფენილია მოვლენათა შორის, რათა მიაკუთვნოს და მისცეს ადამიანებს სიკეთე, ხოლო რაოდენ მიიღებს ამ სიკეთეს მიმღები, ეს დამოკიდებულია უკანასკნელის მზადყოფნასთან, დამოკიდებულია იმაზე, დაიტევს და აითვისებს თუ არა ის მოცემულს“.\*\*

„მაგრამ ყველას არა აქვს უნარი მიიღოს „დიდით“ ნაბობა-

\* შალვა ნუცუბიძე — „კრიტიკული ნარკვევები“. თბ., 1969, გვ. 135.

\*\* იქვე, გვ. 135.

რი სავსეობა ერთნაირად. „სრულ არსად“ ყოფნა მხოლოდ „დიდის“ წილია“. ნაბოძარის მიმღები „დიდისაგან“ უნდა იყოს „მარჯვე“, „განღმრთობილი“, ე.ი. თავისი ყოფით ღმერთთან მიახლოებული, „თეოზისის“ გზაზე დამდგარი“... „ადაშიანი ანუ კაცი“, როგორც რუსთაველი იტყვის, „შეიძლება მიუახლოვდეს ღმერთს არა „ერთსახეობით“, რაც ღვთაების თვისებაა, არამედ ცვალებულად“.\*

საბოლოოდ: „ურავდენო და ურიცხუ“ პეტრე იბერის თეოლოგიის მიხედვით „უდრის როგორც ღმერთს, ისე უმაღლეს სიკეთეს, სინათლეს, სავსეობას... მაშასადამე, „დიდი ძეს კაცით კაცამდის“ შეიძლება წაიკითხოთ არა მარტო ისე, რომ „ღმერთი ძეს კაცით კაცამდის“, ანუ „სიკეთე ძეს კაცით კაცამდის“... რუსთაველს მიზნად ჰქონია არ დაესახელებინა მოტანილ ადგილზე ღმერთი, თუმცა „დიდი“ აშასაც ნიშნავდა.

ისეთი მოაზროვნე კი, როგორც არის შალვა ნუცუბიძე, რატომღაც მიიჩნევს შესაძლებლად აქ არ დასვას კითხვა — კი მაგრამ, რატომ არ მოისურვა რუსთაველმა ღმერთი, რომელსაც იგი თავის ნაწარმოებში შვიდასჯერ მოიხსენიებს, იგივე სიკეთე. ასევე უამრავჯერ ნახსენები, მოეხსენებინა აქაც, უალრესად საპასუხისმგებლო ადგილას, აფორიზმში, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთელი პოემის დედააზრისთვის. ამით ხომ ცხადი იქნებოდა კაცთა და არაკაცთა განსხვავება. იქნებოდა, მაგრამ სწორედ ასე აშკარად არ უნდოდა ავტორს.

ჩვენ რომ საკითხის განხილვა სწორად წარემართოთ, ამასთან ისიც უნდა დავაკავშიროთ — კაცით კაცამდე არსებული იმ სიკეთის დამოკიდებულება ცრემლთან. ზევით ხომ აშკარად იყო ნათქვამი — გარეგნული ნიშნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რუსთაველის პოემაში არის ორი ტიპი პერსონაჟებისა — ვინც ტირის და ვინც არ ტირის. ისიც იყო თქმული, რომ ტირილში თავისებური აზრია ჩადებული ავტორის მიერ და, ამდენად, ერთი შეხედვით რომ ჩანს, ზედმეტად ტირიან „ვეფხისტყაოსნის“ გმირებიო, უფრო ღრმად ჩაკვირვებით ვრწმუნდებით, რომ ეს ავტორის მიზანდასახულობას შეესაბამება და

\* შალვა ნუცუბიძე — „კრიტიკული ნარკვევები“. თბ., 1969, გვ. 135-136.

ამიტომ გამართლებულია. კერძოდ, ტირილი და ცრემლთა ღვრა დაკავშირებულია ადამიანთა თანაგრძნობასთან, ამ თანაგანცდის იმ სფეროსთან, სიყვარულით, მიჯნურობით, მეგობრობით რომ არის შემოსაზღვრული. თვით ეს სიყვარული საზეო, ღვთიური საქმეაო, იმთავითვე გაგვაფრთხილა რუსთაველმა და შემდგომი ამბებიც ამისი დამადასტურებელი აღმოჩნდა. ახლა კაცით კაცამდე რა არისო, რომ ვიკითხეთ, აღმოჩნდა ისევ საზეო, ღვთაებრივი, რითაც ნამღვილი კაცი განუსხვავებია რუსთაველს არაკაცისაგან. იმ „დიდის“ — კაცით კაცამდე რომაა, გამოვლენის ფორმაა ცრემლი. ახლა ისიც ვიკითხოთ, რა გამართლება აქვს იმას, სისხლივით ცრემლიო, არაერთხელ რომ წერს ავტორი და ჩვენც ვნახეთ სათანადო ადგილები: სისხლის ცრემლიო, სისხლი მოსწმინდისო (ცრემლის სანაცვლოდ). ესეც სავესებით გასაგებია. ამისათვის ჩვენი მსჯელობის ნორმალური გაგრძელება მოითხოვს მოვიტანოთ წიგნი მოსესი, მეორე რაჭულისა, თავი VII: „მოსპოლვით მოსპეთ ყოველნი იგი ადგილნი სამსახურებელნი წარმართთანი... იგი ბილწებისა მათთა ზედა მალალთა, და ბორცვთა და ხეთა... ბაგინები მათი დაამხეთ და ძეგლები მათი დამუსრეთ... მუხანი მათნი დაჰკაფეთ, კერპები მათი დასწვით ცეცხლითა და სახსენებელნი მათნი წარსწყმოდეთ ქვეყნისა მისგან. ხოლო არა ეგრეთ უყოთ უფალსა ღმერთსა თქვენსა... ადგილი იგი გამოარჩიეთ და შევედით მუნ და შესწირეთ მსხვერპლი იგი თქვენი მუნ და საკმეველები... და შესწირო მსხვერპლი იგი შენი და შეჰამო ხორცი იგი მისი კურთხევითა... შეჰამდნენ მათ, ვითარცა ქურციკსა და ირემსა, ხოლო სისხლთა მისსა ნუ შეჰამთ!.. ეკრძალე მტკიცედ, არა ჰამად სისხლისა რამეთუ სისხლი საცხოვრისა სამშენიველი არს და არა შეჰამო შენ სამშენიველი იგი ხორცსა მასთანა და არა შეჰამოთ იგი არამედ ქვეყანასა დასთხოთ იგი ვითარცა წყალი. არა შეჰამო იგი, რათა კეთილი გეყოს შენ და შეილთა შენთა შენთანა საუკუნოდ“.

სისხლი, ამ ამონაწერის მიხედვით, ყოფილა სული ღვთისა (სამშენიველი), ამრიგად, რას აკეთებს ის, ვინც სისხლსა ღვრის ცრემლებად, ე.ი. ვინც ნამღვილად ტირის და არა ისე, „არენით“, შოთა რომ ამბობს? — იგი ღვთისგან მონიჭებულ სულს

ავლენს ამით. მაშასადამე, ყველანი, ვინც ასე თავშეუკავებლად და გულამოხენიჩით ტირის მეგობრის გამო, მიჯნურის გამო, ტირის უბედურების ქაშს, ტირის სიხარულის გამოც, ესენი ყველანი მიუჩნევია რუსთაველს ადამიანებად, რომლებშიც ღმერთი არის დიდად, ქარბად განსახიერებული, სიკეთეა უხვად მოცემული და პირიქით, ვისაც ეს აკლია, მათ სწორედ ღვთიური სინათლის ნაკლებობა, სიმცირე, სიძუნწე ახასიათებთ.

აქედან, რა თქმა უნდა, ძნელი არ არის იმ საკითხის განხილვაზე გადასვლა, არიან თუ არა რუსთაველის მიერ ნაწარმოებში გამოყვანილი უარყოფითი პერსონაჟები.

## „ვეფხისტყაოსნის“ უარყოფითი პერსონაჟები

აღიარებულია, რუსთაველის პოემაში უარყოფითი პერსონაჟები არ არიანო გამოყვანილნი. ეს უეჭველად მცდარია, მაგრამ რა ექნათ ამ საკითხების მკვლევრებს, როდესაც მათ არ გააჩნდათ საიმისო კრიტერიუმი, გამოერჩიათ დადებითი და უარყოფითი მოქმედი პირები ამ გენიალურ ნაწარმოებში. პირდაპირ უნდა ითქვას, თვითონ შოთამ იზრუნა იმისათვის, რომ ეს არ ყოფილიყო აშკარა, არ გამოჩენილიყო, ყოფილიყო დაფარული და, ამდენად, საიდუმლოება ყოფილიყო ავტორისა. დადებითისა და უარყოფითის, კეთილისა და ბოროტის დაპირისპირების გარეშე რა ნაწარმოები უნდა გამოსულიყო — ეს შესანიშნავად იცის გენიალურმა ავტორმა, მოგვცა კიდევაც ასეთი მოპირისპირე ძალები, მაგრამ დაფარა სინამდვილე, რეალურად არსებულ უარყოფითს წაათვარა არარეალური ბოროტი ძალა — ქაჯები.

ვნახოთ ეს საკითხი უფრო დაწვრილებით.

„ჰუმანურობის ნიშნით აჯილდოებს რუსთაველი, — წერს პეტრე შარია, — თავისი პოემის თითქმის ყველა პერსონაჟს, ყველა ისინი, დამოუკიდებლად თავიანთი ეროვნებისა, სქესისა, სოციალური სტატუსისა და საქმიანობის ხასიათისა, გაერთიანებულნი არიან კეთილისათვის ბრძოლით, უალრესი თანაგრძნობით გაუბედურებული ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის მიმართ. თვით რამაზისთვისაც კი, რომელსაც პოეტი ხატავს მუჟი რეალისტური საღებავებით, იმეტებს ჰუმანისტურ შტრიხს:

რამაზი მიმართავს ტარიელს თხოვნით, როგორც სურს ისე დასაჯოს თვითონ ის, ოღონდ არ აუწიოკოს უდანაშაულო ხალხი“.\*

სავესებით სწორადაა შენიშნული ეს ჰუმანისტური შტრიხი, მით უფრო მართალია ავტორი, როდესაც წერს: „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში რუსთაველი იყო პირველი, რომელმაც თავის უკვდავ ქმნილებაში სიყვარული, მეგობრობა და პატიოსნება დაუდო ურყევ საფუძვლად ადამიანთა ურთიერთობას, დაწყებული უმცირესი სოციალური უჭრედით — ოჯახით და დამთავრებული საერთაშორისო მასშტაბით — ხალხთა და სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებით“.\*\*

ნამდვილად ასეა, რუსთაველი მართლაც ამგვარ საფუძველზე აგებს ადამიანთა ურთიერთობებს ყველა მასშტაბით, მაგრამ სწორი არაა ის, თითქოს რუსთაველის პოემის ყველა პერსონაჟისთვის იყოს ეს დამახასიათებელი. ავტორი რომ არ არის მართალი, უფრო აშკარად გამოჩნდება მისი სხვა მსჯელობისას, სადაც იგი იმავე საკითხს სხვა კუთხით იხილავს.

„არსებობს ერთი გარეგნული ნიშანი „ფეხვისტყაოსანში“, რომელიც თითქოს იძლევა საბაბს რუსთაველის მიერ ბოროტის რეალობის უარყოფის ვერსიისათვის: ბოროტი არა აქვს რუსთაველს განსახოვნებული თავის პერსონაჟებში. ამ მხრივ რუსთაველის უნიკალური მხატვრულ-შემოქმედებითი ხერხი მართლაც იშვიათია მსოფლიო ლიტერატურაში. ერთი მხრივ, მთელი პოემის ძირითადი აზრია კეთილის ბრძოლა ბოროტის წინააღმდეგ, მეორე მხრივ, ბოროტის ნამდვილი განმასახოვნებელი პერსონაჟი არ ჩანს. ეს მართლა იმდენად უჩვეულო ჩანს, რომ ზოგიერთს არც კი სჯერა და ეძებს ბოროტ პერსონაჟებს. ზოგიერთის აზრით, ასეთია, პირველ რიგში, დავარი, რახან სწორედ მან გადააკარგვინა ნესტან-დარეჯანი და ამით შექმნა მთელი ის დრამატული სიტუაცია, რომელიც პოემის მთავარ სიუჟეტურ შინაარსს შეადგენს, ამგვარად რომ ვიმსჯელოთ, თვით ნესტან-დარეჯანი უნდა გამოვაცხადოთ ბოროტის მთა-

\* ქ შარია — „შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ზოგიერთი ძირითადი საკითხი,“ თბ., 1976, გვ. 85.

\*\* იქვე, გვ. 85.

ვარ განსახიერებად: განა მან არ მოაკვლევინა ტარიელს უდანაშაულო ზვარაზმშა, რასაც მოჰყვა მთელი უბედურება? ჩვეულებრივი მორალის მიხედვით დავარს სრული უფლება ჰქონდა მიეჩნია ნესტან-დარეჯანი მძიმე დამნაშავედ და სათანადოდ დაესაჯა იგი. მეტიც, მან თვითონ გაიზიარა დანაშაული როგორც ნესტან-დარეჯანის აღმზრდელმა და თავიც მოიკლა".\* ერთი შეხედვით, გამართული მსჯელობაა, უსაფუძვლო არაა და, რაც მთავარია, საფუძველს ასეთი მსჯელობისათვის იძლევა რუსთაველი. იძლევა კი არა, იგი დიდადაც არის მოწადინებული, რომ ასეთი გაგება არსებობდეს, გავრცელდეს ასეთი შეფასება და ის იქნეს მიჩნეული პოემის მართებულ გაგებად. ასეთი წარმოდგენა მაქვს, თვითონ რუსთაველს საკუთარი პოემის ამგვარი გაგება რომ მოესმინა, დიდად კმაყოფილი დარჩებოდა. როგორ? ე.ი. ამგვარი გაგება არის მართებული? არა, რა თქმა უნდა, ეს არაა მართებული. მაშ, რატომ უნდა მოსწონებოდა ასეთი, უმართებულო გაგება პოემისა მის ავტორს? იმიტომ, რომ მას არ სურს სხვაგვარად ესმოდეთ ეს, იმიტომ იქნებოდა იგი კმაყოფილი, რომ თვალნათლივ დაინახავდა, თუ როგორი ძალის ხელოვნება გამოუჩენია მას, როგორ დაუფარია ის, რაც მიაჩნია დასაფარავად.

განა არ ექნებოდა რუსთაველს საფუძველი საკუთარი ხელოვნებით კმაყოფილებისა, როდესაც იხილავდა, რომ ნაწარმოებში, სადაც ქაჯებია ბოროტი ძალა, ქაჯად მის მიერვე წოდებული მოქმედი პირიც კი აშკარად არ ჩანს, როგორც ბოროტი. ხომ ვნახეთ ახლა, თვით ქაჯი დავარიც კი არ არისო უარყოფითი პერსონაჟი, მასაც ჰქონდაო მორალური უფლება ასე მოქცეულიყო, რადგან, თურმე, მისი საქციელი რაღაცით ემსგავსება სულაც უმთავრესი დადებითი გმირის — ნესტანის საქციელს.

ასე დაუწერია რუსთაველს და თუ იგი ამაში დარწმუნდებოდა, კმაყოფილებას მოგვრიდა ეს მას.

ვნახოთ შემდეგ.

„იქნებ ფარსადანი წარმოვიდგინოთ, — წერს პ. შარია, —

\* პ. შარია — „შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ზოგიერთ ძირითად საკითხი,“ თბ., 1976, გვ. 117.



ბოროტ პერსონაჟად: მას რომ არ გადაეწყვიტა ხვარაზმშას მოწვევა სასიძოდ, უბედურება არ დატრიალდებოდა. მაგრამ, ჯერ ერთი, ამით ჩვენ შევცოდავთ ავტორის მიმართ, რომელიც თითქმის ისეთივე სიტყვებით ხატავს ფარსადანს, როგორც ატა როსტევანს“.\*

მკითხველს, ალბათ, ახსოვს, ზევით რომ იყო ლაპარაკი იმის თაობაზე, რატომ დაუშვა ასეთი მსგავსებები რუსთაველმა როსტევანისა, თინათინისა და ავთანდილისა, ერთი მხრივ, და ფარსადანისა, ნესტანისა და ტარიელისა, მეორე მხრივ. ვამბობდი. წყლის წვეთებივით ერთმანეთს ჰგვანან როსტევანი და ფარსადანი, ასევე ერთმანეთის მსგავსი ბედი აღმოაჩნდათ ავთანდილ-თინათინისა და ტარიელ-ნესტანს. რატომ გააკეთა ეს ავტორმა? ვიკითხეთ მაშინ. ნუთუ არ შეეძლო ცოტა მეტი ფანტაზია გამოემყუდარებიაო. ახლა ხომ ვნახეთ — როსტევანი და ფარსადანი ერთნაირად დახატაო ავტორმა, შევცოდავთო მის მიმართ, თუ ფარსადანს უარყოფით პერსონაჟად მივიჩნევთ, რადგან, როსტევანი დადებითია და მისი მსგავსი ვინცაა, ისიც დადებითი იქნებაო. რა, ცუდი მსჯელობაა? არა, არაა ულოგიკობა. ამ შემთხვევაშიც დიდად გაიხარებდა რუსთაველი. აქაც კმაყოფილი იქნებოდა, რადგან მისმა ხელოვნებამ აქაც შესანიშნავად გაქრა — ფარსადანს თუ დააბრალებენ ბოროტი ძალა ხარო, არსებობს პოემაში საბუთი, რომლის მეშვეობით შეიძლება ეს მოსაზრება უკუაგდოს მოწინააღმდეგემ.

მით უფრო, რომ კიდევ სხვა საბუთიც არსებობს.

„გარდა ამისა, ფარსადანის ქცევა ჩვეულებრივი ტრადიციის მიხედვით ბოროტის არც ერთ ნიშანს არ შეიცავს: ის ზრუნავს ინდოთის ძლიერებაზე და ეძებს დანათესალებას ძლიერი სახელმწიფოს მონარქთან“.\*\* ასეთი მტკიცებაც საკმაოდ დიდი რეზონის მქონეა, მით უფრო, რომ საქმე გვაქვს ისეთ ნაწარმოებთან, სადაც პატრიოტული მოტივები ძალუმადაა წარმოდგენილი, ისიც ხომ გვახსოვს, ნესტანის უკანასკნელი სათხოვარი იყო ტარიელისადმი, ინდოეთს წადიო, მშობლებს მიეშველე, სამშობლო დაიცავიო. როდესაც ასეა საქმე წარმოდგენი-

\* კ. შარია — „შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ზოგიერთი ძირითადი საკითხი,“ თბ., 1976, გვ. 117.

\*\* იქვე

ლი, იქ უსაფუძვლო არც ეს ჩანს: „იქნებ შეგვნიშნონ, რომ ფარსადანმა იცოდა ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ურთიერთსიყვარულის ამბავი და ანგარიში გაუწია მას. მაგრამ მთელი რეალური ისტორია არ მოწმობს იმას, რომ ქალის გრძნობას არავინ კითხულობდა, როცა საქმე ეხებოდა სახელმწიფოებრივ და დინასტიურ ინტერესებს?“ \*

ესეც ანგარიშგასაწევი საბუთია. რა დროსაც უნდა ყოფილიყო, თუ ვინმეს დასჭირდებოდა ასეთი მტკიცება წარმოედგინა, მისი მოპაექრე იძულებული გახდებოდა უკან დაეხია, რადგან, მართლაც რომ ისტორიულად ეს ასე იყო. ოღონდ ეს არის — რას ნიშნავს, თუ ვინმეს დასჭირდებოდა ასეთი მტკიცება, მოპაექრე იძულებული იქნებოდაო? რისი თქმა მინდა ყოველივე ამით? იმისი, რომ რუსთაველის პოემის ირგვლივ ასეთი დავა თვითონ რუსთაველს აქვს შესაძლებლად მიჩნეული და მას ურჩევნია ასეთი არგუმენტები არსებობდეს, ამ არგუმენტებს ძალა ჰქონდეთ, მათი უარყოფა ისე იოლად არ იყოს შესაძლებელი. აბა, ასე ნუ იქნებოდა და იოლად იყოს მისახვედრი, რომ მეფეა (და დედოფალი) რუსთაველის პოემაში ბოროტ ძალად გამოყვანილი, ხოლო თუ ამას იტყოდნენ, მაშინ ნაწარმოებში არაფერი იყოს ამ მოსაზრების საწინააღმდეგო, ასეთი ვითარება აწყობს თუ არა რუსთაველს?

არა, ეს არ იქნებოდა პოემისათვის სასარგებლო და ამიტომაც არის, რომ პოემის მიხედვით ძალზე ძნელია საბოლოოდ დაადგინო, თუ ვინ იგულისხმა ავტორმა უარყოფით პერსონაჟებად. ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არაა, რადგან პოემაში სიკეთეს დაპირისპირებული ძალები ნამდვილად მოქმედებენ. ქაჯები ხომ მაინც არიან ასეთები? მოვისმინოთ ამის შესახებაც: „თითქოს ტრადიციულია ბოროტ საწყისად ქაჯების მიჩნევა. ამას, ალბათ ჩელი შეუწყო აკაკი წერეთლის ცნობილმა სიმბოლურმა მეტაფორამ. მაგრამ ეს ვერსიაც ვერ უძლებს კრიტიკას“. — წერს იგივე პ. შარია და სათანადო საბუთსაც წარმოგვიდგენს: „ქაჯებს არ მოუტაციათ ნესტან-დარეჯანი, ის მათ ჩაუვარდათ ხელში, როგორც მეკობრეთა ნადავლი. მართალია,

\* პ. შარია — „შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ზოგიერთი ძირითადი საკითხი,“ თბ., 1976, გვ. 117.

თვით მეკობრეები ქაჩები იყვნენ, მაგრამ არა მარტო შუა საუკუნეებში, არამედ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშიაც მეკობრეობას მისდევდნენ რიგი ცივილიზებული ხალხების წარმომადგენლები ინგლისელების ჩათვლით. თუ ქაჩებს დავაბრალებთ იმას, რომ ისინი ძალით აკავებდნენ ნესტან-დარეჯანს, სწორედ ასე იქცეოდა მელიქსურხავიც, თანაც ქაჩებსაც ჰქონდათ განზრახული ნესტან-დარეჯანის მითხოვება ტახტის მემკვიდრესათვის. როგორც ვხედავთ, ბოროტის განმასახიერებელი პერსონაჟი პოემაში არ ჩანს“.\*

ასეთია დასკვნა — „ვეფხისტყაოსანში“ უარყოფითი პერსონაჟები არ არიან. ზევით მოტანილი მსჯელობიდან ხომ ისიც ირკვევა, რომ არიან ისეთი რუსთველოლოგებიც, რომლებიც ცდილობენ დაამტკიცონ ამ ნაწარმოებში უარყოფითი პერსონაჟების არსებობა. მე, როგორც ვხედავთ, არ მივმართე მათ, არ მოვიტანე მათი მსჯელობა. რატომ? არამარტო იმიტომ, რომ ასეთი ავტორები ცოტაა, იშვიათია რუსთველოლოგიაში. უმთავრესი აქ სხვა მოსაზრებაა. მე წარმოვადგინე მოტანილი ადგილების მიხედვით ის, თუ ვინ შეიძლება ჩათვალონ, ვის მიიჩნევენ „ვეფხისტყაოსანში“ უარყოფითად და, ამავე დროს, მოვიტანე მოსაზრებებიც, რომელთა ძალით ჩანს, რომ იმ ავტორების მტკიცება საფუძვლიანად არ გამოიყურება. ჭერ ერთი, ასე უფრო მოკლედ იქნა წარმოდგენილი საჭირო მასალა, მეორე მხრივ — და ეს უფრო მნიშვნელოვანია — გამოჩნდა, რომ თვითონ ნაწარმოები იძლევა საფუძველს უარყოფით ასეთი შეხედულებას. ნაწარმოები ამას იმდენად უხვად იძლევა, რომ თვით ქაჩების „დასაცავადაც“ აღმოჩნდა არცთუ ისე მცირე საბუთი.

ახლა ისიც ხომ არის გასათვალისწინებელი, ასე გამოკვეთით რომ აქვს ნათქვამი რუსთაველს:

„ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“  
(1492,2)

გასათვალისწინებელი როგორ არ არის, როდესაც ვიცით კიდევაც, რომ ამ საკითხის ირგვლივაც არის დავა რუსთველოლოგიაში, მოვუსმინოთ ამავე ავტორს: „სად ან რაში უნდა

\* ქ. შარია — „შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ზოგიერთი ძირითადი საკითხი,“ თბ., 1976, გვ. 118.

ვეძიოთ ბოროტის წყარო რუსთაველთან, თვით ღმერთი ხომ მხოლოდ კეთილის წყაროა! სოფელი თავისთავად ზნეობრივად „ნეიტრალურია“. იქნებ, რუსთაველის აზრით, საერთოდ ადამიანის ბუნებაში მარხია ბოროტი საწყისი და ის გარდუვალად ვლინდება ადამიანთა ურთიერთობაში? ამას ეწინააღმდეგება არა მარტო ის გარემოება, რომ, როგორც ვთქვით, „ვეფხისტყაოსანში“ ბოროტი პერსონაჟი არ ჩანს, არამედ ისიც, რომ თანახმად რუსთაველისა, ადამიანის სული თვით ღმერთის ნაწილია. საქმე ისაა, რომ რუსთაველის მიხედვით ბოროტი თავისთავად არ არსებობს არც მატერიალური და არც იდეალური სახით, ის ჩნდება მიმართებათა პროცესში, როგორც თვით ადამიანთა შორის მიმართებაში, ისე საერთოდ ადამიანის მიმართებაში „სოფელთან“. მისი მიზეზია ადამიანთა მიერ ცხოვრების ღვთაებრივი განაწესის დარღვევა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბოროტი არის არა „ონტოლოგიური“, მეტაფიზიკური რეალობა, არამედ სოციალური რეალობა, თავისთავად ის არც ადამიანის სულში არსებობს და არც „სოფელში“, ის ჩნდება ადამიანური ცხოვრების პროცესში, თანაც ჩნდება გარდუვალად, სანამ ეს ცხოვრება ღვთაებრივ განაწესზე არ იქნება აგებული. თავისთავად არც ფარსადანია ბოროტი, თვით პოეტი არ გვისახავს მას ბოროტად, მაგრამ ობიექტურად სწორედ ის გახდა ბოროტების წყარო ღვთაებრივი განაწესის უმაღლესი ელემენტის — სიყვარულის — გათელვით... მაგრამ არამარტო ამითაა ფარსადანი ბოროტის წყარო, ის არღვევს აგრეთვე ღვთაებრივი განაწესის სხვა ელემენტსაც, სახელდობრ, ქალის უფლებების გათანაბრებას მამაკაცის უფლებასთან, ის კონსერვატიულ სოციალურ პირობითობათა ტყვეობაშია, უარყოფს ქალის უფლებას ტახტის მემკვიდრეობაზე“.\*

ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანე, რომ აქ ბევრი რამ სწორადაა შენიშნული. ამის შემდეგაც სწორად მსჯელობს ავტორი იმის შესახებ, რომ რუსთაველმა ამის გამო მოგვცა როსტევანისა და ფარსადანის შეპირისპირება, რომ ანალოგიურ სიტუაციაში როსტევანმა გამოიჩინა სიბრძნე, სიბრძნე კი

\* პ. შარია — „შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ზოგიერთი ძირითადი საკითხი“, თბ., 1976, გვ. გვ. 118.

ლეთაებრივი საწყისია ადამიანში. სწორია ბევრი რამ და მაინც საკითხის გადაწყვეტა მოცემული არაა. მაგალითად, ასე რომ დავსვათ საკითხი, თუ ბოროტი მიმართებაში ვლინდება, და ასეთი არსებობა გააჩნია უარყოფითს, რატომ არ მოგვცა რუსთაველმა უარყოფითი პერსონაჟები, რასაც ასე თავგამოდებით უარყოფს ავტორი?

რუსთაველის უმაღლესი დონის შემოქმედებას ჩრდილი მიადგებოდა, მას რომ რეალური ცხოვრებისეული სურათი ისე დაეხატა, კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება არ მოეცა და ეს სათანადო მოქმედ პირთა დაპირისპირებით არ გამოეხატა. მან ეს ასეც გააკეთა. მოგვცა არა მარტო დიდებული გმირების გალერეა, არამედ უარყოფითი პერსონაჟებიც. სულ სხვა საკითხია, თუ რატომ გვაძლევს იგი ამ უარყოფით პირებს ისეთი სახით, რომ ეს თვალნათლივ არა ჩანს, დაფარულია და ძებნა სჭირდება.

## „რასაცა ეძებ, მიჰხელები...“

მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ რუსთაველის პოემაში განსაკუთრებულად არის წარმოდგენილი ძებნა, ძიება. თუკი ამას დავაკვირდებით, მაშინ ისიც მოვიგონოთ, რომ რუსთაველი ხშირად ლაპარაკობს საიდუმლოებისა და დაფარულის შესახებ. მარტო ის რად ღირს:

„ამ საქმესა, დაფარულსა, ბრძენი დივნოს გააცხადებს“...  
ეძებეთო, გვიჩვენს შოთა რუსთაველი, ამასთან, თუ ეძებთ, იპოვითო კიდევაც. ასმათი ეუბნება ავთანდილს:

„აწ რაცა გითხრა, თუ ამა საქმესა დამმორჩილდები,  
რასაცა ეძებ, მიჰხელები, უცილოდ არ ასცილდები;  
თუ არ მომისმენ, ვერ ჰპოვებ,

რაზომცა ცრემლსა ჰმილდები,  
მოგხელების მღურვა სოფლისა, მოჰკვდები,

გა-ცა-სწბილდები“ (254)

მოვიგონოთ ამ ადგილს რა მოჰყვება. აქაა ის ცნობილი იუმორი, ქაში ჩავარდნილი კაცის ამბავზე ნათქვამი. ხუმრობას რომ თავი დავანებოთ, მართლაც ზედმეტი არ მოუვიდა ასმათს? რა იყო ამდენი ასახსნელი, ისედაც ხომ გასაგები იყო ყველაფერი. რუსთაველმა ამასაც არ დაგვაჭერა და ასეთი ვრცელი ახსნა-განმარტება საბაბად გამოიყენა, მართალია, დიდებული სტროფები კი მოგვცა, მაგრამ ფაქტობრივად ისევ იმ ზედმეტად ახსნის, დამატების სახით. ასე გაგრძელდა ამ ძებნის გამო ამტყდარი ხუმრობა თუ სერიოზული ლაპარაკი და ისევ ეს სიტყვა გაი-სმის „გიპოვნია საქებარი“ (258,4).

იქნებ ასე გვეფიქრა — რუსთაველმა ეს შემთხვევა, კიდევ

სხვაც იმისთვის გამოიყენა, რომ ჩაგვაგონოს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობისაა ძებნა ამ პოემისათვის. ან რაღა ამ ცალკეულ ადგილებს ვიღებთ, განა თავიდან ყველაფერი ამით არ დაიწყო? ცოტა გადამეტებული ხომ არ არის იმ უცხო მოყმის ძებნის გამო ამტყდარი აჟიოტაჟი? ან კიდევ ისიც:

„ჰე, მეფეო, გავიპარე ძებნად ჩემგან საქებრისად“ (788,2).

სიტყვა აჟიოტაჟი იქნებ არ ეღერს რუსთაველის პოემასთან მიმართებაში, მაგრამ როგორ მოვიქცეთ, ვიხმაროთ ისევ ის სიტყვა, ზევით მრავალჯერ რომ დაგვკვირდა? ხომ არ ვიფიქროთ, ცოტა გადაჭარბებულია იმ უცხო მოყმის სახით „ნახვა მოუნდათ, უცხოთა სანახავისა“. მოუნდათ სავსებით გასაგებია, მაგრამ ჯერ იყო და როსტევანმა რაღაც სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ გამოაცხადა მისი მოძებნა. ავტორმა არც ამას დაგვაჯერა და უცნაური სიტუაცია შემოგვთავაზა — ახალგამეფებული თინათინი უპირველეს საქმედ ჩათვლის უცხო მოყმის მოძებნას, სამი წლით თავიდან იშორებს უსაყვარლეს ადამიანს. უსასტიკესად აძლევს დავალებას.

რაღაც გაუმართლებლად დიდი მწუხარება — დაღრეჯილობა შეეყარა როსტევანს: „მეფემან ბრძანა: ვნახეო მიზეზი ლხინთა ლევისა“ (98,4). მარტო ეს რომ ეთქვა, ესეც ხომ საკმარისი იყო, მაგრამ რუსთაველს ეს არ აკმაყოფილებს და ამ თემაზე აგრძელებს ლაპარაკს, კვლავ ათქმევინებს როსტევანს:

„ბრძანა: ლმერთსა მოეწყინა აქანამდის ჩემი შვება,  
ამად მიყო სიამისა სიმწარითა დანალვლება,  
სიკვდილამდის დამაწყულულა,

ვერვის ძალ-უცქ განკურნება“ (99).

ძალზე გართულებულია საქმე! სიკვდილამდე მოურჩენელი ქირი დაემართა მეფეს, ასე განიცდის იგი ამ ამბავს, ე.ი. ასე რიგად მიაჩნია მოძებნა. რუსთაველი ისე წარმართავს თხრობას, თვითონვე გვაგრძნობინებს, ოდნავ მაინც, რომ იქნებ სულაც გადაჭარბებულია ასეთი გამწუხარება იმის გამო, რომ ის მოყმე ვერ იპოვეს. ასე აღწერს ავტორი როსტევანის ქცევას:

„ესე თქვა და შემობრუნდა, დაღრეჯილი წამოვიდა,  
არცაღა ჰკრა ასპარეზსა, ვამი ვამსა მოურთვიდა;  
ყველაკაი მოიშალა, სადაცა ვინ მხეტია სრვიდა;

ზოგთა თქვეს თუ: „მართალია“, ზოგი:

„ღმერთო!“ უზრახვიდა“ (100)

ნუთუ არ ვამბობ მართალს — ავტორმა ოდნავ მაინც არ მიგვანიშნა, რომ გადაქარბებულია როსტევეანის დაღრეჯილობა? მეტი რა უნდა იყოს, რუსთაველი გვეუბნება, მეფეს ზოგიერთები ამართლებდნენ, ზოგიერთები — არაო. მეფის დამწუხრების ამბის აღწერას კი აგრძელებს, თანაც ისე, რომ იმ ზოგიერთთა უკმაყოფილება თითქმის სულაც დაგვავიწყა. მით უფრო, რომ ახლა ახალი მეფის — თინათინის თანამგრძნობი მწუხარებაც ერთვის როსტევეანის დაღრეჯილობას:

„თქვენნი აგრე დაღრეჯანი მნათობთაცა დაამხოზდეს!

კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, კმუნვასა ესე სჯობდეს“ (107)

რუსთაველი დიდი გულმოდგინებით ამზადებს მთელს სამეფოს ძებნისათვის. მეფე ახლა ქალიშვილს დაწვრილებით უხსნის ასეთი დაღრეჯილობის მიზეზს, ისევ გაიხსნის სასოწარკვეთილი ხმები:

„უცილოდ ღმერთსა მოვსძულდი

აქამდის მე მხიარული“ (111,4)

არც აქ ჩერდება ავტორი და უფრო მეტად ათქმევინებს დამწვრის სიტყვებს როსტევეანს. ქალი ცდილობს დააწყნაროს, მოუხმოს სიბრძნეს, ნუ ემდღური ნურცა ღმერთსა, ნუცა ბედსა —

„ბოროტიმცა რად შეეკმნა კეთილისა შემოკმედსა?!“ (113,4)

და ურჩევს დაბეჯითებით, რომ საჭიროა ძებნა.

მიიღეს ძებნის გადაწყვეტილება. ეძებს კიდევეაც, ცოტა კი არა, „ძებნეს იგი ყმა“ მთელი წლის განმავლობაში და „ცუდად მაშვრალნი მოვიდეს“ თითქოს აქ ჩაწყნარდა ძიების ციებცხელება, მეფემ ირწმუნა „ვნახე რამე ეშმაკისა სიცრუვე და სიბილწეო“, ისევ ლხინსა და თამაშს მიეცა, საჩუქრები უხვად გასცა.

ძიების თემა ახლა უფრო მეტის ძალით გაიშლება. ავთანდილს, რომელსაც სადარდელი არაფერი ჰქონდა „ილხენდა და იხარებდა“, სასწრაფოდ გამოიხმობს თინათინი, რომელიც „დაღრეჯით იყო მჭლომარე“, რა თქმა უნდა იმის გამო, რომ ძებნაა საჭირო იმ ყმისა, „მას უკანით გონებამან მისმან ასრე დამამხოცა“ (128,3).



ისეა საქმის ვითარება წარმოდგენილი, არავითარი გამოსავალი არ არსებობს, გარდა ერთისა — ძებნა!

„შენ გენუკვი მონახვასა, კილით კიდე მოჰლახო ცა“ (128,4), ის ფაქტი, რომ სწორედ ახლა უმეღავენებს თინათინი ავთანდილს სიყვარულს — „მერმე, ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჰოზად“ (130,3) უფრო ართულებს საქმეს. ამ ვითარებაში იქნებ არ მიქცეოდა ასეთი განსაკუთრებული ყურადღება ძებნას? არა!

„წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად“ (130,4) ყველაფერზე წინ ძებნა არის დაყენებული

„სამსა ძებნე წელიწადსა, იგი შენი საქებარი“ (132,1.)

ის, რაც ამის შემდეგ არის აღწერილი, საოცარი ფიცი, ისევ ფიცი — „კვლა შეჰფიცეს ერთმანეთსა“ (136,1), ავთანდილის ტირილი და ცრემლთაღვრა, „საყვარლისა მოშორებით“ გამოწვეული, ყველაფერი მხოლოდ იმას ადასტურებს, თუ როგორი საძნელოა ახლა ავთანდილის წასვლა და, მაშასადამე, ეს ამტკიცებს, რომ რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა ძებნას.

კაცმა რომ თქვას, ძებნაზეა აგებული მთელი პოემა. ახლა ისევ იმ ხერხს მივმართოთ, ზევით ხშირად რომ ვიყენებდით, დავსვით საკითხი ასე: ხომ შეეძლო რუსთაველს უფრო მნიშვნელოვანი მოტივი მოენახა ამ ფატალურად გადაქცეული ძებნისათვის? ეს მას არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ასე არ მოიქცა და ამით თვითონ ძებნის თემას მისცა განსაკუთრებული მნიშვნელობა — მთავარია ძებნა! ამას ჩაგვძახის მთელი პოემა. ძებნა არა მარტო იმ გაგებით, რომ გმირები ნაწარმოებისა ეძებენ, არამედ, მკითხველსაც ეხება ეს — უნდა ვეძებოთ! რა? არის, ალბათ, საქმნელი, ასეა პოემა ჩაფიქრებული.

მოვიტანოთ ამ მხრივ ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი:

„დაჯდა წერად ანდერძისად, საბრალოსა საუბრისად:

ჰე, მეფეო, გავიპარე ძებნად ჩემგან საქებრისად!

ვერ დავდგები შეუყრელად

ჩემთა ცეცხლთა მომღებრისად“ (788).

ტარიელი უკვე აღარაა საქებარი, ავთანდილი მას უკვე შეხვდა, იცის სადაც იმყოფება. საქებარია ნესტანი. მეფე როსტევანმა თვითონ თავის დროზე ერთგვარად გადაქარბებული მნი-

შენელობა მიანიჭა იმ უცხო მოყმის ძებნას და ახლა ავთანდილი მის გამო რომ ამბობდეს „ძებნად ჩემგან საქებრისადო“, თუნდაც ახლა უკვე ეს არ იყოს როსტევეანის სურვილი, მაინც გასაგები იქნებოდა, მაგრამ აქ ხომ ნესტანის ძებნაზეა ლაპარაკი და მის შესახებაა ნათქვამი — ცეცხლი მომიკიდა და მის შეუყრელად ვერ დავდგებო. არა მგონია ვინმესთვის იყოს ეს ადგილი სავსებით გასაგები, არ მოეჩვენოს რომ აქ გადაქარბებულად არის ნათქვამი, თუკი იგი გამორიცხავს, რომ ავტორი გარკვეული მოსაზრებით ამჟღავნებს ძებნის აუცილებლობას.

ძებნის თემა, პოემაში ასე მნიშვნელოვნად მიჩნეული, დაკავშირებულია მეორე თემასთან. ამ თემათა შორის დიდი განსხვავებაა — ძებნა აშკარად ჩანს ნაწარმოებში, ხოლო მეორე თემა — ექვიანობა, თითქმის არ ჩანს. რუსთველოლოგიაში გამოთქმულიც კი არის ის აზრი, რომ რუსთველის გმირებისთვის უცხოა ექვიანობა. ეს მოსაზრება გამოთქმული აქვს პ. შარიას. იგი წერს: „მიუხედავად „ვეფხისტყაოსანში“ განსახოვნებული სიყვარულის უაღრესი სიძლიერისა პოემაში ჩვეულებრივი ექვიანობის ნაკვალევიც არ ჩანს, თუმცა უამრავია სიტუაციები, რომელთაც შეეძლოთ დაებადებინათ — და ჩვეულებრივ ბადებენ კიდევაც — ექვიანობა. ამავე დროს, ყველასათვის ცნობილია, თუ რა როლს ასრულებს ექვიანობა მსოფლიო ეპოსში“. \* ავტორს ამ მოსაზრების დასტურად მოაქვს სიტუაცია, რომელსაც უნდა წარმოეშვა ექვიანობა, მაგრამ არ წარმოეშვა — ავთანდილს თინათინისაგან დაევალა უცხო მოყმის უსათუოდ მოძებნა. „ავთანდილს ახლოსაც არ ეკარება ექვიანობის გრძნობა“, წერს პ. შარია. ეს, რა თქმა უნდა, ასეა. ამ ქალ-ვაჟის სიყვარულში ამ გრძნობას ადგილი სრულიად მოუხსპო რუსთაველმა. მაგრამ ეს გვაძლევს თუ არა უფლებას ვთქვათ, რომ პოემაში ექვიანობის კვალიც კი არ არისო? არავითარ შემთხვევაში! პოემაში კვალი კი არა, ექვიანობამ ერთგვარად გადამწვეტი როლიც კი შეასრულა. სამწუხაროა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ამ მიმართებაში არ არის დღემდე სთანადოდ შესწავლილი და დასკვნები გამოტანილი. ეს კი ბევრს მოგვცემდა პოემის საიდუმლოს გასაგებად.

\*: პ. შარია — „შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ზოგიერთი ძირითადი საკითხი“, გვ. 92.

ეს საკითხები რომ გავარჩიოთ, ამისთვის საჭიროდ მიმაჩნია ერთი სრულიად სხვა სახის საკითხიც წამოვჭრა. ცნობილი რუსთველოლოგი გ. იმედაშვილი წერს: რუსთაველი „დაბრკოლების მოტივს ისეთ მკრთალ ეპიზოდურ სახეებში იძლევა, რომ დასაზუსტებელი ხდება, თუ რა არის ქეშმარიტი დაბრკოლების მოტივი ტარიელის ამბავში — თათბირი ნესტანის გათხოვებაზე და ხვარაზმელი სასიძოს მოკვლა. ამ ორივე ეპიზოდს სიუჟეტის განვითარებისათვის თითქოს მოსაბრუნე მნიშვნელობა აქვს, თუმცა არც ერთი მათგანი არ არის დახატული საჭირო მოტივირებით... რუსთაველი ჩვეული მხატვრული დამაჯერებლობით არ გვიხატავს დაბრკოლების მოტივის შემცველ ეპიზოდებს. ესენია ტარიელისა და ავთანდილის თავგადასავალში ერთნაირად შესამჩნევი არამოტივირებული ქცევები, რომლებიც სიუჟეტის განვითარებაში ამოსავალ კვანძებს ქმნიან და მანამდე თანაზომიერ თხრობას აქტუალობას ანიჭებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსთაველს ისინი მოფიქრებული აქვს კონფლიქტის, შეფერხების მოტივებად“.\*

რა შეიძლება ითქვას ამის გამო? მხოლოდ ის, რომ თუ ეს პოემაში მართლაც ასეა, მაშინ ნაწარმოებს უღარესად თვალსაჩინო, იქნებ სულაც გადამწყვეტი ნაკლი, ხარვეზი ჰქონია. თუ ავტორი საკვანძო კონფლიქტებს დამაჯერებლად ვერ ხატავს, თუ ამ კონფლიქტების მოტივირება არაა სათანადო, ეს ნიშნავს, რომ ნაწარმოების სიუჟეტური მიმდინარეობა არის გაუმართლებელი, დაუჯერებელი. ვალიარებთ ამას? არა! ამას ვინ გაბედავს და ამიტომ ხდება იმ სიტუაციების მოხმოება, სადაც საექვო არაფერია და სადავო, გაუგებარი განზე რჩება. ზევით უკვე მქონდა მ. გოგიბერიძის შეხედულებების განხილვისას ამის შესახებ ლაპარაკი, რაც შეეხება გ. იმედაშვილს, კონფლიქტის არამოტივირებას კი აღიარებს იგი, მაგრამ მათ რაღაცნაირ გამართლებას ცდილობს. ეს არ არის დამაჯერებელი. არც იქნება, რადგან, როგორ შეიძლება ნაწარმოებში კონფლიქტები, საკვანძო პუნქტები არ იყოს დამაჯერებელი და ამისი გამართლება მოინახოს. გ. იმედაშვილი შემდეგ აგრძე-

\* გაიოზ იმედაშვილი — „ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა“, თბ., 1968, გვ. 285.

ლებს: „რუსთაველს ისინი მოფიქრებული აქვს კონფლიქტის, შეფასების მოტივებად. მაგ, ტარიელის ამბის პირველი კონფლიქტები, რომელიც ნესტანის დაკარგვით იწყება, რამდენიმე არამოტივირებულ ეპიზოდზეა აგებული, რომელთაგან პირველია ტარიელის პასივობა სამეფო თათბირზე“.\*

უფრო ადრე ამ ვერსიას — ტარიელის პასიურობას თათბირზე, ვხვდებით ვ. ნოზაძის ნაშრომში.\*\*

როგორია? — რუსთაველი და არამოტივირებულ ეპიზოდებზე აგებული უმთავრესი კონფლიქტი! მე ზევით სულ იმას ვამბობდი, რუსთაველი არაფერს წერს მოუფიქრებლად, ახლა ისე გამოდის, მთავარი კონფლიქტის მოტივები არა ჰქონია მოფიქრებული. რა გაუჭირდა ასეთი?

საბედნიეროდ, რუსთაველს აქაც ყველაფერი კარგად აქვს მოფიქრებული და აწონილი, შეცდომა მოსდის მას კი არა, მისი შემოქმედების მკვლევრებს.

ტარიელი დაესწრო თათბირს, სადაც გადაწყდა ნესტანის სხვაზე გათხოვება. ტარიელმა თავი შეიკავა, როგორც გ. იმედაშვილი წერს, არ წამოაყენა თავისი პრეტენზიები, რისი უფლება მას ჰქონდა — პირობაც ჰქონდა მიჯნურისაგან და ტახტის მემკვიდრეობაც თითქოს არ იყო საეჭვო. მან არაფერი თქვა, რატომღაც იფიქრაო, — წერს გ. იმედაშვილი.

„ვთქვი: ჩემგან დაშლა ამისი არ ითქმის, არ-საქმნელია“ (511,2)

რატომ მოიქცა ასე ტარიელი? ამით, ამ პასიურობით მან დიდად ავნო საქმეს. ეს გასაგებია. რატომ გააკეთა — არაა გასაგები. ვნახოთ, ოღონდ აქ შემოვიტანოთ ის უარყოფილი ექვიანობის თემაც.

რუსთაველი, თუ კარგად ჩავუკვირდებით, არ გაურბის იმის ჩვენებასაც, რომ მისი გმირები არცთუ იშვიათად ექვსაც ნებდებიან. ამის საჩვენებლად რამდენიმე მაგალითიც იკმარებს.

როდესაც ნესტანმა შეიტყო, მშობლებმა ზვარაზმის უფლისწული სასიძოდ მოიწვიეს და ამ თათბირში ტარიელიც მონაწილეობდაო, ნესტანმა გადაწყვიტა, ტარიელმა ჩემთან დადებული ფიცი გატეხაო. ეს, რა თქმა უნდა, ექვს აყოლა იყო და

\*: კაიოზ იმედაშვილი — „ეფთხისტკაოსანი და ჯართული ეულტურა“, თბ, 1968, გვ. 285.

\*\* ვიქტორ ნოზაძე — „ეფთხისტკაოსნის საზოგადოებათმეტყველება“, 1958, გვ. 51.

სინამდვილე მალე გაირკვა. ნესტანმა იხმო ტარიელი და მას დაუხვდა „პირგამეხებული“:

„ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული,  
არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე...“ (522).

ასმათიცი, დად საესავი და ტკბილი, უერთგულესი ასმათიცი ესწრება ამ ამბავს, ისიცი გამწყრალი და განრისხებულია, ე.ი. იმასაც ურწმუნია ტარიელისაგან ღალატი, ისევე, როგორც ნესტანს.

„მიბრძანა:„ მიკვირს, რად მოხვე  
მშლელი პირისა მტკიცისა,  
გამწირავი და მუხთალი, შენ,  
გამტეხელი ფიცისა?!“ (523).

რა დავაშავე, რა შეეცოდეო ტარიელმა და პასუხად:

„კვლაცა მითხრა: „რას გეუბნა მტყუანსა  
და შენ მუხთალსა?  
დიაცურად რად მოვლორდი?  
შე დაუწვავ ამით აღსა“ (524).

და შემდეგ:

„შენ არ იცი ხვარაზმუასი საქმროდ ჩემად მოყვანება?!  
შენ ჭდომილხარ სავაზიროდ, შენი ჰართულა ამას ნება,  
შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება,  
ღმერთმან ქმნას და დაგიორჩინო  
ცულად შენი ხელოვნება“ (525).

ეს უკვე მუქარაც არის, უფრო გამოკვეთილადაც მოახსენა ეს მუქარა:

„რათგან დამთმე, მეცა დაგთმობ,  
ვინძი უფრო დაზიანდეს“ (526,4).

კიდევ უფრო მკაცრად არის შემდეგი ნათქვამი:

„ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო,  
ხანი ვერა დაჰყო;  
თუ ეცადო დაყოფასა, ზორცთა შენთა სული გაჰყო!  
სხვა ჩემებრი ვერა ჰპოვო, ცაღამდისცა

ხელი აჰყო!“ (528).

ეს უკვე ქალის ნათქვამია, ე.ი. დიაცურად არის ნათქვამი (ქალისა, რომელიც იმით არის გამწარებული, რომ მისი გრძნობა არ გაიზიარეს.) ასე ეჩვენება ნესტანს, ასეთი ექვეებით აქვს გული გავისილი, ამიტომ მკაცრად, ნამდვილად შეიძლება ითქვას,

ზედმეტი სიფიცხით — ეს შენიშნულია რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში, მაგ. აკად. გ. ჯიბლაძე წერს ამის შესახებ — მიმართავს იგი ტარიელს, ხოლო მისი ნათქვამი არა თუ საწყენი არაა ტარიელისათვის, არამედ, პირიქით:

„რა მესმა ესე მისაგან, მეიმედა მეტის-მეტად“ (529,1).

რას ნიშნავს ეს სიტყვები? რა ეიმედა ასე დიდად ტარიელს? ტარიელი ნესტანის მიერ უმკაცრესი სიტყვებიდან მიხვდა, რომ ნესტანს იგი ისევ ჰყვარებია და საკუთარი ექვები გაუქრა — ეს ეიმედა მეტისმეტად. ახლა მიხვდა და ეიმედა. ეს რას ნიშნავს? ნიშნავს იმას, რომ ამ სიტყვების მოსმენამდე მას ასეთი იმედი არ ჰქონია, ე.ი. იგი დაექვებულა, მის გულში გაუვლია საშინელ ექვს, ვაი თუ ნესტანი თანახმაა გათხოვებაზეო, ამიტომ, ცხადია, მას არაფრის თქმა არ შეეძლო იმ თათბირზე. რა უნდა ეთქვა? რა პროტესტი შეეძლო? — მას სათქმელი არ ჰქონდა და ამიტომაც ფორმალური დასტური მისცა ხვარაზმელ სასიძოზე ნესტანის გათხოვებას. თვითონ ნესტანმა რომ გაიგო, ტარიელი ესწრებოდა და დათანხმდაო, გული გაივსო ექვებით და უკვე ვნახეთ, თუ როგორ გამოხატა ეს ყველაფერი.

ამრიგად, ყოფილა თუ არა ექვიანობა რუსთაველის ნაწარმოებში? უდავოა, ყოფილა. ეს ერთი. ახლა მეორე: ყოფილა თუ არა ის კონფლიქტი, რომელიც საკვანძოა, მოტივირებული? უდავოა, ყოფილა.

რატომ დაექვდა ტარიელი? ჰქონდა მას ამისი საფუძველი? დიახ, ჰქონდა! ნესტანისაგან კი არა, მაგრამ მას საფუძველს დაექვებისა აძლევდა სხვა რამ — ნესტანის მშობლების სრულიად აუხსნელი საქციელი. თანაც ისიც შეუმჩნევია ტარიელს, თვითონვე ამბობს ამას: ჩანდა, რომ წინასწარ ჰქონდათ გადაწყვეტილი საქმეო: „რომ პირველივე დაესკვნა, მათ ესე შეეტყუებოდა“ (512,1). თუკი ეს ნამდვილად მოხდა, თუ მშობლები ასე მოიქცნენ, მაშინ სად იყო გარანტია, რომ ის მოულოდნელიც არ მოხდა, რომ ნესტანიც არ დათანხმდა, რომ წინასწარ გადაწყვეტაში უკვე არ ჰყავდათ იგიც ჩართული. ეს ივარაუდა ტარიელმა. „რადგან არ მომკალ“ (530,4), ახლა კი გეტყვი პასუხსო, ეუბნება ტარიელი ნესტანს, ე.ი. რადგან შენი თანხმობა (ეს იქნებოდა ჩემო მოკვლავო) არ ყოფილა, ახლა საქმეს ეშვე-

ლებათ.

ამიტომ, ტარიელს იმ თათბირზე პასიურობა კი არ გამოუჩენია, არამედ — უდიდესი თავშეკავება. ნაწარმოების ეს მომენტი ამ მხრივაც არის უაღრესად საინტერესო. გარდა იმისა, რომ ამ მომენტის სწორი ანალიზით, როგორც ვნახეთ, ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი წყდება — ჯერ ერთი, მტკიცდება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არა თუ კვალი ექვისა, არამედ უაღრესად დიდი დოზითაც არის მოცემული. მეორე — ეს დიდი ექვი სავსებით საკმარისი მოტივია ტარიელის გაჩუმებისა და, მაშასადამე, კონფლიქტიანი კვანძი შესანიშნავად არის დახატული. ახლა მესამეც — ტარიელმა გამოიჩინა საოცარი თავდაქერა და ავტორმა თავისი გმირი ამ მხრივაც ბრწყინვალედ დაახასიათა — აღმოჩნდა, რომ ტარიელი აფექტებს არ ემონება, თუმცა ნაწარმოებში მას ხშირად ვხედავთ ასეთ მდგომარეობაში. ეს ხომ ის სიტუაციაა, როდესაც ტარიელის პრეტენზია გამოჩნდა მეფობაზე. გენიოს რუსთაველს ეს გამოეპარებოდა? ხედავთ, როგორ გვიხატავს იგი მომავალი მეფის თავშეკავებას, სიბრძნეს, გონიერებას? ტარიელი აგრძელებს ნესტანისათვის ახსნა-განმარტების მიცემას: „ღამეშალა, ვერ დავშლიდი, დამრჩებოდა უმეცრობა“ (533,3), თავსა ვუთხარიო — დაემოწმე, ახლა ასე ჯობიაო. თვითონ თუ ვერ მიხვდა, მე როგორ დავუშლიდიო, „არ იცის, თუ ინდოეთი უპატრონოდ არ გამხდარა?“ (534,2). ტარიელი ქვეყნის საქმეს უშეცდომოდ განსჯის. როგორ დაინახეს ამაში პასიურობა?!

ერთი დეტალის მიგნებამ რამდენი რამ გაგვინათა! ამრიგად, არ არის ძებნა განსაკუთრებული მნიშვნელობისა „ვეფხისტყაოსანში?“ ამისი უარყოფა, ალბათ, ახლა მაინც ყოვლად შეუძლებელია. ხოლო ამას თუ კარგად გავიაზრებთ, არაფერი შეგვიშლის ხელს ვთქვათ, რომ რუსთაველს თვითონვე მივყავართ საძიებლად იმისა, რაც მანვე ძებნას დაუქვემდებარა. ამიტომ გვაფრთხილებს იგი ასმათის სიტყვებით:

„რასაცა ეძებ, მიჰხვდები“ (254,2).

ამრიგად, ტარიელი და ნესტანი დამორჩილებიან საშინელ ექვს, ამან კი ბევრი რამ განსაზღვრა ნაწარმოებში. ამათგან განსხვავებით ავთანდილი და თინათინი ავტორმა დაგვიხატა ამ

გრძნობისაგან თავისუფლად. ავთანდილი მაშინაც კი ვერ დაიპყრო ექვმა, როდესაც მას თითქოს ჰქონდა საამისო ყველა პირობა: ქალი ეუბნება, ის უცხო უმშვენიერესი ჭაბუკი თუ არ მომიძებნე, ისე ვერ გავირდებიო. ცოტა მომხდარა, რომ ასე ჩაშლილა სიყვარული და ახალ სიყვარულს უფეთქებია. რატომ არ დააქვია ამან ავთანდილი? გენიოსი ავტორი სხვა შემთხვევაში გვიჩვენებს, რომ ავთანდილისათვის საერთოდ კი არ არის დაექვება, ექვით შეპყრობა უცხო. ამას გვიჩვენებს სწორედ იმის გაძლიერებისათვის, რომ საკუთარი სატრფოს მიმართ თვით ასეთ პიროვნებასაც ექვები არ აღძვრია, სხვა დროს — კი. ვნახოთ ეს ადგილი ნაწარმოებიდან. ავთანდილმა სიტყვა შეასრულა და ეახლა გამოქვამულში ტარიელს. მას ასმათი შეხვდა და უთხრა, ტარიელი არ არისო, რაც შენ წახვედი, იმის შემდეგ გაიქრა, ქვაბში ყოფნა არ უნდა, არ ვიცი სად არისო. ავთანდილს თითქოს გულს ლახვარი კრესო, ისე შეიქმნა:

„ქალხა ეტყვის: „აჰა, დაო, ეგეთიმცა კაცი ნუა,  
ოგი ფიცო ვით გატეხა! არ ვეცრუვე, ვით მიცრუა!  
ვერ იქმოდა, რად მიქადა? თუ მიქადა,

რად მიტყუა?!“ (845).

როგორც ვხედავთ, ავთანდილს სერიოზულად შეეპარა ექვი, რომ ფიცი არ დაიცვა ტარიელმა, იცრუა, მოატყუა. ავთანდილს სასო წარეკვეთა, ამისი დამადასტურებელია მისი სიტყვები:

„მე უმისოდ სოფელს უოფა რადგან ჩირად არ მიღირდა,  
რად დავვიწყდი, რად მივსცილდი,

რად ვერ გაძლო, რა მისქირდა?

მან გატეხა ზენარისა რად შემართა, ვით გაპირდა?

მაგრა ავის ბედისაგან ჩემი რამცა გამიკვირდა!“ (846).

ჩემი ცუდი ბედისაგან არ უნდა მიკვირდესო, რომ ასე ცუდად დასრულდა ეს ამბავი — ე.ი. დარწმუნებულთა, რომ ცუდად დასრულდა.

ავთანდილის ექვები არ აღმოჩნდა საკმაო საფუძვლის მქონე — ტარიელს არ ჩაუდენია ცუდკაცობა, ამიტომ „ეგეთიცა კაცი ნუა“ ნაჩქარევი აღმოჩნდა. ამას თვალნათლივ გვიჩვენებს რუსთაველი, ჩვენ კი მით უფრო გვიკვირს, რომ ასეთი კაცის გულში ექვმა ვერც კი გაიფაჩუნა მაშინ, როდესაც თითქოს



ყველაფერით შემზადებული ჩანდა, რომ სწორედ ასე ყოფილიყო. აქვე ისიც შეიძლება მოვიგონოთ, რომ ბოლოს, როდესაც ყველაფერი კეთილად დასრულა, თინათინი გაიგებს ავთანდილის მთელ თავგადასავალს, არც მის გულში აღიძრა ეჭვი, თუმცა ნაწარმოების მიხედვით საამისო საფუძველიც იყო — ასეა თუ ისე, მაინც ფაქტია, რომ ავთანდილმა ფატმანის სარეცელი გაიზიარა.

ამრიგად, ამ ორს ყველა სიტუაციაში აშორა ავტორმა ერთმანეთის მიმართ ეჭვი, იმ ორს კი — გადაწყვეტ მომენტში მოუვლინა და იმ ექვიანობამ ტარიელი განაიარაღა იმ თათბირზე, ხმა არ ამოაღებინა, შემდეგ კი მოვლენები უალრესად დრამატულად წარიმართა. არაფერი მნიშვნელობა არ მივცეთ ამ მდგომარეობას? არ გაგვიჩნდეს კითხვა — რატომ მოხდა ეს ასე? აჯობებს ასეთი კითხვა დავსვათ და მას მეორეც მივუმატოთ: რატომ გააკეთა რუსთაველმა ისე, რომ ტარიელს არ დააკარგვინა წონასწორობა, თუმცა მის გულში ეჭვი გაჩნდა, ნესტანს კი ეჭვიც გაუჩნდა და თავიც ვერ შეიკავა. უფრო მეტი. რუსთაველმა აქ საოცარი გადაწყვეტა მოგვცა: ტარიელის ექვიანობის შესახებ ჩვენ არც არაფერი ვიცით მას საამისო არც ერთი სიტყვა არ ათქმევინა ავტორმა, ჩვენ ამის შესახებ მხოლოდ იმით ვასკვნით, ნესტანმა რომ შეუტია, ტარიელს კი ამან იმედი მისცა — მაშასადამე, მისი ეჭვი უსაფუძვლო ყოფილა. მხოლოდ ეს გვაქვს ჩვენ ტარიელის ეჭვის დამადასტურებლად, მეტი არაფერი. ამიტომაცაა, რომ ეს ექვიანობა ყურადღების გარეშე დარჩათ, როგორც ეს ზევით ვნახეთ. ნესტანს კი აშკარად ათქმევინა დაექვევის გამო, ათქმევინა მეტად მწარედ, მკვახედ და თავშეუყავებლად (საოცარია, რომ ვერც ეს იქნა შემჩნეული და ექვიანობის კვალიც არა ჩანსო!). რატომ მოიქცა ასე რუსთაველი? შეიძლებოდა, მაგალითად, მას გაეკეთებინა პირიქით, ავთანდილ-თინათინი დაექვევინა (ჰქონდა საამისო მასალა!), ნესტან-ტარიელი კი ისე დაეტოვებინა? არა! რუსთაველი ამას ვერ გააკეთებდა. მაშინ იგი არ იქნებოდა ასე უსაზღვროდ დიდი ხელოვანი.

დავაკვირდეთ იმასაც, რომ ტარიელს თვითონ აქვს გეგმა, არ დათმოს ინდოეთის ტახტი, არ მისცეს იგი გარეშეს, მაშასა-

დამე, ნესტანის რჩევა სასიძოს მიპარვით მოკვლის შესახებ ამ გეგმის კონკრეტულ განხორციელებას შეეხება და არ ნიშნავს იმას, რომ ნესტანის სიტყვით იმოქმედა აგრერიგად ტარიელმა. ერთმანეთის მიმართ დაეჭვების მიკრობი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ამ წყვილში და არავითარ შემთხვევაში პირველ წყვილში. ამ ორი წყვილის გარემო, თავდაპირველად წყლის წვეთებივით რომ ჰგავდა ერთმანეთს, სიღრმეში თუ ჩაიხედავთ, არსებითად არის ერთმანეთისაგან განსხვავებული. სულ სხვაა როსტევანის სამეფო კარი, სადაც გაიზარდნენ თინათინ-ავთანდილი, და სულ სხვაა ფარსადანის სამეფო კარი, სადაც ნესტან-ტარიელი გაიზარდნენ. ნესტანის უშუალო გამზრდელია ქაჯი დავარი, იგი მისი მამიდაა, ამავე დროს. ჩვენ ხომ ისიც ვნახეთ, ფარსადანი და მისი მეუღლე — დედოფალი არამოტირალთა ჯგუფში აღმოჩნდნენ. მხოლოდ ასეთ გარემოში შეიძლებოდა ის მომხდარიყო, რომ უგულოდ მოექცნენ ახალგაზრდების გრძნობებს...

აქეთვე მივყვართ ძიებას, რასაც რუსთაველი გვპარნახობს. აქვე კიდევ ერთი დავუმატოთ: ნესტანის მიმართ დაეჭვება შემდეგაც ხომ არ გაუელვებს გულში ტარიელს, მისი მეშვეობით სხვებსაც — ავთანდილს, ფატმანს, ასმათს? იქნებ ამისი აღმნიშვნელია ის თქმა — ქალს ქაჯები თუ ეახლენო? ესეც ვნახოთ. ტარიელმა დაკარგა იმედი, ნესტანის მოძებნის არავითარი შესაძლებლობა არა ჩანს, მან ყველაფერი სცადა და უსარგებლო, უშედეგო აღმოჩნდა. ტარიელი არ მალავს თავის უიმედობას:

„მაგრა არ არის ქვეყანად წამალი ამა წყლულისა!

ჩემი ლხინია სიკვდილი,

გაყრა ხორცთა და სულისა“ (274),

ან კიდევ:

„ღმერთსა ჩემი უბედობა უნდა, მემცა რას ვეცადე!

განაღამცა გავნადირდი, თავი ასრე გავიხადე“ (277).

სხვაგან კიდევ იმას ამბობს, „უწამლოა ჩემი სატკივარიო“ (303,3)

და რა იქნებოდა, მეგობრობა რომ არ ყოფილიყო, ავთანდილი არ გამოჩენილიყო, შემდეგ სხვებიც არ ამოქმედებულიყვნენ, მაშინ მართლაც ყველაფერი ცუდად იყო დასრულებული — ტარიელი უკვე აღარ ეძებდა ნესტანს, იგი სიკვდილს

ელოდა. რუსთველოლოგიაში ამის გამოც არის გამოთქმული მოსაზრება — ტარიელი ზნეობრივად დაეცაო, ამტკიცებს პ. შარია. მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის სწორი გაგება რუსთაველის ჩანაფიქრი არ უნდა იყოს ასე მარტივი და სწორხაზოვანი. ტარიელი, რუსთველის მიხედვით, არ დაცემულა ზნეობრივად, სულიერად, რადგან მასში არის სწორედ ის „რასაცა გასცემ შენია“, მასში არის ძალა მეგობრობისა, უმწიკვლო სიყვარულისა და მას რომ მეგობრები შევლიან, მის გვერდში დგანან, შემთხვევითი კი არ არის, ამდენად, მისი გადარჩენა კანონზომიერია და უპირველესად ამაში ტარიელის ღირსება ჩანს.

ამიტომ, რუსთაველი არ შიშობს, რომ საბოლოოდ ვერ გაიგებენ ტარიელის ნამდვილ ამბავს, იგი თამამად გვიჩვენებს თავის უსაყვარლეს გმირს სასოწარკვეთილებაში და ამით მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ არავითარ შემთხვევაში ხელი არ უნდა აიღო ძებნაზე, მაშინ კი უსათუოდ იპოვითო, როგორც იპოვეს ნესტანი.

არც იმის შიში აქვს რუსთაველს, რომ ამ ძებნისა და პოვნის ამბავს ვერ გაიგებენ. თუ პოემას გაიგებენ, მაშინ ამასაც გაიგებენ, თუ პოემას ვერ გაიგებენ, მაშინ არცა აქვს იმას მნიშვნელობა, რა იქნებოდა ნაგულისხმევი პოვნის ამბავში.

ისე კი ნესტანი ფარსადანმაც ეძებაო, გვეუბნება ავტორი, მაგრამ ისე გაკვრიტ, თითქოს სასხვათაშორისო ამბავი იყოს, ის კი კარგად ვიცით, რომ მან ვერ იპოვა. ყველაფრიდან ჩანს, რომ მას არ უნდა ეპოვა. ავთანდილმა იპოვა!

ასეთია, მოკლედ, ძებნის, იმედის, დაეკვებისა და იმედის დაკარგვის, პოვნის თემა.

ახლა იმ მეფეთა კარის ამბავი ვნახოთ.

## „ქებანი მათ მეუეთანი, ანუ მეუეთა შიზან სიუსხე...“

„ვეფხისტყაოსნით“ მეფე დასახულია ღვთის სწორ არსებად\*.\* წერს აკად. ალ. ბარამიძე. ეს საერთოდ მიღებული აზრია. ასე წერენ სხვა რუსთველოლოგებიც. ან სხვაგვარად რატომ უნდა იფიქრონ, როდესაც საამისოდ მათ ყველაფერი აქვთ მოცემული. რუსთაველი დასაწყისშივე, პირველსავე სტროფში ამბობს:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,  
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერთა,  
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,  
მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.“

ყოველი მეფე ღვთისმიერიაო. ღმერთი მხოლოდ კეთილს დაბადებსო, რამდენჯერმე აქვს ნათქვამი შოთას, მაშასადამე, ყოველი მეფე კეთილია. ასეთია სილოგიზმი, რომლის აგება შეიძლება რუსთაველის პოემის მიხედვით. თუ დავუკვირდებით, ეს არის სილოგიზმის ის მოდუსი, რომელიც ლოგიკის შემქმნელ არისტოტელეს ყველაზე სრულქმნილად მიაჩნდა — ორივე წინამძღვარი ზოგადი — დადებითია, დანასკენიც ზოგადი — დადებითი მსჯელობაა. შეიძლება სილოგიზმის სხვა მოდუსიც ავაგოთ: ღმერთი ბოროტს არ გააჩენს, ყველა მეფე ღმერთის მიერაა გაჩენილი, მაშასადამე, მეფე არ შეიძლება ბოროტი იყოს. რა თქმა უნდა, იცოდა რუსთაველმა, არისტოტელე, სილოგისტიკაც, პირველი ფიგურის ეს მოდუსებიც. მას

\* ალექსანდრე ბარამიძე — „შოთა რუსთაველი“, 1975, გვ. 155.

არც ის გამორჩებოდა მხედველობიდან, რომ მისი პოემის მიხედვით სწორედ ასეთი დასკვნის გამოტანა იყო შესაძლებელი.

ეს საექვო არ არის და ამ პირობებში, როგორი უნდა იყოს ჩემი მდგომარეობა, როდესაც მე მივადექი იმის აუცილებლობას, როცა უნდა დავემტკიცო, რომ რუსთაველის პოემაში ყველა მეფის კარი არ არის კეთილი, რომ ერთმანეთისაგან არსებითადაა განსხვავებული როსტევენი მეფისა და ფარსადანი მეფის კარი.

როსტევენი და მისი კარი კეთილის განხორციელებადაა ნაჩვენები. ამას ვერ ვიტყვით ფარსადანის კარზე. ზევით ხომ ბევრი რამ ითქვა სწორედ იმისათვის, რომ აქამდე მოვსულიყავით. ახლა დადგა ეს დრო და უნდა ვთქვა: რუსთაველის პოემის მიხედვით ფარსადანი, მისი მეუღლე დედოფალი და, რა თქმა უნდა, ფარსადანის და, დაჯარი, არიან უარყოფითი პერსონაჟები სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესენი ბოროტ ძალას განასახიერებენ. ეს ანალიზი ვალდებულს გვხვდის ასეთი დასკვნაც გამოვიტანოთ.

ეს დასკვნა კი ეწინააღმდეგება იმ სილოგიზმის დასკვნას — მეფე ყველა ღვთისმიერი და კეთილია.

ასეთია მდგომარეობა. ეს არის ჩვენთვის რუბიკონი, რომელიც უსათუოდ უნდა გადავლახოთ, თუ არა და, მაშინ მთელს ჩვენს წინ ჩატარებულ ანალიზს აშკარა ხარვეზი ექნება და უნდა შევჩერდეთ.

მკითხველი ხედავს, თუ როგორი დიდია ჩვენს წინაშე მდგარი სიძნელე. მე ის მინდა მკითხველისაგან, რომ დამემოწმოს არა მარტო სიძნელეში, არამედ მის პირდაპირ აღიარებაში. ამას იმის რწმენა მათქმევენებს, რომ პირდაპირობა არის ერთადერთი სწორი გზა, მხოლოდ ასე მიიღწევა ქეშმარიტება, რომელსაც ვეძებთ.

საკმარისად ჩავთვალოთ ეს მცირე ლირიკული განსვლა და საკითხის არსებითად განხილვაზე გადავიდეთ.

რა არის „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული იმის მტკიცებისათვის, რომ „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“ და, პირიქით, რა არის საიმისო, რომ ყოველი მეფე არ არის ნაწარმოებში გამოყვანილი კეთილ ძალად? საიმისო მასალა უხვადაა. არა მარტო იმ პირველ სტროფზე, არამედ სხვა უამრავ გამოთქმაზე ამყარებენ

რუსთველოლოგები იმ დასკვნას — პოემაში ყოველი მეფე ღვთისმირაო. ყველაზე უკიდურესი სახით ეს დებულება გამოთქმულია „შემდეგნაირად, მზე „ვეფხისტყაოსანში“ ღმერთის ხატია, მის გმირებს ავტორი მზეს ადარებს, მათ ახასიათებთ პირმზეობა: „თინათინ, ნესტან, ავთანდილ, ტარიელ, ფრიდონ, სარიდან, მელიქის, ვაჟა და საერთოდ მეფენი და მეფის ძენი ყველანი პირმზენი არიან“.\* სხვა ნაშრომში ეს ასეც არის გამოთქმული: „ვეფხისტყაოსნის“ მეფენი, მეფის ასულნი და ძენი — ყველანი არიან მნათობნი და ვითარცა მნათობნი, შუქთა მფენელნი და ელვა მკრთომნი, და სხვა არავინ“.\*\* ასეთია საქმის ვითარება, რომელიც საჭესებით ეთანხმება „ვეფხისტყაოსნის“ პირველ სტროფში გამოთქმულ აზრს „ყოველი ხელმწიფის“ შესახებ. დასახელებული ავტორი ამას უჩვენებს დეტალური ანალიზის საშუალებით — აღრიცხული აქვს ყველა შემთხვევა, თუ როდისაა ესა თუ ის გმირი მზეს ან მთვარეს შედარებული, როდისაა მათს შესახებ ნათქვამი პირმზეობა, ან სხვა. ეს კარგი მასალაა და მაინც ის უნდა ითქვას, რომ ვ. ნოზაძე დიდ შეცდომას უშვებს. მას მხედველობიდან გამორჩა ისეთი მდგომარეობა, რაც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ეს რომ დავამტკიცოთ, მიმოვიხილოთ ის შედარებები, რაც რუსთაველის პოემაშია მოცემული, ხოლო სანამ ამას შევუდგებოდეთ, ვნახოთ ზოგადი ხასიათის დებულებები.

„ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკური შეგარძნება და შეგნება, — წერს ვ. ნოზაძე, — მზეს უმაღლესი შვენების და კაცის სილამაზის გამომხატველად თვლის. და ეს შედარება კაცისა (დედაკაცისა თუ მამაკაცისა) მზესთან ისე ხშირია, რომ ხანდახან მზე და კაცი თითქმის გაიგივებულია. თინათინ, ნესტან, ავთანდილ, ტარიელ, ფრიდონ და სხვა მეფენი თუ მეფისწულნი — ყველა მზე და მისი შესადარია. მაგრამ მზეს არ ედარება არც ასმათი, არც ფატმანი, არც შერმადინი თუ უსენი და არც სხვა არავინ, ვინც მეფის ჩამომავალი, ან მისი სწორი არაა. მზესთან შედარების უპირატესობა მხოლოდ მეფეებსა და მეფისწულთ ენიჭებათ“\*\*\*

ავტორი, ბუნებრივია, იმოწმებს „ვეფხისტყაოსნის“ იმ

\* ვ. ნოზაძე — „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“, „სანტაგო და ჩილე“, 1957, გვ. 144.

\*\* ვ. ნოზაძე — „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“, 1957, გვ. 44.

\*\*\* ვ. ნოზაძე — „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“, გვ. 135.

ადგილს, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი — „მეფისა, მზის თამარისა“, ასევე იმასაც მოიხსენიებს, რომ ქართული ისტორიული წყაროები, აგრეთვე ძველი ქართული პოეზია დავით აღმაშენებელს, გიორგი მეფეს, თამარს მზეს უწოდებენ. მეფის ღმერთთან სწორობა, მისი ღვთაებრიობა საფესებით ეთანხმება ქრისტიანულ სარწმუნოებას, ასევე ასტროლოგიასო. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამომცემელი მეფე ვახტანგ მე-6 ამასვე ამბობდა: „მეფეთ ქებად მზეც ითქმისო“.

ამგვარი ზოგადი დებულებების კვალობაზე ეძებს ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მზიურ მშვენებას.

„ვეფხისტყაოსანში“ თინათინი მზესთან შედარებულია სულ ცოტა ათჯერ, ამასთან მისი მშვენება ხან მზის მშვენებას უდრის, ხან აჭარბებს მას კიდევაც. ნესტანი გაცილებით მეტჯერ არის მზესთან შედარებული, იგი არის მზისგან ვერ გარჩეული, მზის მონასხლეტი და ა.შ. ავთანდილი მზისა და მთვარის დარია — ათზე მეტჯერაა მზეს შედარებული, მზეებრ ტარიელი — ოცჯერ, ასევე მზისოდენი, მზის ტოლადაა მიჩნეული ფრიდონი, ცალკეც (ერთხელ) და სამივე გმირი ერთად — ოთხჯერ.

როსტევან მეფეც ედარება მზეს, ასევე თითოჯერ მზეს ედარებიან ფარსადანი და ინდოეთის დედოფალი.

იქნებ საჭირო იყოს აღვნიშნოთ, რომ ხვარაზმშის მეფისწულიც, ქაჯთა მეფეც, თუმცა ისიც მეფეა, ხოლო ქაჯებიც „კაცნია“, მოკლებულია ასეთ შედარებას. მაშასადამე, აქ უკვე დაირღვა პრინციპი, რომ ყველა მეფე და მეფისწული მზეს არისო შედარებული.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირებს ახასიათებს, როგორც ვთქვით, პირმზეობა. როგორი სურათია ამ მხრივ პოემაში?

პირიმზეა თინათინი (ერთხელ), ნესტანი — 15-ზე მეტჯერ, ტარიელიც ერთხელ, ავთანდილი 15-ჯერ, სარიდანი ერთხელ, ფრიდონი ორჯერ, მელიქის ვაჟი სურხავი — ორჯერ. ვ. ნოზაძე აქ გვიმტკიცებს, „მეფენი და მეფის ძენი ყველანი პირიმზენი არიანო“, მაგრამ იგი ვერ გვისაბუთებს ამას, რადგან აქ არ ჩანს არც ფარსადანი, არც მისი მეუღლე, არც ხვარაზმშას ძე, რა თქმა უნდა, ქაჯი მეფე და მეფისწულნიც არ ჩანან. ისე კი, ამ ნიშნის მიხედვითაც კარგად დაჯგუფდნენ პოემის პრესონაჟები.

მივაქციოთ ამას ყურადღება და გავაგრძელოთ.

3. ნოზაძე წერს: „მზე „ვეფხისტყაოსანში“ არის მშვენების სიმბოლო, სილამაზის გამომხატველი და მზის მშვენებით, მზის სახით გვხვდებიან ჩვენ ვეფხისტყაოსნის გმირები. ხანდახან გმირთა სილამაზე მზის სილამაზესაც სჯობს და აქარბებს და შეუთვისებელ უმაღლეს მშვენებამდე აღწევს მზესთან შედარებით. მაგრამ მზის ამ მნიშვნელობის გარდა, მზე გამოყენებულია აგრეთვე პიროვნების აღსანიშნავად, პიროვნების გამომხატველად და მის სანაცვლოდ — მზე ვითარცა ნაცვალსახელი... როდესაც რომელიმე გმირი მზე არის, ამით იგულისხმება არა მარტო მზე, ვით მნათობი, არა მარტო მზის სილამაზე და მშვენება, არა მარტო, საერთოდ რომ ვთქვათ, გმირის ესთეტიკური ღირებულება, არამედ აგრეთვე მისი უმაღლესობა, მისი ხელისუფლება და ძლიერება. პიროვნება ვითარცა მზე „ვეფხისტყაოსანში“ არის აგრეთვე პოლიტიკური და სოციალური ღირსების მაჩვენებელი და ამიტომ მზე არის აქ მხოლოდ მეფე, მეფის სწორი და სხვა არავინ.“\*

როგორი ვითარება გვაქვს პოემაში ამ მხრივ? თინათინი და ნესტანი მზედ იწოდებიან რამდენიმე ათეულჯერ თითოეული, ტარიელი — ათამდე, ავთანდილი — 5-ჯერ, ფრიდონი ორჯერ, როსტევიანი ერთხელ, ფარსადანი და მისი მეუღლე — ერთხელ, ასევე თითოჯერ იწოდებიან მეფე მელიქ სურხავი და მისი ვაჟი. ავტორი აქაც ანალოგიურად ასკვნის: მეფენი, დედოფალნი, მეფის ასულნი, მეფის ვაჟი — ყველანი არიან მზე და სხვა არავინო. ყველანი არც აქ არიან მზესთან შედარებულნი, მაგრამ აქ ერთ დეტალსაც მივაქციოთ ყურადღება — დავარი არის ფარსადან მეფის და, მაშასადამე, რადგანაც მეფობა მემკვიდრეობით ექნებოდა მიღებული ფარსადანს, მისი დაც მეფის ასული იქნებოდა. ფორმალურად რომ გვემსჯელა იმ ყველაში დავარიც უნდა შედიოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასაც უნდა შეხვედროდა „მემკვიდრეობით“ ეს შედარება. რუსთაველი ამ გზას არ გაჰყვა.

საქიროა ყურადღება მივაქციოთ საქმის ვითარების უფრო

\* 3 ნოზაძე — „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“, გვ. 144.



მნიშვნელოვან მხარეს — პიროვნების მზედ წოდება, ამბობს ვ. ნოზაძე, არისო „ვეფხისტყაოსანში“ აგრეთვე პოლიტიკური და სოციალური ძლიერების, ხელისუფლების მაჩვენებელი. ვისაც ასეთი ხელისუფლება ფაქტობრივად ჰქონდა — ფარსადანს, მაგალითად, ასევე „მემკვიდრეობით“, ასე ვთქვათ, შტატით მიეკუთვნება ეს წოდება, ერთხელ გამოიყენა ეს სავალდებულო წესი რუსთაველმა და მეტი არა, მაშინ როდესაც, ვისაც გულით მოეკიდა, იმათთვის უამრავჯერ გაიმეტა ეს მზეობა. წამებული ნესტანის დედ-მამას, დატანჯული, ტყდგავარდნილი ტარიელის აღმზრდელებს, რიგზე რომ ჰქონოდათ საქმე, რუსთაველი პატივს არ მოაკლებდა.

გავაგრძელოთ და უკეთესად გამოჩნდება ეს აზრი. „ნათელი არის ზოგადი ცნება, ხოლო სინათლე — ნათელის ნაწილია. „ვეფხისტყაოსანი“ მზის პოემაა და ამიტომ გასაგებია, აქ ნათელსა, სიბნელესა, შუქსა და ელვას რომ ხშირად ვხვდებით. ყველა ეს გამოსახულება ნათელისა „ვეფხისტყაოსანში“ სამი მნიშვნელობით არის გამოყენებული: 1. ვითარცა ფიზიკური მოვლენა, 2. ვით პოეტური შედარება და 3. როგორც ასტროლოგიური ასახულება“.\*

როგორაა ნათელი, როგორც პოეტური შედარება, გამოყენებული რუსთაველის მიერ? — რამდენჯერმე არიან ნათლად მიჩნეულნი ნესტანი (ყველაზე მეტჯერ), თინათინი, ტარიელი, ავთანდილი, ერთხელ ფრიდონი. სხვებზე არ არის ეს ნათქვამი. ასევეა სინათლე ნათქვამი იმავე გმირებზე, სხვებზე კი — არა. იმავე გმირებზეა ელვა მისადაგებული, სხვებზე — არა.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს მაშინაც, როცა შოთა რუსთაველი თავის პერსონაჟებს შუქთამფენად მიიჩნევს. ათეულჯერ არიან შუქთამფენნი ნესტანი (ისევ ყველაზე მეტად), თინათინი, ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ერთხელ ეს ერგო მელიქსურხავსაც კი. სხვების შესახებ ეს არაა ნათქვამი და ამიტომ იწვევს გაკვირვებას ავტორის დასკვნა: „ამრიგად, ვეფხისტყაოსნის მეფენი, მეფის ასულნი და ძენი — ყველანი არიან მნათობნი და ვითარცა მნათობნი, შუქთა მფენელნი და ელვა

\* ვ. ნოზაძე — „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“, გვ. 33.

მკრთომელნი და სხვა არავინ“.\*

ნამდვილად ეს ასე არ არის. ყველა მეფე და მეფის ასულნი ან ძენი არ არიან „ვეფხისტყაოსანში“ ასე შემკობილნი. ისე კი, თუ ჩავუკვირდებით, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რატომ მოსდის ეს შეცდომა ვ. ნოზაძეს. იგი გამოდის იმ დებულებიდან, რომ „მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერი-თა“, ამიტომ არც კი უშვებს, რომ აქ რუსთაველი გამონა-კლისს თუ გააკეთებს. საქმის მთელი სირთულე კი ისაა, რომ შოთა რუსთაველი ვერ იცავს, ან არ იცავს იმ „ყოვლის“ პრინციპს და მეფეთაგან ზოგიერთს ვერ ამკობს, ან არ ამკობს ისე, როგორც ამას სხვების მიმართ აკეთებს. ეს უკვე ხდება „ვეფხისტყაოსნის“ პრინციპი, ამაზეა იგი აგებული და ამიტომ სრულიად ბუნებრივი ჩანს, როდესაც კიდევ ერთი შედარების შედეგებს ვნახავთ — ედემის ხე აღვას შედარებულია, ისევ უამრავჯერ, ნესტანი, თინათინი, ავთანდილი, ტარიელი, ერთხელ ფრიდონიც, სხვები კი — არა.

ცალკე ტომში — „ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება“ საგანგებოდ იხილავს ვ. ნოზაძე მეფისა და მეფობის საკითხსაც. საოცარია, რომ იგი ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავს მეფე როსტევეანისა და მეფე ფარსადანის დახასიათებაში პოემის მიხედვით. ამ შემთხვევაში მე იმას კი არ ვგულისხმობ, თუ რა არის განსაკუთრებით როსტევეანის მისამართით ნათქვამი პოემაში და რა არ არის ფარსადანის მიმართ. მხედველობაში მაქვს სწორედ ის ადგილები, სადაც თითქოს ერთნაირად არიან დახასიათებულნი ორივე მეფე, მე ზევითაც ხომ ვწერდი, ისინი თითქოს წყლის წვეთებივით გვანან ერთმანეთსო. გვანან და მაინც იმავე მსგავს დახასიათებაში არის ერთი არსებითი განსხვავება. საკითხის უკეთ გარკვევის მიზნით ჯერ მოვიტანოთ სიტყვები, რომლითაც შოთა რუსთაველი მეფე ფარსადანს ახასიათებს, მას ამკობს:

„უხვი, მდიდარი, უკადრი, მეფეთა ზედა მფლობელი,  
ტანად ლომი და პირად მზე, ომად მძლე,

რაზმთა მწყობელი“ (311).

\* ვ. ნოზაძე — „ვეფხისტყაოსნის მისმეტყველება“, გვ. 44.

ასე ამბობს ტარიელი მეფე ფარსადანის შესახებ, როდესაც იგი ავთანდილს თავის თავგადასავალს უყვება. ყველა სიტყვა, რომლითაც ხასიათდება ფარსადანი, ჩვენთვის ნაცნობია — ყველა ადრე აქვს ავტორს გამოყენებული როსტევანის შესახებ. სწორედ ეს ქმნის მათი სრული მსგავსების ილუზიას. ილუზიასო იმიტომ ვამბობ, რომ ფაქტობრივად კი არ არიან ისინი ერთმანეთის მსგავსნი, არამედ ასეთად გვაჩვენებს მათ ავტორი. დაე, ასეთი იყოს ჩვენი შეხედულება მათს შესახებ! ხოლო თუკი აღმოგვაჩნდა საჭიროება, თუკი ჩვენ ძიების გზაზე დავდგებით და ეს გზა მიგვიყვანს ამ მეფეთა მსგავსება-განსხვავების საკითხის გარკვევამდეც, მაშინ ხომ გვაძლევს ავტორი საშუალებას, ვნახოთ საქმის ნამდვილი ვითარება. ახლა ხომ ჩვენ ამ ძიების გზაზე ვიმყოფებით, მკითხველო, ამიტომ ვნახავთ კიდევაც რაშია საქმე: სტროფი 32 ისედაც გვახსოვს, ხომ მოვიტანეთ ადრე, ამიტომ ნუ გავიმეორებთ მთლიანად, მხოლოდ ამოვწეროთ საჭირო სიტყვები: ღმთისაგან სვიანი, მალალი, უხვი, მდაბალი, მოსამართლე და მოწყალე, მორკმული, განგებიანი, უებრო მეომარი, მოუბარი წყლიანი, უკადრო და მორკმულია როსტევანი 680 სტროფის მიხედვით, ასევე უკადრო და მორკმულია, ამასთან შეუპოვარია 681 სტროფის სიტყვებით, ღრმთისაგან დიდად ცხოველი და წყალობისა მთოველია 857 სტროფის მიხედვით.

საქმე მართო ის კი არ არის, რომ როსტევანზე ბევრჯერ არის ლაპარაკი პოემაში, ფარსადანის მიმართ კი ეს ერთი სტროფი იყო მითითებული, რადგან მეტი არაა. არც ისაა მთავარი, რომ როსტევანის მიმართ გაცილებით მეტი სიტყვებია მოხმარებული. უმთავრესია ის, რომ როსტევანის დახასიათებაში მთავარი ადგილი უკავია უმაღლეს ზნობრივ პრედიკატებს: მოსამართლე, მოწყალე, განგებიანი, წყალობათა მთოველი და ა.შ. სწორედ ეს უმთავრესი აკლია ფარსადანის დახასიათებას. რუსთაველის დროს თუ გავითვალისწინებთ, მეფის მიმართ სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ნათქვამი — სამართლიანი უნდა ყოფილიყო იგი. რუსთაველმა ეს დააკლო ფარსადან მეფის დახასიათებას, თვით ეს დახასიათება ისე წარმოადგინა, თითქოს იგი როსტევანივით იყოს შემკობილი. ნამდვილად კი ასე არ

ყოფილა!

უყურადღებოდ ნუ დავტოვებთ შემდეგ მდგომარეობასაც — რუსთაველის განსაკუთრებული სიმპათიები როსტევეანისადმი (და ეს უპირისპირდება ფარსადანისადმი მის დამოკიდებულებას) კიდევ ერთ დეტალშია გამოვლენილი. როსტევეანი და ავთანდილი ნადირობაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. ავთანდილმა, როგორც მოსალოდნელი იყო, აჯობა ხანდაზმულ მონადირეს. რუსთაველი წერს:

„ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ასჯერ ოცია,  
მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია;  
არ დასტომოია ერთიცა, რაც ოდენ შეუტყორცია,  
თქვენი შრავალი მიწითა დასვრილი დაგვიხოცია“ (81).

შთაბეჭდილება ისეთია, როსტევეანი ბევრად ჩამორჩენილია ავთანდილს, როსტევეანს ბევრი დაუცდენია, ბევრი მისი ნატყორცნი ისარი მიზნის ნაცვლად მიწაში ჩარჭობილა და გაწმენდილი ისევ მოურთმევეით მონებს, ავთანდილს არც ერთი არ აუცდენია, ოცითა უფროსი დაუხოცია და, მაშასადამე, ისე ჩანს, ძალიან უჯობნია. ეს არის შთაბეჭდილება. სინამდვილეში? დავსვათ ისევ ჩვენებურად საკითხი: რა იქნება, რუსთაველს არ ეწეროს „ასჯერ ოცია“, „ოცითა უფროსი დაუხოცია“, ხომ შეიძლებოდა, მაგალითად, ოცჯერ ოცია, ან ათითა უფროსი დაუხოცია, ან, პირიქით ასითა? ლექსის ზომას არაფერი საშიშროება არ მოელოდა, ისე კი ხომ სულერთი უნდა იყოს, ოღონდ ის იყოს ნათქვამი, რომ ავთანდილმა აჯობა. ამ შემთხვევაშიც ის უნდა ვთქვათ, რომ ასე არაა — რუსთაველს რაც უწერია, სწორედ ის უნდა იყოს, სხვა არ შეიძლებოდა მას წერებოდა, რადგან ის სხვა არ გამოთქვამდა მის ჩანაფიქრს. თუ ჩავუყვირდებით, ამაში დავრწმუნდებით: ორივეს ერთად დაუხოციათ ორიათასი, ავთანდილს ოცით მეტი, მაშასადამე, როსტევეანს დაუხოცია ცხრაას ოთხმოცდაათი, ავთანდილს კი ათას ათი. რა მივიღეთ? ასე თუ დავუყვირდებით, განსხვავება სულაც არ ყოფილა ისე დიდი, როგორც თავიდან გვეჩვენებოდა. ამასთან, აქ სხვა მხარეც უნდა გავითვალისწინოთ: ორივენი ათასის მიჯნაზე არიან. ათასს სხვაგვარი მნიშვნელობაც აქვს — „ეს ერთი და სხვა ათასი“ — ასე იტყვიან ყოველი საქმის სასიკეთოდ გაგ-

რძელების სურვილის გამოსახატავად. ათასი გარკვეული ზო-  
მაა, ზღვარია. როსტევეანს ამ ზომამდე თითქმის არაფერი დაკ-  
ლებია, ავთანდილს მისთვის ოდნავ გადაუცილებია, მაშასადა-  
მე, ამ მხრივაც როსტევეანი ახლაც ტოლს არ დაუდებს ისეთ  
ვაჟაკებსაც კი, როგორც ავთანდილია. ავთანდილი კი გარკ-  
ვეული საზომია ადამიანობისა ვაჟაკობის, სიმამაცის, სიყე-  
თისა და ა.შ.

აქ ერთი შენიშვნა მაქვს: ზოგიერთ გამოცემაში ნათქვამია,  
არა „ასჯერ ოცია“, არამედ — „ათჯერ ოცია“. „ვეფხისტყაო-  
ნის“ ასეთი წაკითხვა რომ გამართლდეს, — ჩემს მიერ მოცე-  
მული ახსნა ამით არსებითად არ შეიცვლება. ათასის ნაცვლად  
მივიღებთ ზღვარად ასს, რომლისთვის გადაუმეტებია (ათით)  
ავთანდილს და რომელზედაც ათი დაკლებია როსტევეანს. თა-  
ნაფარღობა ძირითადად იგივე რჩება.

ამრიგად, ამ შემთხვევაშიც გამოარჩია რუსთაველმა როს-  
ტევეანი. ფარსადანის მიმართ კი ასეთი არაფერი აქვს ნათქვამი.  
როსტევეანი და ფარსადანი თითქოს ერთნაირად რომ ჩანდნენ  
დახასიათებულნი, სინამდიველში ეს ასე არ ყოფილა.

როგორ და რატომ არის ეს ასე? ზომ შეიძლება ვიფიქროთ,  
რომ ეს ახლა ვზივართ ჩვენ და ვითვლით სიტყვებს, გამოთქმებს,  
რუსთაველი კი იქნებ სულაც არ ფიქრობდა ამის შესახებ, არც  
აქცევდა ამას ყურადღებას. ამიტომ, უნებლიეთ მოხდა ასე, ზო-  
გიერთი სიტყვა იქ იხმარა, ზოგიერთი სხვაგან. განა შეიძლება  
აქედან რაიმე მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა? ეს ხომ არ  
იქნება ნაძალადევი? უმჯობესია საკითხი დავსვათ ამგვარად, ვი-  
დრე (რადგან აქ სიძნელე იქნეს თავს) გვერდი ავუაროთ მას.  
ასე იმიტომაც არის უმჯობესი, რომ არც ერთი ასეთი შესაძ-  
ლებლობა, რა თქმა უნდა, რისი შემჩნევაც მოხერხდება, არ  
უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება  
დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ ქეშმარიტების ძიების უტყუარ  
გზაზე ვართ.

აქ დასმულ საკითხს პასუხი რომ გავცეთ, კიდევ ერთი ეტი-  
ული გამოვყოთ ცალკე. ამასთან, აქ განხილულ საკითხთან მას  
თითქოს არცა აქვს კავშირი. აბა სად ქებანი მათ მეფეთანი ან  
კიდევ მეფეთა შიგან სიუხვე და სად ეს, რაზეც ვაპირებ მსჯე-

ლობას — „ჯდა მტირალი წყლისა პირსა“. თითქოს არაფერი საერთო ამათ არა აქვთ.

ეს თავი კი დავასრულოთ იმით, საიდანაც არის აღებული ამ თავის სათაური — მეფეთა შიგან სიუხვე:

„მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა რგულია;  
უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია;  
სმა-ჭამა — დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?!

რასაცა გახცემ, შენია, რას არა, დაკარგულია!“ (50).

ასე დამოძღვრა მეფე როსტევეანმა თავისი ქალიშვილი ტახტზე რომ დასვა: რუსთაველი სიუხვეში სულიერ სიმდიდრესაც რომ გულისხმობს და აქ მართლა ჭამის სარგებლობაზე რომ არ ლაპარაკობს, ამას იქვე მივხვდებით, თუ ვიქნებით „ვიწყა ისმენს კაცი ვარგი“. ეს არის შემდეგი სტროფი:

„ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა,  
ყურსა უბურობდა, ისმენდა, წვრთასა არ მოიწყინებდა;  
მეფე სმასა და მღერასა იქმს, მეტად მოილხინებდა;  
თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თინათინებდა“ (51).

ზევით რომ ვაღარებდით მეფეთა შექებებს, იქ შეიძლებოდა ისეთი შთაბეჭდილება დარჩენილიყო, თუ შესაფერისად არ შეხვდათ ეს შექება ფარსადანსა და სხვებს, არც როსტევეანი იყო იქ გამორჩეულ გმირთა შორის; არც იგი იყო ხშირად შედარებული მზეს და ა.შ. ეს შენიშვნა სწორია, მაგრამ როსტევეანის მიმართ ავტორის დამოკიდებულება, მისი სიმპათიები ადრეც ხომ ვნახეთ, ახლა აქ მოტანილი სტრიქონების მიხედვით სრულებითაც არ არის საეჭვო, რომ რუსთაველი მას დიდად განასხვავებს ფარსადანისაგან, მათი თვალსაჩინო მსგავსებები, ამ ქება შედარებებშიც რომ გამოჩნდა, გარკვეული მიზნით ხდება, ეს სავსებით აწყობს ავტორს, რომ ორივეს შესახებ ერთნაირი აზრი შეიქმნას მკითხველმა, თუმცა, კარგად რომ ჩაუკვირდეს იგივე მკითხველი, მათ შორის არსებით განსხვავებას იხილავს. როსტევეანის ბრძნულ რჩევას მიჰყვება მისი ასული, რომელთანაც შედარებას თვით მზე ლამობს — ასეთი შედარება ერთხელ არის ავტორის მიერ გამოყენებული და სწორედ აქ, სადაც როსტევეან-თინათინის დამოკიდებულებაა დახატული, ამ ურთიერთობის მსგავსს კი ფარსადან-ნესტანის ურთიერთობაში

ვერ ვხედავთ. ასე რომ, რუსთაველმა კარგად იცის ვის აქებს, როგორ აქებს და მას გაუთვალისწინებელი არაფერი რჩება.

ამის დასადასტურებლად ვნახოთ ახლა ის, თუ რას ნიშნავს — „ჯდა მტირალი წყლისა პირსა“. წინასწარ უნდა განვმარტო — ჯდა მტირალი წყლისა პირსა რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობის მომენტად კი არ მიმაჩნია. მასთან შედარებით ბევრი უფრო მნიშვნელოვანია. მასზე იმიტომ ვჩერდები, რომ მისი მნიშვნელობის, აზრის გაგება ნათელს გახდის იმას, თუ როგორ წერს რუსთაველი, რომ იგი არაფერს აკეთებს შემთხვევით, ყველაფერი, დეტალიც კი გააზრებულია.

## „ჯდა მტირალი წყლისა პირსა“

ანალიზის იმ მეთოდს მივმართოთ, ზევით მრავალჯერ რომ გამოვიყენეთ და საკითხი ასე დავსვათ: რატომ მაინცდამაინც „ჯდა მტირალი წყლისა პირსა“, რა უჭირდა რომ ყოფილიყო — „გზისა პირსა“, „ტყისა პირსა“ ან სხვა რამ, რა იქნებოდა მინდვრის ბოლოში მჯდარი ენახათ, ან სულაც ამხედრებით მიმავალი? თითქოს რომ არაფერი უჭირდა, თითქოს რომ შეიძლებოდა ასეც ყოფილიყო, ამას გვიდასტურებს სხვა შემთხვევა — ასევე არ გამოჩნდა ტარიელი, მაშინაც არავინ მიიკარა და მაშინ იგი იყო ამხედრებული, გზად მიმავალი (204). შეიცვლებოდა რამე ნაწარმოებში? ნახავდნენ, გაიკვირვებდნენ, როგორც ეს მართლაც მოხდა პოემის მიხედვით, მიმართავდნენ, იგი არ გაეპასუხებოდა და ა.შ. ყველაფერი შეიძლებოდა ისევე გაგრძელებულიყო, როგორც პოემაში. იქნებოდა ასე თუ არა? არა, ასე არ იქნებოდა. ასე არ წერს რუსთაველი, იგი განსაკუთრებული, სრულიად გამორჩეული მწერალია. მან ეს თითქოს აშკარად ნეიტრალური დეტალი — ჯდა წყლისა პირსა, შემთხვევით არ დაწერა, რომ დაეწერა — გზისა პირსა, ან ტყისა პირსა, ამას ისეთივე ეფექტი არ ექნებოდა, დაიკარგებოდა განსაკუთრებული სილამაზის დეტალი, რომლის ბადალს სპეციალური ძიება სჭირდება მსოფლიო პოეზიაში. იქნებ ვინმემ მიაკვლიოს.

იმაში რომ დავრწმუნდეთ, ჯდა მტირალი წყლისა პირსა არის თუ არა ავტორის ჩანაფიქრით მნიშვნელობის მქონე, საჭიროა პოემაში ნახევარი გზა გავიაროთ, ამ წყლის პირას ჯდო-



მის შემდეგ 570-ზე მეტი სტროფი რუსთაველური შაირი, უაღრესად დატვირთული აზრით, ემოციებით, ასე რომ არის სავსე გრძნობითო,, ჩვენი გალაკტიონი რომ იტყოდა, განვიცადოთ, უაღრესად დავიტვირთოთ და 840-ე სტროფში წავიკითხოთ ასეთი გასაოცარი დეტალი:

**„ღამე აღხენდის, დღე სლიდის, ელის ჩასვლასა მზისასა;  
რა წყალი ნახის, გარდახდის, უქვრეტდის ჭავლსა წყლისასა,  
მას თანა-ჭრთვიდის ნაკადსა, სისხლისა ცრემლთა ტბისასა.“**

ამის შესახებ უკვე გვქონდა ზევით ლაპარაკი — საოცარი სურათია დახატული, ავთანდილი წყლის ჭავლში მიჯნურის სახეს ხედავს. აი, ეს რომ არ იყოს პოემაში მოცემული; ასეთი სურათი რომ არ იყოს დახატული, მაშინ მართლაც სულ ერთი იქნებოდა, ტარიელს წყლის პირას მჯდარს იპოვნიდნენ თუ სხვა ადგილას. მაგრამ რადგან ნაწარმოებში არის ეს დიდებული სურათი, უკვე არა გვაქვს უფლება — „ჯდა მტირალი წყლისა პირსა“ მივიჩნიოთ ნეიტრალურ ნათქვამად. ტარიელი წყლის პირას მტირალი იმიტომაც იჯდა გაოგნებული, დარეტიანებული, რომ იმ წყლის ჭავლში ხედავდა მიჯნურის სახეს. ამიტომაც არაფერი ესმოდა, მისთვის ასეთ უნეტარეს ეამს, ბუნებრივია, არაფერი სხვა არ არსებობდა, ამიტომ ვერც შეამჩნია როსტევანის მიერ სპეციალურად გამოგზავნილი ჯერ ერთი, მერე თორმეტი მონა, არაფერი ესმოდა:

**„სხვაგან ჭრის მისი გონება, მისმან თავისა წონამან“ (89,1).**

აქვე აქვს რუსთაველს კიდევ ერთი, თითქოს უმნიშვნელო დეტალი: „თავჩამოგდებით მტირალსა“ (86,2). შეიძლებოდა იგი ყოფილიყო სხვაგვარად მტირალი? არა მას მხოლოდ თავდახრით უნდა ეტირა აქ, რადგან სწორედ ასე შეეძლო ეცქირა ნესტანის სურათისათვის წყალში. ამიტომაც არის, რომ

**„არცა დააგლო ტირილი, არცა რა გაიგონა მან“ (893).**

ტარიელმა „ვამე“-ო დაიძახა. რატომ? მასზე მოსული მეომრები რომ ნახა, იქნებ ამიტომ? არა! ტარიელს სხვა, უფრო რთულ საომარ სიტუაციაში არასდროს დაუძახია „ვამე“-ო. ყოველთვის იგი ნესტანთან დაკავშირებით იძახის ასე. ვნახოთ ეს შემთხვევები.

**1. „ვამე მას აქათ სახმილსა დაუწვავ ნიადაგულსა“ (344,4)**

— ე.ი. ვაიმე, ნესტანის გამო ვარ დამწვარიო.

2. „თქვა: „ჩემგან მისი ხსენება, ვამე, რა დიდი ზარია“ (346,4)

— ჩემგან, ტარიელისგან ნესტანის ხსენება დიდი ზარიაო. ან პირიქით, ნესტანი ამბობს ვამეო ტარიელთან დაკავშირებით:

1. „უმისოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ბრალია“ (288,4)

— ტარიელის გარეშე, ვაიმე, რა საბრალაოა ჩემი ცხოვრებაო.

2. „უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია“ (1294,4)

იოლი შესამჩნევია, რაკი ეს ადგილები ასე ერთმანეთის გვერდით დავალაგეთ, რომ თითქმის ერთნაირად ამბობენ ტარიელი და ნესტანი ვაიმეო, ამასთან, ახლა მოტანილი ოთხივე შემთხვევიდან ყოველთვის სტროფის ბოლო სტრიქონშია ეს ნათქვამი. ასევეა იქაც, პირველ შემთხვევაში:

„ერთხელ ესა თქვა: „ვამეო!“ სხვად არას მოუბარია“ (92,4).

გვაქვს თუ არა უფლება ვთქვათ, რომ ტარიელმა აქაც ნესტანის სახის გამო თქვა ეს „ვამეო“ და არა სხვა რამის გამო? სხვაგვარად არც შეიძლება ვიფიქროთ.

არც 840-ე სტროფში, მით უფრო 84-ში არაა ნათქვამი, ისინი წყლის ჭავლში მიჯნურს ხედავენ და ამას განიცდიან ასე რიგადო. არაა პირდაპირ ნათქვამი, მაგრამ ჩვენ არა თუ შეგვიძლია, არამედ ამგვარი მხატვრული ტილოს აღქმისას ვალდებულნიც კი ვართ ვამჩნევდეთ ამას, რა თქმა უნდა, 840-ე სტროფში მოცემული აღწერის მიხედვით. ხოლო რადგან ეს ასეა, მაშინ რა დაგვიშლის 84-ე სტროფშიც ანალოგიური სურათი დავინახოთ.

რა თქმა უნდა, ცნებებით, აზროვნების ლოგიკით ეს ასე სრულებითაც არაა. არა თუ 84-ე სტროფში, სადაც არაფერი მსგავსი პირდაპირ არაა ნათქვამი, თვით 840-ე სტროფშიც, რადგან აქაც პირდაპირ ნათქვამი არაა, მიჯნურის სურათია იმ წყლის ჭავლშიო, არა გვაქვს უფლება ლოგიკური აზროვნების წესების მიხედვით ვთქვათ: ეს აშკარა ლოგიკური შეცდომა იქნება. მაგრამ ისეთი დარგი სიბრძნისა, როგორიცაა შაირობა, ანუ ჩვენი თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში სავალდებულო არაა აზროვნების ლოგიკური კანონებით ვაკეთოთ ოპერირება, რადგან აქ სხვაგ-

ვარი ზოგადობა და აუცილებლობა გვაქვს და ეს გვაძლევს სრულ უფლებას ასეთი განზოგადებები გავაკეთოთ: რადგან ავთანდილის მიერ წყლის ქავლში სატრფოს სახის შემქნევა ვიგულებთ, ანალოგიური გმირის ანალოგიურ სიტუაციაში ყოფნა გვაძლევს უფლებას ეს სურათი მივიჩნიოთ ტიპურად. მით უფრო გვაქვს უფლება ასეთი ზოგადობისა — ესთეტიკური ზოგადობისა — როგორც მე ვუწოდებ, რომ პოემაში ესეცაა მოცემული — ტარიელი ვეფხვეში ხედავს ნესტანის სახეს და ამიტომ მისი კოცნა სწადია.

შაირობა ასეთი შესაძლებლობების მქონე რომ არის, სწორედ იმიტომ მიმართა მას რუსთაველმა. სათქმელი, რომელიც მას უნდა ეთქვა ჩვენთვის, მხოლოდ ამ ფორმით შეიძლებოდა ეთქვა, მეცნიერულ ნაშრომად იგი არ დაიწერებოდა. ამის შესახებ ცალკე და სპეციალურად მოგვიწევს ლაპარაკი, ახლა კი გავანალიზოთ ის სურათი: ჯდა მტირალი წყლისა პირსა. წყლის ქავლში მიჯნურის სახის დანახვა დიდებული სურათია, პირდაპირ რომ ვთქვათ, გენიალურია! თავისთავად არის მშვენიერი, მაგრამ იქნებ მეტიც თქმაც შეგვიძლია? ავტორმა თავისთავად ასე მშვენიერი სურათი რომ მოგვცა, იქნებ მეტიც გააკეთა და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა? თუ დავუკვირდებით, ნამდვილად ასეა. ტარიელი და ავთანდილი წყლის ქავლში ფიზიკურად საკუთარ სახეს დაინახავდნენ და თურმე ამაში ხედავენ მიჯნურის სახესაც! მოვიტანოთ ზევით ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ არის უმთავრესი თემა — მიჯნურობა, სიყვარული საერთოდ, გაგებულნი ნაწარმოებში — ეს არის რასაცა გასცემ შენია, აქ შენი და ჩემი ერწყმის ერთმანეთს. მაშასადამე, რუსთაველს ეს მხატვრული სურათი პოემის მთავარი იდეის გამოსახატავად გამოუყენებია და არა ისე მოუცია, როგორც თავისთავად ლამაზი ხატი.

რისი თქმა შეეძლო აქ ავტორს ტარიელის შესახებ. ეს საკითხიც კანონიერად დგება. იგი მხოლოდ უნდა დაენახათ, მის დანახვას გაკვირვება უნდა გამოეწვია, შესაძლოა ისეთი გადაჭარბებული გაკვირვებაც კი, შიშით შეფერილი, რომ იტყვიან დიდი თვალეხი აქვსო. განა სწორედ ამიტომ არ თქვა რუსთაველმა — „ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსაო“,

ეს ხომ იმ გაოცებულ ყმათა მოლანდებაა, მათი გაზვიადებაა, რადგან მათ მარგალიტსაც მოკრეს თვალი, რაც ტარიელს, რა თქმა უნდა, აქვს, ოღონდ ერთადერთი და არა ხშირი და ისიც არა აბჯარზე, უკვე ზომიერების დაცვას ვერ მოახერხებდნენ, ერთი ასად მოეჩვენებოდათ და ყველგან, ყველაფერში მარგალიტი მოელანდებოდათ. აბა, დავაკვივრდეთ ამას, რაოდენ რეალისტურად აღმოჩნდა დახატული ის სურათიც კი, რაც ზევით მოვიტანეთ როგორც ნიმუში აშკარა გადაჭარბებისა. რეალისტურია იმიტომ, რომ ავტორს აქ არა აქვს არავითარი უფლება რაიმე, ოდნავადაც კი, ერთი დეტალიც კი თავისი თქვას იმ უცხო მოყმის შესახებ — იგი ხომ საიდუმლოებით არის მოცული, ავტორს საიდან შეუძლია მის შესახებ რაიმე თქვას. ამიტომ იგი ამ უცხოსა სანახავსა გვიხატავს მისი დამნახველების თვალთ

„თვალნი მზებერ გამირეტდეს,

გულო მეტად შემძრწუნდა“ (90,3)

ამიტომაც ათქმევინებს ავტორი იმ ყმას. როგორადაც იგი მოეჩვენებოდათ იმ გაშტერებულ ყმებს, ისეთი იყო ამჟამად ტარიელი. მათ კი ჰქონდათ ყველა საფუძველი გადაეჭარბებინათ დანახულის შეფასებაში. ეს გადაჭარბებული სურათი ავტორს სავსებით აწყობს — ტარიელი ისეთი უცნაურობა უნდა იყოს მათთვის, რომ როსტევანი, შემდეგ თინათინი, კიდევ შემდეგ ავთანდილი ასე საოცრად მომართა მის საძებრად. ეს უნდა დაეხატა რუსთაველს ისე, რომ თვითონ ერთ დეტალსაც კი ვერ დაუმატებდა, ვერაფერს გაუსწორებდა იმათ, ვინც იხილა ტარიელი და როგორადაც მათ მოეჩვენათ, ისეთია ახლა ეს უცხო მოყმე. ამიტომაც ეს რეალისტური სურათი.

ასეთ პირობებში რა შეეძლო ეთქვა რუსთაველს — რატომ იჭდა ტარიელი მაინცდამაინც წყლის პირას? ცხადია, იგი აქ ამის თაობაზე ვერაფერს იტყოდა. იგი იჭდა და მეტი არაფერი. ტიროდა და გაოგნებული იყო. საოცარი ზმანებიდან გამოიყვანეს, დაუკარგეს სანუკვარი ხატი, ამით გაგულისდა და დაეწია როსტევანის მოყმეებს. ეს ჩვენ ახლა ვიცით, მაშინ — არა! როგორც ვთქვი, გავიდა 750-ზე მეტი სტროფის მანძილი, ავტორს ახსოვს, რომ მან იმ სურათს შინაარსი უნდა მისცეს და ავთა-

ნდილის მიერ წყლის ქავლის ქვრეტის აღწერით მოგვცა საშუალება დაგვენახა ისიც, თუ რა განცდებში ყოფილა ტარიელი, როდესაც მას როსტევანი მისი ყმებით გადაეყარნენ.

ახლა ისიც მოვიგონოთ, ტარიელს მოეჩვენა თუ მართლა ტიროდნენ მისი აღმზრდელები (ფარსადანი და მისი მეუღლე), როდესაც ნესტანის ნახვისგან ტარიელს გული წაუვიდა. სამი დღე იყო ასე. ტიროდნენო, ტარიელი იგონებს, რასაც კარგად რომ ჩავუყვირდით, უფრო ის ვცანით, რომ ტარიელი გულისხმობს ასე, მას არ შეუძლია სხვაგვარად იფიქროს. გულისხმობა ანუ გულისხმობით გაგონება არის ის, რის შესახებ რუსთაველი ამბობს: „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიაო“, ე.ი. იმ გულისხმაზე, გულისხმობაზე არის დამოკიდებული ცნობიერების მიმართულება, გონებისათვის თუ რა იქნება ცნობილი. ეს ხომ ანალოგიურია ზევით აღწერილი ორი შემთხვევისა, ასევე იმ შემთხვევისა, ავთანდილი რომ ისე იყო მომართული, ყველგან, მათ შორის წყლის ქავლშიც მიჯნურის სახეს ხედავდა. მომართულიაო, ვამბობ, ამას კი თანამედროვე ფსიქოლოგიაში თავისი სახელი ეწოდება. ეს არის სწორედ ის ფენომენი, რომელიც ჩვენმა დიდმა მეცნიერმა დიმიტრი უზნაძემ აღმოაჩინა — ეს არის ფსიქოლოგიური მზაობა, რაიმესაკენ მომართულობა, ანუ განწყობა. რუსთაველმა, რა თქმა უნდა, ეს არ იცოდა, მაგრამ მისი გენიალური ინტუიცია აქეთკენ მოდიოდა.

საწყენია, რომ განწყობის ფსიქოლოგიის საფუძველზე რუსთაველის შემოქმედების შესწავლისას ამ გზას აცდნენ ვლ. ნორაკიძე და ალ. ფრანგიშვილი — ისინი სულ სხვა გზით წავიდნენ, თუმცა, როგორც ვნახეთ, სხვა დარგის მკვლევრებიც არ მიდიოდნენ სწორი მიმართულებით, თორემ აქამდე დაინახავდნენ იმას, რის გამოც მე ამ წიგნს ვწერ.

ისიც ხომ ბუნებრივი იქნება აქ აღვნიშნოთ, რომ რუსთაველი არა მარტო ისეთ სიტუაციებს აღწერს, სადაც განწყობის ანალოგიური ეფექტი გვაქვს, არამედ მკითხველსაც აყენებს ასეთ მდგომარეობაში — იმდენი ტირილი და ვიშ-ვიში რომ იყო, ჩვენც ისე განვეწყვეთო, რომ ვერ შეგვიძინებია, ვინ არ ტირის. ეს მარტო ტირილს არ ეხება: ხშირად ვართ ჩვენ განწყობილნი, შექმნილი გვაქვს ატიტუდი ანუ სოციალური განწყობა და ბევრ

სიტუაციას ამისი გავლენით ვაფასებთ. თუმცა კი ასე ნამდვილად არ არის.

არ არის ეს გაუგონარი ოსტატობა?!

და ამგვარ ავტორზე რა უფლება გვაქვს, სხვა სიტუაციების გაგებისას გავიფიქროთ, მოუფიქრებლად და შემთხვევით ხომ არ მოხდაო. მე მხედველობაში მაქვს მეფეთა შედარებები, მათში დაშვებული განსხვავება. რუსთაველი ისეთი უნიკალური ავტორია, ის ფლობს თავისი ქმნილების ყველა დეტალს, რომ აქ სადმე ყუნწმოტეხილი ნემსი რომ იყოს „დაგდებული“, არ იფიქროთ შემთხვევითიაო, კარგად დააკვირდით, ამ ნემსით რაღაც ვერ უნდა შეკერონ და ყუნწიც იმიტომ აკლია მას. ისტორიკოსებს აქვთ სრული საფუძველი ამტკიცონ, რომ ეს გენიალური პოეტი თამარ მეფის ფინანსთა მინისტრი (მექურქლეთუხუცესი) იყო. თუ არ იყო, უნდა ყოფილიყო, მასზე უკეთესის წარმოდგენა შეუძლებელია: მან ყველაფერი იცის, თუ რა გააჩნია თავის სამეფოში, რას რა ღირებულება აქვს და სადაა გამოსაყენებელი.

ასეთმა ავტორმა არ იცის, თუ ვის რა ხობა შეასხას, ვის რა შედარება მიუსადაგოს? ამიტომ ვამბობ, რომ მართალია, რუსთაველი ფარსადანს მზეს უწოდებს, ადარებს, მაგრამ იქ, სადაც მას, ასე ვთქვათ, ნომენკლატურით ეკუთვნის და შეუძლებელია არ ითქვას. შემთხვევითი არც ისაა, რომ როსტევანისა და ფარსადანის გარეგნულად თითქოს ერთნაირი შეფასებები, არსებითად არ ყოფილა ასეთი. ფარსადანის მიმართ სწორედ არსებითი — ზნეობრივი პრედიკატები „გამორჩენია“ ავტორს... არც ის, რომ ფარსადანი და მისი მეუღლე თანაგრძნობით მოტირალნი არ არიან...

ვნახოთ ის ადგილიც, სადაც ფარსადანის მშვენება მზესთან არის შედარებული. ნესტანმა ტარიელს მიჯნურობა ამცნო და საბრძოლო დავალება მისცა —

„წა, შეები, ხატაელთა, ილაშქრე და ინაპირე“ (414,1).

ტარიელმა დალაშქრა ხატაეთი, გამარჯვებული დაბრუნდა, მეფე შეეგება და

„რა ქება მოთხრა, არ ითქმის, ჩემგან სათქმელად წბილია“ (465,4).

ამას ისიც დაერთო, სამი თვეა არ გვინადირიაო, მეფემ სა-

ნადიროდ მიიწვია ტარიელი. ყველაფრით აღტაცებულია ტარიელი, არავითარი, ფთილაც კი ღრუბელი არა ჩანს მის მოსარკულ ცაზე და ლალად ამბობს:

„შევეკაზმე, დარბაზს მივე, დამხვდა ჭარი ავაზისა,  
შევარდნითა სავსე იყო სრულად არე დარბაზისა,  
მეფე ქვე ჯდა შეკაზმული, შვენებითა მსგავსი მზისა;  
გახეარნეს მისლვა ჩემი, ტურფისა და ლამაზისა!“ (474)

ხედავთ რა განწყობილებაზეა ტარიელი?! მას ახლა ამქვეყნად ყველაფერი მშვენიერი ეჩვენება. მიღებული ეტიკეტით მეფეს ეკუთვნის შედარება მზესთან, რა დააბრკოლებს ახლა ტარიელს ეს შედარება იხმაროს, მით უფრო, თავის თავზეც აღტაცებით ლაპარაკობს.

ახლა ამას შევადაროთ ის, თუ რა სიტუაციაშია მზესთან შედარებული როსტევანი: ვაზირს ეშინია უთხრას როსტევანს ავთანდილის გაპარვის ამბავი, აქ ამბობს შოთა ცნობილ აფორიზმს: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“, ამ ყოყმანის დროს, იქნებ თქმა დაშავება გამოდგესო:

„რა ვაზირმან ასე უთხრა, ადგა, დარბაზს გაემართა.  
მეფე დაჰხვდა შეკაზმული,

პირი მზეებრ ეწაღმართა“ (752).

ვერავინ იტყვის, აღტაცებით არის გამოწვეული ეს ნათქვამიო. თანაც ეს არის ავტორის სიტყვები და არა სიხარულით იმჯერად ამჩატებული ტარიელისა მისი გამზრდელი მეფის შესახებ. ასევეა აქაც: ინდოეთის მეფე-დედოფალი ერთხელ ერთად არიან მოხსენიებულნი ისევე ტარიელის პირით:

„მომართვნეს ასნი კლიტენი ასთავე საჭურჭლეთანი;  
თაყვანის-ვეც და დავლოცენ დავლანი მათთა სვეთანი,  
მაკოცხ, ადგეს ორნივე, თვით იგი მზენი მზეთანი“ (487).

ისეთივე სიტუაციაა და ისიც შეფასებული ტარიელისაგან. სხვა რა სიტუაცია ეკუთვნით მის გამზრდელ მეფე-დედოფალს, მით უფრო, როგორც ვთქვი, ეს არის ნომენკლატურით მიღებული თქმა. ისევე შევადაროთ ანალოგიურ ნათქვამს როსტევანის მიმართ:

„მას ავთანდილ თაყვანისცა ლომთა ლომმან მზეთა მზესა,  
პირი მისი უნათლეა სინათლესა ზესთა-ზესა“ (685).

ეს სიტყვებიც ავტორს ეკუთვნის როსტევანის მიმართ და არა, ვთქვათ, ავთანდილს, ან სხვა რომელიმე მის ქვეშევრდომს. არა მგონია, ეს უმნიშვნელო იყოს.

ამრიგად, როსტევანი რუსთაველმა მხოლოდ დეტალებით, ოდნავ შესამჩნევი ნიუანსებით გამოარჩია და ფარსადანთან მისი შედარება უკვე გაძნელებულია.

დეტალებსა და ნიუანსებზეა ვეფხისტყაოსანში ძალზე ბევრი რამ აგებული. გარეგნულად, მსხვილი პლანით ნაჩვენები ხშირად სულ სხვაა, ხოლო იმ ნიუანსებს სხვა სურათის შექმნა შეუძლიათ. მხატვრულ ნაწარმოებს, საერთოდ, უხდება ნიუანსებზე აგება. გარდა ამ საერთო კანონზომიერებისა, „ვეფხისტყაოსანს“ ნიუანსების გამოყენება განსაკუთრებით სჭირდებოდა — სხვაგვარად შეუძლებელი იყო საიდუმლოს დაშიფრვა და გაშიფრვის საშუალებების პოემაშივე ჩადება. ეს სულ ნიუანსებზეა აგებული. საამისო მაგალითები ადრეც ვნახეთ, ახლა კი ის მოვიგონოთ, ზევით საგანგებოდ რომ დავსვით საკითხი — რატომ მოაკვლევინა რუსთაველმა ავთანდილს ჭაშნაგირი? გარეგნულად ყველაფერი იმას გვიმტკიცებს, რომ ჰუმანისტური იდეების მატარებელი დიდებული სახისათვის ავთანდილისა ეს სავსებით შეუფერებელია. ზევით რამდენიმე ვარიანტი გავარჩიეთ, თუ როგორ შეეძლო ავტორს ასე მძიმე მდგომარეობაში არ ჩაეყენებინა თავისი უსაყვარლესი გმირი. რუსთაველმა კი თითქოს არაფერს გაუწია ანგარიში და სწორედ ის გააკეთა, რაც, როგორც ზევით ვნახეთ, არ ქმნის სასიამოვნო განწყობილებას. ისეთ ცნობილ რუსთაველოლოგს, როგორიცაა ალ. ბარამიძე, სხვა არაფერი დარჩა სათქმელი და მხოლოდ ერთხელ, ასე გაამართლა რუსთაველიც და ავთანდილიც. რა თქმა უნდა, არავითარი გამართლება არაა ერთხელ რომ მოკლა ავთანდილმა სრულიად უდანაშაულო კაცი, რომელსაც მშვიდად ეძინაო. ისლა აკლდა, დღეში თითო ასეთი მკვლელობა ჩაედინა! ალბათ, მაშინ ვერ მოვუნახავდით გამართლებას.

ვნახოთ, მართლა ასეა თუ არა საქმის ვითარება და ამისათვის დაგვჭირდება სწორედ იმ ნიუანსებისათვის ყურადღების მიქცევა.

ასე თუ მივუდგებით, მაშინ ჩვენს წინ დაიხატება სრულიად



საწინააღმდეგო სურათი — ჭაშნაგირი სწორედ რომ დამნაშავე იყო, თანაც ისეთი, იმგვარ უღმობელ სიკვდილს იმსახურებდა. დამნაშავისა და დამნაშავეობის, კარგისა და სიკეთის კრიტერიუმებია „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული, თანაც ისე, ყოველთვის როდია თვალში საცემად გამოხატული. თუკი მათ მივაგნებთ, მაშინ

„ბოლოდ ყოვლი დამალული საქმე ცხადად გამოცხადდეს“ (939,4)  
ზევით ხომ ვნახეთ — ეძებეთო, როგორი დაჟინებითაა მოთხოვნა „ვეფხისტყაოსანში“...

ამრიგად, მართლა უდანაშაულო ყოფილა იგი კაცი ჭაშნაგირი, რომელიც სასახლეში მიღებული კაციაო, ფატმანი რომ ამბობს? ავთანდილი პირველად რომ მივიდა ფატმანთან, გამოჩნდა ის კაცი და ფატმანს დაემუქრა — „გამითენდების, განანებ მაგა მოყმისა ყოლასა“ (1100,4)

და შემდეგ:

„გამკიცხე, ბოზო დიაცო, და დამდეგ გასათრეველად,  
მაგრა სცნობ ზვალე პასუხსა მაგა საქმისა მზღვეველად:  
ვარ შენთა შვილთა შენითა კბილთა დამაჰმეველად,  
დავშალო, წვერთა ფუ მიყავ,

ხელიდა ვრბოდე მე ველად!“ (1101).

ეს რომ გაიგონა, ფატმანმა თავში იწყო ცემა, ძლიერ ატირდა და თქვა, „დამქოლეთ, მოდით, ქვითაო“, მოთქვამს: „მოკვალ, ჰაი, ქმარი, ამოვწყვიდენ წვრილნი შვილნი“, ყველაფერი მე გავანადგურე, მე მოვსპე ჩემი ოჯახიო. ავთანდილი გაკვირვებულია, დავაკვირდეთ მისი კითხვის აზრს: „რას დაგეჰადა იგი ყმა, რა ნახა შენგან კლებული?“ ამას რომ გეუბნება, ასე რომ გიპირებს ერთნაირად ამოჟლეტას, შენ მას რა ისეთი დააკელიო? ე.ი. იქნებ საფუძვლიანია მისი ასეთი დაქადნებაო, გამაგებინე რაშია საქმეო. პასუხად ფატმანი ისევე საკუთარ თავს კიცხავს, თვითონ იბრალებს ყველაფერს, უსაშველოდ ტირის, ავთანდილს მხოლოდ იმას ეუბნება, იქნებ შეძლო მისი მოკვლა, თორემ, „თუ დარბაზს მივა იგი ყმა, შვილთა დამაჰმევეს პირითა“. ფატმანი მხოლოდ იმ მიზეზს ამბობს, შენი სიყვარულის მოუთმენლობის გამო მომივიდაო, შენ თუ მას ვერ მოკლავ, თავს უშველე, აქედან გაეცალე; **ჩვევ, რომე ჩემთა ცოდვათა შენცა აგავსონ ჳირითა“** (1108).

ავთანდილი ჯერ სათანადოდ არ იცნობს ფატმანს, მან არ იცის, თუ რა სათნოება გამოუჩენია ამ ქალს, როგორი დედობა გაუწევია მას ნესტანისათვის. მიუხედავად ამისა, მისთვის ცხადი შეიქნა, რომ ეს ქალი არ იმსახურებს იმ კაცისაგან ასეთ საშინელ მოპყრობას. ისევ ჩვენი მეთოდი გამოვიყენოთ — თუკი იყო აუცილებელი, ის მაინც ხომ შეეძლო რუსთაველს, ეს სიტუაცია ცოტა მოგვიანებით ჩაერთო, როდესაც ავთანდილს კარგად ეცოდინებოდა ფატმანის დამსახურება, მაშინ უფრო არ იქნებოდა გამართლებული მისთვის ასე რიგად თავის გამოდება და კაცის მოკვლა? არა! მაშინ ავთანდილს ეს კი ეცოდინებოდა და ამითვე დავალებული იქნებოდა ფატმანისაგან, მაშასადამე, ფატმანის სარგებლიანობა მას გახდიდა დაინტერესებულ პირად, ამის გამო კი მისი მოქმედება უკვე აღარ იქნებოდა უანგარო, ჭაშნაგირის მოკვლა არ იქნებოდა მარტო მისი ცუდკაცობით გაპირობებულნი. ჩვენ უკვე ვიცით „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების ერთი ნიშნით გარჩევა — არიან ისეთები, ვინც ცრემლს ღვრის და ისეთები, ვინც არ ტირის. უგულოები არიან, ვინც არ ტირიან. ასეთია ის კაციც. მას არაფერი აფიქრებს, საკუთარი მოთხოვნილებების გარდა, ფატმანი კი, პირიქით, უფრო მეტად სხვების გამო არის ასე მწარედ ატირებული, ავთანდილსაც იცოდებს და აფრთხილებს, თუმცა მისი სიყვარულის გამო მოუვიდა ეს ამბავი. თუ ასე ვიმსჯელებთ, სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ იმ კაცის — ჭაშნაგირის სახით საქმე გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ კრიტერიუმებით უარყოფით, ბოროტ ძალასთან, რომელიც დაუპირისპირდა ჰეთილს. როგორ უნდა იყოს ამგვარ სიტუაციაში ავთანდილის პოზიცია? განა მან ასევე უსამართლოდ მოქცევის გამო არ ამოყუჟა მეკობრეები, რომლებმაც ვაქრები ჰყავდათ დაბრიყვებულნი? ერთი კი არა, უამრავი და ვინმეს შეუძლია თქვას, ავთანდილის საქციელი არ შეეფერება ჰუმანისტურ იდეებსო. პირიქით! ახლაც მისი პოზიცია უნდა გამოჩნდეს — ეს კაციც უსამართლოდ იბრიყვებს ქალს, რომელსაც არსებითი დანაშაული მის წინაშე არც აღმოაჩნდა, რომც იყოს იგი დამნაშავე, სრულიად უდანაშაულო შეილებს რას ერჩის? გადაწყვეტილია — ამ უგულო და უცრემლო კაცის ბედი ავთანდილის ხელშია. აი, როგორ აგვიწერს ამას რუსთაველი:

„რა ესე ესმა ავთანდილს ლაღსა, ბუნება-ზიარსა,  
ადგა და ლახტი აიღო, რა ტურფა რამე მხნე არსა!  
„ამა საქმისა ვერ-ცნობა, — თქვა,

— ჩემი სიძუნწე არსა“ (1109).

გარდა ამისა, თუ როგორ. მაეორშია ავთანდილის დახასიათება ამ სიტუაციაში ნათქვამი, ყურადღება მისაქცევია სიტყვები — „ჩემი სიძუნწე არსა“. რატომ სიძუნწე? ასეთ საქმეს თუ ვერ გაიგებდა, ვერ მიხვდებოდა, შეიძლებოდა ეთქვა, უვიცობა, გაუგებრობა, შეუგნებლობა, მაგრამ სიძუნწე რა შუაშია? აი რა შუაშია: მე მხოლოდ იმას ვუყურო, რაც მინდა მე, რა არის ახლა ჩემთვის საჭირო, ამის იქით არ გავიხედო, ეს იქნება ჩემი სიძუნწე, ე.ი. ვერ გავცემ იმას, რაც ნამდვილმა კაცმა ასეთ დროს უნდა გასცეს — იგი უნდა იყოს ბრძენი ასეთ დროს და არა მარტო იცოდეს, არამედ იქმდეს კიდევაც. ხომ ამას ეუბნებოდა თავის ანდერძში გამზრდელს:

„არა ვიქმ, ცოდნა რას გვარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“, ასეთი ქმნა კი სიკეთის გაცემაა, ვინც ამას არ გააკეთებს, ვინც არ გასცემს სიკეთეს, იგი, რა თქმა უნდა, არის ძუნწი... ამის შემდეგ რაც მოხდა, ზევით უკვე არის ჩემ მიერ აღწერილი, როდესაც იმას ვამტკიცებდი, რატომ ჩაადენინაო ასეთი საქციელი რუსთაველმა ავთანდილს. მაშინ ხომ ყველაფერი ლოგიკური ჩანდა. ახლა რა გამოვიდა? იმავე ნაწარმოებში ყოფილა უფრო ღრმა პლანი ისეთი, რომლის გამომჟღავნებამ სულ სხვაგვარად დაგვანახა იგივე სიუჟეტები.

ამრიგად, ადრე რომ მეტად საჩოთირო, მიუღებელი ჩანდა ავთანდილის საქციელი, ახლა გამოჩნდა, რომ სწორედ ეს საქციელი ყოფილა მისი ბუნების, მისი კაცურ-კაცობის, ამჟამად რომ ვიტყვით — მისი მაღალი ჰუმანიზმის დადასტურება. იგი სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო და არა სხვაგვარად! ასეთია ამ სიტუაციის სწორი გაგება.

ნიუანსებში გარკვევით მივედით ასეთ სწორ გაგებაზე. ამიტომ, ამ ნიუანსების მნიშვნელობის საჩვენებელ მაგალითად მოვიტანე ჭაშნაგირის სიკვდილის ამბავი და ამითვე პასუხი გავცით იმას, რაც ადრე მიუღებელი გვეჩვენებოდა.

ახლა კიდევ ერთი, თითქოს უმნიშვნელო დეტალის შესა-

ხებ, რომელიც უმნიშვნელო გარეგნულად ჩანს, სინამდვილეში კი დიდი მნიშვნელობის მქონეა და ამაშიც ნიუანსებში გარკვევა დაგვარწმუნებს. პოემაში კვითხულობთ:

**„დიდ-ვაჭარნი სარგებელსა ამის მეტსა ვერ ჰპოვებენ:  
იყიდიან, გაყიდიან, მოიგებენ, წააგებენ“** (1067).

რატომაა ეს ნათქვამი? არის ნაწარმოებში სადმე აღწერილი სიტუაცია ვაჭართა საქმიანობისა, სადაც ამ სიტყვებს გამართლება ჰქონდეთ? არსად არ არის ნაჩვენები არც მოგებით ვაჭრობა, მით უფრო არ არის წაგება. ამრიგად, ეს სიტყვები, აქ რომ მოვიტანე, ნაწარმოებში ისე ნათქვამი გამოდის, არაფრით არ არის გამაგრებული, არც არაფრისთვის არის საჭირო, რადგან ვაჭართა მოგება-წაგება არსად არაა გამოყენებული სიუჟეტის განვითარებისათვის.

პოემაში კი მაინც არის ერთი სიტუაცია, რომელიც სულ სხვაგვარად გვაფიქრებინებს. ეს ის მომენტია, ფატმანი რომ უყვება ავთანდილს ნესტანის ამბავს და იმას უამბობს, უსენმა როგორ გატეხა მასთან დადებული ფიცი და მეფეს უთხრა საიდუმლო ნესტანის შესახებ. უსენი მეფესთან იყო, ჩვეულებისამებრ ძღვენი მიართვა მეფეს. ფატმანი უყვება ავთანდილს:

**„უთხრა დიდმან ხელმწიფემან უჭკუოსა უსენს, მთვრალსა:  
„დიო მიკვირს, საძღვნოდ ჩვენად სით მოიღებ ამა თვალსა,  
მარგალიტსა დიდროანსა, უსახოსა ჰპოვებ ლალსა?“**

**ვერ გარღვიხდი, თავმან ჩემმან,**

**ძღვენთა შენთა ნაათალსა“** (1167).

აი, ამ დროს დაავიწყდა უსენს დადებული ფიცი, მეფეს უთხრა ნესტანის შესახებ საიდუმლო. რატომ უთხრა? რა მოხდა? ამისი დაწერა შეეძლო მხოლოდ იმ შემოქმედს, რომელიც ადამიანის ფსიქოლოგიის ურთულეს დეტალებშია გარკვეული, ამასთან სიუჟეტის აგების ოსტატია და სიტყვას ჯადოსნურად ფლობს. საქმე ისაა, რომ უსენის ვაჭრული ფსიქოლოგია გამომჟღავნდა: მას, ასევე სხვა ვაჭრებს, ძღვენი რომ მოაქვთ მეფესთან, ეს გარკვეულად ვაჭრობაა — ამ ძღვენით ისინი მეფის გულის მოგებას ცდილობდნენ. ძღვენს ამ შემთხვევაში ეს ერთადერთი დანიშნულება აქვს და ზევით რომ ვნახეთ, თუ რა აზრით ხმარობს რუსთაველი ძღვენს, საჭურჭლეს, ბოძებას და

ა.შ. ეს ყველაფერი უფრო ხაზგასმული ხდება ძღვენის ამ წმინდა უტილიტარული მნიშვნელობით. უსენმა მეფის გულის მოგებისთვის კიდევ ერთხელ მირთმეული ძღვენის შედეგი აშკარად იგრძნო: მან მოიგო მეფის გული — ამაზე მეტი მოგება რა უნდა იყოს ვაჭრისთვის, მეფე უფრო კარგად იქნება მის მიმართ განწყობილი, ვიდრე აქამდე იყო, თუ აქამდე მეფის წყალობა არ აკლდა და ეს სავაჭრო საქმეებში წარმატებასაც აძლევდა, ახლა კიდევ უკეთესად წაუვა საქმე. სულ დაიშაქრა და დადნა უსენ, „ზეცით შუქთა მომფენელო, მარჩენალო არსთა, მზეო!“ — მიმართავს იგი მეფეს, რაც მე გამაჩნია, დედის მუცლით კი არ გამომყოლია, თქვენი წყალობით მბოძებიაო (1168) და აი, აქ მოუნდა ეშხში შესულ, შექეფიფიანებულ ვაჭარს მოიგოს კიდევ მეტი, კიდევ უფრო მოიგოს მეფის გული, კიდევ უფრო მოიპოვოს, ამას კი, იცის მან, სჭირდება მისი მხრიდან საჩუქარი მეფისადმი. ასეც მოიქცა:

„ამას გკადრებ, თავმან თქვენმან,  
 არა გმართებს მაღლი ძღვნისა;  
 სხვა რამე მითქს სასძლო თქვენი,  
 შესართავი თქვენის ძისა;  
 მას უცილოდ დამიმადლებთ,  
 ოდეს ჰნახოთ მსგავსი მზისა,  
 მაშინ მეტად გაამრავლოთ

თქვენ ბრძანება ნეტარძისა“ (1169).

ამას რომ მიეუძღვნე, მაშინ უფრო დამიმადლებსო დიდი მეფე, უფრო მეტად მოვიგებო მის გულს და საქმე რომ დიდ მოგებას ეხებოდა, მაშინ ვაჭარს ფიციც დაავიწყდა!..

მაგრამ მოიგო კი ამით უსენმა? მოიგო კი არა, მთელი მისი ოჯახი კინალამ შეეწირა ამ წამოწყებას — ჭაშნაგირს რომ მიესწრო მეფესთან, გათავებული იყო უსენის ოჯახის საქმე. ახლა მოვიგონოთ ზევით ნათქვამი სიტყვები — „მოიგებენ, წააგებენო“ და ვიკითხოთ, ყოფილა თუ არა „ვეფხისტყაოსანში“ ისეთი სიტუაცია, რომელსაც ესადაგება ეს სიტყვები? დიახ, ყოფილა და, მაშასადამე, არც ეს სიტყვები ჰქონია რუსთაველს ნათქვამი ისე, სასხვათაშორისოდ, უმიზნოდ. მას თავისი დანიშნულება ჰქონია, ოღონდ ერთია — ეს რომ ასეა, ამას სჭირდება ძიება. რომ ვეძებთ, ვნახეთ კიდევაც: „რასაცა ეძებ, მიჰხვდე-

ბიო“, აკი გვაიმედებდა!

რადგან აქამდე მივედით, არ შეიძლება კიდევ ერთი დეტალი დავტოვოთ უწყურადლებოდ. ხომ ვამბობ, უსენს რომ ეგონა ძალიან მოვიგეო, კინალამ ყველაფერი წააგო. ამაში, ყველაფერთან ერთად, დიდი იუმორიცი რომ არის ჩატანებული, ეს აშკარაა. ასეთი იუმორით ხატავს რუსთაველი ვაჭრებს. მაგრამ საფიქრალი აქ სხვაა — არაფერსაც წააგებდა უსენი, ყველაფერი იქნებოდა წესრიგში, ის ჭაშნაგირი რომ არ იყოს საქმეში გაჩხერილი, ამასთან, ჭაშნაგირისთვის ხომ თვითონ ფატმანს გაუნდვია ნესტანის გაპარვის ამბავი? ამას თვითონ აღიარებს ფატმანი. ამრიგად, ფატმანის ამ შეცდომის შედეგი იქნებოდა, თუ ჭაშნაგირი გასცემდა მის საიდუმლოს მეფესთან და ამას მოჰყვებოდა მკაცრი სასჯელი. რატომ მოიქცა ასე რუსთაველი? რატომ ჩაადენინა ასეთი საქციელი ფატმანს, რომლისადმი ავტორი დიდი სიმპათიითაა, დედის მჯობნ დედას უწოდებს ნესტანის პირით და ა.შ. აქვე უნდა ითქვას, რუსთაველოლოგიაში ფატმანის სახე ვერაფრით ამოიხსნა, ჯერ კიდევ არ არის მიღწეული მისი შესაფერისი შეფასება. იქნებ ეს დეტალი, ახლა რომ მივადევით, სწორედ იმიტომ აქვს რუსთაველს მოცემული, მისთვის ყურადღების მიცქევა იყოს გადამწვეტი მიშენელობის მქონე? რატომ გაანდო ფატმანმა საიდუმლო ჭაშნაგირს? იმიტომ, რომ მას იგი უყვარდა. არ უყვარდა ქმარი და უყვარდა ჭაშნაგირი. საიდუმლო ამიტომ გაანდო კაცს, რომელიც მას სავსებით სანდო ჰგონია. „ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთით“, ამბობს ფატმანი. მაშასადამე, ფატმანის მსუბუქი ყოფაქცევის გამო ლაპარაკი არცთუ ისე საფუძვლიანია. მართალია, რუსთაველი გვაფრთხილებს, მიჯნურს ერთი უნდა უყვარდესო, ფატმანს კი აგერ ავთანდილიც ისე შეუყვარდა, ჯერ კიდევ ჭაშნაგირი არსებობს, მაგრამ ნუთუ აქედან ასე გაიოლებულად უნდა დავასკვნათ ფატმანის პიროვნების შესახებ?! ფატმანის ბუნება ისე მდიდრულად, სხვა დიდებულები გმირების სრული ანალოგიით არის მოცემული პოემაში, რომ მის შესახებ როცა ვმსჯელობთ, ამას უნდა გაეწიოს ანგარიში. და თუ იგი ვერ გახდა ბედნიერი, ვერ გახდა ერთი ღირსეულის მოტრფიალე, ეს მისი ნაკლი კი არა, მისი უბედურებაა. ფატმანი ტრაგიკული პიროვნებაა და არა მორალურად ნაკლოვანი! ასე გვიხატავს მას რუსთაველი და ეს რომ გავიგოთ, იმ დეტალს მივაქციოთ ყურადღება, თუ

რატომ გაანდო მან საიდუმლო ნესტანის შესახებ ჯაშნაგირს. ამრიგად, ეს ქცევა სავსებით მოტივირებულია. ხოლო ეს თუ არის მოტივირებული, მაშინ საერთო სიუჟეტის ეს მონაკვეთი ერთ მთლიანობას წარმოადგენს და, მაშასადამე, ყველა დეტალი ერთმანეთთან არის დაკავშირებული; დიდვაჭართა წაგება-მოგების ამბავიც სავსებით გამართლებულია. ისევ! — გვეჩვენებოდა თითქოს არ არის გამართლებული, არ არის დაკავშირებული, აღმოჩნდა, რომ ყოფილა.

ეს უკვე მერამდენედ! ახლა ხომ უამრავი შემთხვევა ვიცით, როდესაც გვებადებოდა კითხვა — რატომაა ასე? გვეგონა, რომ ამ კითხვას პასუხი არ გააჩნდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გვეგონა ავტორის მიერ დაშვებული ხარვეზი, ყველგან აღმოჩნდა, რომ რუსთაველი თითქოს ცდება, სინამდვილეში კი არსად არ ცდება. ზევით ერთგან ისიც ხომ ვთქვით, მინიშნებით, ხშირად გვეგონია, ჭადრაკის ენით რომ ითქვას, არასწორად არის სვლა გაკეთებული, შემდეგ კი აღმოჩნდება, რომ სვლა სწორია. როგორ ხდება ეს? ერთი ან ორი რომ იყოს, მაშინ შეიძლებოდა გვეფიქრა, ეს მოხდა შემთხვევით, მაგრამ რამდენიმე ათეული ასეთი რომ ვნახეთ, უნდა ვიფიქროთ — ეს არის მოფიქრებით გაკეთებული სვლები, რომლებიც გასინჯვის შემდეგ არასწორს ჰგავს, მაგრამ ძალზე ღრმად გასინჯვით კი დგინდება, რომ სვლა სწორია: ისევ ჭადრაკის ენით რომ ვთქვათ — შეწირვებია! ავტორმა იცის თავისი საბოლოო მიზანი, მისი მიღწევის გზები აქვს დასაბუთებული და ამ გზაზე ხშირად მიმართავს შეწირვებს, სწორედ ამ გზით აღწევს სასურველ შედეგს. ჭადრაკი „ვეფხისტყაოსანში“ რომ არც იყოს ნახსენები, მაშინაც შეგვეძლო გვევარაუდა, რომ რუსთაველმა იცოდა ეს ბრძნული თამაში. ნაწარმოების სტრუქტურა ისეთია, რომ ავტორი უბრალოდ კი არ უნდა იცნობდეს ჭადრაკის თამაშის ხელოვნებას, არამედ გარკვეულად იყენებს მას იმ აზრით, რომ ხშირად ჰქმნის სიტუაციებს, რომლებიც თითქოს შეცდომაა, ნამდვილად კი საერთო ჩანაფიქრის გარკვეული ელემენტია და, მაშასადამე, გენიალური მოჭადრაკის კომბინაციებით, შეწირვებით თამაშს მოგვაგონებს, სადაც საბოლოო, უბრწყინვალესი შედეგი ამართლებს ყველა შეწირვას.

## „ვგომო კაცსა აუზიანსა, სრუსა ღა ღალაბიანსა“

რუსთაველის ეს სიტყვები ბრძნულ აფორიზმად არის ხალხში გავრცელებული. ანალოგიურია მისი მეორე აფორიზმიც: „სიცრუე და ორპირობა აენებს ხორცსა, მერმე სულსა“. „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედ პირთა შორის ვის შეეხება რუსთაველის ეს სიბრძნე? ჰყავს რუსთაველს გამოყვანილი ასეთი გმირი, რომლის საქციელს თვლის აუგიანად ანუ სირცხვილიანად? ვის გმობს რუსთაველი თავის მოქმედ გმირთა შორის? რამდენადაც ვიცი, საკითხი ასე არ არის დასმული და, ცხადია, არც პასუხია ამაზე გაცემული; რადგან ეს კითხვა დავსვით, მკითხველი უსათუოდ მოითხოვს პასუხსაც. სანამ პასუხს გავცემდეთ კითხვას, ის უნდა ითქვას, რომ ამ საკითხის გარჩევა არსებითად არის დაკავშირებული იმის გაგებასთან, თუ რას ნიშნავს ნესტანის სიტყვები: „ჰქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. რუსთველოლოგიაში დიდი დავა არის ამის ირგვლივ და ეს კი არსებითად ნიშნავს იმის გარკვევასაც, თუ რა დავალება მისცა ნესტანმა ტარიელს, როდესაც მას დაავალა მიპარვით მოეკლა ხვარაზმის შაჰის შვილი, რომელიც მშობლებმა — მეფე-დედოფალმა, ნესტანის საქმროდ, ზედ-სიძედ ჩამოაყვანინეს. გამართლებულია თუ არა ნესტანის ასეთი საქციელი და მით უფრო ტარიელისა, რომელმაც შეასრულა ეს? დამნაშავენი არიან თუ არა ნესტანი და ტარიელი? ამ საკითხის გარჩევა გართულებულია იმით, რომ კაცი, რომელიც მიპარვით მოკლეს, სასიძოდ არის მოწვეული მეფე-დედოფლის მი-



ერ, ამიტომ მას ბრალი არ უნდა ჰქონდეს და, მაშასადამე, ნესტანსა და ტარიელს უდანაშაულო კაცის მოკვლა ბრალდებათ.

რუსთველოლოგიაში გაბატონებულია ის აზრი, რომ სასიძო უდანაშაულოა. აქედან გამომდინარე კი, მკვლევართა დიდი ნაწილი იმ აზრს ადგას, რომ ნესტანმა და ტარიელმა დანაშაული ჩაიდინეს. ზვარაზმშაპის ძე პირადად, პერსონალურად უდანაშაულოა, წერს აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე. „ნესტანისა და ტარიელის საქციელს სხვა სახელი არ შეიძლება მოენახოს, თუ არა დანაშაული“, ეს უკვე იურისტის თვალსაზრისია, — ასე წერს პროფ. ივ. სურგულაძე. იგივე თვალსაზრისს უფრო მუქ ფერებში გვაძლევს ვ. ნოზაძე. იგი წერს: „ნესტანმა კარგად იცის, სასიძო უდანაშაულოა, უბრალოა, მისმა დედ-მამამ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე, ტარიელის თანდასწრებით გადაწყვიტა ზვარაზმშას შეილის სასიძოდ მოყვანა. ეს ზედ-სიძეც მოვიდა და ახლა კი ნესტანი მას ტარიელს აკვლევინებს. ეს მართალი სამართალი არაა, ოღონდ ნესტანისათვის მართალი არის მხოლოდ მისი სიყვარული და ამ მართალი სიყვარულისათვის იგი უბრალო, უდანაშაულო კაცის მოკვლასაც არ ერიდება, რადგან იგი მის სიყვარულს უნებურად აბრკოლებს, უფრო მეტი, ფუჭად ხდის. ამის თავიდან ასაცილებლად იგი ამ სასტიკ ზომას მიმართავს და თავის დანაშაულს იმით იმსუბუქებს, რომ მას არ სურს არც ლაშქართა, არც ზროხათა და არც ვირთა დახოცვა, საერთოდ, არ სწადია დიდი სისხლის დაღვრა. დიაცურად ვმსჯელობო, ამბობს იგი, მაგრამ ეს დიაცური მსჯელობა დატვირთულია დანაშაულით და ამ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა გამართლებულია მხოლოდ მისი სიყვარულით. ეს არის ვნებიანი ბოროტმოქმედება, „პასიონის დანაშაული“.\*

რუსთაველის პოემის უმთავრესი გმირები — ნესტანი და ტარიელი (იქ კიდევ ცალკე ავთანდილიც!) უდანაშაულო ადამიანის მკვლელები, სისხლის სამართლის დამნაშავეებად თუ გამოგვეყვას, კარგად გვეჩონია საქმე! როგორღა ვამბობთ ამგვარ

\* ვ. ნოზაძე — „ვეფხისტყაოსნის საზოგადოებამეტყველება“, გვ. 217-218.

ნაწარმოებზე და მის მთავარ გმირებზე ჰუმანიზმს განასახიერებენო?! საბედნიეროდ, ეს ასე არ არის. ავთანდილის შესახებ ვნახეთ, ახლა სხვასაც ვნახავთ.

საჭირო არ არის, ალბათ, ანალოგიური მტკიცებები კიდევ მოვიტანოთ, მით უფრო გავარჩიოთ ყველა საბუთი, რომლითაც ესა თუ ის ავტორი ცდილობს დაასაბუთოს თავისი მოსაზრება. უდანაშაულო სასიძოს შესახებ. ამას რომ გავყვეთ, ეს მთელი წიგნის მასალაა და მისი დეტალური გარჩევა საჭირო არ არის. თუ ვინმეს სურს, რამ უნდა დააბრკოლოს, რომ წიგნიც კი დაწეროს ამის შესახებ. ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი იმას, თუ რამდენად ბევრია ამ თემაზე დაწერილი რუსთველოლოგიაში.

იმისათვის, რომ საკითხის არსებით განხილვაზე გადავიდეთ და არ დავბრკოლდეთ ამა თუ იმ შეხედულების კრიტიკული ანალიზით, საჭირო იქნება სულ სხვაგვარად დავსვათ კითხვა. არის კი გამართლებული ამ საზომით (დანაშაულია თუ არა) მივუდგეთ ნესტანისა და ტარიელის ქცევას? ვინ, სად, რომელ ნაწარმოების გმირების მიმართ აკეთებს ამას? ფეოდალურ სამყაროში ყოველ ნაბიჯზე ხდება სისხლის ღვრები და უამრავ ნაწარმოებშია ასეთი სიტუაციები აღწერილი. კაცმა რომ შემკვიდრეობის კანონიერი უფლება დაიცვა — ტარიელიც სწორედ ასე იქცევა და ამ კანონიერი უფლების მოქიშპე თავიდან მოიშორა — ასეთი საქციელი სხვა ნაწარმოებში რომ შეგვხვდეს, დავიწყებთ იქ ძიებას, დანაშაულია თუ არაო? ვინმე დაიწყებს ძიებას ტახტის კანონიერი მემკვიდრის ფაქტობრივი მოქიშპე „სუბიექტურად“, „პერსონალურად“ დამნაშავე იყო თუ არაო?! აბა გავყვეთ ამ ლოგიკას და ჩავთვალოთ, რომ საკითხი სწორედ ასე უნდა იყოს დასმული, რომ სწორედ დანაშაულის თვალსაზრისით შევაფასეთ ყოველი ასეთი ქცევა. რას მივიღებთ, იმავე ტარიელს მაშინ უამრავი სხვა დანაშაულიც უნდა დავუმტკიცოთ: მაგ, ტარიელმა რომ მათრახით გაფხრიწა როსტევეანის მიერ გამოგზავნილი მეომრები, არც ისინი იყვნენ „სუბიექტური“, „პერსონალური“ დამნაშავეები და უნდა ვთქვათ, მაშინ, რომ ტარიელის საქციელს სხვა ვერაფერს დავარქმევთ, თუ არა დანაშაულს. კიდევ მაგალითი: ტარიელმა ხატაელები რომ და-

იმორჩილა და უამრავი ხატეული დახოცა, თვითონ მან პირადად, რომ არაფერი ვთქვათ ყველა სხვაზე, ვინც ამ ომს შეეწირა, დავდგეთ ახლა და ვარჩიოთ, ვინ იყო სუბიექტურად უდანაშაულო და ვინ არა? მთელი ჩემი მსჯელობის არსი ისაა, რომ ჩვეულებრივ ასეთი რამ არ ხდება. ასეთი ნაწარმოებების გმირებს ასეთი კრიტიკრიუმით არ უდგებიან. მაგრამ რა გამოდის ჩემი მტკიცებიდან? თუ რუსთველოლოგიაში ამას ადგილი აქვს, ისე რომ ეს არ არის გამართლებული, მაშინ თითქოს უტყუარად უნდა დავასკვნათ: ნესტანისა და ტარიელის დანაშაულის შესახებ საკითხის დასმა არააკანონიერია.

რუსთაველის პოემის გარჩევის ერთ-ერთი მთავარი სიძნელე სწორედ ის არის, რომ ეს დასკვნა, რომელიც ჩვენ ახლა სწორი გვეჩვენება, ნამდვილად უმართებულოა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითონ რუსთაველის პოემიდან გამომდინარეობს კანონიერება საკითხისა, სასიძოს მოკვლა დანაშაული იყო თუ არა, თუმცა ამ ტიპის სხვა ნაწარმოებების მიმართ ამგვარი კითხვის წამოჭრა არ იქნებოდა გამართლებული... საფიქრალი და გასარკვევია, თუ რატომ, მაგრამ ისე კი ფაქტია, რომ რუსთაველმა თვითონვე გაართულა საქმე და მძიმე მდგომარეობაში დაგვტოვა. ჯერ იყო და ნესტანს ათქმევინა სიტყვები:

**„რა მოვიდეს სიძე, მოკალ, მისთა სპათა აუწყვედლად  
ჰქმნა მართლისა, სამართლისა,**

**ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ (542).**

უკვე აქედან შეიძლება დაამდგარიყო საკითხი ტარიელის საქციელის სამართლიანობის შესახებ; ეს კი იმასაც გამოიწვევდა, დანაშაული მიუძღვის თუ არ მიუძღვის ხვარაზმის მეფისწულს, მაგრამ მთავარი ეს არ არის. რუსთაველი კიდევ მეტს აკეთებს, მან პირდაპირ იხმარა სიტყვა ბრალი (დანაშაული) და ამით დააკანონა კიდევ საკითხი: უდანაშაულო სასიძო რატომ მოკლესო.

**„ხვარაზმშას სისხლი უბრალო**

**სისხლად რად დამადებინე?“ (562)**

ასე ათქმევინებს რუსთაველი ფარსადანს, რომელიც ამ სიტყვებით მიმართავს ტარიელს. პირდაპირ შეიძლება ითქვას, ეს სიტყვები ერთგვარად მაგიური ძალის აღმოჩნდა და თითქმის

ყველა იმეორებს რუსთველოლოგიაში: სასიძო უდანაშაულო იყო. თითქმის არც ფიქრობენ საწინააღმდეგო საბუთის მოტანას, რადგან ამას ამბობს თვით რუსთაველი.

ასე გართულებულია ეს საკითხი: ერთი მხრივ, თითქოს არც უნდა იდგეს საკითხი იმის შესახებ, სამართლიანი საქმე ჩაიდინა თუ უსამართლო ტახტის მემკვიდრემ, როცა მან თავიდან მოიშორა ტახტის მოქიშპე. უფრო მეტიც. გარდა იმისა, რომ ტარიელი ტახტის მემკვიდრე იყო და იცავდა თავის უფლებებს, იგი მიჯნური იყო, მიჯნურისგან მტკიცე პირობა ჰქონდა. საქმის ვითარებამ მოითხოვა ეს მიჯნურობა დაიცვან ხელყოფისაგან, ე.ი. დაიცვან უკვე არა მარტო ტარიელის ინტერესები, არამედ მიჯნურის ინტერესებიც. სადმე დაწერილა, რომ მიჯნური, რომელიც ასეთ ვითარებაში სიყვარულს, მიჯნურობას, მიჯნურს იცავს, გაასამართლონ, დანაშაული ჩაიდინა თუ არა, საკითხი დააყენონ? რამდენადაც ვიცი, არც ერთი მხატვრული ნაწარმოების მიმართ საკითხი ასე არ დამდგარა, მით უფრო რომ, „ვეფხისტყაოსანში“, რაინდი ორმხრივ იცავს თავის უფლებას — როგორც ტახტის მემკვიდრე, როგორც მიჯნური და, მაშასადამე, ტარიელის საქციელის გამო საკითხის დასმაც კი არაკანონიერი ჩანს. ეს ერთი მხრივ. მაგრამ, მეორე მხრივ, თვითონ ავტორი, და მერე როგორი ავტორი, რუსთაველი, არაფერს ამას ანგარიშს არ უწევს და საკუთარი ნაწარმოების მთავარ გმირს, იმ გმირს, რომლის გამო ცრემლდაუშრობელი მტირალია თვითონ, დამნაშავედ აცხადებს, უბრალო კაცის სისხლი რად დამადგო.

ეს ურთულესი საკითხია და მისი გადაწყვეტა გაჭირდება, მაგრამ საბედნიეროდ, გადაწყვეტა თვითონ ნაწარმოებში აქვს მოცემული გენიალურ რუსთაველს. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ამ მიმართულებით ჭერჯერობით არავინ წავიდა. ჩვენი საძიებელი პასუხი რუსთაველის იმ 562-ე სტროფშია მოცემული, საჭიროა მისი ანალიზი, პოემის მთელი შინაარსის, ყოველ შემთხვევაში, ბევრი არსებითი მომენტის გათვალისწინებით. მოვიტანოთ ეს სტროფი:

**„ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე?  
თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე?“**

მე, ბერსა შენსა გამზრდელსა, სიცოცხლე მაარმებინე,  
ლღელ სიკვდილამდის შენიცა თავი არ მახსლებინე!“ (562)  
რა არის აქ ნათქვამი? დავიჭეროთ ფარსადანის ეს სიტყვები? სამწუხაროდ, ეს კითხვა არავის დაუსვამს, თორემ, იქნება აქამდეც გარკვეულიყო, რომ ყველაფერი, რაც თქვა ფარსადანმა, არის სიცრუე. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ, დარწმუნებულ ვარ, აქამდეც უნდა გარკვეულიყო, კერძოდ ის, რომ ფარსადანი ცრუობს, როდესაც ამბობს ჩემი ქალი თუ მოგწონდა არ ვიცოდით. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ფარსადანს განრისხების ეპოს სრულიად საწინააღმდეგო წამოცდა: „მას უყვარდა ქალი ჩემიო“. ეს მაშინ მოხდა, როცა იგი განრისხებული დაეძებს ტარიელს სასიძოს მოკვლის შემდეგ. იქნებ გვეფიქრა, რომ ფარსადანმა ეს სიტყვები ისე თქვა, რომ მან მხოლოდ ახლა გაიფიქრა ტარიელის სიყვარულის შესახებ და, მაშასადამე, ადრე ამის გამო არაფერი იცოდა. არავითარ შემთხვევაში. ჩვენ გვაქვს მონაცემი დაბეჭდვით ვამტყიცოთ, რომ ეს არ არის ფარსადანის მხოლოდ ახლანდელი ვარაუდი. მას ადრე დანამდვილებით სცოდნია და არა მარტო ის, რომ ტარიელს უყვარდა ნესტანი, არამედ ისიც, რომ ნესტანსაც უყვარდა ტარიელი. რა გვაძლევს ამის მტკიცების უფლებას? მოვიტანოთ ის სტროფები სრულად:

„შიამბო: „ოდეს სასიძო მოჰკალ და ხმა დაგივარდა,  
მეფესა ესმა, აიჭრა მართ მისგან გახატკივარდა,  
შენ დაგიზახნა: „მიხმეთო“, ხმა-მალლად გახმაყივარდა;  
მოგნახეს, შინა ვერ გპოვეს,

მით მეფე გამომჩივარდა“ (572).

„ჰკადრეს: „აქა აღარ არის, კარნი საღმე გაუვლიან“.

მეფე ბრძანებს: „ვიცი, ვიცი, მეტად კარგად შემიგნიან:

მას უყვარდა ქალი ჩემი, სისხლნი ველთა მოუღვრიან,

რა ნახიან ერთმანერთი, არ -შეხედვა ვერ დათმიან“ (573).

რას ნიშნავს ეს? აქ ფარსადანის მიერ ნათქვამია ორი ისეთი დეტალი, რომლის თქმა მხოლოდ ამ საქმის მცოდნეს შეეძლო და ეს არ არის ფარსადანის უბრალო ვარაუდი. ფარსადანი ამბობს: ტარიელს ჩემი ქალი უყვარდა და ამის გამო მას ველი სისხლით მოუღვრიაო. ეს სინამდვილეა და ის სცოდნია ფარსადანს. ფარსადანს ასევე სცოდნია ისიც, რომ ნესტანი და ტარი-

ელი ერთმანეთს რომ ნახავდნენ, განშორება უქირდათ. ამრიგად, სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ფარსადანი ცრუობს ტარიელის წინაშე, როცა ეუბნება არ ვიცოდით. იქნებ ისე გაგვეგო ფარსადანის ნათქვამი, შენგან არ ვიცოდით, შენგან არ მქონდა გაგებულო. ეს არ არის სწორი, ფარსადანის ნათქვამი იმას ნიშნავს, მე რომ მცოდნოდა ამ სიყვარულის ამბავი, მაშინ სხვაგვარად მოვიქცეოდიო. ამრიგად, ვიცით, მან იცოდა, რომ ახალგაზრდებს ერთმანეთი თავდავიწყებით უყვარდათ. ანგარიში არ გაუწიეს მეფემ და დედოფალმა ახალგაზრდების ამ უდიდეს გრძნობას, უფრო მეტიც — ფეხქვეშ გათელეს იგი. ახლა კი ფარსადანი ატყუებს ტარიელს, რომ მცოდნოდაო... მაგრამ ფარსადანი მარტო ამაში როდი ცრუობს, იგი ცდილობს ტარიელი მოატყუოს სხვა რამეშიც. ფარსადანი ეუბნება ტარიელს, ეს რა მიყავიო, მე მინდოდა შენ სიკვდილამდე ჩემთან ყოფილიყავი, შენ კი ეს ჩამიშალეო. ეს არის მუხანათური სიცრუე, ცოტა ქვევით ვნახავთ ამის მტკიცებას. ტყუის ფარსადანი, როცა ამბობს, უბრალო (უდანაშაულო) სისხლი დაღვარე, შენ, ტარიელ, და ეს დანაშაული ახლა მე დამაწვავო. თუ ვინმემ იცის, სწორედ ფარსადანმა იცის, რომ ხვარაზმელი სასიძო უდანაშაულოც რომ იყოს, მისი სიკვდილი ფარსადანისა და დედოფლის ბრალია. იგი მათ შეეწირა. საკუთარი დანაშაულის დასაფარავად მიმართავს ტყუილს ფარსადანი.

ფარსადანი რუსთაველის მიერ დახატულია, სწორედ, როგორც აუგიანი კაცი, ცრუ და ლალატიანი. ახლა პირდაპირ უნდა ვთქვათ: „ვგობ კაცსა აუგიანსა ცრუსა და ლალატიანსაო“ — რუსთაველი გულისხმობს მეფე ფარსადანს, ნესტანის მამას და ასევე, ალბათ, დედოფალსაც, ნესტანის დედას.

აბა, დავუკვირდეთ, რა უსირცხვილოდ ცრუობს ფარსადანი. სიკვდილამდე მინდოდა ჩემთან ყოფილიყავი, ეუბნება ტარიელს და მასვე — ტარიელს, მეფე-დედოფლისაგან განწირულს, გაღმა ედავება, შენი ბრალია, თორემ მე სიკვდილამდე მინდოდა ჩემთან ყოფილიყავიო. მხოლოდ უტიფარ მატყუარას შეუძლია ასე თქმა. ფარსადანმა, როგორც ვნახეთ, ძალიან კარგად იცის, თუ რა ძალით უყვართ ერთმანეთი ნესტანსა და ტარიელს. მეფე-დედოფალმა მიიღეს მუხანათური გადაწყვეტილება

და ეს გადაწყვეტილება რომ განხორციელდეს, მიჯნურები სამუდამოდ უნდა მოწყდნენ ერთმანეთს და, მაშასადამე, ამ გადაწყვეტილების ძალით, აბსოლუტურად გამორიცხულია ტარიელი ფარსადანთან დარჩეს სიკვდილამდე. ხომ წარმოდგენილია ხვარაზმელი სიძის გვერდით ფარსადან მეფის წინაშე ერთგულად მყოფი ტარიელი, მაგრამ მეფე ფარსადანის სიკრულე ამითაც არ ამოიწურება. საქმე ისაა, რომ თუ ხვარაზმელი სასიძო ნესტანს შეირთავდა, ამითვე გაბატონდებოდა, გამეფდებოდა ინდოეთში. როგორ ვიფიქროთ, ინდოეთის ტახტის მემკვიდრეობის პრეტენზიის მქონე ტარიელს რა ბედი ელოდა? ყველაფერი იმას გვიდასტურებს, რომ ტარიელს აყრიდნენ უფლებებს, იგი დაკარგავდა ამირბარობასაც, ამირსპასალარობასაც და, საფიქრებელია, რომ სათუო გახდებოდა მისი ფიზიკური გადარჩენაც: ყველაფერიო რომ ვამბობ, ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი იყო ტახტის დაუფლების, ტახტისათვის ბრძოლის უმკაცრესი ლოგიკა. ეს ყველაფერი იცის მეფე ფარსადანმა, იგი, როგორც ვთქვით, უტიფრობს, მეფური ძალის გამოყენებას ამ სიკრულით ამკობს და ამ გზით ცდილობს ტარიელი თავისთან მოიტყუოს. რუსთაველი, ეს უკვე მერამდენედ, საოცარ გადაწყვეტას გვაძლევს: არც ერთ სიტყვას არ ამბობს ამის თაობაზე. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ტარიელმა არ შეუსრულა მეფეს წადილი, არ ეახლა მას; რა ვიფიქროთ? ალბათ, მხოლოდ ის, რომ მეფე ფარსადანის სიტყვებს ტარიელი უნდობლად მოეკიდა. დავამთავროთ ეს თავი იმით, რომ მოვიგონოთ რუსთაველის სიტყვები სიკრულისა და ორპირობის შესახებ ნათქვამი და არ გაგვიჭირდება დავასკვნათ, რომ სწორედ ფარსადან მეფისა და დედოფლისათვის დამახასიათებელი ყოფილა ხორცისა და სულის მავნებელი სიკრულე და ორპირობა.

# იმის შესახებ, განსაკუთრებით როლის თქვა რუსთაველმა ბრძელი სიტყვა მოკლედ

მოვიგონოთ რუსთაველის ცნობილი სტროფი:  
„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,  
საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი,

მსმენელთათვის დიდი მარგი,

კვლა აქაცა ეაშების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი.

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის შაირია ამაღ კარგი“ (12)

რუსთაველის ამ სიტყვების დედააზრი ის არის, რომ პოეზიით, ლექსით, შაირით, შესაძლებელია ის, რაც სხვაგვარად შეუძლებელია გამოითქვას. ამასთან, რუსთაველი, რა თქმა უნდა, აბსტრაქტულად არ მსჯელობს. მას, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სათქმელი აქვს მხედველობაში და მისი გამოთქმისათვის ყველაზე ხელსაყრელად მიუჩნევია შაირი. უპირატესად იმის გამო, რომ დიდი სათქმელი შეიძლება შაირით მოკლედ ითქვას. რას ნიშნავს ეს მოკლედ ითქვას? რუსთაველის მთელი პოემის ანალიზი გვიდასტურებს, რომ ავტორს აქვს ხშირად ისეთი სათქმელი, რომლის გრძლად თქმა, უფრო სწორად, დაწვრილებით თქმა, მას არ აწყობს, რომლის თქმა, მინიშნებით, როგორც თვითონ ხმარობს სიტყვას, შეფარვით უნდა მოხდეს. ესაა მოკლედ თქმის დედააზრი. შემდგომი სტროფები რომ მოვიტანოთ, ამაში უკეთ დავრწმუნდებით:

„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოხცდის დიდი რბევა,  
მოზურთალსა — მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,



მართ აგრეთვე მელექსესა ლექსთა

გრძელთა თქმა და ხევა,

რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.

მაშინლა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,

რა ველარ მიჰხვთეს ქართულსა,

დაუწყოს ლექსმან ძვირობა,

არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა მცირობა,

ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა იხმაროს დიდი გმირობა (13,14).

როგორც ვხედავთ, რუსთაველის მიხედვით „ლექსთა გრძე-

ლთა თქმა“ არის ნამდვილი პოეტობა და ვისაც ეს ისე მოუხერხებია, რომ საჭიროების შემთხვევაში გრძლად სათქმელს მოკლედ, მინიშნებით, შეფარვითაც იტყვის, იგია ნამდვილი ქების ღირსი პოეტი. მაინც როგორი ქების ღირსი? სანამ პასუხს ვიტყოდეთ, ისევ გავიმეოროთ, რუსთაველს საკუთარი ნაწარმოების გაგება-შეფასება აინტერესებს, ამ მიზნით გვაძლევს იგი ვრცელ მსჯელობას პოეტობის (შაირობის) შესახებ და ის პოეტი, ვინც ახერხებს გრძელი ამბები მინიშნებითაც თქვას, რუსთაველის შეფასებით გმირობასაც ჩადის — „იხმაროს დიდი გმირობა“. პოეტის შეფასებაში რუსთაველის მიერ, რომელმაც შესანიშნავად იცის რა არის გმირობა, ამ სიტყვის შემოტანა არამცდარამც არ არის არც შემთხვევითი და არც უმნიშვნელო. უნდა ვივარაუდოთ, პირიქით, რუსთაველს სრულიად შეგნებულად, დიდი მნიშვნელობის მინიშნებით აქვს ნათქვამი შაირობის — როგორც ვთქვით, უპირველეს ყოვლისა თავისი პოეზიის შეფასებებისას, ნათქვამი გმირობა არისო, რატომ არის გმირობა კარგი ლექსი რომ დაწეროს კაცმა? რუსთაველს რომ ნდომოდა, სხვა სიტყვას მოძებნიდა, უფრო შესაფერს, მან კი ეს სიტყვა, გმირობა, იმიტომ იხმარა, რომ დარწმუნებულადა, რაც მან პოემაში თქვა, ეს არის ერთსა და იმავე დროს „სიბრძნის დარგი“, დიდი, ხანგრძლივი ამბავი და მასში მოკლედ ნათქვამია ისეთი რამ, რისი თქმაც ყველას არ შეეძლო და ამდენად გმირობას წარმოადგენდა.

ახლა დროებით შევწყვიტოთ ამაზე მსჯელობა და რუსთაველის სულ სხვა სიტყვები მოვიგონოთ:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია,  
ესე მიჩნს დიდად სახელად, აწ თავი გამიქიქია!“

იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჭიქია,  
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს მიქია“ (19).

უაღრესად გაძნელდა გაგება იმისა, თუ რას ნიშნავს: „შეფარვით მითქვამსო“. რუსთაველი თამარს შეფარვით კი არა, პირდაპირ ახსენებს — „მეფისა მზის თამარისა“, „თამარს ვაქებდეთ მეფესა“, და იქვე, იმავე შესავალში, სადაც ეს არის ნათქვამი, იმასაც ამბობს, მისი სახელი შეფარვით მითქვამსო. უფრო მეტიც, ამას იგი ამბობს იმ სტროფში, სადაც, როგორც ვნახეთ, პირდაპირ, აშკარად ლაპარაკობს, თამარის ქება მესახელებათ, „არ თავი გამიქიქიაო“. მართლაც რომ უკიდურესად ძნელი გასაგებია, რას უნდა ნიშნავდეს ეს — „შეფარვით მითქვამს“. ამის გაგება სწორედ ამიტომ გაძნელებია ისეთ მკვლევარს, რუსთველოლოგს, როგორიც არის აკადემიკოსი აკაკი შანიძე. იგი ლექსიკონში სიტყვას „შეფარვით“ ასე ხსნის „შეფარებულად“ (?). ალბათ, ზედმეტია განმარტება, რომ კითხვის ნიშანი იმის გამო აქვს დასმული გამოჩენილ მეცნიერს, რომ მან, რა თქმა უნდა იცის, რას ნიშნავს თავისთავად სიტყვა „შეფარვით“, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ მოცემულ ადგილას ამ სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარი ხდება: როგორ თუ შეფარვით, თუკი აშკარად თქვა? ასე ძნელი რომ არის ამის გაგება, იმიტომ მოხდა, ალბათ, რომ მოსწავლეთათვის განკუთვნილ გამოცემაში, სადაც თითქმის ყველა სიტყვა, მათ შორის ძალიან ბევრი ისეთი, რომლის აზრი ისედაც გასაგებია, განმარტებულია, მაგრამ ის, რაც განმარტებას მოითხოვდა, მოცემულ შემთხვევაში, სიტყვა „შეფარვით“, საერთოდ გამოტოვებულია, არ არის განმარტებული. რადგან ეს გამოცემა ვახსენე, აქვე ვიტყვი იმასაც, რომ სრულიად გაუგებარია განმარტება, რომელიც აქ ეძლევა მკითხველს, თითქოს მეფე-ქალის თამარის ფარული განდიდება ნესტან-თინათინის სახით შეენიღბოს ავტორს, შოთა რუსთაველს. რა ისეთი პოლიტიკური „ტენდენციები“, ამ განმარტების სიტყვები რომ ვიხმაროთ, უნდა ყოფილიყო ის, რომ თამარი შეფარვით შეექო პოეტს? არაფერი ჩანს იმის საბუთად, რომ ნესტანის, ან თინათინის სახეებით თამარის გამოყვანა დასაფარავი ყოფილიყო. უფრო მეტად გაუგებარი კი ის არის, რომ, თუ რუსთაველი ამას დასაფარავად მიიჩნევდა,

როგორ გათქვამდა თავის თავს და არაერთხელ იტყოდა „თამარს ვაქებდეთო?“. ამიტომ გარკვეული ლოგიკა იყო იმათ მტკიცებაში, ვინც პოემის დასაწყისსა და ბოლოს მიიჩნევდა არარუსთაველისეულად (მაგალითად, დ. კარიჭაშვილი). მართლაც, თუ პოემაში თამარი შეფარვითაა შექებული, მაშინ ის ადგილები, სადაც ეს გამჟღავნებულია, ავტორისეული არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს. საქმე იმან უფრო გაართულა, რომ ეს პოზიცია მართალი არ აღმოჩნდა და რუსთველოლოგია დღეს მას არ იზიარებს, მიაჩნიათ, რომ დასაწყისი და ბოლო ეკთვნის რუსთაველს. თანამედროვე რუსთველოლოგია ამაში მართალია. მაგრამ მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაურია, ნაწარმოებზე, სადაც აშკარადაა ნათქვამი თამარის ქებაა მოცემულიო, ვთქვათ, ეს დაფარულია პოლიტიკური მოსაზრებებითო. ვიმეორებ, ამის თქმის უფლება გვექნება მხოლოდ მაშინ, თუკი ან იმას ვიტყვით, რომ ეს სიტყვები რუსთაველს არ ეკუთვნის, ან კიდევ აშკარა შეუსაბამობას მივაწერთ რუსთაველს, ვიტყვით, რომ მას ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელი რამ აქვს ერთსა და იმავე დროს ნათქვამი.

ისე კი, „შეფარვით მითქვამს“ აშკარად მოითხოვს ყურადღებას. იგი დაკავშირებულია სხვა, ასევე თავსატეხ საკითხთან, კერძოდ, რუსთაველის იმ გამოთქმებთან, „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანებო“, „ესე ამბავი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი“, ვპოვე და ლექსად გარდავექვიო. ეს ყველაფერი ისევე გაუგებარია, როგორც თამარზე აშკარად ნათქვამის „შეფარვით თქმა“. ერთი რამ ჩვენთვის აშკარა უნდა იყოს. „ვეფხისტყაოსანში“ მართლაც არის ისეთი რამ, რაც აშკარად კი არ არის ნათქვამი, არამედ „შეფარვით“, ანუ, ბატონ აკაკის განმარტება რომ მოვიშველიოთ, შეფარებულად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსთაველს თავისი დიდებული შაირი, რომლის ერთ-ერთი ღირსება, მისივე თქმით, ის ყოფილა, რომ გრძელი ამბავი, გრძელი სათქმელი მოკლედ ითქვას, ეს შაირი გამოუყენებია საიდუმლოს ისე დასაფარავად, რომ საჭიროების შემთხვევაში ამ საიდუმლოს ამოხსნისათვის ყველაფერი იყოს მოცემული თვით ნაწარმოებში.

სხვა გზა არ არის, თანდათანობით უნდა გამოძევა დღეს

სათქმელი, ყველაფერი საამისოდაა წინამდებარე წიგნში მოხმობილი. უკვე უშუალოდ მივადექით ამ სათქმელს, უფრო სწორად, გახსნას იმ საიდუმლოსი, რომელიც რუსთაველს საკუთარ პოემაში დაშიფვრით მოუცია. მისი გაშიფვრა კი, სხვა ყველაფერთან ერთად, ამ რამდენიმე საკითხის — „შეფარვით მითქვამს“, „იხმაროს დიდი გმირობა“ (პოეტმა), „ჰქმნა მართლისა სამართლისა“, „ამბავი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი“ (ანუ „ესე ამბავი სპარსული“) ერთად მოაზრებას გულისხმობს. ეს კი, დარწმუნებული ვარ, მაშინაა შესაძლებელი, თუკი სათანადოდ გავიგებთ რუსთაველის მიერ ყოველ მოკლედ ნათქვამში ჩადებულ „გრძელ სიტყვას“. ასეთი ჩვენ რამდენიმე ვნახეთ უკვე. მაგალითად, ასეთი არ იყო, როცა ერთადერთი ფრაზის — „მეიმედა მეტისმეტად“, სწორმა გაგებამ გაგვიხსნა მრავალმნიშვნელოვანი ფაქტი — ტარიელს ექვი გასჩენია ნესტანის მიმართ, ამიტომ დადუმებულა თათბირზე. როგორც ვნახეთ, ამას დიდი შედეგები მოჰყვა. ე.ი. გრძლად ყოფილა სათქმელი, არა? რუსთაველს კი იგი მოკლე შაირში ჩაუსვია. ასევე არ იყო, პოემაში რომ არსად არ სჩანს თითქოს მოქმედი პირი, რომელსაც რუსთაველის სიტყვებით „ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატისა“ შეესაბამება, ფაქტობრივად თვალნათლივ გამოჩნდა ფარსადანის სახით და ეს ჩვენთვის ცხადი გახდა სულ ერთმა სტროფმა. ამასთან ისეთმა, სადაც საამისო არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი. კარგად რომ დავუკვირდით, პოემის სხვა ადგილებთან შევაწონასწორეთ, მაშინ აღმოჩნდა, რომ ფარსადანი ცრუობს.

ამრიგად, პოემის ამ მონაკვეთში აღმოჩნდა ყველაზე მეტი მოკლედ ნათქვამი გრძელი სიტყვა. მაგრამ არც ეს არის ყველაფერი, ასეთი ადგილი აქ უფრო მეტია, ვიდრე ჩვენ ვნახეთ.

ავიღოთ ისევ ექვიანობის ამბავი. არის რამე ნათქვამი პოემაში იმის შესახებ, თუ ვინ შეუწყო ხელი ტარიელისა და ნესტანის დაექვებას? არც ერთი სიტყვა საამისო პირდაპირ ნათქვამი პოემაში არა გვხვდება, მაგრამ პოემა ისეა დაწერილი, ანუ ისეა გრძელი სიტყვის მოკლედ თქმის მეთოდი მასში გამოყენებული, რომ ჩვენ გარკვეული რამის თქმა ამ მხრივაც შეგვიძლია. მივაქციოთ ყურადღება ორ ღეტალს. ჯერ ერთი, ტარი-

ელს რომ ეთათბირებოდნენ მეფე-დედოფალი ნესტანის გათხოვების თაობაზე, მათ ვერ შეძლეს იმის დაფარვა, რომ ეს საკითხი ადრევე წინასწარ ჰქონდათ გადაწყვეტილი. მათ გამოხედვაშიც კი შეეცნოთ ეს, რაც ტარიელმა შეამჩნია და დაასკვნა, მე რად უნდა ჩავერიო, როცა მათ წინასწარ აქვთ გადაწყვეტილი. დადუმდა ტარიელი, ხმა არ გაუღია, თანხმობა განაცხადა. ახლა მეორე დეტალი: ტარიელის თანხმობა ციმციმ, სასწრაფოდ შეიტყო ნესტანმა და, ბუნებრივია, ტარიელის ასეთმა საქციელმა მისი აღშფოთება გამოიწვია. რამე არის ნათქვამი პოემაში იმის შესახებ, თუ ვინ მოუტანა ამბავი ასე სასწრაფოდ ნესტანს? რა ვიფიქროთ? არის ისეთი ვინმე, ვინც ეს ამბავი ასე სწრაფად მიუტანა ნესტანს, როგორ უნდა შევაფასოთ? რა თქმა უნდა, რუსთაველი არც ერთ სიტყვას ამის შესახებ არ ამბობს და ჩვენც აქ გაჩერდეთ თუ, როგორც რუსთაველი გვიჩვენებს, ვეძებოთ? ვეძებოთ! ვეძებოთ ისეთ შემთხვევაშიც კი, როცა საიმედო არაფერი ჩანს. მოცემულ შემთხვევაში ძებნა წარმატებით სრულდება, კერძოდ კი შემდეგნაირად:

პოემაში ხომ გვაქვს ჩვენ სხვა სიტუაცია, როცა ასეთი ამბის მიმტანი გვხვდება. ფარსადანმა რომ შეიტყო ტარიელის მიერ სასიძოს მოკვლა, მიზეზის ძებნა არ დაუწყია. სხვათა შორის, აქაც მოკლედ ნათქვამი გრძელი სიტყვა გამოგვდის, ფარსადანი რომ პირდაპირ ადებს ხელს ნესტანისა და ტარიელის მიჯნურობას, ეს ამჟღავნებს, რომ მან მათი ურთიერთობის შესახებ ადრევე იცოდა და პოემაში რომც არ გვქონდეს ისეთი სტრიქონი „ვიცი“, „ვიცი“ და ა.შ. ჩვენ მაინც შეგვეძლოს გვეთქვა, რომ ფარსადანი ცრუობს, როცა ტარიელს უთვლის, რატომ არ გამაგებინე თუ ჩემი ქალი გიყვარდაო. მას ეს ამბავი კარგად ცოდნია და ამიტომ არის ახლა აბობოქრებული დავარის წინააღმდეგ: ჩემს თავს ვფიცავ, მას მოკვლავო. აქ სიტყვა გაგვიგრძელდება, თორემ, ესეც კარგი დეტალია. პოემაში ფარსადანი ერთადერთი მოქმედი პირია, რომელიც თავისთავს იფიცავს და მერე ამას უსათუოდ ასრულებს. და აი, ახლაც თავისი თავი დაიფიცა ფარსადანმა, მოკვლით დაემუქრა დავარს. მას დააბრალა ნესტანისა და ტარიელის გამიჯნურება. რუსთაველი აგრძელებს:

„ესე წყრომა მეფისაგან ვისცა ესმა, ვინცა იცის  
მან უამბო დავარ ჭაქსა, ვინ გრძნებითა ცაცა იცის...“ (575).  
და შემდეგ:

„დავარს, დასა მეფისასა, უთხრა ვინმე ღმრთისა მტერმან:  
„თავი ფიცა ძმამან შენმან, არ დავარჩენს, იცის ერმან“ (576)

ამრიგად, ამბავი დავარისათვის ვისაც მიუტანია, მას ბო-  
როტება ჩაუდენია, ღვთის მტრობა ჩაუდენია და ის სხვა არ  
იქნებოდა, თუ არა ვინც გაიგონა ეს ამბავი და იცოდა. ახლა  
ვიკითხოთ, ვინ მიუბრუნებინა ასე სწრაფად ამბავი ნესტანს? ცხა-  
დია იმან, ვინც იცოდა. მერედა რა ჩაუდენია ამის გამკეთე-  
ბელს? ისეთივე ბოროტება და ღვთის მტრობა, რადგან ერთ  
შემთხვევაში და მეორეშიც ამბის მიტანამ გამოიწვია საშინელი  
გაბრაზება. ამ ამბის გამო ნესტანი ისე გაბრაზდა, რომ საშინე-  
ლი სიტყვებით მიმართა ტარიელს. მიჯნურებმა კინალამ სასიკ-  
ვდილოდ აწყენინეს ერთმანეთს. პოემაში არაფერი ჩანს იმის  
თაობაზე, თუ ვინ მიუტანა ეს ამბავი ნესტანს, მაგრამ ჩვენ ხომ  
ვიცით, რომ ნესტანს ეს ამბავი უშუალოდ ან გაშუალებით  
იმათგან უნდა მოსვლოდა, ვინც დაინტერესებულთა, რომ ნეს-  
ტანმა ეს გაიგოს და აღშფოთდეს. პირდაპირ ვთქვათ, პოემაში  
მეფე-დედოფლის გარდა, ასეთი არავინ ჩანს. მეფე-დედოფალი  
კი, რაკი მათ გადაუწყვეტიათ ნესტანის სხვაზე გათხოვება, არ  
შეიძლება არ ყოფილიყვნენ დაინტერესებული იმით, რომ ისი-  
ნი ერთმანეთის მიმართ დაექვებულიყვნენ. ტარიელის დაექვე-  
ბა, როგორც ვნახეთ, მაშინ მოხდა, როცა ის მიხვდა, ეს საკი-  
თხი მეფე-დედოფალს ადრე ჰქონიათ გადაწყვეტილიო. და მა-  
შასაღამე, დაუშვა, რომ, შესაძლოა, ნესტანი თანახმა არის გა-  
თხოვებაზე. ამის გამო იარაღაყრილი ტარიელი დადუმდა თათ-  
ბირზე. ნესტანი კი მაშინ გაცოფდა, როცა ტარიელის დუმილი  
გაიგო. რა ვიფიქროთ? ვისი ნახელავია ეს ყველაფერი? გვაქვს  
თუ არა უფლება ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს დიდი ხელოვნე-  
ბით შესრულებულ სამეფო კარის ინტრიგასთან. თუ ასე არ  
ვიფიქრებთ, მაშინ სხვა რა უნდა ვიფიქროთ? და თუ ამ ინტრი-  
გას არ მოჰყვა ზუსტად ის შედეგი, რაც ჩაფიქრებული ჰქონი-  
ათ და ნესტანი და ტარიელი მხოლოდ მცირე დროით დაემო-  
წინ დაექვებას, ეს, რა თქმა უნდა, არ არის ამ ინტრიგის ავტო-

რთა დამსახურება. პოემა ისეა ჩაფიქრებული, რომ აქ მიჯნურობამ, სიკეთემ უნდა დაძლიოს ბოროტება.

რუსთაველის გენიას არ შეიძლებოდა გამორჩენოდა და არც გამორჩენია ის დიდი კონფლიქტები, რაც სახელმწიფო სასახლეებში ხდებოდა და დაკავშირებული იყო უპირატესად ტახტის დაუფლებასთან ან სხვა სახის ბრძოლებთან. „ვეფხისტყაოსანში“, როგორც უკვე ნაწილობრივ ვნახეთ, დიდებული პანორამული სურათი პქონია მოცემული რუსთაველს და სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან საქართველოს მეფეთა კარი, როგორც საერთოდ მეფეთა კარი, არ აისახებოდა სწორად, თუ ეს კონფლიქტები და ბრძოლა არ გამოჩნდებოდა. სულ სხვა საკითხია, ავტორი იწუნებს თუ არ იწუნებს, ასე ვთქვათ, ცხოვრების ამგვარ წესს, ადამიანთა შორის ამგვარ დამოკიდებულებას. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რუსთაველი არ უჭერს ამას მხარს, ჰგმობს კიდევაც და ამიტომ არის, ალბათ, რომ მას მეფის კარის ორი მოდელი აქვს მოცემული: რეალურად არსებული ბოროტების ამსახველი მეფე ფარსადანისა და იდეალურის ამსახველი მეფე როსტევეანისა. მხოლოდ ასეთი მიდგომის შემთხვევაში გახდება ჩვენთვის გასაგები, თუ რატომ დასჭირდა რუსთაველს ორი, ერთი შეხედვით, გარეგნულად სრულიად ერთმანეთის მსგავსი სამეფო კარი დაეხატა. როგორც ვნახეთ, შინაგანად და არსებითად ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

ჩვენ ახლა მივედით ისეთ საკითხამდე, რომელიც არაფრით შეიძლება არ დაისვას და თუ დაისვა, უსათუოდ უნდა გადაწყდეს. ამის გარეშე ერთი არსებითი რგოლი დაგვაკლდება. ეს საკითხი ასეთია: აქვს თუ არა რუსთაველს სათანადოდ მოტივირებული ფარსადანისა და დედოფლის სამეფო ინტრიგა, ტარიელის წინააღმდეგ მიმართული? აქაც ის უნდა ითქვას, რომ ნაწარმოებში პირდაპირ ნათქვამი არაფერია საამისო, ხოლო იმ ცნობილი „მოკლედ ითქმის“ მეთოდით საკმაოდ კარგად არის ნაჩვენები, თუ რამ გამოიწვია მეფე-დედოფლის ასეთი საქციელი.

ამ რთულ კითხვაზე პასუხს გვაძლევს შემდეგი მომენტების გათვალისწინება. როგორც ვიცით, ნესტანმა იმთავითვე მოით-

ხოვა საგმირო საქმე ტარიელისაგან, თანაც ეს საქმე ინდოეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის საქმეა. ტარიელი და-თანხმდა და განახორციელა კიდეც — დალაშქრა ხატაეთი, გამართა დიდი ომი, კვლავ დაიმორჩილა ურჩი ხატაელები და განადიდა ინდოეთის სახელმწიფო ძლიერება. მთელი ეს სურათი ისეა დახატული „ვეფხისტყაოსანში“, რომ არსად ჩანს, იცის თუ არა ეს მეფე ფარსადანმა. შეატყობინა თუ არა ტარიელმა, უფრო მეტი, შეუთანხმა თუ არა ფარსადანს, კიდეც უფრო მეტი: მისი — მეფის ნებით — გადაწყვეტილებით მოხდა თუ არა ეს ყველაფერი? ეს კი მხოლოდ და მხოლოდ ასე უნდა მომხდარიყო. თვითმპყრობელი მეფის ხელისუფლება სხვაგვარად წარმოუდგენელია და პოემაში ერთი სიტყვაც კი არაა ნათქვამი იმის შესახებ, რომ ასე მოხდა, ე.ი. მეფის ნება-სურვილით მოხდა ეს. უფრო მეტი, არაფერია ნათქვამი იმის შესახებაც, იცოდა თუ არა მეფემ — ტარიელის — ინდოეთის ამირბარის და, ამავე დროს, ამირსპასალარის (მხედართმთავრის) მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ? ყველაფრიდან ჩანს, რომ მან ეს არ იცოდა. ტარიელი ყვება თავის ამბავს:

„ვუბრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზაპანია“ (402,1)  
ან კიდეც:

„აღვმართე დროშა მეფისა აღმითა წითელ-შავითა,  
დილასა ვბრძანე გამართვა ლაშქრითა უთვალავითა“ (404)  
კიდეც:

„დილასა შევქე, ვუბრძანე, ჰკართ ბუკსა და ნობასა!“ (420,1)  
ყველგან ისაა ნათქვამი, რა ბრძანა მხედართმთავარმა ტარიელმა და არსად არის მეფის ბრძანება. აშკარაა: მეფის გარეშე მომზადდა და განხორციელდა ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე. მართალია, ის დასრულდა სრული გამარჯვებით, ამას რაიმე ზიანი არ მოჰყოლია სახელმწიფოსათვის, მაგრამ ჩატარდა მეფის დაუკითხავად.

მძიმე სიტუაციაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ტარიელი იძულებულია ასე მოიქცეს, მას არა აქვს უფლება გაამყდავნოს ნესტანი, რომელმაც მას ეს უბრძანა, მაშინ ნათელი შეიქმნება, რომ უბრალოდ მძიმე კი არა, დრამატული სიტუაციაა. სულაც შეგვეძლო გვეთქვა — ტრაგიკულიცააო,



რადგან ჩვეულებრივ ასეთი კვანძი ტრაგედიების სიუჟეტისათვის იკმარებდა.

ტარიელმა, თქმა არ უნდა, იცის ამის შესახებ. ამიტომ არის, ალბათ, რომ ხატაელებთან ომის დამთავრების შემდეგ წერილს წერს მეფე ფარსადანს:

„წიგნი დავწერე: მეფეო, სვემცა არს თქვენი სვიანად!  
მე ხატაელთა მიმუხთლეს, — თუმცა მათ ეცა ზიანად,—  
ჩემი ამბავი დასტური ამაღ გაცნობე გვიანად;

მეფე შევიპყარ, მოგივალ მე ალაფიან-ტყვიანად“ (463).

აშკარაა, რომ ტარიელი აქ, მიუხედავად დიდი გამარჯვებისა, მაინც ბოდიშობს მეფის წინაშე და თავს იმართლებს, თუ რატომ შეატყობინა მას ეს ამბავი დაგვიანებით. დაგვიანებული კი მართლაც არის და არა მარტო იმ აზრით, რომ მეფემ საკუთარი ლაშქრის ამბავი გვიან გაიგო, არამედ იმ აზრითაც, რომ ტარიელის ბოდიში უკვე მისთვის არის დაგვიანებული. რას ვგულისხმობ ამაში? იმას, რომ მეფე-დედოფალს ტარიელის საქციელმა — მეფის ნების გარეშე ლაშქრის საომრად წვევამ — ყველაფრიდან ჩანს, მისცა საბაბი მის მიმართ დამოკიდებულება შეეცვალათ. ამ დროს ჩაისახა, ეტყობა, ნესტანის სხვაზე გათხოვების აზრი. ეს პერიოდი — ტარიელის საომრად ყოფნის პერიოდი გამოუყენებიათ მეფე-დედოფალს სასიძოს გამოსაძებნად. უბრალო ამბავი ხომ არ ხდებოდა, ინდოეთის მომავალ პატრონს ეძებდნენ. ამას მისვლა-მოსვლა, გაკითხვ-გამოკითხვა, ზუსტი ცნობების შეგროვება სჭირდებოდა. სჭირდებოდა არა მარტო ინდოეთის მეფე-დედოფლისათვის, არამედ იმ კანდიდატურასაც დასჭირდებოდა დრო, ბრმად ვერც ისინი მოიქცეოდნენ. მათაც უნდა შეეტყუათ ყველაფერი დეტალურად. აი საამისო დროდ გამოიყენეს ტარიელის სამი თვით ომში ყოფნა და როდესაც ტარიელი დაბრუნდა, მისი ბედი უკვე შავად იყო გადაწყვეტილი. თვითონ მიჯნურებმა, რა თქმა უნდა, ამის შესახებ არაფერი იციან, გახარებულნი არიან, ტარიელი განაგრძობს თავის ამბის მოყოლას გამოქვამულში:

„ერთხა კაცსა ეყოფოდეს დიდებანი რომე მჭირდეს“ (454,1)

მხოლოდ სიხარულს ამქლავნებენ მეფე-დედოფალიც, ან სხვა რა უნდა იყოს, როცა:

„რამაზ მეფე მას წინაშე შებურობილი მოვიყვანე;  
ტკბილად ნახა ხელმწიფემან, ვითა შვილი სააკვანე.  
ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავამგვანე,  
ესე არის მამაციისა მეტისმეტი სიგულვანე!“ (468)

მეფე-დედოფალი ისე დახვდნენ ტარიელს, თითქოსდა არც  
არაფერი მომხდარიყოს:

„მოვიდა კაცი მეფისა, ცისკრობს, არ დანაღამია;  
ებრძანა: „შენგან გაყრილვარ, მას აქათ თვეო სამია,  
მინდორს მოკლული ისრითა ნადირი არ მიქამია,  
არ დამაშვრალხარ, წამოდი, თუცა დაშვრომის უამია“ (473)

აღტაცებულია ტარიელი:

„შევეკაშვე, დარბაზს მივე, დამხვდა ჯარი ავაზისა“ (474,1)

მეფე-დედოფალი არაფერს იმჩნევენ:

„იღუმალ ცოლსა ეუბნა, მართ ჩემგან უცოდნელია:  
ომით მოსრული ტარიელ საჭკრეტლად სასურველია,  
მან განანათლოს მჭკრეტელთა გული, რაზომცა ბნელია,  
რაცა დაგვედრო საქმნელად,

ქმენ, არა საზოზღნელია“ (475)

„აწ მითქვამს საქმე უშენოდ, შენცა ცან ესე მცნებული,  
რათგან ქალია სამეფოდ ჩვენგანვე სახელ-დებული,  
ვინცაღა ნახავს, აწ ნახოს, აჰა დღე, ედემს ხლებული,  
გვერდსა დაისვი, ორნივე სრას დამხვდით,

მოვალ შევებული“ (476).

საოცარი გადაწყვეტილებაა. მეფე-დედოფალმა იციან ნეს-  
ტანისა და ტარიელის მიჯნურობის ამბავი, როგორც ამაში  
ზევით დავრწმუნდით, მათ გადაწყვეტილი აქვთ, ისინი სამუდა-  
მოდ დააშორონ ერთმანეთს, სულ რაღაც ორიოდ დღის შე-  
მდეგ ამ განაჩენს პირში ეტყვიან ტარიელს, ახლა კი მათ ერთ-  
მანეთის გვერდით სვამენ, რაც საჯაროდ ჭერ არ მომხდარა.  
მეფემ და ტარიელმა ინადირეს ამის შემდეგ. შემდეგ ინადიმეს.  
ტარიელი და ნესტანი გვერდით უზით მეფე-დედოფალს.

„შეიქმნა სმა და პურობა, მსგავსი მათისა ძალისა“ (483,1).

იმღერეს და ილხინეს, ტარიელი დაასაჩუქრეს და არსად  
საეჭვო არაფერი გამოკრთა, ორი დღის შემდეგ დაიბარებენ  
ტარიელს და გამოუცხადებენ საშინელ გადაწყვეტილებას:

„აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,  
რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახელ ჩვენად გამოვსახოთ,

სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ,  
არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა

ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ“ (509)

რა არის ამით ნათქვამი? მარტო ის, რომ ტარიელი ნესტანს ველარ შეირთავს? არა. ამით სრულიად გარკვევით არის ნათქვამი ისიც, რომ ინდოეთს სხვა პატრონი, სხვა მეფე ეყოლება. დავუშვათ, მეფე-დედოფალმა არაფერი იცოდნენ ტარიელისა და ნესტანის მიჯნურობის შესახებ და გადაწყვეტილება ასე ჰქონდათ მიღებული, მაგრამ შეიძლება დავუშვათ, რომ მათ არაფერი იცოდნენ ტარიელის სამეფო პრეტენზიების შესახებ? ეს ყოვლად დაუშვებელია:

ტარიელი თავისთავს ინდოეთის მეფეს ეძახდა:

„ამირბარი ვარ, ხელმწიფე, სრულად ინდონი მმონებენ“.

მაგრამ იქნებ ეს გადაქარბებული ნათქვამია, იქნებ ასე ეჩვენება გამიჯნურებულ ტარიელს და საამისო საფუძველი კი იქნებ არ იყოს? ნამდვილად კი, ეს ასე არ არის.

დავიწყოთ იქიდან, თუ რატომ გადაწყვიტა ტარიელის მამამ ერთ-ერთი სამეფოს თვითმპყრობელმა მეფემ სარიდანმა მისი სამეფო შეეერთებინა ფარსადანისათვის — „ფარსადანს შევეწყნარებო“. რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება მეფემ? ნაწარმოებიდან არ ჩანს, რომ მას რაიმე განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი გასაჭირი ჰქონოდა და ამიტომ ყოფილიყო იძულებული შეეთარებინა თავი ძლიერი სამეფოსათვის, მართალია, დამოუკიდებლობის დაკარგვის ხარჯად, მაგრამ სამეფო გადაერჩინა. ასეთი გამანადგურებელი მტრები მას არ ჰყავდა და, მაშასადამე, მეტად უცნაურად მოჩანს პატრიოტიზმით აღსავსე პოემაში მეფე რომ იძულების გარეშე, თავისი ნებით დამოუკიდებლობას თმობდეს.

სარიდანი — ეს კი ჩანს აშკარად პოემაში — დიდებული ვაჟკაცი იყო, მებრძოლი, ყოველმხრივ ღირსეული და ამ ღირსეულ კაცს, ამ ღირსეულ მეფეს შორსმპყვრეტელური გადაწყვეტილება აქვს მიღებული. მან იცის, რომ ინდოეთის გაერთიანებულ სამეფოს მემკვიდრე არ გააჩნია. მისი სამეფოს მიერთებით საკუთარ შვილს, ტარიელს ხდის სრულიად ინდოეთის კანონიერ მემკვიდრედ და, ცხადია, ამით არც მისი საკუთარი

სამეფო უნდა დარჩეს ზიან-მიყენებელი. ასე უნდა წავიკითხოთ ჩვენ სარიდანის გადაწყვეტილება. მიუხედა თუ არა ფარსადანი სარიდანს? პოემაში აშკარადაა ნათქვამი, თუ როგორი აღტაცებით შეხვდა ფარსადანი სარიდანის გადაწყვეტილებას. მას სრულიად ინდოეთის ამირბარობა უბოძა, რაც აგრეთვე ნიშნავდა ამირსპარსალარობას, ანუ მხედართმთავრობას. ამას რუსთაველი ხაზგასმით ამბობს:

„ფარსადან შექმნა ზეიმო ამა ამბისა მცნობელმან.

შესთვალა: „ღმერთსა მადლობა

შევსწირე ხმელთა მფლობელმან,

რათგან ეგე ჰქმენ მეფემან, ჩემებრ ინდოეთს მჭდომელმან.

აწ მოდი, ასრე პატივ გცე,

ვითა ძმამან და მშობელმან“ (315).

„ერთი სამეფო საკარგემო, უბოძა ამირბარობა.

თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირ-სპარსალარობა.

მეფე რა დაჰდა, არა სჭირს ხელისა მიუშვტარობა;

სხვად პატრონია, მართ ოდენ არა აქვს კეისარობა“ (316).

აქ უკვე კარგად ჩანს, რომ ამირბარი იგივე პატრონია ინდოეთისა და, მაშასადამე, ტარიელი რომ ამბობს ინდოეთის პატრონი ვარო, რადგან ამირბარი ვარო, ეს სრულებითაც არ არის უსაფუძვლოდ ნათქვამი. დავუბრუნდეთ იმ საკითხს. ფარსადანი ამაჟობს თავისი ამირბარით:

„თვით მეფემან შამა-ჩემი, დაიჭირა სწორად თავსა,

თქვა: „ჩემებრი ამირბარი, ნაძლევი ვარ,

ვისმცა ჰყავსა!“ (317).

ფარსადანმა იქნებ ვერ გაიგო სარიდანის ჩანაფიქრი, იქნებ ვერ მიხვდა, რომ ტარიელი ინდოეთის მემკვიდრე უნდა გამხდარიყო? არა, ფარსადანმა თავიდანვე ყველაფერი კარგად გაიგო.

„ძე არ ესვა მეფესა და დედოფალსა მზისა დარსა,

მეფემ ბრძანა: „შვილად გავზრდი,

თვით ჩემივე გვარი არსა“ (318).

მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად,

საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,

„ბრძენთა მიმცეს სასწავლელად

ხელმწიფეთა ქცევა ქმნათად;

მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად,

ლომსა ნაკეთად“ (319).

აქვე ტარიელი იმოწმებს ასმათს: „ასმათ, მითხრობდი, რა-  
ცა სცნა ჩემგან ამბობა ცილისა“.

ამრიგად, ტარიელსაც, მით უფრო, მამამისს სარიდანს ისე-  
ვე ჰქონდათ გაგებული ეს ყველაფერი, როგორც მეფე-დედო-  
ფალს. ამას კიდევ უფრო ადასტურებს ის ამბავი, რომ როცა  
ნესტანი შეეძინათ, ხოლო ტარიელი წამოიზარდა, ისე, რომ  
„შეძლო შესვლა ომსა“, ტარიელი ამბობს: „მამსავე ხელთა  
მიმცეს“ და მიუხედავად ამისა „თხუთმეტისა წლისა ვიყუე, მეფე  
მზრდიდა ვითა შვილსა“. მალე ტარიელის მამა გარდაიცვალა  
და ფარსადანმა სარიდანის თანამდებობა — ამირბარობა, მიუ-  
ხედავად ტარიელის წინააღმდეგობისა, მაინც მას მისცა.

სხვა რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ფარსადანმა ხომ  
შესანიშნავად იცის ის, რომ ტარიელი ერთ-ერთი სამეფოს მე-  
ფის შვილია. ამ სამეფოზე და მის მეფეზე თვითონვე ამბობს:  
„რადგან ეგე ჰქმენ მეფემან, ჩემებრ ინდოეთს მჭლომელმან“  
(315,3), მასავით ინდოეთის მეფე იყო სარიდანი, ერთ-ერთი სა-  
მეფოს მეფე. ეს სამეფო ახლა გაერთიანებულია სრულიად ინ-  
დოეთში და მისი მემკვიდრე არის ტარიელი. ამიტომ ტარიე-  
ლის ტახტის მემკვიდრეობის პრეტენზიები სრულიად საფუძვ-  
ლიანია. როცა ნესტანის განრისხება მოისმინა ტარიელმა და  
იმედი მიეცა ნესტანს ვყარებივარ, გათხოვებაზე შეთანხმებუ-  
ლი არ ყოფილაო, იგი პირდაპირ ამბობს:

„არ იცის, თუ ინდოეთი უპატრონოდ არ გამხდარა?!“

ტარიელ არს შემამულე, სხვასა ჰმართებს არად არა,  
ვის მოიყვანს, არა ვიცი, ანუ იგი ვინ მომცდარა?“ (534).

სხვათა შორის, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ნესტანის შეგუ-  
ლიანებით კი არ მოქმედებდა ტარიელი, როგორც ხშირად ამ-  
ტკიცებენ, არამედ მას იმთავითვე, ნესტანის აზრის გაგებამდეც  
კი ჰქონდა გადაწყვეტილი ინდოეთი არავისთვის მიეცა. ნესტა-  
ნმა მას კონკრეტული გზა უჩიო — მიპარვით მოკვლა სასიძო-  
სი, რადგან ყველაზე ნაკლებ სისხლისმღვრელი და ინდოეთის  
სახელმწიფოსათვის ნაკლებ სახიფათო ეს გზა ჩანდა. სხვა მხრივ  
შეიძლებოდა, ამბობს ნესტანი, გონებადამჭდარ მეფესავით სჯის  
სახელმწიფოს საქმეს, მამაჩემი და შენ ერთმანეთს წაგვიდოთ  
და ინდოეთი დაიღუპებაო. აი, ამიტომ იყო ეს საქმე „ქმნა მარ-

თლისა სამართლისა“. ეს რუსთაველის პოზიციაა. ამიტომვე ათქმევინებს რუსთაველი ტარიელს:

„უსისხლოდ მოვკალ იგი ყმა,

თუცა ხმდა სისხლისა დენით“ (557,4).

ზევით ვნახეთ, თუ საიდან გაჩნდა რუსთაველოლოგიაში აზრი იმის თაობაზე, სხვარაზმშას შვილი იყო თუ არა ბრალდებული, დამნაშავე. როგორც ითქვა, რუსთაველი თვითონ იძლევა ამ საკითხის დასმის საბაბს, მაგრამ ის სტროფი რომ კარგად გავაანალიზეთ, სასიძოს უდანაშაულობა ანუ ტარიელის მიერ უდანაშაულო სისხლის დაღვრა ფარსადანის ერთ-ერთი სიც-რუის შედეგი აღმოჩნდა.

რუსთაველოლოგიაში ამ საკითხზე პროფესორ ვ. აბაშმაძის მართებულ პოზიციას უმართებულოდ ეკამათება პროფესორი ე. ხინთიბიძე. პროფესორი ვ. აბაშმაძე ამ საკითხზე არსებითად მართებულად მსჯელობს. მართალ-სამართალს ღვთაებრივ სამართლად მიიჩნევს და სასიძოს მოკვლაში ნესტანისა და ტარიელის უდანაშაულობას ამტკიცებს\*. ამის თაობაზე ე. ხინთიბიძე წერს: „როგორ შეიძლება ღვთაებრივ სამართლად მივიჩნიოთ იმ პერსონალურად უდანაშაულო სასიძოს მოკვლა, რომელიც ინდოეთში მიდიოდა მეფის მიპატიჟებით, რომლის ინდოეთში ჩასიძება სახელმწიფოს ვეზირთ დასტურით ხდებოდა და რომელმაც არაფერი იცოდა ნესტანისა და ამირბარის სიყვარულის თაობაზე.

ჩვენი ამ მითითების პასუხად ვ. აბაშმაძემ სცადა ხელმეორედ დაესაბუთებინა, რომ სასიძო დამნაშავე, „ბრალეული“ იყო (ამთავითვე უნდა შევნიშნოთ: სასიძოს ბრალეულობა-უბრალეობის საკითხი „ვეფხისტყაოსანში“ სასიძოს უდანაშაულობის, უბრალეობის სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი). ფარსადანი ტარიელს შემოუთვლის:

„ხვარაზმშას სისხლი უბრალო

სისხლად რად დამადებინე?“ (562).

\* იხ. ვ. აბაშმაძე — „მართალი-სამართლის ცნება ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებაში“ 1977 წ. თსუ „შრომები“, 119. ვ. აბაშმაძე, ნარკვევი პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან. ტ. II, თბ. 1977. გვ. 392-394. ვ. აბაშმაძე „მართალი სამართლის“ გაკებისათვის. თსუ შრომები, 1971, I(38).

ეს არის ერთადერთი წინადადება, რომელიც პოემაში სასიძოს დანაშაულობა-უდანაშაულობის შესახებ არის ნათქვამი. პოემაში არ გვხვდება არავითარი მითითება იმაზე, რომ რუსთაველი არ ეთანხმებოდეს ფარსადანის ამ აზრს. ფარსადანისადმი გაგზავნილ პასუხში ტარიელი არ აპროტესტებს განცხადებას „ხვარაზმშას უბრალოებაზე“, იგი თავის გასამართლებლად სხვა მოტივებს წამოაყენებს. ამ პირობებში სასიძოს ხელახალი გასამართლება, ახლებური საბრალდებულო დასკვნის გამოტანა — სასიძოს დამნაშავედ, ბრალეულად მიჩნევა და შემდეგ ამაზე დაფუძნებით პოემის საექვო ტერმინის „მართალი სამართლის“ — კვლევა მეთოდოლოგიური შეცდომაა.\*

ე. ხინთიბიძე ემყარება რუსთაველის იმ ერთადერთ გამოთქმას, ფარსადანმა რომ შეუთვალა ტარიელს — უბრალო კაცის სისხლი რატომ დამადებინეო. ის სტროფი ზევით გავარჩიეთ და ვიცით ამ გამოთქმის ფასი. რაც შეეხება იმას, ტარიელმა არ გააპროტესტაო, ეს მეტად უცნაურია. ტარიელმა გააპროტესტა კი არა, მოკლა კიდევაც. თან ისიც თქვა, როგორც ვნახეთ ზევით, ჩემგან სხვაგვარი სიკვდილის ღირსიც იყოო, ხოლო ფარსადანს შეუთვალა:

„იცით, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია!  
 ერთილა მე ვარ მემკვიდრე, — ყველაი თქვენ მოგხდომია :  
 ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია;  
 სამართლით ტახტი უჩემოდ არავის მისახდომია!“ (564).  
 „ვერ გათნევ თქვენმან კეთილმან, აწ ეგე არ-მართალია:  
 ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გიზის ერთაი ქალია.  
 ხვარაზმშა დაჰსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალა?  
 სხვა მეფე დაქდეს ინდოეთს,  
 მერტყას მე ჩემი ხრმალა?!“ (565).

ტახტისათვის ბრძოლის ისტორიები, რაც კი აღწერილია, ყველას რომ თავი მოუყარო, ამაზე მკაცრად გამოთქმულ პროტესტს, ალბათ, ვერსად იპოვი! ხინთიბიძე, ალბათ, იმას დაუიმედებია, რომ ტარიელის ამ პასუხში არ გაისმის სიტყვა „ბრალი“ (დანაშაული), მაგრამ რატომ არ უნდა მიექცეს ყურადღე-

\* იხ. ელენჯი ხინთიბიძე — „მსოფლმხედველობით პრობლემები“ „ვეფხისტყაოსანში“, 1975 წ., გვ. 266.

ბა იმას, რომ სასიძოს მოკვლის გადაწყვეტის დროსაც სამართალი ფიგურირებდა, და აქაც, ტარიელის ამ პასუხში ორჯერ არის ეს სიტყვა ნახმარი. ტარიელი პირდაპირ ეუბნება მეფეს „ხელმწიფე ხამს მქმნელი სამართალისა“ და, მაშასადამე, იგი დარწმუნებულია, რომ მას უსამართლოდ ართმევენ ტახტს. „სამართლით ტახტი უჩემოდ არავის მისახდომია!“ საკითხი ირჩევა, ინდოეთში ინდოელი იყოს მეფედ თუ სხვა. პოემაში გამოთქმულიც კი არის, სპარსელს არ ვაქმევთ ინდოეთსაო. იქნებ სადმე შეხვედრია პროფესორ ე. ხინთიბიძეს, ასეთ დროს რომ უსამართლო პრეტენდენტს მოიშორებენ თავიდან, ამის გამო ვინმე გაესამართლებინოთ!?

უმართებულოდ ედავება ე. ხინთიბიძე ვ. აბაშმაძის მტკიცებას:

სასიძოს ის მაინც უნდა სცოდნოდა, რომ თავისი მოქმედებით სამეფო ტახტს ართმევდა კანონიერ მემკვიდრეს. ნამდვილად ასეა. ეს არც უნდა იყოს სადავო. შეიძლება მეტის თქმაც: მართალია, პოემაში არსად წერია, იცოდა თუ არა სასიძომ ტარიელის მემკვიდრეობის ამბავი, მაგრამ განა საჭიროა, ეს პირდაპირ ეწეროს სადმე? განა უეჭველი არ არის, რომ ეს იქამდეც კი ეცოდინებოდა, სანამ მას სასიძოდ ამოირჩევდნენ. მით უფრო მას შემდეგ, როცა ეს საკითხი დადგა და ხვარაზმის ანუ სპარსეთის შაჰის კარზე დეტალურად ექნებოდათ შესწავლილი სად აგზავნიდნენ შვილს სასიძოდ. ვიმეორებ: მეზობელ სახელმწიფოებს ერთმანეთის ასეთი მთავარი კი არა, უმნიშვნელო ამბებიც სცოდნიათ. რუსთაველი, რა თქმა უნდა, გული-სხმობს, რომ ჩვენ ამას სწორედ ასე გავიგებთ და ამოვიკითხავთ მისი პოემიდან.

უყურადღებოდ არ შეიძლება დავტოვოთ ის, რომ ნესტანი ტარიელს ურჩევს, მამაჩემს ნუ ეტყვიო ჩვენი სიყვარულის შესახებ. ტარიელმა ეს დაიჯერა — „ესე მეტად მომეწონა თათბირი და გამორჩევა“ (346,1). ასეც მიმართა ფარსადანს:

„შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე“ (566,1).

რატომ იყო საჭირო ეს ყველაფერი? ეს ასე მკაფიოდ რომ გამოთქვა რუსთაველმა, ამით რისი თქმა სურდა? ერთადერთი, რაც აქ ხაზგასმულია, ის არის, რომ ტარიელი არის კანონიერი



მემკვიდრე და სხვისი მოწვევა ამ ტახტზე არის უსამართლობა. მოვუსმინოთ რუსთაველს:

„იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა, ჩემსა მამასა,  
ჰკადრე, თუ: „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჰამასა,  
ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა ღრამასა“ (544).

თუ საქმე გაპროტესტებაზე მიდგება, მაშინ ის უნდა ვიკითხოთ, რატომ არაფერი თქვა ამის წინააღმდეგ მეფე ფარსადანმა? ვიკითხოთ ისიც, ხვარაზმშას ძემ არ იცოდა, თუ ვინ არის მემკვიდრე ინდოეთში, ვის ეცილება იგი ტახტს?

ამიტომ იყო „ქმნა მართლისა სამართლისა“ ასეთი მეტოქის თავიდან მოშორება ზედმეტი სისხლისღვრის გარეშე, რაც მოხდა კიდეც.

ახლა კი თავისთავად გამოვლენილ ერთ ფაქტს მივატყობთ ყურადღება. ამ საკვანძო კონფლიქტთან დაკავშირებით, სულ ცოტა 3-ჯერ მაინც ითქვა სიტყვა „სამართლიანი“. უფრო სწორად, ის ითქვა, რომ ფარსადანის გადაწყვეტილება არასამართლიანია. ადრე ზომ იყო ნათქვამი, რომ რუსთაველმა ეს ორი მეფე როსტევეანი და ფარსადანი თითქოს ერთნაირად რომ დაახასიათა, ფაქტობრივად ზოგი რამ გამოუტოვებია ფარსადანისათვის მიცემულ დახასიათებაში. როსტევეანის მიმართ ნათქვამი იყო „მოსამართლე და მოწყალე, მორკმული, განგებიანი“, სადაც განგებიანი უბრალოდ გამგებელს კი არა, განგებით გამგებელს, ე.ი. ღვთისნიერად საკითხის გადამწყვეტს ნიშნავს. ფარსადანის მიმართ, როგორც ვნახეთ, ეს მოსამართლე, მოწყალე, განგებიანია გამოტოვებული. დავასკვნით მაშინ, რომ ამ მეფეების დახასიათებაში რუსთაველი დიდ განსხვავებას უშვებს. ახლა ვნახეთ, რომ რუსთაველს მართლაც ის კი არ გაუკეთებია, რომ ფარსადანის მიმართ არ უთქვია „სამართლიანი“, არამედ მისთვის პირდაპირ უსამართლო საქციელი დაუბრალებია.

ეს ყველაფერი ასე გამოჩნდა, რომ გავიგეთ რუსთაველის მიერ მოკლედ ნათქვამი გრძელი სიტყვა. გამოვლინდა სიუჟეტის დიდი, ერთი შეხედვით დაფარული ნაწილი. ეს იყო, ალბათ, ის დიდი სათქმელი, რომლის გრძლად თქმა რუსთაველს არ შეეძლო და რომელიც მან თქვა უპირატესად „შეფარვით“, ამ შეფარვით ნათქვამში შემდეგისათვის გამოჩნდა კიდეც „თა-

მარის ქებაც“, „შეფარვით“ ნათქვამი ქება.

ამრიგად, ეს აღმოჩნდა სიუჟეტის თითქმის უხილავად ჩამალული მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის გამომჟღავნებამ დრამატიზმით აღსავსე სურათი წარმოგვიდგინა. დრამატიზმს კი არა, ტრაგედისაც ეყოფაო, ზევით ითქვა. ეს რომ მართლა ასეა, ამისთვის ზოგიერთი რამ უნდა ვნახოთ, აშკარა რომ არ არის, მაგრამ ნაწარმოებში ისეა მოცემული, რომ ყურადღებას იქცევს. მეშინია, თორემ აქ ყველაზე მისადაგებულად ჩანს რუსთაველის სიტყვები იმავე შაირობის გამო ნათქვამი — „ვინცა ისმენს კაცი ვარგი“, ჩვენც რამ უნდა შეგვიშალოს ხელი, ვივარგოთ და კიდევ რამდენიმე მომენტი გამოვავლინოთ.

ფარსადანმა ტარიელს სამი კაცი, სამი დიდებული გაუგზავნა, ასე დიდი პატივით შეუთვალა ის. რაც ჩვენ გავარჩიეთ და ვნახეთ, რომ ის ცრუობდა. მაგრამ ნუთუ ეს საკმარისია და მეტი არაფერი უნდა ითქვას აქ? ფარსადანი, როგორც ეს ბრძნულად იწინასწარმეტყველა ნესტანმა, მძიმე მდგომარეობაშია. მას უკვე ფაქტობრივად ჩაეშალა ჩანაფიქრი, მოყვანილი სასიძო მკვდარია და ამას არაფერი ეშველება, აქეთ კიდევ ტარიელმა გამოამჟღავნა პრეტენზიები. ასეთ მდგომარეობაში მყოფ მეფეს იქნებ სულაც ის უნდოდა, რომ შემოერიგებინა ტარიელი. მართალია, ფარსადანი ცრუობდა, როცა ამბობდა, „არ ვიცოდი ჩემი ქალი თუ გიყვარდაო“, მაგრამ ამაში ის აზრიც შეიძლება ამოვიკითხოთ, რომ ახლა გავიგე და მოდი, ახლა სხვაგვარად გადავწყვიტოთ; ნესტანი ხომ ეუბნებოდა ტარიელს, „აქეთ შემოგებხვეწებო“. იქნებ ეს სურდა ფარსადანს და ამიტომ გამოგზავნა სამი დიდებული? თუ ეს ასეა, საქმის ვითარება უფრო დრამატულია, რადგან ეს მისი შემობრუნებაც განწირულია, რადგან ნესტანი გადაკარგულია.

კიდევ არის ერთი მომენტი, რომელიც სიუჟეტს უაღრესად ამძაფრებს. მხედველობაში მაქვს შემდეგი: ნესტანის პირველი ნახვის გამო ტარიელი ასე უყვება ავთანდილს:

„დღესა ერთსა მე და მეფე მოვდიოდით, გვენადირა;  
მიბრძანა, თუ „ქალი ვნახოთ“, ხელი ხელსა დამიჭირა“ (340).

ამის შემდეგ რაც მოხდა, ვიცით. წავიდნენ. ამირბარმა დურუჯები მიართვა. მეფე შევიდა ნესტანთან. ვიცოდი, სხვისი შე-

სვლა არ უნდოდა და მე გარეთ გავჭერდიო, ამბობს ტარიელი. ასმათს ფარდა ჩამოუცურდა მოულოდნელად. ნახა ნესტანი და ტარიელს გული წაუვიდა. მაშასადამე, შემთხვევით ნახა, მაგრამ რას ნიშნავს ის „ქალი ვნახოთ“ და „ხელი ხელსა დამიჭირა!?“ ეს სიტყვები არაფერს ნიშნავს, ისეა, ტყუილად დაწერილია? იქნებ ის გვეფიქრა, მეფეს სურდა ტარიელისათვის ენახვებინა თავისი ქალი. ამის დაშვების უფლებას გვაძლევს ნაწარმოები. თუ ეს ასეა, სიუჟეტი, რომელიც ისედაც რთული იყო, ხომ უფრო დამძიმებულია.

## რატომ გაიპარა ავთანდილი? (როსტევეან-შარსალანის მთავარი შეპირისპირება)

ზევით ცალკეც იყო გამოყოფილი, თუ როდის არ თქვა რუსთაველმა გრძელი სიტყვა მოკლედ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მსჯელობა გვქონდა იმის შესახებ, რომ რუსთაველს თითქოს შეეძლო შეემოკლებინა სათქმელი, ის კიდევე პირიქით მოიქცა. საქმე შეეხება ავთანდილის მეორედ წასვლას. როგორც ვიცით, ავთანდილმა შეჰფიცა ტარიელს, მისი გასაქირის გაგების შემდეგ, რომ იგი უსათუოდ დაბრუნდებოდა ტარიელთან და დაეხმარებოდა მას დაკარგული მინჯურის ძებნაში. არაბეთს მობრუნებულმა ავთანდილმა თავისი გადაწყვეტილება კვლავ წასვლის შესახებ გაანდო თინათინს. მან, როგორც მოსალოდნელი იყო, წასვლის თანხმობა მისცა. მაგრამ ავთანდილი შიშობს, რომ მეფე როსტევეანი არ იქნება თანახმა. როგორც იქნა, ვაზირი დაიყოლია ავთანდილმა და მეფე როსტევეანისათვის ათქმევინა, ავთანდილს წასვლა უნდაო. ამ წასვლის ამბავს თავისებური გადაქარბებით გაართულებს რუსთაველი. როგორც ჩანს, მას სჭირდება ავთანდილი არ დაჰყვს მეფე როსტევეანის ნებას და, მაშასადამე, იძულებული გახდეს გააპაროს. ამ გაპარვას რუსთაველი მნიშვნელოვან ფუნქციას ანიჭებს, ე.ი. მისთვის სულერთი კი არ არის, ავთანდილი როსტევეანისაგან ნებას მიიღებს და ისე წავა, თუ მისი სურვილის წინააღმდეგ, გაიპარება.

ზევით ნათქვამი იყო, რომ რუსთაველმა ავთანდილის ანდერძი მას შემდეგ გააცნო როსტევეანს, როცა ამ უკანასკნელმა

ყველაფერი მოითავა ავთანდილის წასვლასთან დაკავშირებით. ზევით ის იყო ნათქვამი, რომ ავტორს ეს უაღრესად ბრძნული ანდერძი ადრევე რომ გაეცნო როსტევეანისათვის, მაშინ ბევრი რამ აგვცდებოდა, რადგან როსტევეანს უსათუოდ დაარწმუნებდა ავთანდილის ბრძნული განსჯა იმისა, თუ რატომ არის აუცილებელი მისი წასვლა. ამით კი აგვშორდებოდა როსტევეანის მიერ ატეხილი ვაი-უშველებელი. როგორც ვნახეთ, რუსთაველი ასე არ მოიქცა, ამ შემთხვევაში მან მოკლეს გრძელი გზა ამჯობინა, რადგან ამით, როგორც ზევით ვნახეთ, როსტევეანი გვიჩვენა როგორც ცრემლისმღვრელი. ცრემლიანობა-უცრემლობა კი, ესეც ვნახეთ, დიდი მნიშვნელობისა აღმოჩნდა პოემაში. ამით რუსთაველმა როსტევეან მეფის გარკვეული დახასიათება მოგვცა. ამდენად, ის გზა, მოკლედ სათქმელი რომ გვეჩვენებოდა, სულაც არ ყოფილა ასეთი, მას თავისი ფუნქცია ჰქონია. ახლა იმავე სიტუაციას მივადექით, ოღონდ სხვა, თითქოს სრულიად საწინააღმდეგო მხრიდან, სწორედ გრძელი სიტყვის მოკლედ თქმის მხრიდან.

საქმე ისაა, რომ ტარიელი და ავთანდილი ამ მხრივაც აღმოჩნდნენ ერთნაირ მდგომარეობაში: ტარიელი მეფის ნებართვის გარეშე წავიდა ხატაეთს. ავთანდილიც, ასევე, მეფის ნებართვის გარეშე წავიდა. ამდენად, ორივეს ურჩობა ჩაუდენია. თავისი გმირების ამბის ამ მსგავსებას ავტორი შესანიშნავად იყენებს იმისათვის, რომ გვიჩვენოს, თუ როგორი არამსგავსნი, უფრო მეტი, საპირისპირო პიროვნებები ყოფილან როსტევეანი და ფარსადანი.

მართალია, ტარიელის წასვლა ლაშქრითურთ საომრად, ხოლო ავთანდილისა, მარტოდმარტო, საძებნად, განსხვავდება ერთმანეთისაგან. რუსთაველს საამისოდაც უზარუნია.

ავთანდილი ვაზირს უმტკიცებს, მოდი, მეფეს უთხარი, რომ წასვლა მინდა საძებრად, თანაც ეუბნება, სულერთია, მაინც წავალო:

„თავმან მისმან, ფიცით გეტყვი შენ, ვაზირსა, უსტასრასა:

„არ შემიბჟრობს, არ ღავდგები,

თუ შემიბჟრობს, მაქმნევს რასა?“ (737).

„არ გამიშვებს? გავიპარვი,

წავალ მათგან შეუგებლად“ (750,1).

ასე გადაწყვეტს ავთანდილი.

ვაზირი ეუბნება:

„მაგას რას ვჰკადრებ მეფესა,

რაცა აწ თქვენგან მსმენია?“ (742,3).

და შემდეგ:

„თავმან მისმან, მუნვე მომკლავს,

ვექვ, წამიცა არ წამაროს!“ (743).

ან კიდევ:

„ამიკლებს და ანუ მომკლავს: ეგე სიტყვა ვითა სთქვიო?!

რად არ მუნვე გაიგონე, რათ ხარ შმაგი აგეთიო?“ (744).

ვაზირს სათანადო საბუთიც მიაქვს, თუ რატომ არ შეიძლება ავთანდილის წასვლა:

„თუ მეფეცა გაგიშვებდეს,

თვით ლაშქარნი რად მოლორდენ!

რად გაგიშვან, რად მოტყუვდენ,

ანუ მზესა რად მოჰშორდენ?

შენ წახვიდე, მტერნი ჩვენნი დაგვთამამდენ,

გაგვისწორდენ.

ეგე აგრე არ იქმნების, ვითა ჩიტნი არ გაქორდენ“ (745).

ამრიგად, პოემაში თვალნათლივ არის ნაჩვენები, რომ ავთანდილის წასვლა უბრალო საქმე კი არ არის, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა. მის წასვლას შეიძლება გამოუწვინებელი შედეგი მოჰყვეს არაბეთისთვის, რადგან იგი არის არაბეთის სამეფოს მხედართმთავარი.

აი, ასე დაგვიხატა რუსთაველმა ტარიელისა და ავთანდილის წასვლა მეფეთა ნებართვის გარეშე, რაც თამამად შეიძლება შეფასებულიყო როგორც მათი ურჩობა. ყველაფერი ეს პოემაში იმ მიზნით არის გაკეთებული, რომ ამ მსგავს საქციელთა გამო მეფეების — როსტევანისა და ფარსადანის დამოკიდებულება გამოჩნდეს. გამოაჩინა კიდევაც რუსთაველმა, ოლონდ როსტევანის გამო ვრცლად თქვა, ხოლო ფარსადანის შესახებ თითქმის არც ერთი სიტყვა. იქ მარტო მისი ქცევის შედეგი უჩვენა, აქ კი დეტალურად დაგვიხატა როსტევანის საქციელი. უნდა ვიფიქროთ, გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ ისევ ოსტატურად არის გამოყენებული გრძელი სიტყვის მოკლედ თქმის მეთოდი და ხელოვნება.

პოემიდან ვიცით, რომ ავთანდილმა მაინც დაიწყოლია ვაზი-

რი და მიუგზავნა მეფეს. ვაზირის შიში გამართლდა:  
„რა მეფემან მოისმინა გაგულისდა, გაავცნობდა,  
ფერი ჰკრთა და გასაშოშრდა,  
შემხედველთა შეაშოთობდა“ (756).

უფრო მეტი:  
„ღადრკა, სკამნი შემოსტუორცნა,  
ჰკრა კედელს და შეალეწნა“ (760,1)

სულ შმაგი და უვარგისი უძახა ვაზირს, მოკვლითაც დაემუქრა:

თავმან ჩემმან, თავსა მოგკვეთ, არად უნდა ამას ცილი!  
წა, უკუდეგ ავი, წმადგი, უმეცარი, შლეგი, წბილი!“ (759).

დავისსომოთ აქ ნათქვამი „თავმან ჩემმან“. ე.ი. როსტევანმა თავი ჰფიცა, ფიცით თავი ჰფიცა ფარსადანმაც. ვნახავთ, თუ რამხელა განსხვავებაა თვით ამ დეტალის მიხედვითაც კი. ახლა ისევ გავაგრძელოთ როსტევანის შესახებ. ავთანდილმა, როგორც ვიცით, გაპარვა გადაწყვიტა, თავის ერთგულ შერმადინს გაანდო ყველაფერი:

იტყვის:  
„როსტან არ გამოშვა, არცა სიტყვა მომისმინა“ (775,1)

და შემდეგ:  
„მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრეფ კიტრად ბერად,  
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად;  
ჩემსა მზესა დავეთხოვე, გავუშვივარ, დავდგე მე რად!  
მას თუ დავთმობ, სახლსა ჩემსა

ვეღარ დავსთმობ ვისსა ვერად?“ (786)

ავთანდილმა ანდერძი დაუტოვა შერმადინს, რომელსაც მკითხველი გაეცნობა, და დარწმუნებულიც არის, რომ იგი დაარწმუნებს და ნაწილობრივ მაინც დაამშვიდებს აბობოქრებულ მეფე როსტევანს. რუსთაველმა ეს ამბავი კი გაგვაცნო, მაგრამ იგი ჭერ დაუფარა როსტევანს. ავთანდილი ალოცა და გზას გაუყენა, როსტევანს კი კვლავ მოუმზადა სცენა, იგი ისევ მრისხანებს, ჭერ დაუყვავებს ვაზირს, ამბავს მოაყოლებს, მერე ისევ აყვირდება და ლანძლავს.

როგორც ითქვა, ტარიელის დაუკითხავად სალაშქროდ წასვლის გამო ფარსადანის მოქმედება რუსთაველს ერთი სიტყვითაც კი არა აქვს ნახსენები — არათუ აღწერილი არა აქვს ისევე

დეტალურად, როგორც როსტევანის ქცევა. ფარსადანის და ტარიელის მიმართ მხოლოდ შედეგით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. ზევით დეტალურად განვიხილეთ და ვნახეთ, რომ ტარიელის წასვლის შემდეგ მეფე-დედოფალს უზრუნიათ იმისათვის, რომ ნესტანი და ტარიელი, რომელთა მიჯნურობის ამბავი მათ სკოდნიათ, დაეშორებინათ ერთიმეორისათვის, რასაც, როგორც ვიცით, მოჰყვებოდა, არა მარტო მიჯნურის დაკარგვა ტარიელის მიერ, არამედ ტახტზე მემკვიდრეობის კანონიერი უფლების დაკარგვა. რა სახითაც უნდა გამოეხატა ფარსადანს უკმაყოფილება ტარიელის დაუკითხავი მოქმედების გამო, შედეგი აშკარა და საშინელია. როსტევანი კი პირიქით, მართალია, საშინლად განრისხდა და ზოგ შემთხვევაში მეფისათვის შეუფერებელი საქციელიც დაუშვა (სკამის ტყორცნა და სხვა), არავითარი განზრახვა დასჯის, სამაგიეროს მიზლის შესახებ მას არ ჰქონია. ერთი სიტყვა, გადაკრულიც კი, რაიმე მინიშნებაც კი, არ გვხვდება ჩვენ როსტევანის მრავალსიტყვიან, შეიძლება ითქვას, მრავალდღიან გაბრაზებაში, რაზე წუხს მოხუცი მეფე ყველაზე უფრო, უფრო სწორად, რაზე მოთქვამს მეფე?

„რა მეფემან მოისმინა, დაიზახნა მეტის-მეტნი;

მოთქვამს, იტყვის: „ვა გაზრდილო,

ველარ განახვენ თვალნი რეტნი!

პირსა ხოკით, წვერსა გლეჯით გააკვირვნა მისნი მჰკვრეტნი,  
სად წაპხე და სად დაჰკარგენ

სინათლისა ეგე სვეტნი?!“ (821).

როსტევანის დიდი წუხილი გამსჭვალულია ავთანდილისადმი უდიდესი სიყვარულის გრძნობით, ეს კიდევ მეტად ჩანს შემდეგ სტროფში:

„ოღეს განახვე მხიარულსა, ნადირობით შემოსრულსა?

ველარ გიჰკვრეტ ნაბურთალსა,

ტანსა მჰვევრსა, ჭავარ-სრულსა,

ველარ ვისმენ ხმასა შენსა, სასმენელად მე მას რულსა,  
აწ უშენოდ რაღა ვუყო საჯდომსა და სრასა სრულსა?“ (823).

მოხუცი მეფე იმას წუხს,

„მაგრამ, თუ მოვკვდე, გაზრდილო,

ვისგანღა დავიტირები?“ (824,4).

მეფეს ის აფიქრებს, ხიფათი არ შეემთხვეს ავთანდილს, კი-



თხულობს კიდევაც, „მარტოა ანუ ყმიანად?“ (827,2), როცა მო-  
ახსენებენ, რომ მარტო წასულა, და ანდერძსაც გადასცემენ,  
საოცარი სიტბოთი გაჟღენთილ უყეთილშობილეს ლოცვას  
უვლენს სახიფათო გზაზე მიმავალ ავთანდილს:

„მერმე ბრძანა: „მხიარულსა ნუ ჩაიცმენ ჩემნი სპანი,  
მლოცველნეთ დავრდომილნი, ობოლნი და კვრიენი სხვანი,  
შევეწივნეთ, მშვიდობისა ნუთუ

ღმერთმან მისცნეს გზანი!“ (829)

როგორც ვხედავთ, უაღრესად კეთილ პიროვნებად გვიხა-  
ტავს რუსთაველი როსტევიანს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა იგი  
ადამიანურ სისუსტეს დემორჩილა და სასტიკად გაუჭავრდა  
სრულიად უდანაშაულო ვაზირს, დაემუქრა კიდევ, მის მოქმე-  
დებაში მკირედადაც კი ადგილს ვერ პოულობს რაიმე ბორო-  
ტი განზრახვა.

ახლა ვნახოთ, როგორ წარმოგვიდგინა რუსთაველმა მეფე  
ფარსადანი. უკვე ითქვა, თუ რა საშინელი შედეგი დახვდა ტა-  
რიელს, ოღონდ ჩვენ არ ვიცით, როგორ იქცეოდა მეფე. რუს-  
თაველმა მოგვცა ამის საშუალება, რომ განრისხებულნიც ვნა-  
ხოთ მეფე ფარსადანი. რუსთაველი ამას იმ შემთხვევაში აყე-  
თებს, როცა მეფე-დედოფლის უსამართლო გადაწყვეტილებას  
უდიდესი გართულებები მოჰყვა, სასიძო მოკლა ტარიელმა და  
ტახტზეც უქველ პრეტენზიებს აცხადებს. ფარსადანი, ერთი  
მხრივ, ცდილობს ცბიერებით გული მოუბრუნოს გამძვინვარე-  
ბულ ტარიელს. ვიცით ჩვენ იმ სტროფის ფასი და ახლა აქ  
საქირო არ არის მისი მოტანა. მეორე მხრივ, ფარსადანი საში-  
ნელი სიტყვებით ილანძლება:

„აწ, თავმან ჩემმან, მას მოვჰკლავ, ჩემად დად ვინცა მადესა!

მე ღმერთისა ვუთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა!

მათ ბოზ-კუროთა ასეთი რა მისცეს, რა უქადესა?

თუ დავარჩინო, ღმერთი ვგმო, მისად

პატიჟად მზად ესა!“ (574).

შეიძლება ჩვენ წარმოვიდგინოთ ამ საშინლად დამამცირე-  
ბელი, ადამიანური ღირსების შემლახველი სიტყვების თქმა რო-  
სტევიანისაგან? როგორ ამოუვიდა პირიდან უმწიკვლო ნესტა-  
ნის მამას ეს საშინელი სიტყვა, ტარიელს რომ თავი დავანე-

ბოთ, ისე რომ ვთქვათ, ეს ორად ორი სიტყვა, რომლის განმეორება არ მინდა, ხომ სავსებით საკმარისია თუნდაც იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ ფარსადანი იმ სხვა შემთხვევაშიც, როცა ის გაბრაზებულია, მაგრამ ამის შესახებ არაფერს ამბობს ავტორი. ასეთ სასწაულს აღწევს გრძელი სიტყვის მოკლედ თქმის რუსთაველის ხელოვნება! მკითხველს, რა თქმა უნდა, ახსოვს, დავარიც, იმის ნაცვლად, რომ შეიცხადოს თავისი გამზრდელი ძმისშვილის, ნესტანის მოსალოდნელი ხიფათი, იმის ნაცვლად, რომ ამას მოთქვამდეს, იგი, ეს ქაჯი „დავარ მოთქმიდა სიტყვითა, რომელნი არა მსმენოდეს“ (577).

„ბოზო, შენ ბოზო, რად მომკალ?“ და კიდევ „როსკიბო, ბოზო დიაცო“. ახლა ერთი წუთით, ისევ როსტევანს დაეუბრუნდეთ და აქ მოტანილ სიტყვებს შევადაროთ მისი მოთქმა: „რა შეფემან დიდებულნი ნახნა, სულთქმით შემოსტირნა, უთხრა: „ჰხედავთ, მზემან ჩვენმან

შუქნი სრულად დაგვიძვირნა!

რა ვაწყინეთ, რა შევსცოდეთ,

რად დაგვყარნა, რად გაგვწირნა,

სპანი, მისგან დაჭირულნი, ვინმცალა ვით დაგვიჭირნა?“ (826)

ხომ ხედავთ? უკიდურესი გაბრაზების დროსაც „მზემან ჩვენმანო“.

რაც შეეხება ფარსადანს, მისი სიტყვები რომ მოგვაგონდებოდა, ალბათ, იქვე გვაგონდება: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსაო“ (30). სურათი რომ სრული იყოს, გავიხსენოთ რუსთაველის ნათქვამი:

„როსტან მიხთვის აატირა გონიერი გული, ლბილი“ (146)

გულავი, გულბოროტი ფარსადანი და გულგონიერი, გულბილი როსტევანი — ასეთია მათი შეპირისპირებით აქ მიღებული შედეგი.

არის კიდევ ერთი დეტალი, რომლის დატოვება არ შეიძლება, საერთო სურათს ამით მნიშვნელოვნად დააკლდება. როგორც ვიცით, ამ გაბრაზების სიტუაციებში ორივე მეფემ თავი ფიცა. თითქოს არაფერი და, რამხელა დეტალი მოგვცა რუსთაველმა. როსტევანი ვაზირს ემუქრება თავმან ჩემმან, თავსა მოგვეთო, მაგრამ არათუ თავი არ მოუყვითია, ბეწვიც არ დაუკლია. თა-

ემან ჩემმან, დავარს მოვეკლავო, თავი დაიფიცა ფარსადანმა და ყველა დარწმუნებულია, რომ ამას გააკეთებს. ეს დეტალი იმიტოა გაძლიერებული, რომ თვით დავარიც კი, უსაშინელესი არსება, უგულო, უგრძობი, რომელიც საშინლად იძიებს შურს ნესტანზე, აი, ეს დავარიც კი ამ შემთხვევაში უღანაშაულოა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეფე ფარსადანის მუქარა მის მიმართაც უსამართლოა. დავარს მართლაც არ მიუძღვის ბრალი ტარიელისა და ნესტანის გამიჯნურებაში. რუსთაველმა ფარსადანის სხვა უსამართლობებს — რაზეც ზევით იყო ლაპარაკი, ესეც დაუმატა, აქაც უსამართლო გამოიყვანა.

უნდა ვიფიქროთ, რომ სურათი სრულად არის დახატული. ამ ორ მეფეს იმდენი საერთო ჰქონდათ, თითქოს წყლის წვეთებით ჰგვანდნენ ერთმანეთს, ახლა კი აღმოჩნდა, რომ ისინი ორი ერთმანეთის საპირისპირო პიროვნებები ყოფილან.

ახლა ის მოვიგონოთ, ზევით რომ იყო ნათქვამი, ერთ მთლიანობაში უნდა იყოსო გაგებული, თუ რას ნიშნავს „ჰქმნა მართლისა სამართლისა“, — „შეფარვით მითქვამს“, „იხმაროს დიდი გმირობა“ (პოეტმა) და „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“.

მართლაც რომ, როგორც ეს ვნახეთ, რუსთაველმა გრძელი სიტყვის მოკლედ თქმით შეფარულად ანუ დაფარულად, თუ შეფარებულად ნაწარმოებში გამოიყვანა უარყოფითი, დასაგმობი პიროვნების სახით მეფე-დედოფალი და მეფის და, ან როგორც იტყვიან, სამეფო კარი. ამის გაკეთება მართლაც რომ დიდი გმირობა იყო. უხმარია რუსთაველს დიდი გმირობა, სადაც სათქმელი გრძლად არ ითქმოდა, ისე დაუფარია, რომ არ უქნია სიტყვამცირობა, არ შეუმოკლებია ქართული, ხელმარჯვედ უცია ჩოგანი. მთელს ამ ამბავში თამარ მეფის ისტორიაც რომ თავისებურად არის გამოვლენილი და შეფარვით შეუქმბელია თამარიც, ესეც, ალბათ, ძნელი გასაგები არ უნდა იყოს. ნესტანის ამბავში მინიშნებულია, ყოველ შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესი დეტალი მაინც მეფე თამარის ბიოგრაფიიდან, კერძოდ კი ეს ეხება თამარის უნებლიე გათხოვებას ჩამოყვანილ სასიძოზე, რასაც უბედურება მოჰყვა თამარისათვის. ნესტანი რომ ძალით უნდა გაეთხოვებინათ უცნობ, ჩამოყვანილ სასიძოზე, მაგრამ ვერ გაათხოვეს, თამარი კი, როგორც

ცნობილია, გაათხოვეს და ამაში დიდი ღვაწლი მიუძღოდა თამარის მამიდას, რუსუდანს. რუსთაველს შეეძლო მხოლოდ მინიშნება, რაც მან მოგვცა კიდევ და არავითარ შემთხვევაში მეტი, რადგან ერთი ზედმეტი ნათქვამი შეიძლებოდა საბედისწერო აღმოჩენილიყო პოემისათვის. რუსთაველს როგორ შეეძლო გულგრილი ყოფილიყო თამარის ბედისადმი, მაგრამ მთელს თავის სადარდებელს, ყველაფრიდან ჩანს, იგი ვერ იტყოდა, მიანიშნებსო, ვაშობო, და ამას რუსთაველი ჩვეული ოსტატობით აკეთებს: თითქოს ამბობს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ამას საბუთად ხელში არ ჩაუგდებს მოწინააღმდეგეს და არ მისცემს საშუალებას უმტროს გენიალურ ქმნილებას. მიანიშნა კიდევ, ამავე დროს, არსებითი განსხვავებები მოგვცა: თამარის ნება დაიმორჩილეს, ნესტანისა ვერა. თამარის მამიდა აქტიური იყო, ნესტანის მამიდა კი არც ჩანს, რომ ერეოდა სასიძოს ჩამოყვანის საქმეში. მინიშნება კი ის იყო და მეტად მწარე, რომ თამარი განწირული აღმოჩნდა, თავ-ბედი გაუხდა საწყვარი. ნესტანიც გაწირეს, ამასთან იმ მამიდამაც გაწირა უღმერთოდ (გადახვეწა, გადაკარგა). გავს ერთმანეთს თამარისა და ნესტანის ბედი? დიახ, გავს, მაგრამ ოდნავ. თანაუგრძნობს რუსთაველი თამარს? დიახ, რადგან თანაუგრძნობს ნესტანს. აღიღებს რუსთაველი თამარს? დიახ, რადგან მისთვის შექმნა იდეალური ქალის, ნესტანის სახე. ახლა ის ვთქვათ, არ ყოფილა სწორი, თამარს შეფარვით ვაქებო? რა თქმა უნდა, ეს სწორი ყოფილა, თანაც თამარის ქება საერთოდ კი არ ეკრძალებოდა რუსთაველს და ამიტომაც არც მალავს, საჯაროდ ამბობს, — თამარს ვაქებდეთო. ვინ იცის, რამდენად მართალია აქ თვითონ რუსთაველის გამიჯნურების ლეგენდად ქცეული ამბავი, ის კი ფაქტია, რომ რუსთაველს თამარის საქებრად ისეთი რამ ჰქონია სათქმელი, რაც აშკარად, ეტყობა, არ ითქმებოდა.

მხატვრულ ნაწარმოებს არ მოეთხოვება დამთხვევის უფრო მეტი სიზუსტე, ვიდრე ამ შემთხვევაში გვაქვს.

ახლა კი ეს თავი დავასრულოთ იმით, რომ ყურადღება გავამახვილოთ ერთ ისეთ მომენტზე, რომელიც უმნიშვნელო სულაც არ არის, როგორც ამაში ახლავე დავრწმუნდებით, მაგრამ, სამწუხაროდ, უყურადღებოდ არის დარჩენილი.

საქმე შემდეგშია: რუსთაველის გენიალურ ჩანაფიქრში უსათუოდ შედიოდა ისიც, რომ ეჩვენებინა განადგურების პირად მისული სამეფო ინდოთა.

უმიზეზოდ არაფერი ხდება. როგორ მოხდა, რომ აყვავებული სამეფო, რომელსაც საშიშროება თითქოს არსაიდან ელოდა. პირიქით, მას ნებაყოფილობით უერთდებოდნენ, სულ მოკლე დროში დასუსტებულა, დაჩაჩანაკებულა ისე, რომ ადრე მისსავე ქვეშევრდომებს (ხატაელებს), ახლა მასზე უმარჯვათ. რუსთაველი ხომ სწორედ ასეთ სურათებს გვიხატავს, როცა ინდოეთის ამბავს ვაქრებისაგან იგებენ გადახვეწიდან დიდი ტანჯვის შემდეგ მშვიდობით შინმობრუნებული ნესტანი და ტარიელი. იბრძვის ინდოეთის ლაშქარი, მაგრამ არაფერი საშველი არ ჩანსო. არც ის არის უმნიშვნელო, რომ ამ ამბის გაგებისთანავე ამხედრდება ტარიელი, მას გვერდში ამოუდგებიან მეგობრები ავთანდილი და ფრიდონი და მტერს უკუაქცევენ. ტარიელი სამშობლოს გაათავისუფლებს. იგი ამ შემთხვევაში იქცევა როგორც ნამდვილი პატრონი ქვეყნისა, მეფე და მხედართმთავარი. ეს იმიტომ უნდა ითქვას, რომ, ასე ვთქვათ, ოფიციალურად, იგი ჭერაც არ გამხდარა ინდოეთის მეფე, მაგრამ არათუ ახლა, ადრეც იგი თავს მუდამ მეფედ, პატრონად თვლიდა. ამას რამდენჯერმე ამბობს ტარიელი.

რამ გამოიწვია ინდოეთის დაცემა? ერთი რამ ხომ ცხადია — ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ტარიელი გადახვეწილი იყო და, მაშასადამე, ქვეყანას აკლდა დამცველი გმირი მეომარი. ტარიელი კი გადაიხვეწა, როგორც ამაში უკვე დაექვება არ შეიძლება, ფარსადანის უსამართლო, უფრო მეტი, მოლაღატური საქციელის გამო, რადგან ამას მოჰყვა ნესტანის გადაკარგვა.

ამრიგად, ტარიელი როცა არის, გაურჩებული ხატაელები დამორჩილებულია; მათი მეფე შეპყრობილი მიუყვანა ტარიელმა ფარსადანს და პირიქით, როცა ტარიელი აღარ არის ფარსადანის საქციელის მიზეზით, მაშინ იგივე ხატაელები აქეთ გაბატონებულან ინდოეთში. ყველაფერი ცხადია და აი, სწორედ აქ მივადექით იმ საკითხს, რომელიც ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ ჭერ კიდევ უყურადღებოდ არის დატოვებული. ეს საკითხი ასეთია: რატომ არ ჩანან ხვარაზმელები? რუსთაველოლოგიაში ხომ გაუთა-

ვებლად მსჯელობენ იმის შესახებ, ეს რა ქნაო ტარიელმა — უდანაშაულო სასიძო მოკლაო. მერედა, ეს რომ ასე იყოს, უკვალოდ უნდა დაკარგულიყო პოემაში? ის სასიძო ხომ მთელი სახელმწიფოს მემკვიდრე იყო? და მისი უდანაშაულოდ მოკვლა არ უნდა ყოფილიყო იმის საბაბი მაინც, რომ ინდოეთს წაქცევის ეამს ხვარაზმიც წაპოტინებოდა? რუსთაველი ხომ არ არის იმ რანგის შემოქმედი, რომ ასე აგებდეს სიუჟეტს: ნაწარმოების შუა ნაწილში, იგი თუკი იარაღს გამოაჩენდა, ნაწარმოების ბოლოს, ეგრეთ წოდებული კულიმინაციისას, ეს იარაღი არ უნდა გავარდნილიყო? ეს არის ნაწარმოების აგების ელემენტარული, მაგრამ სრულიად აუცილებელი მოთხოვნა. ამ მოთხოვნის მიხედვით, თუკი მართალია სასიძოს უდანაშაულოდ მოკვლის ვერსია, მაშინ ნაწარმოების ბოლოს ამის შედეგი სადღაც უნდა ჩანდეს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ინდოეთის დამაქცევლთა შორის ერთ-ერთი მაინც ხვარაზმიც უნდა იყოს. ეს კი ნაწარმოებში ასე არ არის... რა თქმა უნდა, იმიტომ კი არა, რომ რუსთაველს შეეშალა და პოემა პოეტიკის კანონების მიხედვით ვერ ააგო სწორად, არამედ, პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ მას ყველაფერი გენიალურად ჰქონია გათვალისწინებული და როცა ჩაუფიქრებია საიდუმლო — დაეხატა ფარსადანი როგორც უარყოფითი ხასიათი ისე, რომ ეს თვალში საცემი კი არ ყოფილიყო, არამედ სხვადასხვა დეტალის, „მოკლედ ნათქვამთა“ გახსნის გზით ყოფილიყო გამჟღავნებული, ერთ-ერთ დეტალად და მეტად მნიშვნელოვან დეტალად ისიც უგულისხმია, რომ ფარსადანის დასაგმობ საქციელს კინაღამ მისი ქვეყანა შეეწირა. ახლა, ეს დეტალიც ხელთა გვაქვს და ძნელი არ იქნება მივუმატოთ ეს ყველაფერი იმას, რაც ზევით ითქვა ფარსადანის შესახებ, რომელსაც, როგორც ვნახეთ, რუსთაველი გმობს, როგორც „კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატისანსა“.

## რუსთაველის აუტორიზაციის საგრისი და აღრესაბები

ზემოთ უკვე ითქვა, რუსთაველი შაირობაზე რომ ლაპარაკობს სიბრძნის დარგით, ეს, უპირველეს ყოვლისა, მის პოემას შეეხება. საკუთარი პოემა მიაჩნია რუსთაველს სიბრძნის ანუ ფილოსოფოსობის დარგად. ცხადი უნდა იყოს, ასეთი ავტორი შეეცდებოდა ეს სიბრძნე ცალკეულ გამოთქმებში განსაკუთრებული სილამაზით გამოეხატა. შეეცდებოდა და მერე ძალაც ხომ შესწევდა, როგორც არაერთხელ ვნახეთ, რუსთაველისათვის არ არსებობს დაუძლეველი სირთულე სათქმელის გამოხატვაში და რასაც იგი განსაკუთრებით საყურადღებოდ მიიჩნევდა, გამოთქვამდა კიდევ ისე, რომ მივიღეთ რუსთაველისეული აფორიზების დიდებული კრებული. როგორც უკვე ნათქვამიდანაც ჩანს, მათი აზრი უპირატესად ღრმა ფილოსოფიურია. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველს არ ეძნელება სათქმელის ნათლად გამოხატვა, ბევრი აფორიზმის შინაარსი, საზრისი არცთუ ისე იოლი გასაგებია. როგორც ზემოთ ვნახეთ, კარგად არ ყოფილა დღემდე გაგებულნი ის, თუ რას ნიშნავს:

„რასაცა გასცემ შენია, რას არა, დაკარგულია“ (50,4)

ასევე ყოფილა მეორე აფორიზმიც:

„კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“ (952,4)

შეიძლება სხვებიც დავასახელოთ, მაგრამ ახლა ეს არაა ჩვენი მიზანი. აფორიზმები იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ზოგადობას შეიცავს, ე.ი. რაიმე კონკრეტულ შემთხვევაზე რომაა გამო-

თქმული, შეიძლება იგი გამოვიყნოთ სხვა შემთხვევის მიმართაც. რამეზეა გამოთქმულიო, რომ ვამბობთ, ეს იმას ნიშნავს, რომ აფორიზმებს ყოველთვის გარკვეული საგანი გააჩნიათ, რის შესახებაც არიან ისინი გამოთქმულნი, შეიძლება ითქვას, რომ მათ გააჩნიათ გარკვეული ადრესატები.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ რუსთაველის ბრძნული ნათქვამების, ანუ აფორიზმების ერთი ნაწილი ისეთია, რომ მათი ადრესატი სავსებით აშკარაა. მაგალითად:

**„რა ვარდმან მისი უვავილი გაანმოს, დაამქნაროსა,  
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა“** (35).

ნათქვამის აზრი გასაგებია და ისიც აშკარაა, თუ ვისზეა იგი ნათქვამი, ანუ ვინაა ადრესატი — დაბერებულა მეფე როსტევანი და მის ადგილას, საბალნაროში, სხვა ვარდი უნდა მოვიდეს. აზრი, როგორც ვთქვით, გასაგებია, თანაც ზოგადია, შეიძლება სხვა შემთხვევებზეც გამოითქვას, ცხოვრებისეულია და ამიტომ სიბრძნეა. კონკრეტულ შემთხვევაში ვიცით, თუ ვის ეხება ეს ნათქვამი. ასევეა მეორე აფორიზმიც:

**„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადიჲ“** (39,4)

აქაც მეტ-ნაკლებად გასაგებია ნათქვამი, თუმცა გარკვეული სინძლე მის გაგებას მაინც ახლავს. რაც შეეხება იმას, თუ ვის შესახებაა იგი ნათქვამი, ანუ ვინ არის ადრესატი ამ აფორიზმისა, სავსებით ნათელია: მეფე როსტევანს ადარებენ ლომს და სულერთიაო, ეუბნებიან, შენი ძე იქნება თუ ასული, თანაბარიაო.

ასეთი ცნობილი ადრესატიანი აფორიზმები „ვეფხისტყაოსანში“ სხვაც არის. არც ამის შესახებ გავაგრძელებთ ლაპარაკს, რადგან არც ესაა ჩვენი მიზანი.

ზევით ჩატარებულ ანალიზს რომ თვალი გადავავლოთ, მოგვაგონდება ისეთი შემთხვევები, როცა აფორიზმის შინაარსი გვესმოდა, მაგრამ მისი ადრესატი არ იყო გარკვეული და მხოლოდ სათანადო კვლევა-ძიების შედეგად გახდა საცნაური, თუ ვის შესახებ იყო იგი ნათქვამი პოემაში. მაგალითად:

**„გვმობ კაცსა აუგოანსა, ცრუსა და ლალატიანსა“** (798,2).

თავისთავად არ ჩანდა, თუ ვის შესახებაა ეს ნათქვამი, ანუ როგორც ვიტყვით ხოლმე, ვისზეა ზედგამოქრილი. ჰყავდა კი



ასეთი კაცი გამოყვანილი რუსთაველს? აღმოჩნდა, რომ ასეთი ყოფილა მეფე თარსადანი და, ამდენად, ამ აფორიზმის ადრესატი გაირკვა.

ასევე იყო, რუსთაველის სიტყვები:

**„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“** (12,4)  
თითქოს გასაგები კი იყო, მაგრამ ის არ ჩანდა, სად თქვა რუსთაველმა გრძელი ამბავი მოკლედ. ამასაც კვლევა დასჭირდა და გაირკვა ადგილები, რომელზეც ზედგამოჭრილია ეს აფორიზმი.

რუსთაველს აქვს აფორიზმებად ჩამოქნილი მთელი სტროფები, მაგალითად:

**„მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,  
მიეც გლახაკთა საქურქლე, ათავისუფლე მონები,  
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები:  
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“** (803).

ეს სტროფი მთლიანად აფორიზმია და ამასთან მისგან შეიძლება ცალკეც გამოვყოთ:

**„მიეც გლახაკთა საქურქლე, ათავისუფლე მონები“.**

ზემოთ ვნახეთ, რომ ამ სტროფის შინაარსის გაგება არცთუ ისე იოლი ყოფილა და ამასთან, მთელი ნაწარმოების სწორად გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ასეთი აფორიზმები — სტროფები სხვაც ბევრია „ვეფხისტყაოსანში“, თუმცა არც ესაა ახლა ჩვენი მსჯელობის საგანი. ჩვენი მიზანი ამჟამად სრულიად გარკვეულია და რუსთაველის აფორიზმებზე, რაც აქ ითქვა, ამ მიზანს ემსახურება, კერძოდ, ვინ არის ადრესატი „ვეფხისტყაოსანში“ ცნობილი აფორიზმებისა:

**„ბოროტსა სძლია კეთილმან, — არხება მისი გრძელია!“** (1361,4)  
და მეორე:

**„სიყვარული აღგვამალლებს, ვით ეუფანნი, ამას უღერუნ“** (791,3)  
ვინ იგულისხმა რუსთაველმა, ანუ ვისზეა ზედგამოჭრილი ეს აფორიზმები?

რუსთაველის პოემის კარდინალური აზრია გამოთქმული პირველ მათგანში, ხოლო მეორე შეეხება პოემის უმთავრეს თემას — სიყვარულს, მიჯნურობას. ამ საკითხში გარკვევა არის ახლა ჩვენი უმთავრესი მიზანი, თუმცა ცუდი არ იქნება აქ ის

განვმარტოთ, თუ რატომ დადგა ჩვენს წინაშე საერთოდ ეს ამოცანა. წინა თავებში წიგნის ძირითადი მიზანი თითქოს მიღწეული იყო, ამოცანა გადაწყვეტილი, რადგან იქ უკვე გამოძეღვნიდა, თუ რა არის „ვეფხისტყაოსნის“ საიდუმლო. ჩემთვის გასაგებია, რომ სხვებმა შეიძლება არ გაიზიარონ სისწორე იმ ანალიზისა, რომელიც წინამდებარე წიგნშია მოცემული და, მაშასადამე, არც ის დასკვნა მიიღონ, მაგრამ თვითონ ავტორს ხომ დამაჯერებლად მიაჩნია საკუთარი არგუმენტაცია და, მაშასადამე, მიღებული დასკვნაც. დასკვნა ასეთი იყო: რუსთაველს თავის პოემაში მეფე ფარსადანი და ამ მეფის კარი გამოუყვანია უარყოფითად და რადგან მას არ შეეძლო ეს აშკარად ეთქვა, ამიტომ გაუხსაიდუმლოებია დაუშიფრია, ამასთან, ყველაფერი მოუცია ნაწარმოებში ისე, რომ ბოლოს და ბოლოს საიდუმლოს ამოხსნა, ანუ დაშიფრულის გაშიფვრა შესაძლებელი ყოფილიყო, ეს იქნა ნაჩვენები ზევით და, მაშასადამე, „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ დაწერილი წიგნი უნდა დასრულდეს. ჩვენ კი იძულებულნი ვართ ისევ გავაგრძელოთ: რატომ? იმიტომ, რომ არის კიდევ რამდენიმე მომენტი, რომლის გამოვლენა ახალ შუქს მოჰტენს საძიებელ საკითხს, ასეთად მიმაჩნია ზემოთ დასმული ამოცანა აფორიზმების შესახებ, კერძოდ იმ ორი აფორიზმის გასაგებად, მათი ადრესატების დასადგენად, რაც, როგორც ამაში დავრწმუნდით, კიდევ ზოგიერთ საკითხსაც დაგვასმევინებს.

სიყვარული აღგვამაღლებსო — ამის ადრესატი თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ ყველა მთავარი გმირია, მაგრამ ნუთუ დასაჯერებელია, რომ გენიალურმა პოეტმა ასე ზოგადი, არცთუ ისე რელიეფურად გამოკვეთილი მიზნისთვის მოგვეცა ეს აფორიზმი? იქნებ რუსთაველის გმირთა შორის იყო ისეთი, ვინც მართლა ზევით აიყვანა, ე.ი. ადრე დაბალ მდგომარეობაში ყოფნიდან გამოიყვანა სიყვარულმა? იქნებ იყოს ისეთი, რომელიც მართლა და ხელშესახებად ამაღლდა იმის გამო, რომ ამ ზეციურ ძალას, სიყვარულს ეზიარა? რუსთაველი არ იქნებოდა გენიალური შემოქმედი, მას რომ ასეთი შესაძლებლობა გამორჩენოდა და, მაშასადამე, უნდა ვთქვათ, რომ მის ნათქვამს, სიყვარული აღგვამაღლებსო, თავისი გარკვეული ადრესატი ჰყავს.

ისიც არ გამოჩნებოდა რუსთაველს, რომ იგი ნაწარმოების მთავარი გმირი უნდა იყოს. საბედნიეროდ, რუსთაველის პოემა გვაძლევს ყველაფერს იმისათვის, რომ თუკი სათანადოდ ვეძებთ, მოვძებნით კიდევ და დასმულ საკითხს დადებითი პასუხი გაეცემა. „ვეფხისტყაოსნის“ უმთავრესი გმირი ქალი ნესტანი აბამალა სიყვარულმა. ამაზე დაწერილი პოემა. ე.ი. პოემის ერთ-ერთი მთავარი შინაარსი არის იმის ჩვენება, თუ როგორ აბამალა სიყვარულმა ნესტანი.

სანამ ამის შესახებ მსჯელობას გავაგრძელებდეთ, უფრო სწორად, იმისათვის, რომ ამაზე მსჯელობა გავაგრძელოთ, მივუბრუნდეთ მეორე აფორიზმს: ვინაა მისი ადრესატი? უფრო სწორად, კეთილი, რომელმაც ნაწარმოების მიხედვით თურმე დაძლია ბოროტი, ჩვენთვის ცნობილია: ეს არის ტარიელის, აეთანდილის, ფრიდონის მეგობრობა, მათი მამაცობა. მაგრამ ჩვენთვის ცნობილია არა მარტო ეს, არამედ ისიც, თუ ვინაა ბოროტი: ბოროტია იგი, ვინც მათ დაძლიეს. მერედა ვინ დაძლიეს ჩვენმა გმირებმა და რა გააკეთეს ამ დაძლევიტ? მათ დაძლიეს ქაჩეთი და გაათავისუფლეს ნესტანი, აი, ეს ვითარება უნდა იყოს ადრესატი თქმისა: ბოროტსა სძლია კეთილმან. რა უნდა იყოს აქ გაუგებარი? არაფერი და დღემდე ყველას ასე ესმოდა „ვეფხისტყაოსანში“ გამოხატული ბრძოლა ბოროტსა და კეთილს შორის, რომელიც დასრულდა კეთილის გამარჯვებით.

და რაც უნდა საშინელი იყოს ამის თქმა, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ეს ასე არ არის. მეტს ვიტყვი, საბედნიეროდ, ეს ასე არ არის. რატომ საბედნიეროდ? იმიტომ, რომ კეთილისა და ბოროტის ბრძოლის, კეთილის მიერ ბოროტის დაძლევის ამგვარი გაგება მეტად პრიმიტიული იქნებოდა და არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა ამგვარი ნაწარმოების ავტორის გენიალობის მაუწყებელი. საბედნიეროდ იმიტომ ვთქვი, რომ პოემაში მართლაც, რომ გენიალურადაა დახატული კეთილისა და ბოროტის ბრძოლა და არა გაიოლებულ-პრიმიტიულად, როგორც ეს მოარულ ზღაპრებშია ხოლმე.

ახლა კი მშვიდად, გულდინჯად განემარტოთ, თუ რაშია საქმე.

ამ წიგნის დასაწყისშივე ვნახეთ ერთი უცნაური ამბავი. ვერ გავარკვეთ, დამარცხდნენ თუ არა ქაჯები „ვეფხისტყაოსანში“. თითქოს ნაწარმოები ამაზე დაწერილი, ამასთან, როგორც ზემოთ ვნახეთ, რუსთაველი, თითქოს საგანგებოდ, მრავალჯერ, მრავალ ვარიანტში გვეუბნება და გვაფრთხილებს, თუ ქაჯები იქნებიან ქაჯეთში, მაშინ ბრძოლა გაძნელდებაო, შემდეგ კი, ბოლოს და ბოლოს რომ მოხდა ომი ქაჯეთში, ერთხელაც არ ახსენა ქაჯი და სრულ გაურკვევლობაში დაგვტოვა, არ ვიცით რა ვთქვათ, ქაჯეთის ომის გამარჯვებით დამთავრებამ დამარცხა ქაჯები თუ არა. არც ჰოს თქმა შეგვიძლია, არც არასი. ჰო ვთქვათ და რა საბუთი გვაქვს, არა ვთქვათ და არც ამის საბუთი გვაქვს. ამ საკითხს რომ ვიხილავდით, მაშინ ის ითქვა, რომ რუსთაველი არ არის იმ რანგის მწერალი, ასეთი უმთავრესი მომენტი გამორჩეს და, მაშასადამე, აქ საქმე გვაქვს არა ავტორის უბრალო გულმავიწყობასთან ან შეცდომასთან, არამედ ეს სიტუაცია მის მიერ მოფიქრებითაა ასე გაურკვევლად დატოვებული. ეს გაურკვევლობა სხვა, უფრო მნიშვნელოვანი გარკვეულობისთვის სჭირდება ავტორს.

ახლა საკითხი ასე დავსვათ. მაინც როგორი შინაარსისა ყოფილა ბოროტისა და კეთილის ბრძოლა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით? მოვიგონოთ ის, რომ, მართალია, ნესტანი ტყვედ ჰყავთ ქაჯებს და მისი გამოხსნა სიკეთის ქმნაა, მაგრამ ნესტანი ქაჯებს არ წაუერთმევიათ ადამიანებისათვის, მათ არ უბრძოლიათ ამისთვის. ნესტანი ადამიანებისაგან განწირული, შემდეგ კი მათგან გაქცეული, შემთხვევით ჩაუვარდათ ხელთ ქაჯებს და მათ მხოლოდ ის გააკეთეს, რომ წაიყვანეს იგი და მეფისწულის ცოლად, ე.ი. დედოფლად უნდა დაესვათ, მეტი არაფერი ზიანი არ მოუტანიათ მისთვის, მით უფრო, ადრე არ უბრძოლიათ ადამიანებთან არც ამ საქმის და არც სხვა საქმის გამო. ეს არის და ეს. რუსთაველს პოემაში ამაზე მეტი არაფერი აქვს ნათქვამი, ე.ი. რა აქვს მას ნათქვამი? ის, რომ ეს შემთხვევით მოხდა და არავითარი შინაგანი კანონზომიერება აქ არ არის? დავიჭეროთ, რომ ასე მარტივად ჰქონდა რუსთაველს წარმოდგენილი ცხოვრება, კეთილისა და ბოროტის ბრძოლა და ამაზე დაწერა ამხელა ნაწარმოები?! ამდენი აფორიზმი აგვირისტა ამისთვის?

არავითარ შემთხვევაში. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მეტი რომ არაფერი გვქონდეს „ვეფხისტყაოსანში“, მარტო ერთი სტროფის ავტორს არ შეიძლება დავწამოთ ასეთი გულუბრყვილობა:

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ,  
რა ზნე გჭირსა!

ყოვლი შენი მონღობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!  
სად წაიყუან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!  
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა,

შენგან განაწირსა“ (951).

დავიჭეროთ, ტყუილად უტირია ამდენი რუსთაველს („ჩემებრ ტირსა“), ვერაფერი შეუტყვია ამ სოფლის, მარტო ის გონებია, სადღაც ქაჯებია და იმათ არ ჩაუვარდეს შემთხვევით ხელში ჩვენიანო? სოფლის ამბავს, განსაკუთრებით სოფლის სამღურავს რუსთაველი ხშირად ამბობს, იმდენად ხშირად, რომ ამის გაგება რუსთველოლოგიაში ძალიან გაჭირდა. ისეთი გამოჩენილი მკვლევარიც კი, როგორც იყო აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, ერთხელ ამან შეცდომაში შეიყვანა და მიუღებელი დასკვნა გამოატანინა: რუსთაველის პოემაში პესიმისტური განწყობილება ქარბობს და, მაშასადამე, იგი არ შეიძლება დაწერილი ყოფილიყო თამარის ეპოქაში, ქვეყნის აღზევების დროს, იგი დაიწერებოდა დაცემულობის ხანაში და უიმედობა, პესიმიზმი ამიტომ არის ნაწარმოებში ასე მოძალებულიო. საბედნიეროდ, ეს აზრი მალე იქნა უკუგდებული თვით მისი ავტორის მიერაც.

დიდებულ რუსთველოლოგს შალვა ნუცუბიძესაც ერთგვარად წასცდენია აქ ხელი და სოფლის სამღურავის მომეტებული ჩივილი „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველის საქართველოდან გადახვეწის შემდეგ მისივე ცუდი განწყობილების გამოხატულებად, შემდგომ ჩართულ ადგილებად მიუჩნევია.

გვაქვს საფუძველი არც ეს ახსნა გავიზიაროთ და ამ შეკამათებას გვაპატიებს ჩვენი მასწავლებლის აჩრდილი, მით უფრო, რომ სოფლის სამღურავის ხშირი თქმა რუსთაველის გენიალური პოემის საკეთილად ახსნის ერთ-ერთი ნიმუშია.

რუსთაველი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩენილა. მას,

ერთი მხრივ, უნდა მიეღო და სხვებისთვისაც ემტკიცებინა, რომ ღმერთი ბოროტს არ დაბადებს. მეორე მხრივ, კეთილისა და ბოროტის ნამდვილი, რეალური, ცხოვრებისეული ბრძოლისათვის უნდა გაესწორებინა თვალი. შეუძლებელი უნდა შეძლებოდა. ეს უნდა გამოეხატა პოემაში, ეს იქნებოდა პოეტის გმირობა. ამის შესახებ ზემოთ საკმაოდ ვილაპარაკეთ. ახლა მივუბრუნდეთ უშუალოდ ძირითად აზრს და კითხვა ასე დავსვათ: რატომ მოხვდა ნესტანი ქაჯეთის ტყვეობაში? ნაწარმოებში ნათელი სურათია მოცემული: მშობლების უსამართლო გადაწყვეტილებამ მოითხოვა „ქმნა მართლისა სამართლისა“, რაც იმას ნიშნავდა, რომ ინლოეთის ტახტის უკანონო პრეტენდენტი, ჩამოყვანილი სასიძოდ, მოკლა ტარიელმა. სხვა გზა არ იყო. კვლავ უსამართლოდ განრისხებული ფარსადანისაგან დაშინებულმა დავარმა, ნესტანის მამიდამ და აღმზრდელმა, ნესტანის დაცვის, მასზე ზრუნვის ნაცვლად შემადრწუნებელი გადაწყვეტილება მიიღო, გასწირა და გადააკარგა ძმისწული და თავისი აღზრდილი. დაბოლოს, ფატმანის დიდი ადამიანური დახმარების მიუხედავად, ნესტანი იძულებული გახდა გაქცეოდა ადამიანებს.) ასე ჩაუვარდა იგი ქაჯებს. ნუთუ არ არის დრო პირდაპირ ითქვას, თუ რომელია ის ბოროტი ძალა, რომლის დაძლევა უნდა მოახერხოს კეთილმა, რომ არსება გაიგრძელოს? ამრიგად, ნაწარმოები გვაძლევს სრულ უფლებას ვთქვათ, რომ:

**„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.**

ბოროტის ადრესატად ვიგულისხმობთ არა ქაჯეთში მყოფნი, არამედ უპირატესად და უმეტესად აქ, ამ სოფელში, იმავე კეთილი ადამიანების გვერდით მყოფნი, ხშირად მათივე ახლობლები. აი სად არის კეთილისა და ბოროტის ბრძოლის ასპარეზი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. ასეთია მისი ნამდვილი სიუჟეტი და ქაჯეთის ამბავი, როგორც გარკვეული სიმბოლო, სიუჟეტის ნამდვილი ხაზის გამოვლენას ემსახურება. ქაჯები თუ ბოროტი ძალაა, ისინი აქვე არიან. განა ძნელი მისახვედრია, რომ მხოლოდ ასე გააზრების შემთხვევაში ხდება გასაგები ის, თუ რა შინაგანი კავშირია პოემის ძირითად სიუჟეტურ მიმდინარეობასა და იმ ამბავს შორის, რაც ფრიდონს გადახდა. ჩვენი მეთოდის მიხედვით, რომელსაც საერთოდ ვიყენებთ ამ გამოკვ-

ლევაში, კვლავ დავსვით საკითხი: რად დასჯირდა რუსთაველს ფრიდონის ბრძოლა თავის ახლობლებთან, კერძოდ, ბიძაშვილებთან? რაიმე შეიცვლებოდა ნაწარმოებში, ტარიელს რომ მტრისაგან დაქრილი ფრიდონი შეხვედროდა, მერე მას, როგორც ეს ნაწარმოებშია მოცემული, დაეხმარებოდა ტარიელი, დააძლევინებდა მტერს და დამეგობრდებოდნენ. რა თქმა უნდა, ასეც შეიძლებოდა და ფრიდონისა და ტარიელის დამეგობრებისათვის ეს სავსებით საკმარისი იქნებოდა, მაგრამ ავტორს სხვა სათქმელი ჰქონია და ამიტომ გამოიყვანა მოლალატე ბიძაშვილები. რუსთაველი რომ ათქმევინებს ფრიდონს, ქაჩეთს ვარ ერთხელ ნამყოფიო, რა გვიშლის ხელს ამ ნათქვამში ის ვიგულისხმობთ, რომ ფრიდონს ქაჭურ ქცევასთან, ბოროტებასთან, ლალატთან ერთხელ უკვე ჰქონდა საქმე და, მაშასადამე, ჰქონდა გამოცდილება ქაჭებთან ბრძოლისა.

ამრიგად, ბოროტების საკითხიც რუსთაველს დიდებულად გადაუქრია, წაუფარებია მისთვის ქაჩეთი, რადგან პირდაპირ ვერ იტყოდა, მეფეა ბოროტიო. რადგანაც იმ აფორიზმში ბოროტის ადრესატი გაირკვა, მეორე პასუხიც უკვე ახლოსაა. ამათი შთამომავალია ნესტანი. იგი შვილია ბოროტად გამოყვანილი მეფე-დედოფლისა და გაზრდილია მეფის დის, პირდაპირ ქაჩად წოდებული დავარის მიერ. რა უნდა ყოფილიყო იგი? ცხადია, უფრო მეტი შესაძლებლობა იყო, რომ ისიც ქაჩი ყოფილიყო. ნესტანი კი გახდა უკეთილშობილესი არსება. ე.ი. რა მოხდა? იგი ამაღლდა. რამ აამაღლა იგი? სიყვარულმა, ტარიელის უსაზღვროდ დიდმა სიყვარულმა, ამრიგად, ეს ადრესატიც ჩვენთვის ცნობილი გახდა.

ახლა მოვიგონოთ ერთი საკითხი, რომელიც დავსვით თავიდანვე, მაგრამ უპასუხოდ არის დარჩენილი. კერძოდ, შემდეგი: რატომ ადარებს რუსთაველი ტარიელს ერთსა და იმავე დროს ლომსაც და ვარდსაც? იმიტომ, რომ ნესტანის ამაღლებას დიდი ძალა სჭირდებოდა, სიყვარული, რომელიც მას ერთბაშად დაეუფლებოდა, უნდა გამოეწვია მხოლოდ გამორჩეულ, განსაკუთრებულ ვაჟსაც. ტარიელს რომ შეძლებოდა ასეთი დიდი გრძნობა ჩაესახა ნესტანისათვის, იგი უნდა ყოფილიყო ერთსა და იმავე დროს უმამაცესი და უძლიერესი, ამის მეუფედ კი ლომი ითქმის. ამავე დროს, იგი უნდა ყოფი-

ლიყო უნაზესი მიჯნური, უტურფესი და უმშვენიერესი, ამის მეუფედ კი ვარდი ითქმის. ამიტომ ტარიელი ერთსა და იმავე დროს, უნდა ყოფილიყო ვითარცა ლომი და ვითარცა ვარდი) და ასეთად მოგვცა იგი რუსთაველმა ჩვენ რომ გვეგონა "შეუსაბამობა ხომ არ მოუვიდა ჩვენს ავტორსო, ამ შემთხვევაშიც იგი უზუსტესი ყოფილა და რუსთაველი, გზად მიმავალ ხატაელ მონადირეებს, ტარიელი რომ გადაყრია, ათქმევინებს:

„ჩერთ მისი მსგავსი შვენება კაცთაგან უნახავია“ (204,4).

ახლა მოვიტანოთ ერთ-ერთი ადგილი, ტარიელი რომ ყვება საკუთარი თავის ამბავს:

„ასმათ, შენცა ხარ მოწამე ჩემისა ფერ-მიხდილისა,  
მზესა მე ვსჯობდი შვენებით, ვით ბინდსა უამი დილისა;  
იტყოდეს ჩემნი მნახავნი: „მსგავსია ედემს ზრდილისა“.

აწ მაშინდლისა ჩემისა სახე ვარ ოდენ ჩრდილისა“ (321).

არა მგონია გვეუცხოვოს ამჟამად ტარიელის მიერ საკუთარ გარეგნულ მშვენიერებაზე ლაპარაკი, რადგან გარკვეულია, თუ რად სჭირდება ეს ავტორს.

მაგრამ აქ ერთი მომენტიც საყურადღებოა.

ვარდივით ტურფა ტარიელი ახლა მისი ჩრდილი დარჩენილა. ტარიელი უნდა ყოფილიყო არა მარტო მამაცი, გულოვანი და ვარდივით მშვენიერი, არამედ — იმ საუნჯის მქონებელიც, რასაცა გასცემ შენია, რომ ჰქვია. გარეგნულთან ერთად, სულიერი მშვენიერება რომ არა, მას არ გაუჩნდებოდა ფრიდონი და ავთანდილი მეგობრებად და მაშინ ვარდი დასაბჭნობად იყო განწირული. რუსთაველმა ვარდის ამბავი ამ მხრივაც გამოიყენა, რათა სულიერი სიმშვენიერის განსაკუთრებული ძლიერებისათვის ხაზი გაესვა და სწორედ ეს წარმოეჩინა წინა პლანზე კეთილისა და ბოროტის გასარჩევად. აქ გადის სადემარკაციო ხაზი, აქ არის განსხვავება „კაცი არ ყველა სწორია“-ს მაჩვენებელია ცრემლი, რომელიც ვნახეთ, სისხლსა ედრება, იგი სულია, სამშინელია და ამით არიან ადამიანები ერთმანეთისაგან გამოჩეულნი.

ამრიგად, კეთილისა და ბოროტის ბრძოლა წითელ ხაზად გასდევს „ვეფხისტყაოსანს“ და იგი ყოფილა არა კეთილი ადამიანებისა და სადღაც მყოფი ქაჯების ბრძოლა, არამედ აქ, მიწაზე მიმდინარე ცხოვრებისეული ბრძოლა ადამიანთა შორის.



## „შინაური და უთქველო!..“

ჩვენ ისევ მივედით ღმერთის საკითხამდე. ეს ბუნებრივია. ზემოთაც ჩანდა, რომ მოგვიწევდა ამ საკითხის განხილვა. ღმერთის საკითხი ყველაზე რთულია „ვეფხისტყაოსანში“. ეს აღიარებულია. იმდენად რთულია, რომ ამ სირთულის გამო ხანდახან ცდილობენ არცკი შეეხონ მას. მე მხედველობაში მაქვს ის შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთმა ავტორმა (შ. ხიდაშელი) წიგნი დაწერა რუსთაველის მსოფლმხედველობაზე და ამ წიგნში ასე განაცხადა: ღმერთის საკითხს საგანგებოდ არ ვიხილავო. ყველა ავტორს აქვს უფლება საგანგებოდ ის საკითხები განიხილოს, რაც მას სურს, მაგრამ თუკი რუსთაველის მსოფლმხედველობის გარჩევა განიზრახე, მაშინ ღმერთის საკითხის განსაკუთრებით და სპეციალური განხილვის გარეშე შეუძლებელია დასმული ამოცანა გადაწყდეს.

წინამდებარე წიგნი, მართალია, არ ისახავს ასეთ ამოცანას, მაგრამ ღმერთის საკითხის გარკვევის გარეშე მაინც წინ ვერ წავალთ. ბუნებრივია, რომ ღმერთის საკითხს იმდენად შეეხებით, რამდენადაც წიგნში დასმულ ძირითად საკითხთანაა დაკავშირებული: კერძოდ, თუკი ღმერთი ბოროტს არ ბადებს, ყოველი ხელმწიფე კი ღვთისმიერია, ცხადია, იგი ბოროტი არ შეიძლება იყოს. ზემოთ გამოტანილი დასკვნა კი ამას პირდაპირ ეწინააღმდეგება. ბოროტისა და კეთილის დაპირისპირებაში ბოროტის ადრესატად ფარსადან მეფე და მისი კარი გამოვიდა. აი ეს გვხდის ვალდებულს, არ ავუაროთ გვერდი ღმერთის საკითხს, თუმცა მისი განსაკუთრებული სირთულე კი-

დევ ერთხელ უნდა დავადასტუროთ.

ერთგვარი გამოსავალი შეიძლებოდა გამოძებნილიყო იმით, თუ ვიტყოდით, რომ ღვთიური საწყისი ადამიანებში სხვადასხვაგვარადაა გამოვლენილი: ერთში მეტადაა, მეორეში — ნაკლებად. კონკრეტულად რომ ვიმსჯელოთ, მეფეთა დაპირისპირება „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ასეთი უნდა ყოფილიყო: როსტევან მეფე კეთილს მეტად განასახიერებს, ფარსადანი კი ნაკლებად. ასე შეიძლებოდა მეფის მიმართ ბოროტის თქმა აგვეცდინა თავიდან, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს ვერ მოხერხდა, რადგან მაშინ ბოროტსა სძლია კეთილმან აუხსნელი დაგვრჩა, ან ქაჯეთში დაგვკირდა ამ ბოროტების გადატანა. ნაწარმოების ანალიზმა არ მოგვცა ამისი ნება და იძულებული ვიყავით გვეთქვა ის, რაც ისევ ნაწარმოების მიხედვით გვეკრძალებოდა — მეფე ბოროტ ძალას განასახიერებსო.

რასაც ახლა ვამბობ, ეს, უნდა ითქვას, რუსთაველის ნააზრევში წინააღმდეგობის აღიარებას ნიშნავს. რუსთაველს პოემაში ვერ მოუხერხებია მოეცა მწყობრი სისტემა, რომელიც შინაგან წინააღმდეგობას არ შეიცავს, მას ღმერთთან მიმართებაში კეთილისა და ბოროტის ახსნა ვერ მოუცია. მკაცრად რომ ვთქვათ, ის რა ახსნაა, თუ საწინააღმდეგოსაც უშვებ.

დავსვათ საკითხი შემდეგნაირად: სადმე, რომელიმე მოაზროვნის, ფილოსოფოსის, ან მწერლის ნააზრევში გვაქვს თუ არა ეს საკითხი წინააღმდეგობის გარეშე მოაზრებული? სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ეს ისეთი საკითხია, რომლის გადაწყვეტისთვის თავი უტეხიათ ყველაზე გამოჩენილ მოაზროვნეებს, მაგრამ პასუხი არავის მიუღია. ამას პასუხი არ მოეპოვება. რუსთაველმა ვერ მოგვცა ის, რისი მოცემაც არ შეიძლებოდა. ყველა დროის გამოჩენილი თეოლოგები, და საერთოდ, ფილოსოფოსები, ეძებდნენ პასუხს იმაზე, თუ როგორ შეიძლება დავუშვათ ღმერთი, რომელიც ყოვლისმცოდნეა, ყოვლადკეთილია და ყოვლისშემძლეა და მის გვერდით დავუშვათ ბოროტების არსებობა. ან ღმერთმა არ უნდა იცოდეს მისი არსებობა, ან თუ მან იცის როგორც ყოვლისმცოდნემ, მაშინ მას ან არ უნდა სურდეს ყოვლადკეთილი, ან მას ძალა არ უნდა შესწევდეს განახორციელოს ყოვლადკეთილი. მხოლოდ მაშინ

შეიძლება სიკეთის გვერდით ბოროტებაც იყოს. თავი რომ დავანებოთ ფილოსოფოსთა ნაწერებს, სადაც ეს საკითხი მუდამ მოუგვარებელი რჩებოდა, საკმარისია სულ რამდენიმე ნიმუშზე მივუთითოთ. ხომ ამ საკითხს უტრიალებდა გენიალური გონება ლორდ ბაირონისა, განსაკუთრებით მის ეპიკურ ქმნილებებში, კერძოდ, პოემებში „მანფრედი“, „კაენი“. ბაირონის ქმნილებებიდან თუ მსოფლიო სევდით გულგავსილი ლირიკული გმირი ან თვით ავტორი შემოგვეყურებს, ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისიც არის, რომ ღმერთის რწმენამ ვერ მისცა მათ გარანტია ბოროტებისაგან კეთილის დაცვისა. ასევე ითქმის გენიოსი რუსი მწერლის დოსტოევსკის შესახებაც, რომლის შემოქმედებამ ისევ ვერ გასცა პასუხი ამ ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ პრობლემას და თუ ღმერთი არ არის, ყველაფერი ნებადართულიაო, ათქმევინა. დიდმა ფრანგმა მოაზროვნემ ვოლტერმა ნატიფი, მსუბუქი იუმორით გადმოგვცა „კანდიდი ანუ ოპტიმიზმში“ ამ საკითხის გადაწყვეტის სრული უიმედობა: ტყუილად რა თავს იკლავს, ამას მოეშვით და თქვენი საქმე აკეთეთო.

ასეთ საკითხთან ჰქონდა საქმე რუსთაველს და მან რომ შეუძლებელი ვერ შეძლო, არ უნდა გვიკვირდეს, მაგრამ აქ მაინც არ შეიძლება შევჩერდეთ, რადგან ღმერთის საკითხთან დაკავშირებითაც აქვს რუსთაველს რაღაც საიდუმლო, რაც იმ საერთო დიდი საიდუმლოს ნაწილს წარმოადგენს:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს,  
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,  
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს,

კარგსა ხან-გრძლივ გააკვლადებს,  
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“ (1492)

რუსთაველმა მიგვითითა ფილოსოფოსზე, რომელმაც უნდა გაგვეცეს პასუხი ღმერთის, კეთილისა და ბოროტის ურთიერთობის საკითხზე. ეს დივნოსი დიონისო არეოპაგელია. დღეს ნუცუბიძე — ჰონიგმანის აღმოჩენის წყალობით საყოველთაოდ ცნობილია, რომ იგი არის პეტრე იბერი. ეს სტროფი ის ადგილია „ვეფხისტყაოსანში“, რომელზე დაყრდნობით აცხადებდა შალვა ნუცუბიძე: აღმოჩენილი არისო შოთა რუსთავე-

ლის მსოფლმხედველობის წყარო. ყოველივე ეს უდავოა. ჩვენ კი კვლავ უნდა დავსვათ საკითხი: რატომ არის ეს სტროფი აქ მოცემული? „ვეფხისტყაოსანში“ ღმერთი შვიდ ასეულჯერაა ნახსენები და რამდენიმე ათეული ხომ არის ისეთი, სადაც იქნებოდა უპრიანი ეს სტროფი ყოფილიყო ჩართული. მაგალითად:

„ილოცავს, იტყვის: „მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,  
ზოგჯერ მომცემო პატიუთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,  
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,  
მომეც დათმობა სურვილთა,  
მფლობელო გულის-თქმათაო!“ (809).

ეს „უცნაურო და უთქმელო“, ნათქვამი ღმერთის მისამართით, ხომ პეტრე იბერის შრომებიდანაა და არ იქნებოდა სწორი აქ გაგრძელებულიყო, აქ ყოფილიყო მოტანილი სტროფი „ამ საქმესა დაფარულსა...“? ალბათ იქნებოდა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, რუსთაველმა ეს არ გააკეთა. ან სხვა ადგილი ავიღოთ:

„ქალმან ჰკადრა: „მოგახსენებ მე სიტყვასა დანაუბელსა:  
ჰე შეფეო! რად ემდურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბელსა?

✓ რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხელსა?  
ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“ (113).

ისევ იგივე უნდა ვთქვათ — არ იქნებოდა მიზანშეწონილი აქ გაეგრძელებინა რუსთაველს ბრძენი დიონისოს ნააზრევი, რომელიც ამავე თემას ეხება? უფრო მეტიც, პირდაპირ პასუხს წარმოადგენს აქ დასმულ კითხვაზე.

ან რა იქნებოდა, დასაწყისშივე რომ თქვა „რომელმან შექმნა სამყარო..., მისგან არს ყოველი ხელმწიფე...“, აქ გაეგრძელებინა ის სათქმელი.

ასეთი ადგილების დაძებნა კიდევ შეიძლება. შევჩერდეთ მხოლოდ ერთზე, ყველაზე მთავარზე:

„იტყვის: „ჰე მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,  
ერთ-არსებისა ერთისა, მის უყამოსა ჟამისად,  
ვის გმორჩილობენ ციერნი ერთის იოტის წამისად,  
ბელსა თუ მიცვლი, მიაჯე,

შეყრამდის ჩემად და მისად“ (836).

„მზიანი ღამე“, „უყამო ჟამი“. თუ რას ნიშნავს, განსაკუთრებით პირველი მათგანი, ამან უდიდესი დავა გამოიწვია. საბე-

დნიეროდ, დღეისათვის დადგენილია, როგორც მათი მნიშვნელობა, ისე მათი წყარო. მაგრამ სანამ დადგინდებოდა, ვინ არ შეეხო იმას, თუ რას ნიშნავს მზიანი ღამე. რუსთველოლოგთა უმრავლესობას გამოუთქვამს მოსაზრება ამის გამო. ზოგიერთი მზიან ღამეს ნონსენსად თვლიდა (გ. ნადირაძე), ზოგიერთი აბსოლუტურ უაზრობად და მის შეცვლას მოითხოვდა (კ. კეკელიძე), ზოგი სად ეძებდა მის ანალოგს, ზოგი სად. ბოლოს დადგინდა, რომ შოთა რუსთაველს უხმარია სრულიად ორიგინალური გამოთქმა („მზიანი ღამე“), მაგრამ გამომდინარე პეტრე იბერის თხზულებებიდან. რას ნიშნავს მზიანი ღამე? რუსთაველი თვითონვე წერს მომდევნო სტროფში:

„ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან

ფილოსოფოსნი წინანი“ (837,1).

მზე ხატი ყოფილა ღვთის, ხოლო ამ ღმერთის — უკვე შეიძლება ითქვას, ქრისტიანული ღმერთის, გამომხატველად უხმარია რუსთაველს „მზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“.

ყველაზე ბუნებრივი არ იქნებოდა აქვე ეხსენებინა რუსთაველს ის „ფილოსოფოსნი წინანი“, ე.ი. დიონისო, ანუ პეტრე იბერი და, მაშასადამე, ის სტროფი გადმოტანილიყო აქ? რუსთაველმა კი არც ეს გააკეთა. წინა ნაწილებში ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, თუ როგორი ოსტატობით გვატარა რუსთაველმა, მუდმივ ყურადღებადაცაბვიტ გვამყოფა და რატომღაც ასე დააშორა ერთმანეთს სათქმელი, რომელიც ჯობდა ერთად თქმულიყო, რადგან მაშინ ყველაფერი გასაგები იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ასე არ გაძნელდებოდა ამის გაგება. რუსთაველმა კი სწორედ ეს გართულების გზა, დაფარვის გზა აირჩია. სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილია იმის გამოკვლევა, აქვს თუ არა ვინმეს ნახმარი ქრისტიანული ღმერთის აღმნიშვნელად მზიანი ღამე. ჭერჭერობით ამისი დადგენა მოხერხდა: რუსთაველამდე ასეთი გამოთქმა არავის უხმარია, თუმცა რუსთაველის შემდეგ და მისი გავლენით, როგორც ეს აღნიშნულია სათანადო ლიტერატურაში (ს. ცაიშვილი, მ. გიგინეიშვილი და სხვ.), ერთ თუ ორ ავტორს გამოუყენებია.

რატომღაც არ სვამენ კითხვას: რატომ დასჭირდა რუსთაველს ასე დაეფარა სათქმელი? წმინდა სამებისთვის ისეთი გა-

მოთქმა მოუძებნია, რაც არავის ჰქონდა, მაგრამ არ უთქვამს, თუ ვისზე დაყრდნობით გაუკეთებია ეს და არც იქ უთქვამს, სადაც ეს საჭირო იყო, არამედ მოფიქრებულად გადაუტანია სულ სხვაგან. ეს კითხვა უნდა დასმულიყო და ვინც მას დასვამდა, იმ აზრამდეც მივიდოდა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დიდი საიდუმლოა დაშიფრული.

რუსთველოლოგიაში კარგად არის შემჩნეული, რომ რუსთაველი გაურბის იმ ღმერთის დასახელებას, რომელიც მას სწამს. არც ქრისტე, არც მუჰამედი, არც სხვა რომელიმე არ არის აქ აშკარად გამოვლენილი, იმ აზრით, რომ ჩვენ ვიცოდეთ ავტორისთვის მისაღები ღმერთი რომელია. ამასთან, დიდად გაძნელებული კვლევა-ძიების შემდეგ დადგინდა, რომ რუსთაველი ქრისტეს მიმდევარი მორწმუნეა.

ხოლო რაც შეეხება იმ სიძნელეს, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, როგორც მოუგვარებელი, გადაუწყვეტელი, აქ ერთგვარი თავშესაფარი მონახული ჰქონდა ქრისტიანულ თეოლოგიას: ჩვენ, ადამიანები, ჩვენი ნაკლული გონებით, ვერ ჩავწვდებით იმ ღმერთის ბუნებას, მის საქმეებს, კერძოდ, ვერც იმაში გავწიკვევით, თუ რატომ არის ღმერთის საუფლოში კეთილთან ერთად ბოროტიც. დებულება ღმერთის მიუწვდომლობის შესახებ სხვადასხვაგვარად იყო გამოთქმული და რუსთაველსაც ამ მიზნითა აქვს ნახმარი „მზიანი ღამე“, „უჟამო ჟამი“, „უცნაური და უთქმელი“.

ზემოთ რომ მოვიტანეთ კორნელი კეკელიძის გამოთქმა: „მზიანი ღამე“ აბსოლუტური უაზრობა არისო, კაცმა რომ თქვას, ამაში არის ჭეშმარიტება. სწორედ ასეთია ღმერთი ადამიანის გონებისათვის. ეს ხომ უძველესი ქრისტიანული დებულებაა. ღმერთი უნდა ვიწამოთ, რადგან იგი აბსურდია, ე.ი. ჩვენი გონების მიხედვით სისულელეა. „მზიანი ღამით“ ღმერთის გამოთქმა ამაზე მეტს არაფერს ნიშნავს, ე.ი. აბსურდია. მაგრამ აქედან ის კი არ გამომდინარეობს, რაც პატივცემულ მეცნიერს უფიქროა — ეს ადგილი უნდა შეიცვალოსო. საოცარია, როგორ მოუვიდა ასეთი შეცდომა ასეთ დიდ მცოდნეს! რუსთაველი ღრმად ყოფილა ჩახედული თეოლოგიურ საკითხებში, შესანიშნავად ჰქონია გააზრებული ყველაფერი და თუ

ამას მივუმატებთ მის განსაკუთრებულ პოეტურ ნიქს, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მას ულამაზესი და უზუსტესი გამოთქმა მოუძებნია. როგორც ვთქვით, საკვირველი ის უნდა ყოფილიყო, თუ რატომ ცდილობდა იგი არ ეთქვა აშკარად გასაგებად, რომ აქ ქრისტიანულ ღმერთს გულისხმობდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ გამოთქმების ფილოსოფიურ წყაროზე მითითება რატომ არ მოგვცა იქ და იმ შემთხვევებში, როდესაც ამის მითითება ყველაფერს ნათელს გახდიდა, პირიქით, გადაიტანა იქ და თქვა მაშინ, როცა საამისო არაფერი ჩანს. იქნებ რაღაც მნიშვნელოვანი ამბები იქაც არის და ამიტომ ჩვენ ახლა ეს საკითხი უნდა განვიხილოთ.

## „სამსე ქართული პატიოსნებით“...

ვინ არიან „ვეფხისტყაოსნის“ მეფეები და, მაშასადამე, ვინ არის ბოროტად გამოყვანილი მეფე ფარსადანი? თვითონ რუსთაველი პირდაპირ პასუხს იძლევა ამ კითხვაზე: „ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი“, ვპოვე და ლექსად გარდავთქვიო (1667,2) დასაწყისშივე იყო ნათქვამი „ესე ამბავი სპარსული“ და ა.შ. ყველაზე პირდაპირ ნათქვამი გამოდგა იმთავითვე ყველაზე სადავო და დღემდე არ არის დადგენილი მართლა სპარსული ამბავი გალექსა რუსთაველმა თუ მასვე ეკუთვნის როგორც ამბის შეთხზვა, ისე გალექსვაც. ამ საკითხის გარკვევა ახლა ჩვენთვის მთავარი და ამით დამთავრდება კიდევაც ეს გამოკვლევა. ხოლო იმისათვის, რომ ამ კითხვას პასუხი გავცეთ, გავაგრძელოთ მსჯელობა იმაზე, თუ რატომ მოგვცა რუსთაველმა სტროფი „ამ საქმესა დაფარულსა“, იქ, სადაც თითქოს მისი ადგილი არ ჩანს და არ მოგვცა იქ, სადაც თითქოს ბუნებრივი იყო ამისი თქმა.

ზემოთაც იყო ნათქვამი, რომ ამ სტროფით იწყება თავი „სამთავანჯე ქვაბსა მისვლა და მუნით არაბეთს წასვლა“. წინა თავი კი ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა ფრიდონისაგან“, როგორც ვიცით, მთავრდება საკმაოდ უცნაურად, უფრო მეტიც, ზევით ისიც ითქვა, ღია კარების შემტვრევასა გავსო. აქ ტარიელი ავთანდილს უმტკიცებს, ისეთივე საქმე უნდა გაგიკეთო, როგორიც მე გამოიკეთეო. ზედმეტიც კია, მაგრამ უნდა გავიმეოროთ, რომ ავთანდილმა ტარიელს უიმედოდ დაკარგული მიჯნური აპოვნინა და გამოახსენევინა. ახლა,



ადგამორიცხულია ასეთივე საქმე ავთანდილის მიმართ. რუსთაველს თითქოს ბინდი გადაეკრა გონებაზე და ვერ ამჩნევს ამგვარი თხოვნის სრულ უსაფუძვლობას. დიდხანს აგრძელებს ამაზე მსჯელობას, ორჯერ შეასრულა ფრიდონმა „ტარიას მოციქულობა“ ავთანდილთან. ორჯერვე უარი მიიღო ავთანდილისაგან საკმაოდ მწარე სიტყვებითაც — არ მიყვარს ასეთი პირფერობაო. რუსთაველმა მაინც თავისი გაატანინა ტარიელს და ახლა ამ გზაზე არიან ჩვენი გმირები. ეს თავი იწყება იმ სტროფით ღმერთისა და კეთილ-ბოროტის დამოკიდებულების შესახებ — „ამ საქმესა დაფარულსა“... მთავრდება სტროფი და იწყება სრულიად ახალი ამბავი:

„ფრიდონისით გაემართნეს იგი ლომნი, იგი მზენი,  
თანა მიჰყავს პირი მზისა, ქალი მჰვერეტთა ამაზრზენი,  
ჰკიდავს ბროლსა ყორნის ბოლო დაწყობილი, დანათხზენი,  
მუნ ბადახშსა აშვენებდეს სინატიფე-სინაზენი“ (1493).

ბოლოს და ბოლოს რა მოხდა არაბეთში, სადაც ჩავიდნენ ჩვენი გმირები? ხომ წინასწარ ვიცით, რომ ისეთივე დახმარების ამბავი არ გამოვა. ამის საჭიროება გამორიცხულია. ეს ჩვენც ვიცით და, რა თქმა უნდა, ჩვენზე კარგად იცოდა რუსთაველმა. და მაინც ნაწარმოები ასე გააგრძელა. რატომ? კიდევ ერთხელ დავსვათ ეს კითხვა და როგორც ზემოთ უამრავჯერ, აქაც მოგვიწევს ის ვთქვათ, რომ რუსთაველი საგანგებოდ, სრულიად მოფიქრებით აკეთებს ამას, რადგან მას აქ ისეთი სათქმელი აქვს ჩაფიქრებული, რომლის ბადალი იშვიათად თუ მოიძებნება. რა მოხდა არაბეთში? რა გააკეთა ტარიელმა? ტარიელმა უაღრესად დიდი პატივი სცა ავთანდილსა და მის გამზრდელ მეფეს როსტევანს. ეს მოხდა, მეტი არაფერი და ამით რუსთაველის გენია გვიმტკიცებს: ეს არის იმისი ბადალი, რაც ადრე გაკეთდა ბოროტისაგან ნესტანის გამოხსნის სახით, გმირული ბრძოლებით, მამაცობის გამოჩენით. პატივისცემა ყოფილა იმავე რანგის საქმე.

რუსთაველის თემებზე სასკოლო თხზულებებს ავალებენ მოწაფეებს: მიჯნურობა „ვეფხისტყაოსანში“, მეგობრობა „ვეფხისტყაოსანში“, ხალხთა ძმობა და მეგობრობა „ვეფხისტყაოსანის“ მიხედვით, პატრიოტიზმი რუსთაველის პოემაში და

ა.შ. ეს ყველაფერი სავსებით ბუნებრივი და გასაგებია. გაუგებარია მხოლოდ, რომ დღემდე არ არის გამოყოფილი მათივე ანალოგი თემა: ადამიანთა ურთიერთპატივისცემა „ვეფხისტყაოსანში“.

ტარიელი ავთანდილს ეხვეწება, წამიყვანე შენთან ერთად არაბეთში, ცოლი უნდა შეგერთო, ისე მე ჩემსას არ შევიერთავო. როგორ შეგერთო? ქალის ხელი ვთხოვოთო შენს გამზრდელ მეფეს. რა თქმა უნდა, ტარიელმა იცის, რომ ავთანდილს წინააღმდეგობა არ ელოდება. ეს მხოლოდ პატივისცემისათვის უნდა გააკეთონ. პატივისცემას თურმე თავისი წესები ჰქონია. ამ წესების სრული დაცვით უნდა მოხდეს ყოველივე, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანთა შორის ურთიერთობის, ქცევის სავალდებულო წესები არსებულა, ამ წესებს უნდა დაემორჩილო, ეს წესები უნდა დაიცვა. რა თქმა უნდა, სწორედ აქ უნდა მოვიგონოთ ის, რაც ამ ნაშრომის დასაწყისშივე ითქვა ქართული ეროვნული ტრადიციების შესახებ საერთოდ და, კერძოდ, ისიც, რომ რუსთაველი არის ამ ტრადიციების, წესების არა მარტო ამსახველი, არამედ მისი დამსახველიც. ამ წესების დაცვის ფარგლებში საკუთარი თავის ღირსებაც უნდა გამოავლინო და სხვისი ღირსებაც უნდა დააფასო. ღირსების დაფასება არის პატივისცემა და, მაშასადამე, საკუთარ თავსაც უნდა სცე პატივი და სხვასაც, არც შენ უნდა იკადრო ყველაფერი და არც სხვებს აკადრო. ახლა ჩვენი გმირების სახით არაბეთში თავი მოიყარეს სწორედ ასეთმა ადამიანებმა, ისინი საკუთარ თავსაც პატივს სცემენ და ერთმანეთსაც, ვინც ღირსია, ყველას, ვინც ამას არ იცავდა, ისინი სხვაგან დარჩენილან. მათ აქ არა აქვთ ადგილი. მოვიგონოთ აქ, თუ როგორ მოიქცა ფარსადანი. მან უღირსი საქციელი აკადრა თავის თავსაც, როდესაც უშვერ სიტყვებს ამბობდა ნესტანისა და ტარიელის მისამართით. ამითვე ღირსება შეუღალა მათ. პატივისცემა არც თავის თავისადმი, არც სხვების მიმართ მის საქციელში არ ჩანს. არაბეთში თავმოყრილ გმირთა შორის ასეთი არავინაა. ესენი ნამდვილი ადამიანები არიან, ღირსების მქონენი, საკუთარი და სხვისი ღირსების დამფასებელნი, ანუ პატივისცემე-

ლნი. ამათ შორის არ არის ერთი, რომელიც ღირსია აქ ყოფნის, ეს არის ფატმანი, მაგრამ რუსთაველის საოცარ ტაქტს არ გამოეპარა, რომ ერთ საზეიმო სუფრასთან თინათინის, ავთანდილისა და ფატმანის ერთად ყოფნა არ იქნებოდა გამართლებული. ამას ცოტათი მაინც შეეძლო მათივე ღირსება შეეღაზა.

ადამიანებს ბევრი რამ აქვთ დაბადებით მოცემული. ორ ადამიანს შეიძლება ერთნაირად ლამაზი შეხედულება ჰქონდეთ, ერთნაირად ღონივრები იყვნენ, მაგრამ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან იმით თუ როგორ აფასებენ ღირსებას, პატივისცემას, როგორ იქცევიან საამისო წესების მიხედვით. სიკეთე ღმერთისგან მოდის, ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც მივიღეთ ამგვარი რწმენა. წესების დაცვით რომ იქცევიან ადამიანები და ამით არიან ერთმანეთისაგან განსხვავებული, ეს ცხოვრებისეულია, თვალების სილამაზესავით დაბადებიდან არ მოდის. ადამიანთა ურთიერთობაშივე შექმნილია, ჩამოყალიბებულია, ეს კულტურაა! მაშასადამე, ადამიანებს ქცევის კულტურა ახასიათებთ. ამ ქცევაში მათი სულია გამოვლენილი, ამიტომ ვამბობთ ხოლმე, შინაგანი კულტურაო. ქაჭებმა ბრძოლის ხერხები განსაკუთრებული იცოდნენ, ქონებაც დიდი ჰქონდათ დაგროვილი, გარკვეული წესები იმათაც ჰქონიათ, მაგრამ მათ აკლდათ მთავარი — სათნოების გამოძხატველი ქცევა, მისი შესაბამისი წესები, თანამედროვე ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ცივილიზაცია (ტექნიკა, ფუფუნება, სიმდიდრე) ქაჭებსაც შეიძლება ჰქონდეთ, შინაგანი კულტურა კი — მხოლოდ ნამდვილ ადამიანებს.

ამ თემაზე წერა უსასრულოდ შეიძლება, ჩვენ კი გარკვეულ მიზანს მივყვებით და ამით ვართ შეზღუდულნი. ჩვენი მიზანი ის იყო, რომ გვეჩვენებინა, თუ რატომ გაუტოლა რუსთაველმა ავთანდილის მიერ გაწეულ დახმარებას და ამ დახმარების გზით ქაჭეთის ციხის კარების შემტვრევას თითქოსდა ღია კარების მტვრევა — არაბეთს წამოსვლა საქორწილოდ. აღმოჩნდა, რომ რუსთაველს შეეცდომა კი არ მოსვლია, გენი-ალური ჩანაფიქრი განუხორციელებია. მთავარი ყოფილა ადამიანის თანაგრძნობა, მიჯნურობა, მეგობრობა და ურთიერთ-

პატივისცემა.

მკითხველი უნდა გავაფრთხილო, რომ რუსთაველის ეს ჩანაფიქრი კი არაა რაიმე საიდუმლო, მაგრამ იგი დაკავშირებულია მოვლენებთან, რომელთა აშკარად თქმა რუსთაველს არ აწყობდა, რადგან ისინი საიდუმლოსთან მეტად ახლოს იყვნენ. მაგალითად, ის, რომ რუსთაველი წმინდა ქართული პატივისცემის შესახებ ლაპარაკობს და რომ აქ თავმოყრილი გმირები ქართველები არიან და ა.შ.

მიჯნურობის, მეგობრობის და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე აგებული დამოკიდებულების მოდელი წარმოგვიდგინა რუსთაველმა როგორც მისაღები და სავალდებულო. აქ ერთი დეტალიც მოვიგონოთ და ჩვენი სათქმელი საბოლოოდ გამოიკვეთება. ტარიელი ისე ეხვეწებოდა ავთანდილს, უნდა დაგეხმარო, რომ კინალამ აწყენინა. პატივისცემა როცა უკიდურესობამდეა მიყვანილი, ე.ი. როცა წესის დაცვა თავისთავად იძენს ღირებულებას, ანუ კულტად იქცევა, ის გადადის საწინააღმდეგოში, შეწუხებაში. ასე უკიდურესობამდე მიყვანილი პატივისცემა დაგვიხატა რუსთაველმა და ამით თითქოს კითხვა დაგვისვა, ხომ არის ეს ქართველებისთვის დამახასიათებელიო. დიახ, სწორედ ასე ფიქრობს იგი. სწორედ ამიტომ მოვიტანეთ ამ თავის სათაურად გალაკტიონ ტაბიძის სიტყვები: „სავესე ქართული პატიოსნებით“. ეგ რომ სიმამაცისა და გმირობის თანატოლია, საამისო სიტყვებიც აქვს ჩვენს გალაკტიონს: „ომს ვეფხვებრივს, შინ ზრდილობას“.

ღიღი აზრი ჰქონია რუსთაველს ჩაფიქრებული. მოსალოდნელიც იყო და საქართველოს ისტორიამ დაუდასტურა მას ჩანაფიქრი. მარტო ცოტნე დადიანის მაგალითი საკმარისია, რა გააკეთა ცოტნემ? მონღოლებისაგან გაათავისუფლა თავისი ტყვე მეგობრები, შეამბოხებები. ჩვეულებრივ ამას ხომ ომი დასჭირდებოდა. ცოტნე ისე მოიქცა, როგორც მას საკუთარი შინაგანი რწმენა, კულტურა კარნახობდა. იგი ნებაყოფილობით ჩაბარდა მონღოლებს და თვითონვე დაწვა თავისით მეგობრების გვერდით მცხუნვარე მზის ქვეშ. ცხადია, ცოტნეს ის კი არ ჰქონდა გააზრებული, ჩემს ქცევას

მტერი დააფასებს და ყველას გაგვათავისუფლებსო. ეს შედეგი მისმა ქცევამ წინასწარი განზრახვის გარეშე გამოიღო. ცოტნე ღირსეულად მოიქცა — ეს იყო და ეს, ე.ი. მან პატივისცა საკუთარ ღირსებასაც, ამხანაგებსაც. როგორც ვთქვით, ამ ღირსეული ქცევის შედეგი ომის ტოლი აღმოჩნდა და ეს გვაძლევს უფლებას ვთქვათ, ისტორიამ დაუდასტურაო რუსთაველს.

ეს ამბავი მოხდა რუსთაველისა და თამარის დიდი ეპოქის უშუალოდ მომდევნო, მძიმე პერიოდში, როცა საქართველოს ცას უკუნ ღამედ ჩამოაწვა მონღოლობა. ეს დიდი ღამე რამდენიმე საუკუნეს გაგრძელდა, რის შემდეგაც დიდხანს არ დადგომია ნათელი დღეები საქართველოს და აქ უნდა აღვნიშნოთ რუსთაველის გენიალური ჩანათქრის დადასტურება ისტორიის მიერ, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი და დიდი, ვიდრე ეს იყო თვით ცოტნეს უბადლო გმირული ქცევა. უფრო მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ ერთეულის გმირობასთან კი არა, მთელი ხალხის გმირობასთან გვაქვს საქმე. მძიმე, ხანგრძლივ ისტორიულ ძნელბედობას ქართველმა ხალხმა იმიტომ გაუძლო, რომ თანატოლად ფასობდა „ომი ვფხვებრივი“ და მოქცევა დიდებული, ანუ „შინ ზრდილობა“. მამაცური ბრძოლის, სამშობლოსთვის თავგანწირვის ის დიდებული „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა“-ს გვერდით, უფრო სწორად, მასთან განუყრელად მოქმედებდა და იცავდა მამულს ცივილიზაციამოკლებული ქართველი მშრომელი კაცის შინაგანი სულიერი სიმდიდრე, სიღარბისლე, პატიოსნება, კულტურა ქართველი გლეხისა, რითაც ძველად თუ შემდგომ დროს არაერთხელ გაკვირვებულან სამეგობროდ თუ სამტროდ მოსული უცხოელები.

*ქახოც იყო და ყუღის!*

რუსთაველს ისტორიამ სხვაც დაუდასტურა. საქართველოში ცოტნე და ცოტნეობაც იყო, გიორგი სააკაძეც და პაატაც, შადიმანი და შადიმანობაც. ერთგულებაც იყო და ლალატიც. ერთის მიერ აღმა ხნულის მეორესაგან დაღმა ფარცხვაც იყო, ასე რომ გოდებდა დავით გურამიშვილი. პატრონყმობაც იყო და გაუმთელებელი ჩატეხილი ხიდიც, დიდად რომ აფიქრებდა ერის მამას ილია ჭავჭავაძეს. ჩონგურის სიმებზივით აწყობის

იმედიც იყო, აკაკი წერეთელმა რომ უმღერა და ისიც იყო აკაკისა და ვაჟა-ფშაველას რომ აღონებდათ — სამშობლოს დამამხობელი, გამომჭრელი კარისა („უვარგისობის მიზეზი ფშაველობა არის სწორედა“). იყო დიდგორივით წარმატებული მარტყოფის ბრძოლაც და სამარცხვინო ძმათა სისხლისღვრა ბაზალეთის ტბასთან.

საქართველოში ისეც იყო და — ესეც, აქ ხშირად ერთ ძირზე ამოიზრდებოდა დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია... ქართველებს საკუთარი ქაჯები და ქაჯობა აქვე გააჩნიათო, სიკეთე მაინცთუ ძღვეს ბოროტს, თავისთავად კი არა, სიკეთისთვის მამაცური ბრძოლით, დიდი შინაგანი სიმტკიცით და სათნოებით...

რუსთაველის პოემაში მოცემული დიდებული ჩანაფიქრის — ქაჯეთის ციხის აღების თანატოლია ადამიანთა ღირსების დაფასება, პატივისცემაო, ისტორიამ გაამართლა და დაადასტურა. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, ეს უბრალო დამოწმება კი არ არის, არამედ რუსთაველის გენიის ნამოღვაწარი თვითონ ედგა ერთ-ერთ ბურჯად ამ ისტორიას.

არაბეთში თავი მოიყარეს „ვეფხისტყაოსნის“ გმირებმა, რათა ერთმანეთს პატივი სცენ, დააფასონ ერთმანეთი. ეს ერთმანეთის დაფასება, პატივისცემა, წესების დაცვა წმინდა ქართული ამბავი გამოდგა, ქართული ხასიათი ნაწარმოებში ბევრჯერ გამოჩნდა, აქ კი ეს განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს. რუსთაველი გვიმტკიცებს, აქ არიანო არაბები, ინდოელები, მულღან-ზანზარელები. ეს არ უშლით მათ ხელს ერთმანეთის სიყვარულში, მეგობრობაში, პატივისცემაში. ამაზე ძლიერად ერთა ძმობა, ამჟამად ინტერნაციონალიზმს რომ ვეძახით, ძნელი გამოსახატავია, მაგრამ აქ არის კიდევ ერთი მომენტი. სხვადასხვა ხალხებს ბევრ სხვასთან ერთად უმეტესად ღმერთებიც განასხვავებდა, რომელსაც ისინი ეთაყვანებოდნენ. როგორ ვიფიქროთ, ახლა, როცა თვალნათლივ გვაქვს სურათი, სადაც ჩანს, რელიგიური ბარიერი და მტრობა არ არსებობს და სხვადასხვა ღმერთის მსახურნი ერთმანეთს ათვალისწუნებით არ უყურებენ, როგორც ეს ჩვეულებ-

ბრივ ხდებოდა. იქნებ რუსთაველის გენია მისწვდა იმ დრო-  
ისათვის სრულიად ახალ აზრს, ღმერთი ერთია ყველა-  
სთვის, ჩემთვის ის ქრისტეა, არაბისთვის ალაჰი, სხვები-  
სთვის სხვა, თვითონ კი ერთია, უცნაური და უთქმელი,  
უყამო უამი, მზიანი ღამე. საამისო მტკიცებისთვის პირ-  
დაპირი საბუთი არ არსებობს, მაგრამ არც იმის საბუთი  
არსებობს, უარყოფთ ასეთი გაგება.

რუსთაველის პოემის ანალიზი გვარწმუნებს, რომ რუს-  
თაველს მოფიქრებით ჰქონდა აღებული მოქმედების ასპარე-  
ზად თითქმის მთელი იმჟამინდელი მსოფლიო, ყოველ შემთხ-  
ვევაში, მისი უდიდესი ნაწილი. სინამდვილეში ნაწარმოები  
შეუქმნია ქართულ სინამდვილეზე. უფრო მეტი, მას ნაწარ-  
მოები შეუქმნია საქართველოს სადიდებლად, უკვდავსაყოფად.  
ყოველმხრივ უზრუნია ეს ნაწარმოები ყოფილიყო სრულქმნი-  
ლი, თავისთავში დასრულებული და, ამდენად, უკვდავი, სამა-  
რადისო ძეგლი მისი ხალხის სადიდებლად. ნაწარმოებში აუსა-  
ხავს არა მარტო ის, რაც მას სანიმუშოდ მოუცია შემდგომი  
თაობებისთვის, არამედ ისიც, რაც მას დასაგმობად მიაჩნდა.  
„მოკვდე გიჯობსო, სიცოცხლეს აუგაინა“ (191,1), ასე შეუქმ-  
ნია ნაწარმოები, რომელიც, ამის გამო, მუდმივი საშიშროე-  
ბის წინაშე დაუყენებია.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ დიდოსტატ კონსტანტინე გა-  
მსახურდიას მარჯვენამ დაგვიხატა, თუ როგორ მიუცია საკუ-  
თარი სული არსაკიძეს მე-11 საუკუნეში უკვდავი სვეტიცხო-  
ველისათვის. ერთი საუკუნის შემდეგ ასევე საკუთარი სული  
მიუცია რუსთაველს „ვეფხისტყაოსნისათვის“, ჩაუდენია გმი-  
რობა („იხმაროს დიდი გმირობა“-ო, თვითონვე რომ ამბობს),  
გაუწირია თავი, ყველაფერი უღონია, ოღონდ ერის სადიდე-  
ბლად აშენებული ძეგლი გადარჩენილიყო. ამ მიზანს ემსახუ-  
რებოდა საიდუმლო, რომელიც ნაწარმოებშია მოცემული.  
ის რომ თავიდანვე გამჟღავნებულიყო, ნაწარმოები ვერ გადა-  
რჩებოდა. თუ საიდუმლო დროს გაუძღვებდა, მაშინ ნაწარ-  
მოები გადარჩებოდა.

ისტორიამ ესეც დაუდასტურა რუსთაველს. საიდუმლო ამო-  
უხსნელი დარჩა, სანამ საშიშროება არსებობდა.

გადარჩა „ვეფხისტყაოსანი“. აღსრულდა რუსთაველის უმთავრესი სურვილი — „ვეფხისტყაოსანი“ გადარჩა და იგი ავტორის გენიალობის ნიშნის მატარებელია საიდუმლოს ამოხსნამდე. რუსთაველს სწორედ ამიტომ სწამდა, რომ ამ ქმნილებას შეინახავდა ხალხი, დაიცავდა, არ დათმობდა. რუსთაველის ანდერძი კი ის უნდა ყოფილიყო, რომ დიდი დროის გავლის შემდეგ ამოიხსნებოდა საიდუმლოც და ახლა უკვე ეს არ იქნებოდა საშიში ნაწარმოებისათვის. პირიქით, ნაწარმოები გამოჩნდებოდა მთელი თავისი სრულქმნილი სიდიდით, როგორც უკვდავი ძეგლი — ეს არის რუსთაველის ანდერძი. თვითონ კი ისე აღესრულა, მისი ცხოვრების შესახებ თითქმის არაფერი ვიცით.

ამის შემდეგ კიდევ ერთი საკითხი დაგვრჩა და ამით დასრულდება „ვეფხისტყაოსნის“ საიდუმლოს საკითხი.



## რუსთაველის ხელოვნების მწვერვალი

მივიღეთ, რომ რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“ ჰქონია მოცემული მის მიერ შეთხზული ამბავი საქართველოს შესახებ, ქართველები პყოლდა გამოყვანილი მოქმედ გმირებდა. ამასთან, აშკარად აქვს ნათქვამი, რომ ეს სპარსული ამბავი ვნახე და გავლექსე, რომ ეს არის უცხო ხელმწიფეთა შესახებ ნათქვამი ამბავიო.

რატომ თქვა რუსთაველმა დასაწყისშივე და შემდეგ, დასასრულს, არსებითად იგივე გაიმეორა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი ნასესხებია? ამ საკითხმა იმთავითვე მიიქცია ყურადღება. შეუძლებელიც იყო ეს დარჩენილიყო უყურადღებოდ. ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა შეიქმნა. ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებდა, რომ „დასაწყისიც“ და „დასასრულიც“ არ ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, სხვების მიერ არის დამატებული და, მაშასადამე, არ არისო გასაზიარებელი იქ გამოთქმული აზრი „ვეფხისტყაოსნის“ წყაროს შესახებ. ეს აზრი არ გამართლდა. რუსთველოლოგია საბოლოოდ იმ აზრზე დარჩა, რომ „დასაწყისიცა“ და „დასასრულიც“ ეკუთვნის რუსთაველს და სპარსული, ანუ უცხო ამბის შესახებ იქ გამოთქმული აზრიც რუსთაველს ეკუთვნის. რატომ დაწერა რუსთაველმა ასე? ამ კითხვაზე ძირითადად ორნაირი პასუხი ჩამოყალიბდა. ერთი მათგანი თვლის, რომ ეს მართლაც ასეა და რუსთაველს თავდაპირველად სპარსულად შექმნილი ამბავი აქვს გადმოტანილი, ანუ გალექსილი „ვეფხისტყაოსნის“ სახით. ამ აზრს იცავდა ისეთი

დიდი ავტორიტეტი, როგორც იყო ნ. მარი, რომელიც ვარაუდობდა, სათანადო ხელნაწერი, ჭერჭერობით რომ არ არის მიკვლეული და ამიტომ უცნობია ჩვენთვის. უსათუოდ გამოჩნდებაო. ნ. მარი ფიქრობდა, რომ ბრიტანეთის მუზეუმში მოიძებნება ასეთი ხელნაწერი. ნ. მარს სხვებთან ერთად ისეთი ძლიერი ოპონენტი გაუჩნდა, როგორც იყო ვაჟა-ფშაველა. ბევრი ეძება ნ. მარმა, მაგრამ ამაოდ დაშვრა. ხელნაწერი არ მოინახა და, ამდენად, თითქოს საბოლოოდ გამართლებულად უნდა მიგვეჩნია არგუმენტი, რომლის მიხედვით, ასეთი ამბავი რომ არსებულებოდა, მას სხვაც გალექსავდა და გვეცოდინებოდაო. ვაჟა-ფშაველას მიერ ენერგიულად ნათქვამი ეს მოსაზრება ერთი შეხედვით უძლეველი ჩანს, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მაინც არ შეიძლება მივიჩნიოთ უნაკლო საბუთად. არ არის გამორიცხული, ასეთი ნაწარმოები დაკარგულიყო. შოთა რუსთაველი დასაწყისშივე შაირობის შესახებ რომ კამათობს, როგორც შემოთავაზებდა, ეს არ არის ზოგადად მსჯელობა პოეტიკის საკითხებზე. რუსთაველი ეკამათებოდა თავისი დროის პოეტებს, აჯგუფებდა და ახარისხებდა მათ, ზოგიერთს იმას უსაყვედურებდა, რომ

**„დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვთ**

**ხოცვა ნადირთა მცირეთა“ (16,4),**

ზოგიერთს სათქმელის შეკვეცას, სიმოკლეს, რაც მთავარია,

**„მაგრამ იტყვის, ჩემი სჯობსო,**

**უცილობლობს ვითა ჯორი“ (15,1).**

ჩვენ არ ვიცით, თუ ვინ ჰყავს მხედველობაში რუსთაველს, ეს არ შემოგვირჩინა ისტორიამ და განა არ იყო საშიშროება თვით „ფეხისტყაოსნის“ დაღუპვისა. ამრიგად, კატეგორიულად თქმა იმისა, რომ რადგან არ შემოგვრჩია, ე.ი. არც ყოფილაო, არ არსებულაო, არ შეიძლება. არ შეიძლებაო, იმას კი არ ნიშნავს, გამორიცხულია ასე თქმა, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ უტყუარი საბუთი არა გვაქვს.

ნ. მარის თვალსაზრისს კი, ვერ ვიტყვით, რომ განსაკუთრებით ბევრი მიმდევარი ჰყავდა, მაგრამ ის თვალსაზრისი საბოლოოდ უკუგდებული მაინც არ იყო. ზოგიერთი მეცნიერი ამჟამადაც ცდილობს მოძებნოს ნაწარმოები, რომლის გალექსვა-

საც, თვით რუსთაველისავე თქმით, თითქოს უნდა წარმოადგენდეს „ვეფხისტყაოსანი“.

მეორე თვალსაზრისი, წინააღმდეგ ამისა, ამტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველის ორიგინალური ნაწარმოებია, იგი არ არის სხვის მიერ შეთხზული ამბის გალექსვა, ხოლო კითხვას, თუ ეს ასეა, მაშინ რატომ თქვა რუსთაველმა, ისიც ორჯერ, ვპოვე და გარდავთქვიო, ძირითადად ასეთ პასუხს აძლევენ: რუსთაველის სიტყვები სინამდვილეს კი არ გადმოგვცემს, არამედ მოფიქრებით ფარავს, რომ ეს არის ქართული ამბავი. უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველოლოგთა უმრავლესობა ამ მეორე თვალსაზრისს იცავს.

ამრიგად, რუსთაველის ნათქვამის შესახებ ორი აზრი გვაქვს: ერთი, რომ ის სინამდვილეს ასახავს და, მეორე, რომ ის სინამდვილის მოფიქრებით მიჩქმალვის მიზნით არის ნათქვამი და არ შეეფერება სინამდვილეს. რომელი აზრი უნდა მივიჩნიოთ მართებულად?

როგორი საკვირველიც არ უნდა იყოს, საჭიროა ითქვას, რომ არც ერთი არ არის სწორი, ორივე აზრი მცდარია: რუსთაველს მართლაც არ გამოუთქვამს სინამდვილე, ე.ი. მისი სიტყვები, მოფიქრებით ნათქვამი გამონაგონია, ტყუილია. მაგრამ ეს გამონაგონი სიტყვები არაფერს ფარავს, როგორც ახლა ვნახვთ, ვერც დაფარავდა და, რაც მთავარია, რაიმეს დაფარვის მიზნით არც ჰქონდა ნათქვამი ავტორს.

რუსთაველოლოგები, რომლებიც მეორე თვალსაზრისს იცავენ, იმ აზრს ავითარებენ, რომ რუსთაველს პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრებით დასაფარავი ჰქონდა რაღაც და ამ მიზნით თქვაო, ეს ამბავი სპარსულიაო, მიუხედავად იმისა, რომ ამ აზრის დამცველთა შორის ბევრია დიდად გამოჩენილი მეცნიერი, მათ ვერ შეძლეს ეჩვენებინათ ის, თუ, კერძოდ, რა დაფარა ან რა უნდა დაეფარა რუსთაველს. არ აღმოჩნდა ამ მხრივ გამართლებული არც ს. ჭვარიანის, არც პ. ინგოროფას, არც სხვების შეხედულებები და ვარაუდები. ვერ იქნა დამტკიცებული, რა პოლიტიკური მოსაზრებით, რა ამბავი არ გაგვიმხილა რუსთაველმა და, მაშასადამე, ვერ იქნა გამართლებული დაშვება — რუსთაველმა ამბის სპარსულობა ამ მიზნით გამოიგონაო.

ჯერჯერობით, ისე, ზოგადად რომ დავსვათ საკითხი, ამ ფრაზებს რისი დაფარვა შეუძლიათ? ალბათ, იმისი, რაც ნაწარმოებში ყოფილა დაფარულად ნათქვამი, იმიტომ, რომ თვითონ იმ ფრაზებში არაფერია მოცემული და, მაშასადამე, მათი მიზანი უნდა ყოფილიყო დაეფარა ის, რაც სხვაგან იყო ნათქვამი. როგორ იქნებოდა დაფარვა? პირიქით, ეს ნათქვამი მინიშნება უფრო იქნებოდა, შეიძლება დაფარვის განზრახვით ნათქვამი, მაგრამ ფაქტობრივად განზრახვის საწინააღმდეგო შედეგის მქონე. პატიებას ვითხოვ, თუ ფამილარობა იქნება, მაგრამ უნდა ვთქვა, ეს დაახლოებით იმ გულუბრყვილობას ემგვანებოდა, ანეკდოტით რომაა გამოთქმული. გადმოდგაო ბიჭი ალაზნის ველზე და გადასძახაო, — „რა ატამი, რიი ატამი!“ აქაოდა, ამას რომ ვიტყვი, უკვე ჩემზე ექვს აღარ აიღებენო. არადა, სწორედ ამ თქმით მიანიშნებდა თავისთავზე.

დავიჯეროთ ახლა, რუსთაველი ასე გულუბრყვილოდ მოიქცა, რაღაცა დაფარა ისე, რომ ვერ პოულობენ, თვითონ კი დგას და თავს იხდის საექვოდ, მე არ დამიძალია, მე სხვისი ამბავი ვთქვიო? რა თქმა უნდა, ეს არ არის დასაჯერებელი, რუსთაველი ასე არ მოიქცეოდა და არც მოიქცა.

მაგრამ ეს კი არ აიოლებს, არამედ უფრო ართულებს ჩვენს ამოცანას. ასე თუ ისე რადგან ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისი იყო გამოთქმული, შეიძლებოდა კაცი იოლად გასულიყო. ახლა თუ ორივეს უარვყოფთ, ახალი რა უნდა ითქვას, ან საერთოდ, შეიძლება კი ახალი ითქვას? ზემოთ ჩატარებულმა ანალიზმა იმ გზით წაგვიყვანა, რომ ახლა თითქოს არ უნდა იყოს შეუძლებელი ის, რაც თავისთავად შეუძლებელი ჩანს.

საქმე ისაა, რომ განსხვავებით იმ ავტორებისაგან, რომლებიც, მართალია, სწორად მიიჩნევდნენ, რუსთაველის სიტყვები ამბავის სპარსულობაზე გამოგონილიაო, მაგრამ ვერ ამბობდნენ, რა მიზნით გააკეთა ეს რუსთაველმა, ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა საიდუმლო და დაფარული ჰქონია რუსთაველს, უცხოთა ხელმწიფეთანიო, რომ ამბობს, ესენი უცხოები არ ყოფილან, ამასთან, ორივე ერთნაირი კი არ ყოფილა, არამედ ერთმანეთის საპირისპირო. მაშასადამე, ქართველი მეფე ყოფილა გამოყვანი-

ლი ბოროტ ძალად. რა თქმა უნდა, არაფერს შევლოდა ამის დაფარვა, სპარსული ამბავიაო, ათჯერ რომ ეთქვა. თუ ეს არ გამომელავნდებოდა, მაშინ იმ თქმას არაფერი გამართლება ჰქონდა, ხოლო თუ გამელავნდებოდა, მაშინ არაფერს შევლოდა. ამიტომ რუსთაველმა ეს ფრაზები რაიმეს დასაფარავად კი არ ეთქვა, არამედ დასამთავრებლად, საბოლოო წერტილის დასასმელად, იმის გაგებისათვის, რაც მას ნამდვილად ჰქონია მოცემული პოემაში სანახევროდ დაფარული სახით.

ახლა დავსვათ საკითხი ამგვარად და ყველაფერი, ვფიქრობ, ნათელი შეიქნება: მეფეთა ამბავი, რაც სინამდვილეში ყოფილა ნათქვამი რუსთაველის მიერ (კეთილი და ბოროტი მეფე), და არა ის, რაც ჩანდა (ორივე კეთილი, ღვთისმიერი მეფე), შეიძლებოდა ყოფილიყო სპარსულ პოეზიაში და ისიც ქართულად ყოფილიყო ნათარგმანები, ხელახელ ყოფილიყო საგოგმანები, რომ რუსთაველს მხოლოდ გაელექსოს? შეიძლება ეს დავიჭეროთ? შეიძლება თუ არა ვეძებოთ ნ. მართან ერთად და იმედი ვიქონიოთ, ოდესმე ვიპოვოთო, უარყოფითად გამოყვანილი მეფის ამბავი? ცხადია, ამის მოლოდინი უაზრობაა, ამიტომ ამის ძებნა არც არავინ უნდა დაიწყოს. როგორადაც არ უნდა დიდი სურვილი ჰქონდეს, ვინმე დაიწყებს მყინვარწვერზე ასვლას იმ იმედით, რომ იქ ბალჩაში ნესვს ან საზამთროს ვიპოვიო? როგორადაც არ უნდა ჰქონდეს სურვილი გათბობისა, ვინმე ჩაყვინთავს ზღვაში იმ იმედით, სიღრმეში სადმე ცეცხლს ვიპოვი და ხელეებს გავითბობო?!

სანამ „ვეფხისტყაოსანში“ ვერ გვეპოვა უარყოფითი მოქმედი პირები, სანამ ესენი არ აღმოჩნდებოდნენ მეფე-ღედოფალი და მეფის და, მანამ რა გვიშლიდა ხელს ამ ამბის ანალოგი ვეძებნა სხვაგან, კერძოდ, სპარსულ ლიტერატურაში, მაგრამ როგორც კი აღმოჩნდა ეს ყველაფერი, ახლა თუ აქვს აზრი სპარსულ ლიტერატურაში ასეთი მეფეების ამბები ვეძებოთ?! რა თქმა უნდა, ეს უაზრობაა, აბსურდია. მაშასადამე, „ვეფხისტყაოსანში“ ნათქვამი, „ესე ამბავი სპარსულიო“, „ესე ამბავი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანიო“, უაზრობა ყოფილა. ამისი ძებნა უაზრობაა.

რუსთაველს თავისი დროის მთელი სიბრძნე ჰქონდა ათვი-

სებული. მან იცოდა სილოგისტიკაც და დასაბუთების გზებიც, მეთოდებიც. დასაბუთების ერთ-ერთი ცნობილი, ძველ საბერძნეთშივე ჩამოყალიბებული მეთოდია აბსურდამდე მიყვანა. მისი შინაარსი ასეთია: რაიმე დებულების ქეშმარიტება რომ დავამტკიცოთ, ამისათვის საჭიროა დავუშვათ ამ დებულების საწინააღმდეგო და დავამტკიცოთ, რომ ეს საწინააღმდეგო აბსურდია, ასე შეუძლებელია იყოს, და, მაშასადამე, ქეშმარიტი ყოფილა დასამტკიცებელი დებულება. დამტკიცების, ანუ დასაბუთების ეს მეთოდი ფართოდ იყო გამოყენებული ევკლიდის გეომეტრიაში. ეს კი საფუძვლიანად აისახა არისტოტელეს ლოგიკაში, კერძოდ, მოძღვრებაში „აზროვნების კანონების შესახებ“.

ახლა მოვუბრუნდეთ რუსთაველის პოემას, რა არის მასში მოცემული? რუსთაველს შეუთხზია ნაწარმოები ქართველების შესახებ. ამ ნაწარმოებში იძულებული ყოფილა ზოგი რამ დაეფარა, კერძოდ, ის, რომ მას ქართველი მეფე გამოუყვანია უარყოფითად. ამ საიდუმლოს ამოხსნა თვითონ ნაწარმოებშივე მოუცია, იმ იმედით, რომ გარკვეული დროის შემდეგ საიდუმლო ამოიხსნებოდა, ე.ი. მოიძებნებოდა პასუხი კითხვაზე, რომელიც ნაწარმოების მკვლევარს (უფრო სწორად, მკვლევარებს!) გაუჩნდებოდა. სად უნდა ყოფილიყო გარანტია, რომ მართლა პასუხი მოვნახეთ, რომ შემცდარნი არა ვართ და რომ არ არის საჭირო კიდევ ვეძებოთ. ზემოთ საგანგებოდ იყო გარჩეული, თუ როგორ მნიშვნელობას აძლევს რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ ძებნის, ანუ ძიების თემას. ახლა ამას აქ არ გავიმეორებ, ისე მკითხველს ვთხოვ გაიხსენოს ის ნაწილი. არსებითად რომ ითქვას, ძებნაზე ყოფილა აგებული ნაწარმოები. ეძებენ ნაწარმოების გმირები და მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ უნდა ეძებოს მკითხველმაც. როდემდე? ახლა ჩვენ მივედით იმ ადგილამდე, როდესაც ძებნამ აზრი დაკარგა, აბსურდია რომ ვეძებოთ, მაშასადამე, ეს ცივი წყალი ტყუილად როდი გადაგვასხა ავტორმა: ის გვეუბნება, აქ დამთავრდა ეს ამბავი, საქმბარი მოძებნილია.

ახლა ვიკითხოთ, ეს ყველაფერი წინასწარ მოფიქრებითა და განზრახვით არის ავტორის მიერ გამოტანილი თუ შემოქმედე-

ბითი ინტუიციის წყალობაა? არა მგონია, ვინმემ უარყოს, რომ ასეთი შემოქმედებითი ინტუიციია სწორედ გენიალობა, ხოლო თუ ეს ყველაფერი ავტორს გაცნობიერებული და გააზრებული ჰქონდა, მაშინ ხომ მით, უფრო, მაგრამ აქ არის კიდევ ერთი მომენტი, რომლის არაღნიშვნა არ ეგების, რადგან უფრო მეტ განცვიფრებას იწვევს.

საყოველთაოდ იყო აღიარებული რუსთაველის ლექსის სიძლიერე, მშვენიერება, სინატიფე, კეთილშობიანება. აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა ნაშრომში „მეტრი და რიტმი ვეფხისტყაოსანში“ კიდევ ახალი კუთხით გამოაჩინა რუსთაველის ლექსის ღირსება. გამოჩენილი მეცნიერი ამტკიცებს, რომ „რუსთაველმა პოეზიაში მოგვცა ჩვენ სრულყოფილი სიმეტრია, მსგავსად იმისა, როგორც ტიციანმა, რათაელმა და ლეონარდო და ვინჩიმ მხატვრობასა და საერთოდ, ხელოვნებაში, და ახლა, როდესაც ეს სრულყოფილება გამოვლენილია, ქართული პოეტის ადგილი მსოფლიო პოეზიის ისტორიაში სრულებით განსაკუთრებულად გვესახება“, რომ „პოეზიაში რუსთაველი პირველია მსოფლიოში და შეიძლება ერთადერთი, რომელმაც ოქროს კვეთზე ააგო ესოდენ დიდი მოცულობის ნაწარმოები“. ავტორი ანალიზისთვის იყენებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს, 1966 წლის გამოცემას, რომელიც მომზადებული იყო გამოსაცემად გ. წერეთლის, ს. ცაიშვილის, გ. კარტოზიას მიერ, რედაქტორები გიორგი წერეთელი, ირაკლი აბაშიძე. ამ გამოცემის მიხედვით პოემის სტროფების რიცხვი 1587-ია, აქედან დაბალი შაირია 863, მაღალი შაირი 723, ხოლო ერთი სტროფი ოცმარცვლიანი ზომითაა დაწერილი, დაბალ შაირში ხედავს მკვლევარი ოქროს კვეთის განხორციელებას, მაღალ შაირს კი მიიჩნევს ეკვივალენტური სიმეტრიის საფუძველზე შექმნილად. გიორგი წერეთლის მტკიცებით, რუსთაველის წინაშე იდგა ამოცანა „შეერჩია ისეთი ზომა, რომლის ფარგლებში შესაძლებელი იქნებოდა სხვადასხვა რიტმის კანონზომიერი მონაცვლეობა ისე, რომ სტრიქონთა სილაბური სტრუქტურა არ დარღვეულიყო. ამ განზრახვის განხორციელება კი შესაძლებელი იყო მხოლოდ თექვსმეტმარცვლიან ლექსში, რომლის ნახევარპწკარედი რვა მარცვლისაგან შედგება, რვა კი ერთადერთი რიცხ-

ვია რიგებში, რომელიც საშუალებას იძლეოდა ამ ზომაზე ორი სხვადასხვა რიტმის ლექსი აგებულყო..." ასე მიუღია რუსთაველს „ღვთაებრივი პროპორცია, ანუ ოქროს კვეთა დაბალ შაირში, 8:5:3 და ეკვივალენტური სიმეტრია მაღალ შაირში.\*

უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი წერეთლის თვალსაზრისი უდავოდ მიჩნეული არ არის, კერძოდ, მას ეკამათება ქართული ლექსის ისეთი ცნობილი სპეციალისტი, როგორც არის პროფესორი აკაკი გაწერელია. ამ საკითხის ირგვლივ დავა, სამწუხაროდ, დაამძიმა ზოგიერთმა არასასურველმა მომენტმა, რაც, უეჭველია, დროთა განმავლობაში დაიწმინდება და ქეშმარიტება დადგინდება. ჩემთვის ამჟამად სავსებით საკმარისია, რომ ოქროს კვეთა, „ღვთაებრივი პროპორცია“ რომც არ დამტკიცდეს პირდაპირი მნიშვნელობით რუსთაველის ლექსის მიმართ, უდავოა, რომ ეს არის „ღვთაებრივი პროპორციის“ ანალოგი. საქმე ისაა, რომ თვითონ გ. წერეთლის მიხედვითაც: „ოქროს კვეთი არის ისეთი დაყოფა მთელისა, როდესაც დიდი მონაკვეთი იმგვარ გეომეტრიულ მიმართებაშია მთელთან, როგორშიც მცირე მონაკვეთი დიდთან, ე.ი. დიდი მონაკვეთი არის „გეომეტრიული საშუალო“ მთელსა და მცირე მონაკვეთებს შორის“. მაშასადამე, ოქროს კვეთის გამოყენება სპეციფიკურია გეომეტრიული ფორმების მიმართ და ამდენადვე არასპეციფიკურია, ვთქვათ, ლექსის მიმართ. აკ. გაწერელია საქმის ამ მხარეს აქცევს ყურადღებას, მაგრამ, არა მგონია ამან ხელი შეეგვიშალოს ვთქვათ ის მინიმუმი მაინც, რომ რუსთაველის შაირი, კერძოდ, დაბალი შაირი, ყოფილა ანალოგიური იმისა, რასაც მხატვრობაში ან არქიტექტურაში წარმოადგენს პირდაპირი გაგებით ოქროს კვეთა, „ღვთაებრივ პროპორციას“ რომ ეძახდნენ. ჩვენი მიზნებისათვის სავსებით საკმარისია მტკიცების ეს მინიმუმი, ამიტომ შეგნებულად ვიცილებ თავიდან ამ საკითხის უფრო დეტალურ ანალიზს და საბოლოო დასკვნას მის შესახებ, რაც აღემატება ჩემს კომპეტენციას და, ვიმეორებ, ჩემი მიზნებისათვის არც არის აუცილებელი.

ის ფაქტი, რომ რუსთაველის შაირს ხალხური წარმომავ-

\* იხ. გიორგი წერეთელი — „მეტრი და რიტმი „ვეფხისტყაოსანში“, თბილისი, 1972



ლობა აქვს, აუცილებელი აღნიშვნის ღირსია იმის გამო, რომ ერთი მხრივ, ეს გვიოლებს დაშვებას, თუ როგორ შეეძლო რუსთაველს ასულიყო ასეთ სიმაღლეზე. მეორე მხრივ, რუსთაველი, რომელსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, მიზნად ჰქონია შეექმნა თავისი ხალხის მაღიღებელი, უკვდავი ქმნილება, ამ მომენტსაც, ალბათ, არ გაუშვებდა მხედველობიდან. ამრიგად, მას შესაძლებლობა ეძლეოდა წარმოედგინა ნაწარმოები, რომელიც თავისთავში დასრულებული იქნებოდა. დასრულებული იქნებოდა არა მარტო იმ აზრით, როგორიც ვნახეთ, რომ დასრულდა ძიება და, მაშასადამე, თავისთავში დასრულებული ნაწარმოები მივიღეთ. იგი თავისთავში დასრულებული იქნებოდა იმითაც, რომ ლექსის ფორმა და მთავარი სათქმელის დემონსტრირება (მტკიცება-დასაბუთება) ერთ პრინციპზე ყოფილიყო დამყარებული: ფორმაში ოქროს კვეთა ან მისი ანალოგი, შინაარსში აბსურდამდე დაყვანის სრულქმნილი ლოგიკურობაა. ეს იქნებოდა ფორმისა და შინაარსის შეთანხმების სრულქმნილება და, მაშასადამე, ნაწარმოების სრულყოფილების მაჩვენებელი.

კვლავ ვიკითხოთ: ინტუიციით ახორცილეებს ამას რუსთაველი თუ გაცნობიერებული აქვს? აკად. გიორგი წერეთელი სვამდა ანალოგიურ კითხვას: „ბოეტის გენიალური ინტუიციის საფუძველზე შეიქმნა ოქროს კვეთის მიმართება ქართულ ლექსში, თუ ავტორი იცნობდა ამ მიმართებას და შეგნებულად იყენებდა მას? „და ვარაუდობს, რომ „შოთა რუსთაველი ვალენტურის სიმეტრიის პრინციპზე აგებული ლექსის გვერდით.“ ზემოთ ჩვენც ასეთსავე ვარაუდამდე მივდით, რომ რუსთაველი იცნობდა ეკლიდის გეომეტრიიდან მომდინარე ოქროს კვეთის პრინციპთან ერთად, აქედანვე მომდინარე მტკიცება-დემონსტრაციის იმ მეთოდს, რომელსაც აბსურდამდე დაყვანა დაერქვა შემდგომში.

ცალ-ცალკე ორივე სრულქმნილების მაჩვენებელია, მათი თანხვედრა მით უფრო არის სრულქმნილება. ამისი განხორციელება „ვეფხისტყაოსანში“ არნახული გენიალობის ხელოვნებაა, მაშინაც კი, თუ ეს მოხდა ინტუიციით, მით უფრო, თუ ეს გაკეთდა წინასწარ განზრახვით.

ანტიკური ხელოვნების შესახებ უდიდესი საკაცობრიო ავტორიტეტის მონაზროვნეებს ჰეგელს და მარქსს აქვთ ნათქვამი: ეს ხელოვნება ესთეტიკურ ნორმასა და გადაულახავ ნიმუშს წარმოადგენსო. ანალოგიური აზრი აქვს ნათქვამი ფ. ენგელსს ევროპული რენესანსის ხელოვნების შესახებ.

სამწუხაროდ, ისინი არ იცნობდნენ აღმოსავლური, კერძოდ, ქართული რენესანსის უკვდავ ქმნილებას „ვეფხისტყაოსანს“, ამიტომ, ცხადია, ვერც ვერაფერს იტყოდნენ მის შესახებ. დადგა დრო, როცა შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება სრულყოფილად შევაფასოთ და ეს შეფასება მივაწოდოთ რუსთაველით დაინტერესებულ მკითხველებს, რომლებიც, საბედნიეროდ, ამჟამად მსოფლიოს ყველა კონტინენტზეა.

ამით დავასრულოთ ეს ნაშრომი, დაგვრჩა მხოლოდ ის, რომ გამოვიტანოთ ზოგიერთი დასკვნა და, ამასთანავე, შემდგომი მუშაობის რამდენიმე ასპექტსაც შევხვით.

## გამოკვლევის შედეგებისა და გობიერთი პერსპექტივის შესახებ

ამ გამოკვლევის შედეგებზე სხვები იმსჯელებენ, გამოიტანენ დასკვნას, სათანადოდ შეაფასებენ, თუ რას მივალწიეთ. აქ მხოლოდ ის მინდა, რომ ერთგვარად ხელი შევეწყო სწორი დასკვნის გამოტანას. ამ მიზნით ვიხილავ დასმულ საკითხს.

თუ უხერხული არ იქნება, თავს უფლებას მივცემ, მივეკუთვნოთ თეორიული ცოდნის იმ დარგს, რომელსაც ვვალება იცოდეს, თუ რას ნიშნავს მეცნიერებაში ახალი თვალსაზრისის, უფრო მეტი, ახალი თეორიის შემოტანა, რა კრიტერიუმებს უნდა პასუხობდეს იგი, ან რა არის მის მიმართ დროთა განმავლობაში მოსალოდნელი.

მოსალოდნელი კი ბევრი რამაა, ავტორისათვის სასიამოვნოც და არასასიამოვნოც. თეორიის ავტორს რომ ჰგონია საკუთარი შენობა მტკიცედ ნაგები, ხშირად იგი ხუხულასავით დაშლილა, როგორც კი შეხებია კრიტიკოსის ხელი. მართალია, ასეთ შემთხვევებშიც კი ზოგჯერ სარგებლობა მაინც მოუტანია გამოკვლევას, რადგან იმ ნაშალში სხვა შენობისათვის გამოსაყენებელი საშენი მასალა აღმოუჩენიათ შემდგომ მკვლევარებს.

არცთუ იშვიათად ყოფილა ისიც, რომ ახალი ნაგებობა, მართალია, ხუხულასავით ვერ დაუშლია შეხებას, თუმცა ამ შეხებისაგან სწორედ ნაწილებს განუცდიდათ ეროზია, მთელი შენობა კი გადარჩენილა, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი საფუძვლიანი შეკეთება გამხდარა საჭირო.

და იშვიათად, შეიძლება ითქვას, ძალზე იშვიათად ყოფილა, რომ თეორიულ შენობას მთლიანადაც და ნაწილების მხრივაც უცვლელად გაუძლია.

მე ვიცი, რომ ჩემი მოკრძალებული ნააზრევის მიმართ ეს მესამე შემთხვევა არ გამართლდება, დიდი სურვილი მაქვს მის მიმართ პირველი არ გამართლდეს და, მაშასადამე, მეორე შემთხვევით კმაყოფილი დავრჩები.

ეს ერთგვარი ლირიკული გადახვევა ვიკმაროთ, რაც შეეხება საქმის ვითარებას, უნდა გამოვყოთ რამდენიმე მომენტი.

რუსთაველის პოემის, „ვეფხისტყაოსნის“, საიდუმლოს შესახებ წამოყენებული ჰიპოთეზის დასაბუთება, თუნდაც იგი, ეს ჰიპოთეზა, ჰიპოთეზადვე დარჩეს, მისი მტკიცების მსვლელობამ, ვფიქრობ, რამდენიმე ყურადღებაამისაქცევი დებულება მოგვცა. ზოგიერთ მათგანს აქ დავასახელებ.

1. „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ მეცნიერულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო აზრი, რომ ნაწარმოებში ხშირად ზომიერება არ არის დაცული, ადგილი აქვს გადაჭარბებას, კერძოდ, გადაჭარბებულია ტირილი, განსაკუთრებით მამაკაცებისა, გადაჭარბებულია სიმდიდრე და საჩუქრები. ეს, რა თქმა უნდა, პირდაპირ ვიტყვით ამას თუ არ ვიტყვით, ამას არა აქვს მნიშვნელობა, ნაწარმოების ნაკლოვანებაზე მითითებას წარმოადგენს. არაა ნაჩვენები დღემდე, აქვს თუ არა მართლა ამ მხრივ ნაკლოვანება „ვეფხისტყაოსანს“, წინამდებარე ნაშრომში, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან გამომდინარე, ნაჩვენებია, რომ „გადაჭარბებისათვის“ ავტორს, შოთა რუსთაველს, გარკვეული მიზნით მიუმართავს, მხატვრულ ხერხად გამოუყენებია, ამასთან, ბრწყინვალე შედეგისთვის მიუღწევია და, მაშასადამე, საქმე გვექონია არა ნაწარმოების ნაკლოვანებასთან, არამედ დიდ მხატვრულ ღირსებასთან.

2. რუსთაველოლოგიაში სადავო იყო საკითხი ნაწარმოების უმთავრესი გმირების, ტარიელისა და ნესტანის მოქმედების გამო. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა იმ აზრს ემხრობოდა, რომ ნესტანმა (ჩჩევიტ) და ტარიელმა (მოქმედებით) დანაშაული ჩაიდინეს — უდანაშაულო კაცი მოკლეს (რადგან, თურმე, ეს მათ განზრახვას ხელს უშლიდა).

ნაწარმოებისათვის, რომლის ჰუმანურობას ვამტკიცებთ, ეს თუ მართლა ასეა, იქნებოდა დიდი ნაკლი. შეიძლება ისიც ითქვას, რომ მაშინ ნაწარმოების ჰუმანური საზრისი უეჭველი სულაც არ იქნებოდა და, მაშასადამე, რუსთაველის პოემის შეფასების ერთ-ერთ უმთავრეს მომენტში, მეტი რომ არა ვთქვათ, გაურკვეველობაში აღმოვჩნდებოდით.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნესტანისა და ტარიელის მოქმედება მართლაც იყო „ქმნა მართლისა სამართლისა“, ხოლო მოწვეული სასიძოს უბრალოების (უდანაშაულობის) მტკიცება რა სტროფსაც ემყარებოდა, ის სულ სხვა აზრის მქონე აღმოჩნდა. ამრიგად, ეს დაბრკოლება „ვეფხისტყაოსნის“ ჰუმანიზმს აღარ გააჩნია.

3. რუსთველოლოგიაში დღემდე გადაუქრელი იყო ავთანდილის მიერ ქაშნაგირის მოკვლის საკითხიც. კერძოდ, აღიარებული იყო, რომ ამ შემთხვევაში ავთანდილმა უდანაშაულო კაცი მოკლა. ეს მტკიცება ისევ შეიცავს სერიოზულ დაბრკოლებას „ვეფხისტყაოსნის“ ჰუმანიზმისათვის, მით უფრო, რომ მეცნიერულ ლიტერატურაში ავთანდილი მიჩნეულია რუსთაველის ალტერეგოდ, ე.ი. ავტორის ჰუმანიტური იდეების გამომთქმელად და გამომხატველად და, მაშასადამე, სწორედ ჰუმანიზმის გამომხატულებას უნდა წარმოადგენდეს როგორც სიტყვით, ისე მოქმედებით.

დამტკიცდა, რომ ავთანდილის ქცევა დანაშაული კი არა, პირიქით, კეთილის მიერ ბოროტის დაძლევისათვის აუცილებელი მოქმედება ყოფილა.

4. რუსთველოლოგიაში არ იყო გარკვეული „ვეფხისტყაოსნის“ უარყოფითი პერსონაჟების საკითხი. უარყოფითი პერსონაჟები თითქოს არ ჩანდნენ ნაწარმოებში და ამიტომ კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება მოქმედებაში რელიეფურად გამოვლენილი არ იყო.

დამტკიცდა, რომ ეს სინამდვილეში ასე არ არის, რუსთაველს თავის ქმნილებაში დადებითის და უარყოფითის, კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება პიროვნებათა დაპირისპირების სახით ჰქონია დახატული.

5. რუსთველოლოგიაში მრავალი საკითხი იყო ისე დასმუ-

ლი, რომ ან არ ჰქონდა პასუხი გაცემული (მაგალითად, გადაჭარბებული ტირილი და სხვ.), ან თუ ჰქონდა, ეს პასუხი არ იყო მისაღები. მათი ერთი ნაწილი აქ უკვე ჩამოვთვალეთ და სათანადო პასუხებიც ვნახეთ. ასეთ საკითხთა რიცხვი გაცილებით მეტია, მაგრამ მათ ახლა აქ არ ჩამოვთვლით, რადგან ახლა ჩვენთვის უმთავრესი იმისი აღნიშვნაა, რომ რუსთაველის ნაწარმოების მიმართ კანონიერი ყოფილა ბევრი ისეთი კითხვა, რომლებიც ან სულ არ დასმულა აქამდე, ან გამოკვეთილად არ დასმულა. ასეთ კითხვათა რაოდენობა აქარბებს კიდევაც იმ კითხვებს, რომლებიც დასმული კი იყო, მაგრამ არ იყო სათანადოდ გადაწყვეტილი. ორივე სახის კითხვათა რაოდენობა ხუთეჭვს ათეულს აღწევს. იმ კითხვებიდან, რომლებიც აქამდე არ დასმულა, ჩამოვთვლი რამდენიმეს: რატომ არ გვიჩვენა რუსთაველმა ნათლად, იყვნენ და დამარცხდნენ თუ არა ქაჭეთის ციხის ალებისას ქაჭები? რატომ ადარებს რუსთაველი ტარიელს ერთსა და იმავე დროს ლომსა და ვარდს? რატომ გადაწყვიტა ტარიელის მამამ, სარიდანმა, „ფარსადანს შევეწყნარებო“? რატომ არა თქვა რუსთაველმა „გრძელი სიტყვა მოკლედ“, როცა მას ეს თითქოს აშკარად შეეძლო? რატომ უშვებს რუსთაველი თითქოს აშკარა შეუსაბამობას, ტარიელი რომ ეუბნება ავთანდილს, ისეთივე დახმარება უნდა გაგიწიო, როგორც მე გამიწიეო? ვისზეა ნათქვამი „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვები „სიყვარული აღგვამალღებსო“? ვის გამო ამბობს რუსთაველი „გვმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა“? კონკრეტულად სად არის გამართლება რუსთაველის სიტყვებისა „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“, რა გრძლად სათქმელი უთქვამს რუსთაველს მოკლედ? რატომ უწოდებს რუსთაველი მხატვრული ნაწარმოების კარგად გამართვას პოეტის მიერ ჩადენილ გმირობას? რატომ ამბობს რუსთაველი „ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსაო“, როცა ეს შეუძლებელია ასე ყოფილიყო? რატომ „ჯდა მტირალი წყლისა პირსა“? და ა.შ. და ა.შ.

ყველა ეს და სხვა ანალოგიური მრავალი კითხვა იქნა დასმული წიგნში და გაეცა მათ პასუხი.

6. მოცემულ გამოკვლევაში, ვფიქრობ, მოეძებნა პასუხი ერთ-

ერთ ყველაზე სადავო საკითხს „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ რუსთაველს ეს ნათქვამი ჰქონია გარკვეული მიზნით და მისი გაშიფვრა ნიშნავს, რომ ასეთი ამბის სხვაგან ძიება უაზრობაა, რომ ეს ამბავი თავიდან ბოლომდე რუსთაველის გენიის ქმნილებაა.

7. დამტკიცდა, რომ რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“ გამოუყენებია „ღვთაებრივ პროპორციასთან“ ერთად დემონსტრაციის (დასაბუთების) ასეთივე უნაკლო მეთოდი და, ამ მხრივ, რუსთაველის პოემა სრულიად უნიკალურია.

8. „ვეფხისტყაოსნის“ აქ ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა დღემდე ყურადღებაშიუქცეველი ნიმუშები რუსთაველის განსაკუთრებული პოეტური ოსტატობისა, ანუ ხელოვნებისა, მათ შორის ისეთიც კი, როცა რუსთაველი ახერხებს რეალურად გვიჩვენოს ის, რაც ნამდვილად არ არის და პირიქით, სავსებით უჩინარს ხდის იმას, რაც არის, ამასთან, როგორც ერთის, ისე მეორის გამომჟღავნების საშუალებას პოემაშივე გვაძლევს.

9. „ვეფხისტყაოსნის“ ანალიზმა გვიჩვენა აგრეთვე, რომ აღარ არის სადავო ქართულ სინამდვილეზეა თუ არა ნაწარმოები დაწერილი. რუსთაველს იგი შეუქმნია ქართულ სინამდვილეზე და მის სადიდებლად, ნაწარმოებში მიუღწევია სრულქმნილებისათვის და ამით მისი და მასში ასახული ხალხის, უკვდავებისათვის.

10. რუსთაველის პოემის სიუჟეტი არცთუ ისე დიდი და ზღაპრების სიუჟეტს მიმსგავსებული ჩანდა, სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ პოემას ჰქონია დიდი, ღრმა შინაარსის მქონე, სოციალურ-ფილოსოფიური ხასიათის სიუჟეტი. ამ საკითხზე ქვევითაც მოგვიწევს მსჯელობა.

11. რუსთაველის პოემის აღიარებული ჰუმანისტური, რენესანსული იდეების გვერდით აღმოჩნდა კიდევ ახალი, ჯერ კიდევ ყურადღებაშიუქცეველი, კერძოდ, ის, რომ რუსთაველი ქაჯეთის ციხის აღების თანატოლად გვიხატავს ადამიანების მიერ ერთმანეთის ღირსებების დაცვას ანუ ურთიერთპატივისცემას. ამით საფუძველი კიდევ უფრო უმტკიცდება იმ აზრს, რომ რუსთაველის პოემის სახით ქართულმა რენესანსმა არა მარტო საუკუნეებით დაასწრო დასავლურ რენესანსს, არამედ დიდად

გადააქარბა მას ადამიანური ყოფის სრულქმნილების იდეების სიღრმით.

დაახლოებით ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს ძირითადი შედეგები, დამოუკიდებლად იმისაგან, გაზიარებული იქნება თუ არა უმთავრესი მტკიცება „ვეფხისტყაოსნის“ საიდუმლოს შესახებ.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ რა შეიძლება, ან რა უნდა გაკეთდეს შემდგომში ამ მიმართულებით. ცოტა განმარტება აუცილებელია. მე არ ვაპირებ რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების რაიმე პროგრამის წარმოდგენას. უბრალოდ, ის მინდა ვაჩვენო, რომ თუკი მოცემული ანალიზი და გაგება მართებულია, მაშინ ეს უსათუოდ მიგვითითებს იმაზეც, თუ რა შეიძლება, ან რა უნდა გაკეთდეს შემდგომში. ამრიგად, ეს მიმაჩნია გაწეული სამუშაოს სისწორის ერთგვარ კრიტერიუმად და მხოლოდ ამიტომ ვეხები აქ ზოგიერთ მომენტს პერსპექტივის სახით.

ჯერ ერთი, საჭირო ჩანს განხორციელდეს „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა, რომელსაც დაერთვის კრიტიკული წერილი წინასიტყვაობის ან ბოლოსიტყვაობის სახით, ტექსტის განსაკუთრებული ადგილების კომენტარები, აგრეთვე დაზუსტდება და შეივსება დართული ლექსიკონი.

მეორე, აუცილებელი ჩანს ახალი სასკოლო გამოცემა სათანადო დანართით, განმარტებებით, ლექსიკონით და ა.შ.

მესამე, საკვლევი, ალბათ, ბევრი რამ იქნება, მათგან ერთს გამოვყოფ ამჟამად, კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართებისა და დამატებების საკითხს. რუსთველოლოგიაში დიდი მუშაობაა გაწეული და დადგენილია მრავალი ჩანართი თუ დამატება. ზემოთ ჩატარებული ანალიზის შემდეგ სავსებით რეალურად მიმაჩნია საკითხის ამგვარად დასმა: რამ გამოიწვია განსაკუთრებული სიმრავლე ჩანართ-დამატებისა? იქნებ ეს გამოიწვია „ვეფხისტყაოსნის“ საიდუმლომ და იმ საიდუმლოს გამო წერის თავისებურებამ? როგორც ამაში ბევრჯერ დავრწმუნდით, რუსთაველი ისე გამოთქვამდა სათქმელს, რომ ნაკლები ჩანდა, ე.ი., შევსების ანუ ჩამატების, ან კიდევ დამატების საჭიროებას აგრძნობინებდა მკითხველს. ხშირად ჩამატების ავტო-



რი არსებითად სწორად აგრძელებდა ამბავს, რისი თქმაც, მისი აზრით, რუსთაველმა რატომღაც არ მოისურვა. მისთვის (ჩამატების ავტორისათვის) დაფარული იყო, თუ რატომ არ აგრძელებდა რუსთაველი სათქმელს, ანუ რატომ ამოკლებდა იგი სიტყვას. ხშირად კი ჩამატების ავტორი ვერ იგებდა რუსთაველის ჩანაფიქრს და გეთავაზობდა გაგრძელებას, რაც „ვეფხისტყაოსნის“ საერთო შინაარსის მიხედვით არ შეიძლება ასე ყოფილიყო. მხოლოდ ერთ ნიმუშს მოვიტან: „ვილაც მელექსეს“ დაბადებია საკითხი: რა მოხდა მათი გამეფების შემდეგ, როგორ ცხოვრობდნენ ისინი, რა ურთიერთობა დამყარდა ტარიელსა და ხვარაზმშას შორის, რომლის შვილი მან მოკლა. ამ საკითხებზე მას უპასუხია ახალი გაგრძელებით, სადაც აღწერილია ტარიელის დაბრუნება და ხვარაზმშასაგან სისხლის ძებნად მოსვლა ინდოეთს, ტარიელისაგან თავისი მეგობრების საშველად მოწვევა, ომი ხვარაზმელთა, ინდოთა, არაბთა და თურქთა“.\* თითქოს პარადოქსია, რუსთაველის პოემაში კარგად ჩახედულ კაცს არ მოუვიდოდა ასეთი შეცდომა. დანართის ავტორის საქმეში ჩახედულობა იმაში ჩანს, რომ მას კითხვა სწორად გაჩენია, მაგრამ შემცდარა — პასუხი ვერ გაუცია სწორი, გაუგრძელებია რუსთაველი ისე, როგორც რუსთაველი თვითონ არ გააგრძელებდა.

ინდოეთის დასუსტებაში ტარიელის ნამოქმედარის შედეგად გამოჩნდებოდა ხვარაზმშას სამტროდ წამოსვლა. ამიტომაც ეს არ მოგვცა რუსთაველმა, უფრო მეტი კი მან ვერ თქვა, რადგან მაშინ ამ ნაწილში საჭიროზე მეტად გაუშისვლებდა გვერდს საიდუმლოს და მისი უდროოდ გამეფავნების საშიშროებას შექმნიდა. დამატების ავტორი შეცდომაში შეიყვანა, შეიძლება ითქვას, თვითონ რუსთაველმა.

სხვა მაგალითებზე აქ ნუ ვიმსჯელებთ, ისე კი ცხადი უნდა იყოს, რომ რუსთაველის პოემისა და მასში ჩამატება-დამატებების საკითხი ამ კუთხით უნდა შეისწავლონ. ეს შესაძლებლობას მოგვცემს შესაფერისი მიუზღლოთ ბევრ უცნობ, ჩვენთვის დაკარგულ ავტორს. არ არის სამართლიანი მოვიხსენი-

\* კორნელი კეკელიძე — „ძალი ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II, თბილისი, 1981, გვ. 365.

ოთ ისინი, როგორც დღემდე ხდება, მხოლოდ და მხოლოდ რუსთაველის გამყალბებლებად. ჩვენს ისტორიას ბევრი რამ დააკლო შავბნელმა ვითარებებმა და მათ შორის არის ვინაობა ამ ავტორებისა. ისინი ხომ რუსთაველის პოემის დამცველები, მასზე აღზრდილები იყვნენ, ამასთან პოეტური ძალაც შესწევდათ ხშირად ისე ეწერათ, რომ რუსთაველის ლექსისაგან გამორჩევა გვიჭირს ხოლმე.

მეოთხე, დგება საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების შესახებ. საბედნიეროდ, ამჟამად „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი, სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ მთარგმნელებმა პოემის შინაარსი, როგორც აქამდე ცნობილი იყო და იცოდნენ, ისე გადაიტანეს. ცხადია, თარგმანებში გაუთვალისწინებელი დარჩებოდა ბევრი ისეთი დეტალი, რაც თურმე, დიდი მნიშვნელობისა ყოფილა პოემისათვის, ადრე კი ეს ასე არ ჩანდა, აქაც მხოლოდ ერთი მაგალითით შემოვიფარგლებით.

ხომ ვნახეთ რა მხატვრული ღირებულებებისა ყოფილა ის დეტალი, „ჰდა მტირალი წყლისა პირსა“. სანამ არ იყო გამოქვეყნებული ამ დეტალის მნიშვნელობა, არ ჩანდა აუცილებლობა იმისა, რომ თარგმანში უსათუოდ ჩანდეს წყლის პირს ჯდომა. ისეთ მთარგმნელსაც კი, როგორიც იყო ნ. ზაბოლოცკი, ეს დეტალი თარგმანში არ გადაუტანია:

დღდანთან სიახლოვით ცნობილ შ. ნუცუბიძისეულ თარგმანში ეს დეტალი არაა გამორჩენილი (84).

არ იქნება ზედმეტი ისიც ვთქვათ, რომ 840-ე სტროფი (თარგმანში 842-ე) ასევე სწორად აქვს გადმოცემული შ. ნუცუბიძეს, ხოლო ნ. ზაბოლოცკის თარგმანი აქაც ნაკლოვანია.

ამჟამად საქმის ვითარება ისეთია, რომ ქართველოლოგია სათანადოდ არის წარმოდგენილი უცხოეთის მრავალ ქვეყანაში და, მაშასადამე, ხელმისაწვდომია ქართული კულტურის უმთავრესი ქმნილების გაგება-შეფასებას თუ თარგმანს თვალყური მიედევნოს ყველგან, სადაც ამისი საჭიროება არის. ახლა ძნელია კონკრეტულად იმისი თქმა, თუ რა ხასიათის იქნება ეს მუშაობა. ერთი რამ ცხადია, რომ იქნება ეს ახალი თარგმანები თუ ძველი თარგმანების შესწორებული გამოცემები, საჭიროა

გავითვალისწინოთ პოემის ახლებუძრი გაგება, ზედმეტი არ იქნება, ალბათ, ისიც ითქვას, რომ რუსთაველის ლექსის სილამაზის სხვა ენაზე ადევკატური გადატანა უძნელესი მისალწევია. პოემის სილიაღეში უცხო მკითხველი, უპირველეს ყოვლისა, მისმა შინაარსობრივმა სიმდიდრემ უნდა დაარწმუნოს.

მეხუთე, სამწუხარო ფაქტია, რომ რუსთაველის გენიალური პოემა დღემდე თითქმის არ არის ეკრანიზირებული. სამწუხაროსთან ერთად ეს საკვირველიცაა — რამ გამოიწვია ასეთი დიდი ხარვეზი, მით უფრო რომ ქართული კინემატოგრაფიის სახელი საქვეყნოდ ცნობილია და ამ მხრივ კლასიკოსების ეკრანიზაციაც გამონაკლისს არ წარმოადგენს. გარდა იმისა, რომ შექმნილია ფილმი დავით გურამიშვილზე, ეკრანიზირებულია ილია ქავკავაძის, ვაჟა ფშაველას, აკაკი წერეთელის, ალექსანდრე ყაზბეგის, დავით კლდიაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჭავჭავაძის, გიორგი ლეონიძის ქმნილებები. შესანიშნავი ფილმები შექმნილია ნოდარ დუმბაძის, ქაბუა ამირეჯიბის და სხვა თანამედროვე მწერლების ნაწარმოებების მიხედვით. რუსთაველის პოემა კი დაუსრულებლად ელოდება კინოხელოვანთ. კინემატოგრაფია, როგორც სინთეზური ხელოვნება, ბევრი კომპონენტისაგან შედგება. ჩვენში აღმავლობას განიცდის ხელოვნების ყველა დარგი, რომელიც უნდა იყოს მონაწილე ამ საქმეში: მუსიკალური ხელოვნება, მხატვრობა, ლიტერატურა, კერძოდ სასცენო ხელოვნება, სამსახიობო ანუ თეატრალური ხელოვნება და რეჟისურა. მაშ რა მოხდა? რატომ ვერ ვიხილეთ ეკრანზე რუსთაველის დიდებული გმირები? ამის გამო გაკვირვებას ბევრი გამოთქვამს როგორც საქართველოში, ისე მის გარეთაც. ქართველი რეჟისორები უცხოელი კლასიკოსების ეკრანიზაციის დიდ საქმეს ჰკიდებენ ხელს, ჩვენი უმთავრესი კლასიკოსი კი კვლავ მოლოდინშია.

მიზნად არ დამისახავს ყველა მიზეზი ვეძებო, მე მხოლოდ ერთს მინდა შევუბო, რაც უმთავრესად მიმაჩნია. „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი, როგორც უკვე ითქვა, ზღაპრის სიუჟეტს ჰგავდა და ამ სიუჟეტზე დიდი ნაწარმოების შექმნა, როგორც შეკფერის ჩვენი წარმოდგენით რუსთაველის გენიალურ პოემას, შეუძლებელი ჩანდა. ილუსტრაციისათვის მინდა მოვიგონო ჯერ

კიდევ ომამდე შექმნილი მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელშიც რკებიანი ქაჯები ყზუოდნენ და მათ დასალაშქრავად წამოსული რაინდების ბედაურები უფსკრულში ხტებოდნენ. ზღაპარი იყო შინაარსით და მეტრაჟითაც კი დიდი არ შეიძლებოდა გამოსულიყო.

საბედნიეროდ, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი სულაც არ ყოფილა ასე მოკლე და მარტივი. „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილი ყოფილა დიდ და რთულ სოციალურ-ფილოსოფიური შინაარსის სიუჟეტზე და აფორიზმებში გამოთქმული სიბრძნე არანაკლები ხელოვნებით ყოფილა თვით სიუჟეტში ჩაქსოვილი.

დარწმუნებული ვარ, ამგვარ სიუჟეტზე ლიტერატურული სცენარიც დაიწერება რუსთაველის შესაფერის დონეზე, ქართველი რეჟისორიც გამოჩნდება მის განმახორციელებლად და ქართველი მსახიობები მსოფლიოს უჩვენებენ რუსთაველის გმირების სრულქმნილ სახეს.

და ბოლოს, მეექვსე, აღმოსავლური და დასავლური რენესანსის მიმართების საკითხში ახალი წახნაგები გამოჩნდა და, მაშასადამე, მეცნიერული კვლევის ახალი პერსპექტივაც. აქ ბევრს, ვფიქრობ, მიეცემა ასპარეზი, ჩემდათავად კი, თუ დამცალდა, ჩაფიქრებული მაქვს წიგნი „რენესანსი ძველი, რენესანსი ახალი“. მის შინაარსზე ამჟამად ლაპარაკი, ალბათ, არ იქნება გამართლებული.

ასეთია ზოგიერთი შედეგი და პერსპექტივა, რაც რუსთაველის პოემის ახლებურმა გაგებამ მოგვცა.

## სარჩევი

ორიოდე სიგყვა წიგნის რედაქტორისაგან . . . . .	5
ფიქრები „ვეფხისტყაოსანზე“, დაკვირვებანი და გაკვირვებანი – საკითხის დასმა საილუმლოების შესახებ . . . . .	16
რას ეწოდება ქაჯი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“? . . . .	26
დამარცხდნენ თუ არა ქაჯები? . . . . .	32
წინასწარგანზრახული გადაჭარბებანი „ვეფხისტყაოსანში“ . . . . .	38
რატომ ჩაადენინა ავტორმა აეთანდილს მკვლელობა?! . . .	43
აუცილებელი და თითქოს არააუცილებელი „ვეფხისტყაოსანში“ . . . . .	50
რატომ აღარებს რუსთაველი გარიელს ვარდს? . . . . .	56
„იყო არაბეთს როსტევეან“ . . . . .	60
იუმორი და ლაღობა „ვეფხისტყაოსანში“ . . . . .	64
„რა ატირდის, ატირდიან“ . . . . .	75
„კაცი არ ყველა სწორია“ . . . . .	85
როდის არა თქვა რუსთაველმა გრძელი სიგყვა მოკლედ . . . . .	98
„მომეც სურვილთა დათმობა“ . . . . .	105
„რასაცა გასცემ შენია“ . . . . .	114

„წავიკითხავს, სიყვარულსა მოციქულსი რაგვარ წერენ?“ . . . . .	125
„შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად“ . . . . .	137
რა არის „კაცით კაცამდე“? . . . . .	151
„ეფუზისტყაოსნის“ უარყოფითი პერსონაჟები . . . . .	158
„რასაცა ეძებ, მიჰხელები“ . . . . .	166
„ქებანი მათ მეფეთანი, ანუ მეფეთა შიგან სიუხვე“ . . . . .	180
„ჯღა მტირალი წყლისა პირსა“ . . . . .	192
„ეგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა“ . . . . .	208
იმის შესახებ, განსაკუთრებით როლის თქვა რუსთაველმა გრძელი სიტყვა მოკლედ . . . . .	216
რაგომ გაიპარა აუთანდილი? (როსტევეან-ფარსადანის მთავარი შეპირისპირება) . . . . .	236
რუსთაველის აფორიზმების საზრისი და აღრესატები . . . . .	247
„უცნაურო და უთქმელო!“ . . . . .	257
„საესე ქართული პატიოსნებით“ . . . . .	264
რუსთაველის ხელოვნების მწვერვალი . . . . .	273
გამოკვლევის შედეგებისა და ზოგიერთი პერსპექტივის შესახებ . . . . .	283

გამომცემლობის რედაქტორი  
ტექნიკური რედაქტორი  
კორექტორი  
კომპიუტერული უსრუნველყოფა

ლ. ბაგვაშვილი  
შ. ბუღალაშვილი  
ნ. ჩახანია  
თ. კაკაურიძე  
ლ. ზანბურაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად  
საბეჭდი ქაღალდი  
პირ. ნაბეჭდი თაბახი  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი  
შეკვეთა №14 ტირაჟი 250

16.12.04  
60X84  
17,39  
12,68

ფასი სახელმწიფოებო